ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. ს. ს. რ.

პროლეტარიელთ ყველა ქვეყნისაკ, შეერთდით!

საქართველოს კომპარტიის ს. კ. პარტიისა მანყოფილება

რევოლიუციის მატიანე

პარტიის ისტორიული ჟურნალი

№ 1 (16) № 2 (17)

1927

Библиотека ЦК ВКП(б) при ЦК ВКП(б)

Музея Рев. Грузии

446446

26083 173-3

ს. ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობა

ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენშევიკების „დამოუკიდებელი საქართველოს“ ნამდვილი სახე.

საქართველოდან გაქცევის დროს მენშევიკების მთავრობამ დიდი სიმარჯვე გამოიჩინა.

ევროპისაკენ გასაქცევად მომზადებისას, მათ არამც თუ ხატები და ხაზინის ოქრო-ვერცხლი ჩააწყეს წასაღებად, არამედ მთელი თავისი ხანმოკლე არსებობის დროს დაგროვილი სახელმწიფო არქივიც გზას გაუყენეს.

მენშევიკების „სასახელო“ მოქმედების საბუთებს ჩვენ დღეს ხშირად ვნახულობთ რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში, როდესაც იქ რომელიმე თეთრგვარდიელი გენერლისაგან დარჩენილ „მემკვიდრეობას“ ვარჩევთ.

თვით საქართველოში ასეთი საბუთები ან სრულებით არ მოიპოვება, ან ერთობ ცოტა.

მით უმეტეს საინტერესო და საგულისხმოა ის რამოდენიმე **საბუთი**, რომელიც ამ რამოდენიმე ხნის წინათ აღმოჩნდა ერთ-ერთი დაწესებულების არქივში.

ეს საბუთები არის თითქმის სტენოგრაფიული **ოქმები იმ „საუბრების“**, რომელიც სხვადასხვა დროს ჰქონნებია მენშევიკური მთავრობის მეთაურებს **ინგლისის** ოფიცრებთან.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ ახლო ხანში მოხდება ამ საბუთების სრულათ გამოქვეყნება, მანამდე კი არ იქნება ზედმეტი, რომ ჩვენ ამ საუბრების საგანი და შინაარსი გავაცნოთ ქართველ მუშებსა და გლეხებს, მათ, ვისაც ასე აშკარათ და დაურიდებლათ ღალატობდენ და ყიდდენ ქართველი მენშევიკები.

ეს „საუბრები“, როგორც ზევით ვთქვი, თითქმის სტენოგრაფიულათ არის ჩაწერილი, აქ არ არის გამოკლებული არც ის, თუ როგორ მიესალმებოდენ და გამოესალმებოდენ ხოლმე ერთმანეთს, ვთქვათ, საქართველოს „დემოკრატიული რესპუბლიკის“ თავჯდომარე ნ. ნ. ჟორდანია და რომელიმე ინგლისელი გენერალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის ჩაწერილი ისიც, თუ რა თავაზიანათ შესძღენა თურმე ერთხელ „საგარეო საქმეთა მინისტრმა“ ე. პ. გეგეჭკორმა სერ უორდროპს თავისი ავტომობილი **„სრულს თქვენს განკარგულებაში“**.

ერთი სიტყვით, გამოტოვებული არაფერი არ უნდა იყოს!

რამოდენათ და რითაა ეს „საუბრები“ ჩვენთვის საინტერესო?

მენშევიკებს ძალიან ეხალისებათ ხოლმე ეხლა თავის „დაკარგული სამოთხის“ შესახებ ლაპარაკი, მათ ეხლაც მუდამ ენაზე აკერიათ **„დამოუკიდებელი საქართველო“** *).

ამავე დროს, არსად ისე გარკვევითა და ღიათ არ არის გამოჩენილი იმ საცოდავი ხუხულის ნამდვილი ღირსება და ხარისხი, რასაკ ასეთი დიდი სახელი ერქვა—**„საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა“**—როგორც ამ საუბრებში.

აქ აშკარათ დაინახავთ, როგორ საცოდავათ ცხრაჯერ იკეცებიან წელში მენშევიკების „მინისტრები“ და თვით ამ „მინისტრების“ „თავმჯდომარე“, რომ როგორმე თავი შეაბრალონ და რაიმე მოწყალება მიიღონ ინგლისელ გენერლებისაგან.

ჩვენ ვიცით, რომ არც გერმანელ ოფიცრების წინაშე გამოუჩენია მენშევიკებს დიდი გამბედაობა და გერმანელ ოფიცრების წინაშეც ისე ჩინებულათ იკაკვებოდენ წელში მენშევიკები, როგორც შემდეგ (გერმანელების ომში დამარცხებისა და საქართველოდან წასვლის შემდეგ) ინგლისის მეფის მთავრობის კაკების წინაშე. მაგრამ ჩვენ ამ ჟამათ მხოლოთ ამ „საუბრების“ ჩარჩოებს იქით ნუ გადავალთ.

აქაც საკმარისათაა მენშევიკების **„დამოუკიდებელი საქართველოს“** დამახასიათებელი საბუთები.

სულ ჩვენ ხელთაა **ცხრა საუბარი.** ოქმებში აღნიშნული თარიღის მიხედვით ეს „საუბრები“ მენშევიკების „მინისტრებს“ და „თავმჯდომარეს“ ჰქონიათ სხვადასხვა დროს—1918 წლის 4 სექტემბრისა და 1919 წლ. 6 ივნისის განმავლობაში.

საინტერესოა ეს „საუბრები“ თუნდა იმიტომაც, რომ აქ, როგორც ყველგან, აშკარათ სჩანს, თუ რა რიგათ **სძულს მენშევიკებს მუშათა კლასი, რომელიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ აშენებს ახალ ბედნიერს ცხოვრებას.** ამ მხრივ მენშევიკების იმ თვისებებს, რომელიც ყველასათვის აშკარაა, არაფერს არ უმატებს ეს საუბრები; ის, თუ გნებავთ, ერთხელ კიდევ ადასტურებს

*) ამ სახელწოდებით მენშევიკები და მათი „მხარის დამამშვენებლები“ პარიზში რაღაც საცოდავ ფურცელსაც კი ბეჭდავენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენშევიკების ამ ღირსეულ მოღვაწეობას. მაგრამ ყოველივე უფრო აშკარად სჩანს, აქ მენშევიკებს ნიღაბიც კი აღარა აქვთ აფარებული. მათი კონტრ-რევოლიუციონური და ანტი-პროლეტარული სახე სულ ადვილად დასანახავია.

მენშევიკების პარტიას თავის თავი მუშათა წარმომადგენელი ეგონა. ის დღესაც აროწმუნებს ყველა ბრიყვებსა და უვიცებს, რომ ეს სწორეთ ასეა, ოღონდ „საქმენმან მათმან“ სრულებით სხვანაირათ „გამოყჩინა ისინი“.

ეს საუცხოოთ სჩანს სწორეთ ამ „საუბრებში“.

მაშ, ვინ არის ეს საცოდავათ წელში მოხრილი ხალხი?

ვისი წარმომადგენელი, ვისი ინტერესების დამცველი არიან ეს ქართველი მენშევიკები ამ „საუბრების“ მიხედვით?

წვრილი ბურჟუაზიის?

ეს უფრო ახლოა სინამდვილესთან, მაგრამ წვრილმა ბურჟუაზიამაც ხომ იცის ზოგიერთ შემთხვევაში თავისი ინტერესების დაცვა. „გაბრაზებული მედუქნეების“ თავგამეტების შესახებ ჩვენ ბევრი რამ გესმენია ისტორიიდან. ესენი,—ეს ხალხი კი დავრდომილთა კრებულს უფრო ჰგავს. მათ თავიანთი ლანდისაც კი ეშინიათ. მაშ, ვისი, რომელი კლასის საქმეს აკეთებენ ქართველი მენშევიკები?

ქართველი მსხვილი საწარმოო ბურჟუაზიის, ქართველი მემამულეების, ქართველი თავად-აზნაურობის?

ყოველ შემთხვევაში უფრო მეტათ, ვიდრე მუშების, ვიდრე ქართველი გლეხების!

ისინი არ იშურებენ „ტკბილ სიტყვას“ მუშებისათვის, გლეხებისათვის, მაგრამ ამავე დროს ორივე ხელებით უკან ეწიკებიან ქართველ მუშას, როდესაც ის გაფიცვის გამოცხადებას გადაწყვეტდა, ისინი „სახალხო“ გვარდიას მიუსვენენ ხოლმე ასაწიოკებლათ ქართველ გლეხებს, როდესაც ისინი „თავის ნებით“ მემამულეების მიწების „მისაკუთრებას“ მოინდომებდენ.

აბა, ქართველი მენშევიკები ხელს იღებენ „ვიწრო“ კლასიურ პოლიტიკაზე—ის ამჟამათ „დამოუკიდებელი“ დემოკრატიული „და სხვადასხვა“ რესპუბლიკის მთავრობაა, ამიტომ ის მთელი ხალხის, მთელი ერის „დამცველია“.

მიაგდეს და მიაუურთხეს მენშევიკებმა მუშათა კლასს, ზურგი აქციეს მათ საქმეს, მაგრამ თუთიყუშივით შეინარჩუნეს ძველი „სიტყვა-პასუხი“. ეს „სიტყვიერება“ მათ დღეს „საგარეოთ“ („საპროზნიკოთ“)—თავის გამოსაჩენათ აქვთ შემონახული, აქ კი—ამ გენერლებთან ისინი სიმწრის ოფლში იწურებიან; უნდათ დაამჯერონ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაარწმუნონ, რომ აქ **„სოციალიზაცია არ არის და არც იქნება და ეი ამიტომაცაა, რომ საქართველო არ არის ბალშევიკების ბუდეო!“**

რაღა გასაკვირალია, რომ ამ გზაზე მოსიარულე ხალხისათვის ბევრათ უფრო სასურველი და სანატრელია „დასავლეთის იმპერიალისტები“?

„დასავლეთის იმპერიალისტები“ მენშევიკებს არამც თუ „ურჩევნიათ“, არამედ სულში იძვრენენ მათ და მუხლის თავებზე კანის გადაძრობამდე ბობღავენ მათ წინაშე, რომ დაუმტკიცონ, რომ ისინი მუდამ მათი მომხრე იყვნენ, რომ დღესაც მათ მტკიცეთ უკავიათ თვალი დასავლეთისაკენ და აღთქმას სდებენ, რომ არას დროს მათ არ უღალატებენ.

ამ „საუბრებში“ ერთი ისეთიც ურევია, სადაც მენშევიკები რაღაც „მაღალი ხმით“ ლაპარაკობენ. ეს ის „საუბარია“, როდესაც ჟორდანია ლაპარაკობს დენიკინის შესახებ.

„პრეზიდენტი“ ჟორდანია აცხადებს, რომ „დენიკინის სიტყვას“ ისინი არ ენდობიან“, აცხადებს აგრეთვე, რომ „დენიკინი სასტიკი რეაქციის მომხრეა“ და სხვ.

ყოველივე ეს რაღაც უჩვეულო და საარაკო ამბავია! რამდენათაც ჩვენ ვიცით მენშევიკური პარტიის და მთავრობის პოლიტიკა, ის ამ გზას არ გაჰყოლია. განა ცოტაა აღმოჩენილი და გამოქვეყნებული საბუთები იმის შესახებ, თუ რა და რა დროს რამდენი ტანისამოსი და სხვადასხვა საჭირო მორთულობა და მოკაზმულობა გაუგზავნეს მენშევიკებმა დენიკინსა და მის მემკვიდრეებს? ვიცით ისიც, თუ რა კარგათ „შეინახა და გამოკვება“ დენიკინის ყაზახ-რუსები და ოფიცრები მენშევიკების მთავრობამ და შემდეგში კი უკან დაუბრუნა ისევ დენიკინს?

მაშ, რაღა საჭირო იყო, ანდა რამ გამოიწვია მენშევიკების მამათმთავარის „პრეზიდენტ“ ჟორდანიას ასეთი „გაბედული სიტყვები“?

საქმე იმაშია, რომ სწორეთ ამ დროს, როდესაც ჟორდანია ამ „ცხელ“ სიტყვებს ხარჯავდა, გენერალ დენიკინის ურდოები „единая и неделимая“-ს აღსადგენთან საქართველოს „სუვერენული“ სახელმწიფოს კარებს აწვებოდა და ცხელი (სიტყვებით კი არა)! **ტყვიებით** იკაფავდა გზას საქართველოსკენ! ქართველ მენშევიკებს მაშინ ერთათ ერთი იარაღი აღმოჩნდათ დენიკინის წინააღმდეგ, მათი იარაღი გახლდათ ეს **„ცხელი სიტყვები“** და **„მუქარა“**-თუ დენიკინმა თავი არ დაგვანება **„მაშინათვე ვაცნობებთ ევროპის ყველა სახელმწიფოებსა და ამერიკასო“.**

დენიკინმა ვერ მოახერხა საქართველოს დაპყრობა, ისე, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც ვერ მოახერხა მოსკოვის კრემლში თეთრი ბედაურით შეჯირითება, თუმცა ამის სურვილი ძალიან დიდი ჰქონდა.

დამარცხდა დენიკინი, მაგრამ საეჭვოა, რომ ის თავის დამარცხების მიზეზათ მენშევიკების ქარის წისქვილის მუშობას სთვლიდეს.

აქ, ამ „საუბრებში“ აშკარათ სჩანს, თუ რა საცოდავი სანახავია ეს „მინისტრები“ თავიანთი თავმჯდომარითურთ, როდესაც მათ,— საქართველოს „უზენაესი ხელისუფლების“ ამ უზენაეს წარმომადგენლებს— ვიღაც ინგლისის ენერალი უკითხავს სახარებას იმის შესახებ, თუ როგორ სჯობია გაზეთის დახურვა.

— რედაქტორი ციხეში, შრიფტის კი—კონფისკაციაო!

საცოდავია ეს „მთავრობის თავმჯდომარე“, როდესაც მას თურმე იმის უფლებაც კი არა აქვს, რომ თავისი შეხედულებისა და სურვილისამებრ დანიშნოს წარმომადგენელი დენიკინთან გამართულ თათბირში მონაწილეობის მისაღებათ.

გავყევეთ კვალ-და-კვალ ამ „მოსაუბრე“ გენერლებსა და „მინისტრებს“.

აქ თქვენ ყოველთვის ერთსა და იმავე სურათს დაინახავთ. **გენერლები ბრძანებენ და ანკარგულებენ ყველაფერს, „მინისტრები“, ზოგჯერ „მეტათ თავაზიანათ“, ზოგჯერ ენაზე კბილ-დაბიჯებული „ღიმილითა“, ხანდახან თითქოს „უკმაყოფილებით“, მაგრამ ყოველთვის სწრაფათ, უცვლელათ და გადაუხვევლათ ასრულებენ ინგლისელების ყველა ბძანებებსა და განკარგულებებს.**

გაყვეთ ამ „საუბრებს“ რიგ-რიგათ:

ს ა უ ბ ა რ ი № 1

ამ საუბარს თარიღი არ უზის, მაგრამ თვით საუბარის შინაარსიდან სჩანს, რომ ის დანარჩენებზე უფრო ადრინდელია. დავიწყოთ აქედან.

თავდაპირველად საუბარი ეხება გენერალი **ტომსონის** საქართველოდან წასვლის ამბავს. ეს, თითქოს, ჩვეულებრივი მოვლენა უნდა იყოს! იყო ერთი გენერალი ინგლისის მთავრობის მიერ დანიშნული. შემდეგ ის თავისმა მთავრობამ უკან გაიწვია, მის მაგივრად მეორე გამოგზავნა, მაგრამ ამ თითქოს უბრალო ამბავშიაც ნათლათა და აშკარათ გამოსჭვივის მენშევიკური მთავრობის სრული უმწეობა და არაარაობა.

თურმე ტომსონი, მარტო ჯარის უფროსი კი არ იყო, არამედ რამდენიმეთ ერთგვარი დიპლომატიური მოვალეობის აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსრულებელი პიროვნებაც. ისე წასვლა საქართველოდან, რომ არავისათვის არაფერი არ გაუმხელია!

ევროპის ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა „რიგიან ოჯახში“ დიპლომატიური წარმომადგენელების როგორც დანიშვნა, ისე დანიშნული წარმომადგენელის მოხსნის და უკან გაწვევის დროს ერთგვარ წესს ასრულებენ ხოლმე. ამ წესების შესრულების გარეშე დიპლომატიური წარმომადგენლების გაწვევა და დანიშვნა იმ ქვეყნის შეუურაცყოფათ მიაჩნიათ, სადაც ეს წარმომადგენელი იყო დანიშნული, ანდა საიდანაც ის იყო გამოწვეული.

ასეთია წესი! ამ წესს შეუცველელათ ასრულებენ ხოლმე ყოველთვის ბურჟუაზიული სახელმწიფოები, მაგრამ საქართველოში ასეთი წესის გაყოლა ინგლისის მთავრობამ ზედმეტათ ჩასთვალა. ამით მან აშკარათ აჯრძნობია მენშევიკების „დამოუკიდებელ“ მთავრობას, რომ ინგლისი საქართველოს იმდენსა და ისეთს ანგარიშს უწევს, როგორც ვთქვათ, თავის „კეთილ-შეძენილ“ ახალშენებს.

იქ სწორეთ ასე იციან.

ინგლისის მთავრობა ადგილობრივ მცხოვრებლებს კი არ ჰკითხავს თავის ჩინოვნიკების დანიშვას. ეს ინგლისის მთავრობის „შინაური საქმეა“. როცა უნდა მაშინ დანიშნავს, ვისაც უნდა იმას გაგზავნიან ხოლმე ახალშენებში ჩინოვნიკათ, როცა უნდა მოხსნიან და მის მაგივრათ იმას გააგზავნიან, ვინც მთავრობისათვის მოსაწონი და მისაღები იქნება.

მთავრობის „თავმჯდომარე“ მეტათ ფრთხილათ უთითებს ამ გარემოებაზე, მაგრამ ტომსონის ნაცვლათ დანიშნული გენერალი კორე ამ საკითხის შესახებ არც კი სთვლის საჭიროთ ლაპარაკს, ის რაღაც ცალყბათ ამბობს, რომ „გენერალი ტომსონი საჩქაროთ გაემგზავრა“. მეტი არაფერი.

საქართველოს „მთავრობის თავმჯდომარეს“ მეტი რაღა დარჩენია, რომ ეს შეურაცყოფა ასე უმათ გადაყლაპოს!

როგორც ეს „საუბარი“ ისე დანარჩენები აშკარათ ადასტურებენ, რომ თვით მენშევიკების ბელადებს თვითონაც არ სწამთ მაინცა და მაინც ეს თავიანთი „დამოუკიდებლობა“. პირიქით, ისინი, თითქოს, განგებ ცდილობენ, რაც შეიძლება მაგრათ მოიკაკვონ წელში, რომ მუდამ სულ ახალ-ახალი თვალსაჩინო მაგალითით არ დარწმუნდენ თავიანთი „სუვერენობის“ არარაობაში.

ასეთია საერთო სურათი, იგივე სჩანს ამ პირველ საუბარშიაც.

აბა დაუგდეთ ყური!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავრობის თავმჯდომარე (ბოდიშს ვიხდი მკითხველების წინაშე, რომ ამ ორ სიტყვას ყოველთვის ბრჭყალებს ვერ ვუკეთებ; ცოტა არ იყოს, თავის მოსაბეზრებელი საქმეა!) თავიდანვე არწმუნებს ახალ გენერალს, რომ ის „**მეტათ მოხარულია**“ ამ ახალი გენერალის დანიშვნით და დასძენს:

„**მე ვფიქრობ, რომ ჩვენ თანხმობით ვიმუშავებთ ერთათ** (ხაზი ჩემია, პ. ს.)“ ერთი ვკითხოთ ამ საბედისწრო მთავრობის საბედისწრო თავმჯდომარეს, რა ჭქვია „ერთად“ მუშაობა? რათ დასჭირდა ამ „დამოუკიდებელი რესპუბლიკის“ მმართველსა და მბრძანებელს ამ ვიღაც გენერალთან **ერთად** მუშაობა?

რატომ, რა მოსაზრებით შემოჰყავს წილში მას ეს გენერალი, რატომ უნაწილებს მას ის იმ უფლებებს, რომლებიც მხოლოთ მას აქვს მინიჭებული ამ გადამთიელ ეიგინდარას?

სადღაა აქ „**დამოუკიდებლობა**“?,

სადღაა ეს ის სუვერენობა, რომელიც მუდამ ჟამს ენაზე ჰქონდათ და აქვთ დაკერებული მენშევიკების „მხმობელთა და მღაღადებელთ“?

რასაკვირველია, ჟორდანია არც ისეთი გულუბრყვილო ადამიანია, რომ მას არ სცოდნოდა ამ მოკლე სიტყვის („ერთად“) მნიშვნელობა, მაგრამ მან ისიც კარგათ იცოდა, რომ, თუ მისი უდიდეს-ულესობის დიდი ბრიტანეთის მეფის წარმომადგენელი გენერალი კადრულობდა საქართველოს მიწა-წყალზე ფეხის დაბიჯებას არა მხოლოთ იმისათვის, რომ ამ საეკვო მთავრობის „პრეზიდენტთან“ ესაუბრა ხოლმე.

ჟორდანიამ ჩინებულათ იცოდა, რომ ტომსონისათვის, ისე როგორც კორესათვის საქართველოს „სუვერენობა“ გულუბრყვილო ბავშვების მოსატყუებელი საკენკი იყო. გენერლები მართალია, თავიზიანობას იჩენდენ და ხელს არ უშლიდენ მენშევიკებს ამ სიტყვებით თავის შექცევაში, მაგრამ მათთვის, თვით ამ გენერლებისათვის კი, ასეთი სათამაშოები სრულებით არ იყო საჭირო. მენშევიკების მეთაურები კარგათ უწევდენ ანგარიშს ამ გარემოებას და ამიტომ თავის ნებით, ყოველგვარი მოთხოვნისა და გახსენების გარეშე, დასწრებით გაუგორდებოდენ ხოლმე ფეხ ქვეშ იმ ბატონებს, რომლებსაც კი გამოგზავნიდენ ხოლმე მათთვის ასე საყვარელი და სანატრელი დასავლეთის იმპერიალისტები საქართველოსაკენ.

ამ შემთხვევაში ისინი ერთგვარ ხერხს ხმარობდენ.

არავითარი წინააღმდეგობა, პირიქით, სანამდე რამეს მოგთხოვდენ ჩვენ დავასწროთ და, რაც შეიძლება მაგრთა მოვიკაკვოთ წელში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟორდანია ასე ანგარიშობს, უმჯობესია თითი დავთმო, იქნებ ხელი მაინც გადავირჩინოო, ამიტომ ის აღარაფერს ამბობს ინგლისელების „უზრდელობის“ შესახებ, მაგრამ იმედი აქვს, რომ ამ „დათმობით“ სხვა რამეს მოიგებს.

„ამას წინათ, აქ იყო გენერალი მილნი. მან არ მიიღო ჩვენი წარმომადგენელები“,—გულის წყრომით აცხადებს ის და თანაც დასძენს:

„ჩვენ ჩვეული არა ვართ ასეთს მოპყრობას!

მართლაცდა ამაზე მეტი და აშკარა საცინლათ აგდება ხომ, აღარ შეიძლება?

სხვისი ქვეყნის წარმომადგენელი მოდის ამ შენ სახელმწიფოში და აქაც კი აღარ კადრულობს შენთან ლაპარაკს!

გენერალი კორე ამაზედაც ცივათ და მოჭრით უპასუხებს, რომ მას „**ამის შესახებ არაფერი გაუგონია**“. ეს „ძლევენიც“ უმათ და უცბათ, თვალის დაუხამხამებლათ გადაყლაპა საწყალმა „თავმჯდომარემ.“

ჟორდანიასთვის ამის შემდეგ მთლად აშკარა შეიქნა, რომ, თუ მან სხვა რაიმე ხერხს არ მიმართა, ისე ამ გენერალის „გულის მოგება“ ერთობ გაძნელდებოდა და ამიტომ მოჰყვა იერემიას გოდებას.

„**მე პირადათ 25 წ. განმავლობაში და ჩვენი მთავრობის წევრებიც დიდი ხანია ეწევიან აგიტაციას ინგლისელების სასარგებლოთ**. ვერც ამან მოიყვანა გუნებაზე ინგლისელი გულქვა გენერალი—„მსმენია ამის შესახებო“ მოკლეთ და უზრდელათ ჩამოართვა მან სიტყვა ბატონ თავმჯდომარეს.

ამ უხეშმა მოქცევამ მთლათ დაუბნია გზა და კვალი „მთავრობის თავმჯდომარეს“, მაგრამ ის მეტათ ევროპიელი და ზრდილობიანი კაცი იყო და უხეშ სიტყვებზე საკადრისი პასუხის გაცემა ვერ გაჰბედა. მან ისევ ის ამჯობინა, რომ გენერალს მუსაიფი დაუწყო საქართველოს „**მშვენიერი ბუნების**“ შესახებ. გენერალიც ეთანხმება და ადასტურებს, რომ საქართველოს ბუნება დასტურ „მშვენიერია და თვალწარმტაცი“.

ეს საუბარი, ალბათ, აქ უნდა გათავებულყო, მაგრამ, მარცხათ, იქვე დაესწრო ეგრეთ წოდებული „საგარეო საქმეთა მინისტრი“ გეგეჭკორი, მას აღარ მოუთმინა გულმა და ჯიქურ ჩაერია ლაპარაკში.

„ჩვენ ისე მიგვივიწყეს, რომ რამდენი ხანია აქეთკენ ერთს საქონლით დატვირთულ გემსაც კი აღარ გამოუელია. კონსტანტინე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლში კი აუარებელი საქონელია დაგროვილი. არ შეიძლება, რომ ცოტაოდენი რამ ჩვენსკენაც გამოგზავნოთ ამ საქონელიდანო“? კითხულობს გულდაწყვეტილი გეგეჭკორი და თანაც არწმუნებს გენერალს: „ეს იქნებოდა, ასე ვთქვათ, თქვენი ჩვენში ჩამოარძანების სამახსოვრო ნიშანი, ეს მეტის-მეტათ შეუწყობდა ხელს ჩვენს ერთმანეთში დაახლოვებასო!“

ინგლისელ გენერალს, რასაკვირველია, ფეხებზე ეკიდა საქართველოს „დამოუკიდებელ“ მთავრობასთან დამოკიდებულების განმტკიცება. მისთვის საჭირო იყო მხოლოდ ის, რომ ამ მთავრობისათვის კესერზე მარყუჟი გადაეცვა. ეს მეტად ადვილი საქმე გამოდგა: მენშევიკები თავის ხელით იბამდენ კისერზე მათ სათრევათ გამოშვერილ ღვლერჭს.

ეს უკვე საკმარისი იყო ინგლისელებისათვის.

მაგრამ მენშევიკები ასეთი „კარგი ყოფაქცევისათვის“ ცოტაოდენ გამოსარჩენს გამოელოდენ; ინგლისელებს კი მენშევიკებისათვის არაფერი ემეტებოდათ. გენერალმა გეგეჭკორის ნათქვამს მაინც ყურადღება მიაქცია“ და დაპირდა: „გავიგებ და გამოვარკვევ ყველაფერსო.“

ამგვარმა პასუხმა მენშევიკების მოთმინებას მიჩვეული „საგარეო საქმეთა მინისტრიც“ კი გამოიყვანა მოთმინებიდან.

ანდა მართლაც რა სასიამოვნოა. მენშევიკები არამც თუ ეხლა, არამედ, მთელი 25 წელია, რაც ინგლისის მეფისა და მთავრობის სასარგებლოდ მეტყველებენ და ღაღადებენ, ეხლაც ისინი მუხლის თავებზე ტყავს იძრობენ, მაგრამ ინგლისელი გენერალი მხოლოთ ბუნდოვან შეპირების მეტს არაფერს იმეტებს მენშევიკებისათვის!

„7 თვეა, რაც ჩვენში იმყოფება ბრიტანეთის ჯარი და ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ინგლისიდან არც ერთი მარცვალი პური, არც ერთი უბრალო რამ ნივთიც კი არ მიგვიღია“—გულდაწყვეტით ამბობს გეგეჭკორი.

არც ამის შემდეგ გამოცვლილა რამე, გენერალმა მხოლოდ იმდენად გაამდენიერა საქართველოს მთავრობის კაცები, რომ ერთხელ კიდევ წარმოთქვა.

„კეთილი, მე გავაგზავნი დეპეშასო!“

საუბარის ეს ნაწილი ასე დათავდა. ამის შემდეგ გენერალმა ჩამოაგდო ლაპარაკი არდაგანის ოლქის შესახებ. საქმე იმაშია, რომ მენშევიკები არ აპირობდენ ამ ოლქის დატოვებას, ინგლისელები კი ამის წინააღმდეგი იყვენ. ჟორდანიამ შეტყო, რომ ინგლისელებს ტყუილა უბრალო ცნობის მოყვარეობისათვის კი არ აინტერესებდათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არდაგანის ოლქის ამბავი, მან იმ წამსვე მოისაზრა, რომ ინგლისელებს უნდოდათ ქართული ჯარის არდაგანის ოლქიდან გამოყვანა. ამიტომაც მან დიდის მორიდებითა და მოხათრებით დაუწყო გენერალს. „თავის შეხვევა“ იმის შესახებ, რომ არდაგანის ოლქის მცხოვრებლებს ერთობ სურთ, რომ იქ ქართველები დარჩენ, მოუყვანა იმის მაგალითიც, რომ „ამ რამოდენიმე დღის წინათ ჩემთან იყო არდაგანის ოლქიდან დელეგაცია და მთხოვა ქართული ჯარის ოლქში დატოვებაო“.

გენერალი სდუმს, ის უცდის როდის ჩამოფქვავს და ჩამოათავებს მენშევიკების ოქროპირი ყველაფერს და აი ჟორდანიაც სიმწრის იფლში იწურება.

„ჩვენ ამ ოლქზე ბევრი ფული და დიდი ამაგი გვაქვს დახარჯულიო“, დასძენს ის „სიტყვის ბარაქისათვის“. მაგრამ ასეთი სიტყვებით ინგლისელ გენერლებს რას დაუბნევ გზას? ის სწორათ, აშკარათ და პირდაპირ სვამს საკითხს და სურს გადაჭრით გაიგოს, **„აპირებენ თუ არა ქართველები ამ ოლქის დაცლას?“** მენშევიკები კი გადაჭრილსა და გარკვეულ პასუხს არ იძლევიან.

„როგორ გავიგო თქვენი აზრი, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ თქვენ არ გსურთ არდაგანის ოლქის დატოვება?“ ჰკითხულობს გენერალი. მენშევიკების მინისტრებმა ახლა კი იკადრეს უკან დახევა — ეს ხომ მათი ტაქტიკის დასაბამი და დასასრულია! მაგრამ ერთხელ კიდევ მოსინჯეს ნიადაგი, იქნებ სანახევროთ უკან დახევისა და დათმობის შემდეგ მაინც შეგვრჩეს რამე ხელშიო.

„არა, აცხადებს „თავმჯდომარე“ პასუხათ, — საკითხი ეხება (მართლაც რომ ეხება!!! პ. ს.) თვით არდაგანს და იმ ნაწილს ოლქისას, რომელიც მტკვრის გამოლმა იმყოფება“.

გენერალი არ სთანხმდება ასეთ დათმობაზე. ან რათ იყიდის ის ამ შენს „დათმობას“, როდესაც შეიძლება პირდაპირ ბრძანება და ვინ გაბედავს, რომ ბრძანებას არ შეასრულებს? ამიტომ გენერალი გადაჭრით მოითხოვს საქართველოს მთავრობისაგან ჯარის გამოყვანას და მთელი ამ ოლქის პირწმინდათ დაცლას.

„რათა არ გააფუჭოთ თქვენი დამოკიდებულება ჩვენთან... ჯარები დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გამოყვანილიო“, ასეთია მისი „წინადადება“, რომელსაც უფრო ბრძანების სუნი უდის.

მენშევიკები კიდევ ყოყმანობენ, რაღაც მიზეზებს ასახელებენ, მაგრამ გენერალს ასეთი ლათაიებისათვის ყურის დასაგდებათ არ სცალია.

„მე კარგათ მაქვს წარმოდგენილი საქმის მდგომარეობა, მაგრამ გთხოვთ ჯარების გამოყვანას“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენერალმა იხმარა სიტყვა: **„ეთხოვთ“**, მაგრამ ეს „ თხოვნა“ რომ მოთხოვნას უფრო ჰგავდა, ამას დიდი გაგება არ სჭირდებოდა. ცხადი იყო, რომ ამგვარი „თხოვნა“ კარგს რამეს არ მოასწავებდა. რომ, ვინიცობაა, მენშევიკებს ურჩობა გამოეჩინათ. რას შერებიან მენშევიკები, როგორია მათი პასუხიც? — ისინი ჩვეულებისამებრ წელში იკაკვებიან და არწმუნებენენ გენერალს, რომ მისი **თხოვნა შესრულებული იქნება**, მით უმეტეს, რომ **„მათ სრულებითაც არა აქვთ აზრათ ამ ოლქის მიკუთვნება!“**.

საუბრის დასასრულ „მინისტრი“ და „მინისტრების“ „თავმჯდომარე“ კვლავ აცხადებენ, რომ ისინი **„არ გადასდგამენ არც ერთს ნაბიჯს ინგლისელებთან შეუთანხმებლათ“**.

საუბრის გათავების შემდეგ იწყება გამოსალმების ჩინური ცერემონიები.

ინგლისელების გულის მონადირება, სურვილი, რომ **როგორმე** ასიამოვნონ მათ და მათი გული მოიგონ!

პირმოთნეობა, გაუბედავი ამოთქმა და „გაბედული“ უკან დახევა და ამოთქმულის ჩათქმა — აი ასეთია მენშევიკები ამ „საუბრის“ დროს.

„არც ერთს ნაბიჯს არ გადავდგამთ თქვენთან შეუთანხმებლათ!“.

ეს სიტყვები ხომ იმას ნიშნავს:

„გვიბრძანე, ჩვენ მზათა ვართ ყველაფერი ავასრულოთ!“ მთქმელსაცა და გამგონესაც ეს სიტყვები სწორეთ ასე ესმოდათ! ავიღოთ ეხლა ინგლისელები, რას ვხედავთ, როგორ გვაჩვენეს მათ თავი ამ საუბარის დროს?

არავითარი დათმობა, არავითარი ზედმეტი სიტყვები და ქათინაურები. თვითეული სიტყვა საუკეთესო საბუთია იმის დასამტკიცებლათ, რომ **„**საქართველოს დემოკრატიული მთავრობა“ თავისი ბარგი-ბარხანით („დამოუკიდებლობა“, „სუვერენობა“ და სხვა ასეთები) მისათვის არ არსებობს.

მათ იციან მხოლოდ მისი უდიდებულესობა — ინგლისის მეფე და მბრძანებელი და ამ ჭია-ღუებთან ლაპარაკში ინგლისელი გენერალი სწორეთ იმდენ დროს დახარჯავს, რამდენიც საჭიროა იმის ჩასაგონებლათ, რომ ინგლისის მეფის გენერლებთან ურჩობა და წინააღმდეგობა არავის გაუუა.

მენშევიკებიც ჩინებულათ ითვისებენ ამ გაკვეთილს და მორჩილებით აცხადებენ: — როგორ გეკადრებათ, „თქვენთან შეუთანხმებლათ ჩვენ ერთს ნაბიჯსაც არ გადავდგამთო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენერალს დრო ტყუილად არ დაუკარგავს, მან სავსებით, და სრულიად მიაღწია თავის მიზანს. მოწაფეებს საკმაო გულისყური აღმოაჩნდა.

საუბარი № 2.

ეს საუბარი, ცოტა არ იყოს, გარეგნული სახით მაინც, არ ჰგავს დანარჩენებს.

ყველა საუბარში პირ-უცვლელათ სჩანს ერთი და იგივე: მენშევიკების მოხრილი ქედი და ინგლისელების ამაყი მედიდურება.

ამ „საუბრის“ დროს კი უფრო დამშვიდებული სიამტკბილობით ირთობენ თავს.

რით არის ეს გამოწვეული? იქნებ და მართლაც ბრიტანეთის ლომმა ყურად იღო მენშევიკების ვედრება და შეივრდომა ეს უპატრონო „ბატკანი“—მენშეევიკების „დამოუკიდებელი“ საქართველოს მთავრობა?

არ შეგეჯამოთ ჭირმა!

ყოველივე იქვე და ისე დარჩა, სადაც და როგორც იყო.

აქ თუ რაიმე შეიცვალა, მხოლოდ მომქმედნი პირნი.

„თვით“ ჟორდანიას მაგივრად აქ გეგეჭკორი ბრძანდება, ხოლო გენერალ კორეს მაგივრათ **სერ უორდროპი**. ეს დარბაისელიც იმავ საქმეს აკეთებს, ის ბრიტანეთის მთავრობის მიერ დანიშნული „საგანგებო კომისარი“ გახლავთ ამიერ-კავკასიაში, მაგრამ სერ უორდროპი არაა სამხედრო პირი, მას ხელთათმანები აცვია და ხელში ხმალი და მათრახი არ უკავია. სიტყვა-პასუხიც ამის კვალობაზე, ცოტა არ იყოს, უფრო მოქნილი და რბილი აქვს. ეს განსხვავება, თუ გნებავთ, გარეგნულია, თვით შინაარსი კი უსათუოდ იგივეა.

სერ უორდროპს არ უჭირს სიტყვის არც თქმა, არც მოსმენა, მაგრამ დათმობაზე ისიც ძუწწია. გეგეჭკორიც ატყობს ამ „დეკორაციის გამოცვლას“ და ისიც ალაგებს და ალაგებს თავის გულის ბოღმას. ის აქაც მოთქმით იწყებს. **„საქართველო უნდა დაეყრდნოს რომელიმე მძლავრ სახელმწიფო ორგანიზმს. ამ გარემოებამ მიგვიყვანა ჩვენ იმ დასკვნამდე, რომ ჩვენი ორიენტაცია ინგლისზე უნდა იყოს დამყარებული“**. ეს, ასე ვთქვათ, შესავალია, ანუ წინასიტყვაობა; შემდეგ გეგეჭკორი იმავე ფანდით აპირობს უორდროპის გულის მოგებას, რამაც ასე უქმათ ჩაუარა ჟორდანიას გენერალ კორესთან საუბრის დროს.

„ეხლანდელი მთავრობის წევრები დიდი ხანია, რაც პროპაგანდას ეწევიან ინგლისის სასარგებლოთ“-ო, თავს აწონებს ის სერ უორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროპს. ყველაფერზე უფრო სასაცილო ისაა, რომ ყოველივე ეს წილადობილა გეგეჭკორს თურმე იმისათვის დასჭირდა, რომ **„გაგაჟრთხილოთ თქვენ** (ე. ი. სერი უორდროპი. პ. ს.) **რაიმე შეცდომისაგანო“**.

ამის შემდეგ გეგეჭკორი ედება ცასა და ქვეყანას. მას, ალბად, უხარია, რომ პირველად ჩაიგდო ისეთი ინგლისელი ხელში, რომელიც გულდასმით უსმენს მას, ამიტომ მის სიტყვათა ფრქვევას დასასრული არ უჩანს.

როგორც იქნა ჩამოათავა გეგეჭკორმა ყველაფერი, მოიჯერა გული ლაპარაკით. უორდროპი, ალბათ, ქართული ანდაზის არ იყოს, „ყბედი მუნჯმა მოღალაო“, მაინცა და მაინც არ ეჩრება ლაპარაკში. მან კარგათ იცის, რომ ეს სიტყვა-კაზმული მჭერმეტყველება მხოლოდ ერთგვარათ მოსამზადებელი ხერხია და ის მოთმინებით უცდის, თუ როდის ამოთქვამს ეს ენამეტყველი „მინისტრი“ თავის საათხოვარს.

„საქართველოს მარტოთ-მარტო ცხოვრება ვინმეს დახმარების გარეშე არ შეუძლია“,—ამბობს გეგეჭკორი. ის ეხლა უკვე ახლოს არის თავის მთავარი მიზნის საგანთან, მაგრამ ის ერთხელ კიდევ გადავარდა სიტყვიერების მორევში.

საზოგადოთ, უნდა ითქვას, რომ გეგეჭკორი აშკარათაა შეპყრობილი იმ სენით, რომელსაც ენის ბუდიდან გადმოვარდნა ჰქვია. მან გაიხსენა საქართველოს მთავრობის ამაგი კაცობრიობის წინაშე, როდესაც თურმე „რუსეთის გაბალშევიკებული ჯარის შვიდასი ათასი სალდათი ბრუნდებოდა ფრონტიდან“.

„როდესაც ჩვენ ამ საქმეს ვუნდებოდით, წესიერებას ვიცავდით, ალარ გვეყო ძალა, რომ შეგვენარჩუნებია ბათომი“.

„ჩვენ გადავწყვიტეთ გაგვეუქმებია ბრესტ-ლიტოვსკის სამარცხვინო ხელშეკრულება, ამის მიზნით ჩვენ ომი გამოუცხადეთ ოსმალეთს“.

ერთი სიტყვით, გეგეჭკორმა ფურცლა-ფურცლა გადაუშალა და გადაუკითხა სერ უორდროპს საქართველოს მთავრობის „დამსახურებითი სია“.

მაშასადამე, მენშევიკებს აქვს დამსახურება კაცობრიობის წინაშე. ხუმრობა ხომ არ არის ეს „რუსის 700.000 გაბალშევიკებული სალდათების“ გამკლავება და ეს „გადაწყვეტილება“ „ბრესტის სამარცხვინო ზავის“ გაუქმების შესახებ. ამ დამსახურებას დაჯილდოვება უნდა და გეგეჭკორსაც სწორეთ აქეთკენ აქვს კვალი მოტანილი.

ის თხოულობს (ის მეტად ზრდილობიანია, მან იცის, რომ საჭიროა თხოვნა და არა მოთხოვნა) ჯილდოს, ჯილდოს მცირეს და ადვილად საბოძებელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის სთხოვს ინგლისს დახმარებას და თანაც დასძენს „რას მოგვთხოვს ინგლისი ამ დახმარების ნაცვლათ?"

დახმარება კი, როგორც ჰგავს, მეტის მეტათ ესაჭიროება იმ-დროინდელ საქართველოს მთავრობას, ვინაიდან, როგორც გამოტეხილათა და აშკარათ აღიარებს გეგეჭკორი, **„ჩვენ ვერ შევქენით საქონლის ბრუნვა, ამიტომ ჩვენი ფინანსები ისეთ მდგომარეობაშია, რომ, თუ სულ მოკლე ხანში ვერ მივიღეთ დახმარება, დაგვიანებული დახმარება ჩვენს საქმეს ვერას შესძენს და მდგომარეობას ველარ გამოასწორებსო"**.

საქართველოს იმდროინდელ მთავრობას საზოგადოთ და გეგეჭკორს კი მეტადრე, ძნელია, რომ ადამიანმა დიდი პოლიტიკური გამჭრიახობა შესწყმოს, მაგრამ ეს გეგეჭკორიც კი მიხვდა, რომ ინგლისის საგანგებო კომისარის „თბილი გრძნობები", რომლის შესახებაც ასე დაბეჯითებით ლაპარაკობდა სერ უორდროპი, იმდენად ამ თბილ მუსაიფზე კი არ არის დამოკიდებული, რამდენათაც იმ ხელშესახებ სარგებლობაზე, რომელიც შეეძლო მიეტანა საქართველოს ბრიტანეთისათვის.

საამისოთაც აქვს გეგეჭკორს ერთი კოზირი, მაგრამ იმას საბოლოოთ ინახავს (ფსონის ასაკრეფათ!). ბოლოს ეს სანეტარო წუთიც დადგა და გეგეჭკორმაც წაიგძელა კისერი.

„საქართველო არის წინა-აზიაში მიმავალი გზა, ეს გზა უსათუოთ უნდა აინტერესებდეს დიდბრიტანეთსო" — აი ეს გახლავს მისი მთავარი კოზირი. მაგრამ ვერც ამ კოზირით აკრიფა ფსონი გეგეჭკორმა.

მართლაც, რა დიდი გულუბრყვილო ხალხი უნდა ყოფილიყო ეს „დამოუკიდებელი საქართველოს" მთავრობა? ანდა რატომ ეგონა გეგეჭკორს, რომ გეოგრაფია მან ინგლისის საგანგებო კომისარზე უკეთესათ იცოდა?!

უორდროპმა ჩინებულათ იცოდა, არა ნაკლებ გეგეჭკორზე, რომ ეს „წინა-აზია" ბაქო და მისი შავი ოქროს მადანი (ნავთი!! დიახ ნავთი,) გახლდათ. მაგრამ მან ისიც კარგათ იცოდა, რომ ამ „წინა-აზიის" კარები თუ საქართველო იყო, ინგლისელები ამ კარებში მენშევიკური მთავრობის ნებართვის უკითხავათაც კარგათ გაიკლიდენ. მაშ, რატომღა უნდა მიეცა მას ამ შარა-გზის მათხოვრებისათვის საქონელი და ხორბალი? განა იმიტომ, რომ მენშევიკების ხაზინაში ვირთხები დარიხინობდენ? განა ეს დაუძლურებული და დაძაბუნებული „საქართველოს მთავრობა" უფრო უკეთესი, უფრო დაბალი და ამიტომ უფრო ადვილათ გადასაბიჯებელი ლობე არ იყო ინგლისელებისათვის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა შედეგი მოჰყვა მაინც ამ სიტყვათა შადრევანს, ანუ, როგორც თვით გეგეჭკორი ბრძანებს, ამ „იდეათა კრმპლექსს“?

არავითარი შედეგი! ყოველ შემთხვევაში იმდენი და არა იმაზე მეტი, რაც გენერალ კორესთან მუსაიფს. არც უორდროპი იძლევა რაიმე გარკვეულ პასუხს, ისიც მხოლოდ... დაპირებით აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის „მინისტრს“ ბატონ გეგეჭკორს!

ვერ მოიგო საქართველოს მთავრობამ ინგლისელების (ნახეს მათაც, რაღა, გულჩვილი ხალხი?!) გული. არც „წინა-აზიამ“ უშველა მენშევიკებს, არც 25 წლის „ინგლისელების სასარგებლო პროპაგანდამ“.

მუსაიფი გათავდა „ურთიერთისადმი გამოსალმებით“ და გეგეჭკორის წინადადებით „სრულს თქვენ განკარგულებაში“ თვით მინისტრის ავტომობილის მირთმევის შესახებ.

აქაც იგივე სურათი! მათხოვრობა, წინადადება „წინა-აზიაში“ გზის მიცემის შესახებ და ცივი (თუმცა „ზრდილობიანი“) უარი. აი ამ საუბარის შინაარსი.

საუბარი № 3.

აქ ისევ „თავმჯდომარე“ გამოდის სცენაზედ საქართველოს მთავრობის მხრით, ხოლო ინგლისელებისაგან, თუმცა გენერალი, მაგრამ არა ის, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, არამედ ვიღაც სხვა. ის რაღაც განსაკუთრებული მისიის სახელით ლაპარაკობს ეს გახლავთ გენერალი ბროუდი. ეს საუბარიც, როგორც ყველა სხვები, იწყება მისალმებით და თავდება გამოსალმებით, მაგრამ თვით მუსაიფის საგანი მართლაც რომ მეტის-მეტათ მწარეა და მწვავე.

ეს გენერალი ზრდილობიანობისა და თავაზიანობის მხრივ არაფრით არ განირჩევა უწინდელ ჩვენი ნაცნობი გენერალისაგან (იხ. საუბარი № 1).

ბროუდი ყოველივე ბოდიშისა და წინასიტყვაობის გარეშე აცხადებს, რომ **„ინგლისის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს კონტროლის დაწესება ამიერ-კავკასიის რკინისგზაზე“**, ინგლისის მთავრობა ასე **„ფიქრობს“**—მორჩა და გათავდა! რას ნიშნავს ეს, თუ არა იმას, რომ, ვინც ამ „ფიქრს“ ანგარიშს არ გაუწევს, ის ხეირს ვერ ნახავს?

საქართველოს მთავრობას კარგათ ესმოდა, რომ ინგლისის მთავრობისათვის „წინა-აზიაში“ წასასვლელი გზა ერთადერთ საჭირო იყო და ამიტომ იმედი ჰქონდა, თუ რამეს გამოერჩევინო, სწორედ

26083 44646

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ გზის წყალობით გამოვრჩებითო. ამ საკითხის თაობაზე სერ ურო-დროპი კიდევაც დაჰპირდა გეგეჭკორს, რომ პირდაპირ ლონდონში გავგზავნი ტელეგრამასო, მაგრამ შეპირებამ ჭირი მოგვამათ და ეს გენერალი კი ეხლა ჯიქურ მიდის იერიშით. „ჩვენ ასე ვფიქრობთო", გაუცხადა მან მენშევიკების მთავრობის მეთაურს. ჟორდანიას კარგათ ესმის, რომ ეს „ფიქრი" სრულებითა და სავსებით უდრის ბრძანებას.

ამ ამბავმა მას ისე დაუბნია დავთარი, რომ ამ „ყურადღებისათვის მადლობა გადაუხადა (ოქმში პირდაპირ ასე სწერია!!) ინგლისის ჯარის სარდლობას, რომელიც თურმე ასეთს მზრუნველობას იჩენს საქართველოსადმი".

უმწეობის და უძლურების უკეთესი, უფრო თვალსაჩინო მაგალითი, ერთობ ძნელი მოსაძებნია!

„დამოუკიდებელ (!!!) საქართველოს ხელიდან სტაცებენ ერთადერთს საარსებო წყაროს: საქართველოს მიწა-წყალზე მდებარე რკინის-გზის ნამდვილი ბატონი და პატრონი ამერიდან ინგლისის მიერ დანიშნული ჩინოვნიკები უნდა შეიქნენ. ამ „სასიამოვნო ამბავს" უცხადებენ თავარობის თავმჯდომარეს ჟორდანიას და ისიც მადლობას უხდის ამ მოძალადეებს—„დიდათ მადლობელი გახლავართ, რომ ასე ირჯებით და უყურადღებოთ არ ტოვებთ საქართველოსო".

რა ჭკვია ამას—ბეცობა, შიში, გამცემლობა? ყველაფერი ერთად!! მოდი და ამის შემდეგ დაუჯერეთ მენშევიკებს, რომ მათ თვითონ სჯეროდათ ის, რაშიაც ეხლა მთელ ქვეყანას („საქართველო თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო იყოო") აჯერებენ. მათ ჩინებულათ იციან თავიანთი ბედოვლათობის ამბავი, ამიტომ ამჯობინებენ, რომ ხმაურობა არ ასტეხონ, დაუთმონ, ფეხქვეშ გაუგორდეს მოძალადეებს და, თუ, ვინიცობაა, მოხერხებული დრო ჩაიგდეს ხელში, კიდევ ერთხელ შეახსენონ თავიანთ ბატონებს, რომ ისინი „25 წლის განმავლობაში ეწეოდენ პროპაგანდას ინგლისის სასარგებლოთ".

ჟორდანია სიტყვის შებრუნებას ვერ ჰბედავს, მაგრამ უნდა ფეხი შეითრიოს და ასე ერთბაშათ არ ჩაუვარდეს ხახაში ინგლისელ გენერალს. ის ასე იწყებს: „საკითხი საქართველოს სახელმწიფორკინის-გზის ხაზზე ინგლისის სარდლობის კონტროლის დაწესების შესახებ გადაეცემა რკინის-გზის საბჭოს. მთავრობაც თავის მხრით, მიიღებს თუ არა სიბჭოს დასკვნას, დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ ინგლისის სარკინისგზო მისიასო".

ეს მიხვეულ-მოხვეული პასუხი საქმეს არ შველის, ბროუდი ჯიუტი ადამიანი გამოდგა, მან აგრე ადვილათ არ მოატყუებინა თავი ჟორდანიას. ის ატყობს, რომ ჟორდანია აპირობს საქმის გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიანურებას აპირობს, ამიტომ ის შენიშნავს და დაბეჯითებით უთითებს მთავრობის თავმჯდომარეს, რომ საბჭოს გადაწყვეტილებამდეც ეხლავე შეიძლება მუშაობის დაწყება, ვინაიდან თუმცა „არსებობს ბევრი წვრილმანი საკითხები, რომლების გადაწყვეტას არავითარი საბჭო არ სჭირდება“.

არ გაუვიდა ჟორდანიას ეს ფანდი, ტყუილი და უქმი გამოდგა ეს „მადლობა ყურადღებისათვის“ და ეს მიკიბულ-მოკიბული სიტყვების დაგრეხა. ბოლოს მთავრობის თავმჯდომარე აცხადებს, რომ ის „არსებითად წინააღმდეგი არ არის“. ამფერუმ სახელმწიფოს მეთაურის გამბედაობას!

ბარაქალა, დამოუკიდებელი სახელმწიფოს „პრეზიდენტის“ წელის სიმაგრეს!

როგორ მოგწონთ, ეს „სუვერენული“, ეს „დამოუკიდებელი“ საქართველოს კუთვნილი რკინის გზა ინგლისის აფიცრების კონტროლის ქვეშ?

საქართველოს „სახელმწიფო რკინის-გზა“ არსებითად უცხოელების ხელში გადადის, მენშევიკები კი ერთხელ კიდევ ზედმეტათ „მადლობას უხდიან ყურადღებისათვის!“ ამ სურათს განმარტება აღარ სჭირდება, აქ ყველაფერი აშკარა და ნათელია!

საუბარი № 4.

ამ საუბარში მონაწილეობს კონტრ-რევოლიუციონური დიდი გენერლები და უბრალო აფიცრები—ესენი ინგლისელების მხრივ, ხოლო საქართველოს მხრივ იგივე „მთავრობის თავმჯდომარე“ **თვით** ნოე ჟორდანია!

აი ესაა სწორეთ ის საუბარი, რომლის შესახებაც ჩვენ თავში გვქონდა ნათქვამი, რომ ის, ერთგვარათ, თითქოს, არ ჰგავს დანარჩენებს, რომ ეს საუბარი რაღაც არაჩვეულებრივი გამონაკლისის შთაბეჭდილებას სტოვებს.

ჩვეულებრივი სურათი ყველა საუბრებში ასეთია: ინგლისელები ბრძანებენ, ხოლო მენშევიკები ასრულებენ. აქ კი მდგომარეობა თითქოს იცვლება.

აქ ინგლისელები ლაპარაკობენ და მენშევიკებიც... ლაპარაკობენ. აქ, თითქოს, აღარ ისმის განცხადება იმის შესახებ, რომ „თქვენთან შეთანხმების გარეშე ჩვენ ერთს ნაბიჯსაც არ გადავდგამთო!“

რა მოხდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ გაათამამა ეს, არც იმდენად უშიშარი რაინდები? მოვძებნოთ ეს მიზეზი.

საქმე შემდეგშია. ერთ დროს ინგლისის გენერლები არწმუნებდნენ, თურმე, საქართველოს მთავრობას, დენიკინი თქვენ საწინააღმდეგოს არაფერს ჩაიდენსო, მაგრამ მიუხედავთ ამისა, ერთხელ („ერთ მშვენიერ დღესო", ასე იტყვიან ხოლმე ასეთ შემთხვევაში, არა?) დენიკინმა მხარი იცვალა და შემოუტია საქართველოს საზღვრებისაკენ. შემოუტია და კიდევაც შემოიჭრა საქართველოს მიწა-წყალზე.

ეს საქართველოს მთავრობამ იწყინა.

— პირობა მოგვეცით დენიკინის მაგივრათ და ის კი ჩვენსკენ მოიწევს—იერიშები მოაქვსო. ჯორდანია მეტის-მეტათ გაცხარებულია.

ის აცხადებს:

„თუ დენიკინელები თვითონ თავის ნებით არ წავლენ გაგრიდან, მაშინ თქვენ (ე. ი. ინგლისელები—პ. ს.) **თავს ნუღარ შეიწუხებთ, საქართველოს მთავრობა თვითონ აიძულებს მათ დასტოვონ ის ხაზი, რომელიც მათ დღეს უკავიათო".**

ინგლისელები, ცოტა არ იყოს, თითქოს, მართლაც დარცხვენილები არიან. მათ უთავდებეს დენიკინს, ის კი თავს დაესხა საქართველოს და დაესხა ისე, რომ—ომი არც კი გამოუცხადებია.

ამიტომაცაა, რომ ასე გაბედულათ ბაქი-ბუქობს ჯორდანია. **„ჩვენ მოვითხოვთ კატეგორიულათ, რომ საქართველოს საზღვრები დადებული იქნეს ძველ გაგრასთან, და, თუ ისინი** (დენიკინელები) **ამაზე ნებაყოფლობით არ დაგვთანხმდებიან, ჩვენ მათ გავრეკავთ".**

ასე „მრისხანეთ" მეტყველობს ის.

ამჟამად ვინ არ იცის, რომ საქართველო დენიკინის ბრჭყალებს მხოლოდ იმიტომ გადარჩა, რომ სწორეთ მათ, ვინც ასე მწარეთ სძულდათ მენშევიკებს („აღმოსავლეთის ფანატიკოსებმა") აუდგეს ფეხი დენიკინს. ბალშევიკების წითელი ჯარის იერიშებით ხერხემალ გატეხილმა დენიკინმა ძლიერ-ძლიერობით გაასწრო რუსეთის საზღვრებს. მენშევიკები აქ არაფერ შუაში არიან და რასაკვირველია, მენშევიკების ამარა რომ დარჩენილიყო დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლა, დენიკინი ეხლა მთელი რუსეთის („единая и неделимая") მპყრობელი იქნებოდა!

ეს გამწვავებული მუსაიფი რაღაც ახირებულათ დათავდა. ერთს ხანს უყურა გენერალმა უოკერმა ამ დარდიმანდულ ხელების ქნევას და სიტყვათა ფრქვევას, შემდეგ, უცებ ცივი წყალი გადაასხა ამ „გაკუჭებულ" თავმჯდომარეს.

„კეთილი, სთქვა გენერალმა, თქვენ იცით, მაგრამ, რაც მოხდეს, მაშინ თქვენ იკისრეთ იმის პასუხისმგებლობაო!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის თქმა და ჟორდანიას ციბრუტივით შემოტრიალება ერთი იყო.

,,არა, პასუხისმგებლობას ჩვენ ვერ ვიკისრებთო'' განაცხადა მან. უოკერმა შეატყო, რომ მენშევიკების მეპრძოლს გამოელია წამალი ფალიაზე და ამიტომ ერთხელ კიდევ განუმეორა: ,,უნდა განვაცხადო, რომ, თუ საქართველო ამკამათ არ მიიღებს ინგლისის წინადადებას და არ ისარგებლებს მისი შუამავლობით, მომავალში, მე ამაზე სრულებით უარს ვამბობ''.

ამის შემდეგ მომქმედმა პირებმა ერთბაშათ მონახეს და დაიკავეს თავ-თავისი შესაფერისი ადგილები.

გენერალმა იწყო დარიგებისა და განკარგულების ძლევა, ხოლო „თავმჯდომარემ“ სმენა და „მხედველობაში მიღება“.

„ჩვენ, რასაკვირველია, ვღებულობთ ინგლისის წინადადებას შუამავლობის შესახებ და გვჯერა, რომ დიდი ბრიტანეთი ჩვენ სავსებით დაგვკმაყოფილებს ამ საკითხში“—ამბობს ჟორდანია.

ეს ნაწილი ამ „საუბრის“ ასე თავდება.

მენშევიკები არამც თუ მოელიან, თითქმის ეხლავე „დაკმაყოფილებული“ არიან, მაგრამ ეხლა გენერალს აქვს რამოდენიმე „მოსაკითხი“, რითაც მენშევიკების გული უნდა „გაახაროს“.

საქმე ისაშია, რომ ამ საუბრის წინათ, როდესაც უოკერი საქართველოში არ იმყოფებოდა (ალბათ სადმე წაბრძანდა!) მენშევიკების მთავრობა იმდენათ წათამამებულა, რომ მთელი ერთი დიდა ნოტა გამოუქვეყნებია საქართველოში დაბანაკებულ ინგლისის ჯარის სარდლობის წინააღმდეგ

ამ „საპროტესტო ნოტის“ გამოცხადების დროს უოკერი საქართველოში არ იყო, მაგრამ ის ეხლა აქ ბრძანდება და მოითხოვს პასუხს ამ „თავხედობის“ შესახებ. აი ეხლა დადგა სწორეთ ის დრო, როდესაც თავმჯდომარემ და გენერალმა მონახეს თავ-თავიანთი კილო და ადგილი.

„თავმჯდომარე“ წელში იკაკვება, ხოლო გერენალი მრისხანეთ ხმაუროს, პასუხს მოითხოვს.

„**რესპუბლიკის მთელი საზოგადოებრივი აზრი,** დაიწყო თავმჯდომარემ, **მოსახლეობის ყველა კლასები, მთელი პრესა, მთელი რესპუბლიკა, მოითხოვს მთავრობისაგან გამოარკვიოს მან, თუ რას გამოელიან მოკავშირეები ჩვენგან, თუ როგორია მათი დამოკიდებულება ჩვენდამი. ჩვენ ასეთი პასუხი გავეცით—ერთათ ერთი ადამიანი, რომელსაც შეუძლია ჩვენ კითხვაზე პასუხის მოცემა, ეს არის გენერალი უოკერი, მაგრამ, სამწუხაროთ, ის**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ უამათ აქ არ იმყოფება. დაბრუნდება თუ არა ის ჩვენში, „მაგრამ ნვე ყველაფერი გამოირკვევა ჩვენ სასარგებლოო“—ასე იწყებს თავის მართლებას ჟორდანია. რაც მართალია—მართალია. ნათქვამი მეტათ მოხერხებულათ და ოსტატურათ გამოუვიდა ბატონ ჟორდანიას, მაგრამ გენერალმა უოკერმა ამის საპასუხოდ მხოლოდ რაღაცა წაიბუტბუტა ცხვირში: „მე სავსებით არა ვარ ამაში დარწმუნებული!“

ვინ იცის, რა შთაბეჭდილება მოახდინა ამ განცხადებამ ჟორდანიაზე, მაგრამ ერთხანს ის გაჩუმებულია, მის ნაცვლათ გამოდის ისევ ის, ისევ „საგარეო საქმეთა მინისტრი“ გეგეჭკორი. ის უფრო სხვანაირათ ხსნის ნოტის გამოქვეყნებას. „**ჩვენ იძულებული** (ნუ დაივიწყებთ ამ სიტყვას პ. ს.),—ამბობს გეგეჭკორი:—**ვიყავით გამოგვქვეყნებია ეს პროტესტი, რათა მით დაგვნახვებია ხალხისათვის, რომ მთავრობის მუშაობა და ღონისძიება მიმართულია რესპუბლიკის ინტერესების დაცვისაკენ!**“

გეგეჭკორი, აშკარათ ეტყობა, უფრო გაბედული კაცია, ვიდრე თვით თავმჯდომარე, მაგრამ ეს გაბედულობა საეჭვოა, რომ გონიერებასთან და ჭკუასთან იყოს დაკავშირებული.

„ჩვენ იძულებული ვიყავით.“

„რას ნიშნავს ეს?. აშკარაა, რომ გეგეჭკორი გენერალს თავს აცოდებს! ჩვენ კი არ გვინდოდა, მაგრამ ხალხმა გვაიძულა და ჩვენც მის დასანახავათ დავსწერეთ ეს ნოტაო.

ვაი, მართლაც, იმ ხალხის ბრალი, რომელსაც ასეთი მთავრობა ჰყავს. რა საცოდავია ეს „რესპუბლიკა“, რომლის მთავრობა „ცელქობაში“ შეისწრეს, ხოლო ცელქი თავის გასამართლებათ ამ „თავის ხალხს“ ასმენს უფროსთან—„მე როგორ გავბედავდი, მაგრამ აი იმან გამაბრიყვა და შემაცდინაო.“

ან კი რატომ დაფეთდენ ასე მწარეთ ეს მთავრობის ბურჯები—თვით თავმჯდომარე და მისი მოადგილე? რატომ და იმიტომ, რომ გენერალი განრისხებულია, მან მოისმინა თავმჯდომარის და მისი მოადგილის—„საგარეო საქმეთა მინისტრის“ ახსნა-განმარტება, მაგრამ ის მაინც უკმაყოფილოა, მას არაფრათ ეჭაშნიკება, რომ მენშევიკების ხალხისათვის უნდათ თავიანთი საქციელის გადაბრალება და ამიტომ ის ნებას აძლევს თავის-თავს წაუკითხოს გაკვეთილი და ყური აუწიოს ამ „დამოუკიდებელი“ მთავრობის მეთაურებს.

—„სანამ ჩემ მიმართ ასეთ ნოტებს გამოგზავნიდით, უმჯობესი იყო მიგელოთ ინგლისის ჯარის სარდლობისაგან სწორი ცნობები!“ ამბობს ის და ამით ათავებს ამ საგანზე ლაპარაკს.

ეხლა მას სხვა საკითხი აინტერესებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურმე გენერალ უოკერს არ მოსწონებია გაზეთ **„ბორბა“**-ში მოთავსებული წერილი, გენერალს არ მოსწონს ამ წერილის კილო.

„ეს წარმოუდგენელია საერთაშორისო ურთიერთობათა მიხედვითო“ აცხადებს გენერალი. ერთად ერთი წერილი ერთ რომელიღაც გაზეთში მოთავსებული, ესეც საკმარისია, რომ ინგლისელმა გენერალმა ხმაურობა ასტეხოს, თურმე ამის უფლება კი არ ჰქონიათ მენშევიკებს და ისინი კი ასე გაკადნიერდენ, რომ ნოტების წერა დაიწყეს.

მენშევიკები, როგორც მოგეხსენებათ, იმ დემოკრატიის თაყვანისმცემლები არიან, რომლითაც ასე განთქმულია ძველთაგან დიდი ბრიტანეთი. „დემოკრატიულ მთავრობას“ ინგლისში აქვს „სიტყვის თავისუფლება“, იქ „ბეჭდვითი სიტყვაც“ თავისუფალია“, მაგრამ ის ინგლისია, იქაურ გაზეთებს შეუძლია ლანძღონ და ათრიონ მენშევიკების მთავრობა რამდენიც მოესურვებათ. ბრიტანეთის წარმომადგენლები ამის შესახებ პასუხს არ აგებენ, მაგრამ ვაი მის დღეს, თუ საქართველოს „დემოკრატიულმა მთავრობამ“ გაბედა და დაბეჭდა ან და კი არ გაბედა, გამოეპარა რაღაც მარცხთ რომელიმე ერთ გაზეთში ერთი წერილი, რომელიც ინგლისის გენერალს არ მოსწონს. ის (გენერალი) მაშინათვე ხმალზე იდებს ხელს და საერთაშორისო ზრდილობიანობის გაკვეთილებს უკითხავს მენშევიკებს.

აქ ჟორდანია კვლავ ჩაერია ლაპარაკში.

ის უმტკიცებს გენერალს, რომ გაზეთი „ბორბა“ არ არის მთავრობის ოფიციალური ორგანო. ეუბნება, რომ მთავრობას აქვს თავისი ოფიციალური გაზეთი და ეს გაზეთია **„საქართველოს რესპუბლიკა“**. ამ განმარტებას გენერალი სრულებითაც არ უგდებს ყურს. მას სრულებითაც არ სურს ასეთი წვრილმანებისათვის ყურადღების მიქცევა. საკმარისია, რომ წერილი დაიბეჭდა, მაშასადამე, მთავრობაა პასუხისმგებელი. ინგლისის გენერალმა იცის თავის სიტყვების ფასი, ის უბრალო ლაპარაკზე დროს არ ხარჯავს, ის **წინადადებას აძლევს** (პირდაპირ ასეა ნათქვამი — **„წინადადებას გაძლევთ!!“**) რომ საქართველოს მთავრობამ გამოაქვეყნოს თავის მხრით განცხადება **„ბორბა“**-ში მოთავსებული წერილის შესახებ. განცხადების დაწერა საჭირო აღარც კია, ვინაიდან ამ **განცხადების ტექსტი უკვე მზათ არის** და გენერელი იქვე უკითხავს ამ ტექსტს მთავრობის წარმომადგენლებს.

საქმე ისაა, რომ ეს განცხადება უნდა იქნეს გამოქვეყნებული საქართველოს მთავრობის სახელით. აქ საცინლათ ავდება თავის უმწეერავლეს წერტილამდე ავიდა და გენერალი ეხლა თავის თავს ნებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

აძლევს, დაანახოს საქართველოს მთავრობას, რომ ინგლისელებს იმ საარაკო სიდინჯესთან ერთად, რომელიც საზოგადოთ მათ ძველთაგან მოდგამთ, არ აკლიათ იუმორის ნიჭიც. გენერალმა წაიკითხა განცხადება და თავის სიტყვებით ასე დაამოწმავა:

„ეს განცხადება ერთობ რბილათ არის შედგენილი. ეს იმიტომ, რომ მე დიდი სიმპატიით ვეპყრობოდი საქართველოს, მის მთავრობას და ამას ჩავდიავარ აგრეთვე **ბატონ გეგეჭკორის პირად მეგობობით.** იმედი მაქვს, რომ საქართველოს მთავრობა დამითმობს ამ საგანში და ჩემს მცირე თხოვნას შემისრულებსო!“

შესძლო თუ ვერა საქართველოს „სუვერენულმა“, „დამოუკიდებელმა“, და სხვ. და სხვ. მთავრობამ ამ თავისი თავმჯდომარისა და მისი მოადგილის პირით საკადრისი პასუხი გაეცათ ინგლისის გენერალის ამ გათავხედებულ აბუჩად აგდებაზე?

ვერავითარი პასუხი!

არავითარი სიტყვის შებრუნება!

პირიქით, არწმუნებენ, რომ **„ყოველივე და კიდევ მეტიც, შესრულებული იქნება!“**

მოიჯერეა გენერალმა გული ამ გამინისტრებული ლაჩრების საცილოათ აგდებით და ისე გაუტკბა ეს თავის შესაქცევი საქმე, რომ აღარ ასვენებს მთავრობის წარმომადგენლებს. ამის შემდეგ ის ასეთ კითხვას აძლევს ჟორდანიასა და გეგეჭკორს:

„როგორ უცქერის ქართველი ხალხი ინგლისს?“

ჩაეწვეთათ თუ არა მინისტრებს ეს კითხვა, მაშინვე გაიხსენეს ძველი ბაიათები „25 წლის პროპაგანდის“ შესახებ, მაგრამ ეხლა უფრო ვრცლად და ერთგვარი დამატებით. ჟორდანია სიამოვნებით იგონებს, რომ ის, **„როგორ ლიტერატორი და პუბლიცისტი პროფესიით, ომის დროს და ომამდეც ხშირად სწერდა ინგლისისა და საფრანგეთის სასარგებლოთ“.**

უწინ ასე ამბობდა — „მე და დღევანდელი მთავრობის წევრები“, ეხლა ის მარტო თავის თავზე ლაპარაკობს.

უწინ იყო „25 წელი“, ეხლა რაღაც უფრო ბუნდოვანი „ომის დროს და ომის შემდეგ“.

უწინ იყო მხოლოთ ინგლისი, ეხლა ინგლისს საფრანგეთიც დაემატა.

რაღა საჭირო იყო მაინცადამაინც ამ საფრანგეთის მიტმასნება? ალბათ, იმიტომ, რომ სწორეთ ამ „საუბარს“ საფრანგეთის წარმომადგენელი პოლკოვნიკი შარდენიეც დაესწრო და ჟორდანიასაც უნდა ერთი გასროლით ორი კურდღელი მოჰკლას — ორთავეს გული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოინადირეს — როგორც ინგლისის, ისე საფრანგეთისაც. სჩანს, ჟორდანიას თავის დიდ დამსახურებათ მიაჩნია, როგორც „პროფესიონალ ლიტერატორსა და პუბლიცისტს“ იმის გახსენება, რომ ის „სწერდა და ლაპარაკობდა“ ინგლისისა და სხვათა სასარგებლოთ. გენერალ უოკერს, როგორც ჰგავს, დიდათ არ აინტერესებს არც ჟორდანიას და არც მთავრობის სხვა წევრების ძველი პროფესია, ყოველ შემთხვევაში, ამის გულისათვის ის სრულებითაც არ შესცქერის პოლიტიკას. ის მოკლეთ აცხადებს, რომ **„ამ უამათ ინგლისის მთავრობას არ შეუძლია სხვა გვარათ წაიყვანოს თავისი პოლიტიკა“**. ის არც იმას აქცევს მაინცადამაინც დიდ ყურადღებას, რომ **„ბრიტანეთის მთავრობის პრესტიჟი ამ ბოლო დროს შერყეულია საქართველოში“**. როგორც ამას სხვათა შორის ანიშნებს თვით ჟორდანია თავის ლაპარაკის დროს. უოკერს ბევრათ უფრო აინტერესებს იმავ უბედური გაზეთის **„ბორბა“**-ს წერილი. თურმე უოკერს, არამც თუ ერთი რომელიმე წერილი, მას საზოგადოთ არ მოსწონს ეს გაზეთი: **„მე უნდა მივაქციო მთავრობის თავმჯდომარის ყურადღება იმ გარემოებას, რომ თუმცა მე არასდროს არ განმიზრახავს ჩავერეოდი საქართველოს შინაურ საქმეებში, მაგრამ იძულებული ვარ განვაცხადო და გაცნობოთ თქვენ შემდეგი: ეს ერთი ხანია გაზეთი „ბორბა“ ათავსებს წერილებს მოკავშირეების საზოგადოთ და კერძოთ ინგლისის წინააღმდეგ. მე ეს ყოვლათ დაუშვებლათ მიმაჩნია მე უნდა გავაფრთხილო (შეხეთ!! ბ. ს.) საქართველოს მთავრობა, რომ, თუ ვინიცობაა, ის არ უბრძანებს ამ გაზეთს შეწყვიტოს ასეთი კამპანია და ამნაირ წერილების ბეჭდვა გაგრძელდება, ხოლო საქართველოს მთბვრობა ამას ყურადღებას არ მიაქცევს, და არ დახურავს გაზეთს „ბორბას“, მაშინ მე თვითონ იძულებული ვიქნები შევაჩერო ამ გაზეთის გამოსვლა, ვინაიდან იქ იბეჭდება მოკავშირე სახელმწიფოების საწინააღმდეგო, მათთვის შეურაცყოფის მიმყენებელი წერილები“.**

როგორც ხედავთ, გენერალის თავხედობა მატულობს, მაგრამ თანაბრათ მატულობს მენშევიკების.... უკან დახევის სისწრაფეც!.

ჟორდანიას პასუხი ამ უტიფარ შემოყვირებაზე იმდენათვე დამახასიათებელია მენშევიკებისათვის, რამდენათაც ის იმავე დროს მხდალი და ლაჩრულია.

„თუ მთავრობა დაინახავს, ამშვიდებს გენერალს ნოე ჟორდანია, რომ რომელიმე გაზეთში იბეჭდება მოკავშირეების წინააღმდეგ მიმართული წერილები, **ამგვარ გამოსვლას ჩვენ თვითონ ავლაგამავთ. თუ** ვინიცობაა, ჩვენ გამოგვეპაროს, ყურადღება ვერ მიეაქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციოთ, მაშინ გთხოვთ გვაცნობოთ და **მთავრობა დაუყოვნებლივ მიიღებს ყოველივე ზომებს, რომ ასეთი რამე აღარ განმეორდეს შემდეგისათვისთ''.**

ასე ნათლათ და აშკარათ ნათქვამს ბევრს ვეღარაფერს დაუმატებ.

გენერალს რაღაც წერილები არ მოსწონს ქართულ გაზეთებში, მან ერთი მაგრათ შეუბღვირა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს და ისიც ფეხზე დამდგარი მოწიწებით მოახსენებს, რომ ის მზათ არის სამსახურისათვის!

აშკარათ ეტყობა, რომ უცხოელ მოძალადეებს ერთობ გაეხსნათ მადა. რაც დრო მიდის, მით უფრო თავხედურათ, უფრო ხეპრეთ და ტლანქათ ამოჭკრავენ ხოლმე ისინი მენშევიკების მინისტრებს ცხვირში, ისინიც კი თანდათან, უფრო და უფრო იზნიქებიან წელში.

არ ღიოს მთელი ამ საუბარის უფრო დაწვრილებით გარჩევა. სურათი სულ ერთგვარია: რაც თავშია, იგივეა შემდეგ ბოლომდე.

გენერალს იერიში მოაქვს, ,,თავმჯდომარე'' მუდამ უკან-უკან მიჩოჩავს და ყველაფერზე კიკოსავით თავს უქნევს, თანხმდება.

მთავრობის თავმჯდომარეს ისე დაებნა დავთარი, რომ კიდევ ხელახლა შეუდგა ,,სისხლის წვიმების ამბავს'' გლახა ჭრიაშვილივით. ის ხელახლა მოუთხრობს გენერალს უოკერს, რომ ის (ჟორდანია) ,,სწერდა'' (სასაცილოა,-სავალალო და საზიზღარი რომ არ იყოს ამდენი და ასე უზომო თავის დამცირება!)

,,მე, მთავრობის თავმჯდომარე, **ხელახლა ვიმეორებ**, რომ მთელი ჩემი სახელმწიფოებრივი და პუბლიცისტური მოღვაწეობა მიმართული იყო ინგლისისა და საფრანგეთის სასარგებლო მუშაობისაკენ. **ვიმეორებ**, ჩემი სიყვარული და თანაგრძნობა ამ სახელმწიფოებისადმი არ შეცვლილა არც ომის დროს, არც მის შემდეგ''.

აი როგორ კოცნის ჟორდანია ხელებს იმ გენერლებს, რომლებიც დაურიდებლათ და უბოდიშოთ უხათქუნებს მას ცხვირ-პირში. ამბობენ, რომ მონური სულისკვეთებით გაჟღენთილ ხალხს ხშირათ ემართებათ ასეთი ამბავიო, მაგრამ, რის მაქნისია ასეთი ხალხი ,,დამოუკიდებელი სახელმწიფოს'' ,,სათავეში''?

ასეა, თუ ისე, ასეთი ამბავი ერთხელ და ორჯერ არ დამართნია მენშევიკებს. ეს ამბები კი დამოწმებული და დადასტურებულია საბუთებით და რამდენიკ არ უნდა იკვიწიალონ მენშევიკებმა, ამ ამბებს ისინი თავიანთი მუშაობის ,,ბოდიშის გამოსაწმენდათ'' ვერ გამოიყენებენ. მათ ეს ენლა არაფრათ მოსწონთ, მაგრამ, როცა თავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედება და საქციელი არ გექნება მოსაწონი, მაშინ მისი მოწონათ მოჩვენება მაინც ძნელი საქმეა.

დამახასიათებელია ამ „საუბარში“ კიდევ ერთი გარემოება.

ჟორდანიამ და მისმა მოადგილე გეგეჭკორმა ერთხელ კიდევ დაიწყეს გოდება „ჩვენი (ე. ი. იმდროინდელი საქართველოს მთავრობის. პ. ს.) უმწეო საფინანსო მდგომარეობის“ შესახებ. ამასთანავე მათ ბევრჯელ დიდის ქარაგმებით და დაიაზებით უხსენეს და ანიშნეს გენერალს იმ „საერთო ინტერესების“ შესახებ, რომელიც ასე აშკარად და დაურიდებლათ იწყევდა გეგეჭკორი (იხ. აქვე მისი საუბარი უორდროპთან) ინგლისელებს ბაქოსაკენ.

არ გასჭრა ამ განმეორებულმა (ან კი ვინ იცის მეორე იყო ეს თქმულება თუ მესამე!?) ხვეწნა მოდარამ.

დიდი ბრიტანეთის მტაცებელს სიტყვებით ხომ ვერ შეასმენ და ვერ აუჩუყებ გულს? ის უბრალოთ სიტყვას არ ჰკარგავს და პირდაპირ ეუბნება:—დაგვიგირავეთ რკინისგზა და მაშინ ვილაპარაკოთ ფულების თაობაზეო. ის პირდაპირ ასე ლაპარაკობს:

„მე უკვე მივაქციე ყურადღება თქვენი რესპუბლიკის ფინანსიურ მდგომარეობას, **მაგრამ ის მჭიდროთ არის დაკავშირებული რკინისგზის საკმესთან, რადგანაც ინგლისს არ შეუძლია დახმარების გაღება უიმისოთ, თუ ის თქვენ არ უზრუნველჰყავით.** რაც შეეხება კერძო კაპიტალების მიზიდვას, ეს ძნელი საქმეა, ვინაიდან იმ **სოციალიზაციის წყალობით**, რომელსაც თქვენ აქ ანხორციელებთ, საეჭვოა, რომ კერძო კაპიტალი თქვენსკენ წამოვიდეს“.

თუმცა ტყუილი ყოფილა წერა და „გულწრფელი“ მომხრეობა (ჟორდანია არწმუნებდა ამ გენერალს მე „ვწერდი“, ხოლო ეს ჩემი მოადგილე „თქვენი გულწრფელი მომხრეაო“), ანგარიშს სხვა წესები აქვს, აქ გულწრფელობა არაფრის მაქნისია.

გნებავთ ფული? —ინებეთ, ოღონდ ეს რკინის-გზა დავიგირავე!

ამ პირობებში დაგირავება ხომ მთლად გაყიდვას ნიშნავდა? და ისიც ჩალის ფასათ. როცა გამყიდველს უჭირს, მუშტარი მაშინ ხეირიან ფასს არასოდეს არ გაიმეტებს. ამას ავათ იყო თუ კარგათ მეწშევიკებმა ყური აავლეს, პირველი არ იყო მათთვის ასეთი რამეების გაგონება, მაგრამ, როდესაც გენერალმა „**სოცია ლიზაცია**“ უხსენა და უსაყვედურა, თქვენ სოციალიზაციას ანხორციელებთო, მეწშევიკების აღშფოთებამ ყოველივე საზღვარი გადალახა.

„ჩვენში არ არის არავითარი სოციალიზაცია“—ორივემ ერთხმათ შესძახეს გენერლის გასაგონათ.

„ჩვენ არა ვართ დარწმუნებული“, უპასუხებს უოკერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ი აქ იყო, რომ წამოცდა ჟორდანიას ის სიტყვები, რომლებ-საც არასოდეს არ დაეკარგება მნიშვნელობა ქართველი და არა მა-რტო ქართველი, არამედ ყველა ქვეყნების მეწშევიკების დასახასიათებლათ.

„ . . . არა, ეს რწმენა უნდა იქონიოთ, ვინაიდან, ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ჩვენ მაშინ საქართველო კი არ გვერქმეოდა სახელათ!“

როგორ მოგწონთ ეს ახირებული დაპირდაპირება „საქართველო“ და „ბალშევიზმი“

„ჩვენ ბოლშევიკები არა ვართ და ამიტომ არც სოციალიზა-ცია გვაქვს, ეს კი იმიტომაა, რომ ჩვენ საქართველო ვართ, ხოლო საქართველოში ბალშევიზმი წარმოუდგენელი რამაა. ერთი სიტყვით, ეს უთავბოლო მიკიბ-მოკიბვა სიტყვებისა იმ ერთათ ერთი გან-ზრახვითაა შეთხზული, რომ გენერალს გააგებინოს, რომ საქართველოში **არც არის და არც იქნება ბალშევიზმიო** და სხვ.

რა იცოდენ იმდროს მენშევიკებმა, რომ სწორეთ მაშინ ისინი ძალიან ახლოს იყვნენ საქართველოში ბალშევიზმის დამკვიდრებამდე. გაიარა სწორეთ 2 წელმა და 10 დღემ ამ ლაპარაკიდან და საქართველოს მუშებმა და გლეხებმა კვლავ ააფრიალეს რევოლიუციის ცეცხლში და სისხლში გამოვლილი წითელი ალამი. საქართველომ ბალშევიკური ნათლისღება მიიღო.

ს ა უ ბ ა რ ი № 5.

ამ საუბარში მონაწილე საქართველოს მთავრობის მხრივ იგივე „მთავრობის თავმჯდომარე“ გახლავთ, ხოლო ინგლისელების მხრივ გენერალი (როგორც ჰგავს საქართველოს მთავრობას დიდი იღბალი გამოჰყვა ამ ინგლისელ გენერალში!) ბიჩი.

ამ „საუბარს“ იმდენათ დიდი მნიშვნელობა არა აქვს საქართ-ველოს მთავრობის „დამოუკიდებლობის“ ხარისხისა და ღირსების გასაშინჯავათ, მაგრამ ის მეტათ საგულისხმოა, როგორც იმის საბუ-თი, თუ როგორ ეპყრობოდენ მენშევიკები ქართველ სქელ-ქონიან მემამულეებს.

არის სხვა წვრილმანებიც, მაგრამ გაეყვეთ კვალ-და-კვალ ამ „საუბარსაც“.

პირველი ახალი ამბავი ისაა, რომ, თურმე, **ბიჩი და ნ. ჟორ-დანია მეგობრები ყოფილან ერთმანეთში.**

ვინ იცის, როდის მოასწრეს მათ დამეგობრება, ყოველ შემთ-ხვევაში, არა იმ „25 წლის“ განმავლობაში, როდესაც, თუ ჟორდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიას დავუჯერებთ, ის ინგლისელების ქებისა და დიდების მეტს არაფერს არიგებდა. ეს მეგობრობა, ალბათ, იმდროინდელი უნდა იყოს, როდესაც ამ „ლიტერატორმა და პუბლიცისტმა“ თავისი ძველი პროფესია ახალ საეჭვო ხარისხის—მთავრობის თავმჯდომარის ხელობაზე გასცვალა.

რას მოუთხრობენ ეს „მეგობრები“ ერთმანეთს.?

ბიჩი კითხულობს მენშევიკების მიერ განაწყენებული მემამულის ანანოვის შესახებ—რას უპირობთ ანანოვს, რა ბედი მოელის მასო. ჟორდანია არწმუნებს ბიჩს, რომ ანანოვის დაჩაგვრა არავის არ გაუტარებია გულში, ვინაიდან მას „ჩამორთმეული ქონება აუნაზღაურდება“ და შემდეგ იმასაც დასძენს, რომ ის (—ესე იგი ანანოვი) „მიიღებს თავის მამულიდან კანონიერ ნაწილს, მამულის მოწყობილობას და დამზადებული ღვინის ნაწილსაც და „მას შეუძლია განაგრძოს თავისი მუშაობაო“.

ინგლისის გენერლებს არ ,,სურთ“ (ასე ამბობდა ხომ გენერალი უოკერი) საქართველოს შინაურ საქმეებში, ჩარევას მაგრამ, ისინი მაინც იძლევიან ხოლმე ფიცხელ განკარგულებას გაზეთის დაკეტვის შესახებ. არც ეს გენერალი ბიჩი აპირობს თავის გუნებით, საქართველოს საქმეებში ჩარევას, ის მხოლოდ „მეგობრულათ“ ეკითხება მთავრობის თავმჯდომარეს ანანოვის შესახებ. რატომ? უბრალო ცნობისმოყვარეობით? რასაკვირველია, არა! არამედ იმიტომ, რომ მართლაც გაიგოს, არის თუ არა ეს „სოციალიზაცია“ საქართველოში.

„საუბარის“ ოფიციალური საგანი ისაა, რომ საქართველოს მთავრობამ უნდა გაგზავნოს თავისი წარმომადგენელი დენიკინთან სადაო საკითხების შესახებ მოსალაპარაკებლათ.

აქაც ერთი ახირებული ამბავი მოხდა.

ბიჩი, თითქოს, უბრალო ცნობისმოყვარეობით ჰკითხულობს იმის შესახებ, თუ ვის უპირობს გაგზავნას ჟორდანიას მთავრობა. ჟორდანია გადაკრულ პასუხს აძლევს, რაღაც იმის მზგავსს: ვნახოთ, ვინმეს შევარჩევთო და სხვ. მაშინ ბიჩი პირდაპირ უსახელებს მისთვის სასურველ კანდიდატს—**გენერალ გედევანიშვილს**. თავმჯდომარეც ეთანხმება—„საუცხოოვაო!“

ოღონდაც!!

აღარც ამ ,,მეგობრობამ'' იპატივა ჟორდანია ბრძანებისაგან. თურმე ამ ,,სუვერენულ'' მთავრობის თავმჯდომარეს იმის ნებაც კი არ ჰქონია, რომ თავისი კაცი დანიშნოს და გაავზავნოს მოსალაპარაკებლათ.

ერთი სიტყვით, ყველგან, ყოველთვის და ყველაფერში, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც დიდს, ისე პატარა მოვლენაშიაც ერთგვარათ და ერთნაირათ გამოსჭვივის მეწშევიკური მთავრობის სრული დამოკიდებულება (უფრო ნამდვილი იქნება რომ ასე ვიტყოდეთ: „ფეხ-ქვეშ განრთხომა“) დიდი ბრატანეთის მთავრობის მსხვილ და წვრილ-ფეხა ჩინოვნიკებისაგან!

ს ა უ ბ ა რ ი № 6

მომქმედი პირები იგივეა—გენერალი ბიჩი და „თავმჯდომარე“ ჟორდანია. „საუბარი“ ისეთი კილოთი იწყება, რომ დასტურ დიდ მეგობრები უნდა ყოფილიყვენ ეს ორი დარბაისელი.

აბა დაუგდეთ ყური!

ჟორდანია: როგორ იშვიათად გხედავთ, მოხარული ვარ, რომ ეხლა მაინც გნახეთ!

გენ. ბიჩი: ბევრი საქმეები მაქვს, და ამის გამო ვარ მოკლებული თქვენი უფრო ხშირათ ნახვის სიამოვნებას!

ამ ქათინაურების შემდეგ ორთავე ფალავანმა დაიკაპიწა: ერთი თავდასხმისათვის ემზადება, მეორე კი... უკან-უკან წამოჩოჩებისათვის.

საუბრის საგანი ამჟამათ იმავე გენერალ დენიკინთან დამოკიდებულების გამორკვევაა.

განზრახულია მოალაპარაკების მოწყობა და სადაო საკითხების მოგვარება.

აი ამ მოლაპარაკებისათვის იყო, რომ „ურჩია ბიჩმა“ წინა საუბარის დროს ჟორდანიას მაინც და მაინც გენერალი გედევანიშვილი გაგზავნე დენიკინთანა.

გამოირკვა, რომ თურმე დენიკინი სრულებითაც არ აპირობს მოალაპარაკების დაწყებას უიმისოთ, თუ, საქართველოს მთავრობამ არ გასცა განკარგულება ჯარების მდ. ბზიბის გადმოღმა გადმოყვანის შესახებ. ეს არის დენიკინის წინასწარი პირობა, უამისოთ ის არავითარ მოლაპარაკების დაწყებასაც არ კადრულობს.

ამასავე მოითხოვს გენ. ბიჩიც. ის, რასაკვირველია, „**ურჩევს**“ თავის „მეგობარს“, რომ დასთანხმდეს დენიკინის მიერ წამოყენებულ პირობაზე.

ჟორდანია ჯიუტობს.

ალბათ, „მეგობრობის“ იმედი თუ აქვს! იმართება კამათი. არცერთი არ სთმობს.

ბიჩი მართლაც რაღაც არ ჰგავს ინგლისის დანარჩენ გენერლებს, მას არ უყვარს წამოყვირებით მიზნის მიღწევა, დათმობაში კი ისიც ისეთივეა, როგორც დანარჩენები. ბიჩმა, როგორც ჰგავს, კარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვათ შეისწავლა მენშევიკების თვისებები. მან კარგათ იცის, რომ მენშევიკები დიდი შიშით (მენშევიკები ამ ცნებას სხვა სიტყვებით გამოხატავენ ხოლმე—ისინი ამბობდენ ,,სიყვარული და თანაგრძნობა“) არიან შეპყრობილი იწვლისელი გენერლების წინაშე, მით უმეტეს ისეთების, რომლებსაც უფრო დიდი ადგილი უჭირავს და უფრო მეტი თანამდებობა უკავია. ამიტომ ბიჩი ამ ხერხსაც მიმართავს და თითქოს ,,ეჰ არაფერი ამბავიაო, ეუბნება ჟორდანიას ,,ბრიკს (ინგლისელი გენერალი დენიკინის ბანაკში) მეტათ უყვარს დენიკინიო“.

თქვენ წარმოიდგინეთ, ამანაც ვერ გასჭრა. ჟორდანია მაინც თავისას არ იშლის. პირიქით, კიდევაც იმუქრება... (მტრისას ისეთი საშინელება!!) ,,**ვაცნობებთ ევროპის ყველა სახელმწიფოებსა და ამერიკასო!**“ ბიჩი სდუმს, თითქოს ბუზიც არ აფრენილიყოს, ანდა მართლაც რისი უნდა შეშინებოდა ბიჩს? ის თავისას განაგრძობს, ისევ იმას იმეორებს, ჯარები გადმოიყვანეთ ბზიბის გამოლმა, თორემ დენიკინი თქვენთან ლაპარაკს არც კი იკადრებსო. ჟორდანიამ კი მთლად დასწვა რაც წამალი გააჩნდა ფალიაზე, სიტყვები ბევრი დახარჯა, მუქარაც იყო, არაფერმა არ გასჭრა, მაშ რაღა უნდა ექნა? ბიჩი კი დინჯათ, მაგრამ ფეხმოუცველლათ თავისას განაგრძობს. „შესაძლებელიაო“, უმატებს ბიჩი, რომ თუ დენიკინმა არ შეაჩერა ეერიში საქართველოს წინააღმდეგ, მისი აქეთკენ წამოსვლა უფრო ფართო ხასიათს მიიღებს“. საუბარი გარკვეულ შედეგებს არ იძლევა. არც ერთი მხარე არ თმობს. ბოლოს ბიჩი აფრთხილებს ჟორდანიას, რომ მოსალოდნელია დენიკინისაგან შემოტევის დაწყებაო.

ჟორდანია: გთხოვთ მხოლოდ მიიღოთ ზომები, რომ ამ შემოტევის დროს დენიკინს ჯარმა არ იხმაროს ჩვენ წინააღმდეგ ტანკები, აეროპლანები და კრეისრები.

დასტურ რომ დიდი... ,,გაბედულებაა“ ასეთი რამის თხოვნა. მებრძოლე, გებრძვი, მაგრამ იარაღი არ იხმარო. ალბათ, ჟორდანიას ძველი რაინდების დრო გაახსენდა, როცა ფალავანი ფალავანს წინააღმდეგ გამოდიოდა. ბიჩი, შეიძლება, დიდი მეგობარი იყო ჟორდანიას მთავრობის და პირადათ თავმჯდომარის. კიდევ მეტი, მაგრამ ასეთი ახირებული განცხადების მოსმენას ის, ალბათ, არ მოელოდა. ამიტომ ამ განცხადებაზე მას ხმა არ ამოუღია.

ან კი რა უნდა ეთქვა? ,,საუბარის“ ოქმშიაც ასე სწერია: ,,ჩამოვარდა ხანგრძლივი სიჩუმე“!

ბოლოს სიჩუმე ისევ ჟორდანიამ დაარღვია და დაიწყო თავისი ჩვეულებრივი მენშევიკური ,,სიბრძნე“ ბალავარისა“ იმის შესახებ, თუ როგორ ესმის მას იმდროინდელი სამოქალაქო ომი რუსეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირკვევა, თუმცა ეს დიდი ხნიდან გამორკვეული იყო, რომ მისთვის ეს ორი მებრძოლი ბანაკი—მეფის გენერალი დენიკინი და წითელი ჯარი ერთი და იგივე ღირსების მოვლენაა. ძველი მონარქიული მთავრობის შემობრუნებისათვის ამხედრებული შავრაზმელები და ახალი სოციალისტური ცხოვრების მოსაწყობათ მებრძოლი მუშები. და გლეხები თურმე ,,ორი უკიდურესი ძალაა, **,,რომლებიც ორთავე ერთად რუსეთს უფსკრულისაკენ მიათრევენ''**

ამფერუმ და ბარაქალა ,,სოციალისტს''! თუნდაც ისეთს, რომელიც მეწშევიკურ ორღობეს არ გაშორებია. ცოდვა არ იქნებოდა, რომ მას ამ დიადი ბრძოლის შეფასების უფრო უკეთესი უნარი გამოჰყოლოდა?

ჟორდანია ასე ათავებს ქადაგებას—,,საქართველოს არავითარი სურვილი არა აქვს ჩაერიოს ამ ბრძოლაშიო!'' ამაზედაც დიდი მადლობა! მენშევიკები მუშათა კლასის მოღალატეების სახელს ასე ,,ღირსეულათ'' ვერ დაიმსახურებდენ, რომ ისინი მართლაც არ ჩარეოდენ ამ ბრძოლაში, რომ ისინი რეაქციის ბანაკს არ მიკედლებოდენ რევოლიუციის წინააღმდეგ.

ს ა უ ბ ა რ ი № 7

იგივე ბიჩო, სანდერსი და მთავრობის თავმჯდომარე.

რას ეხება ეს ,,საუბარი''?

იმავე დენიკინს და მასთან დამოკიდებულების მორიგებას. გვარიანი ბლომათ დახარჯეს მენშევიკებმა სიტყვები, მაგრამ ბოლოს მაინც იმ დასკვნამდე მივიდენ, რომ ადრე თუ გვიან ისევ მორიგება და სიამტკბილობით საქმის გათავება სჯობს დენიკინთან, ამიტომ სწორეთ ასე განუცხადა ჟორდანიამ თავისი საბოლოო გადაწყვეტილება იმავ ბიჩს! ასეთი საქციელს ეხლა ხომ არ ეჩვევოდენ მენშევიკები? ხელების ქნევა ჰაერში, ,,მაგარ-მაგარი'' სიტყვების სროლა, და ნაცარში ბდღვირის აყენება—ეს მათი ხელობა იყო იმთავითვე. ამ ხელობას მეორე მხარეც აქვს. ხმაურობის შემდეგ მენშევიკებმა მშვენივრათ იციან და იცოდენ უკან-უკან წამოჩოჩება და ბოლოს ოთხ-ამონაღებ უკანისკენ ძუნძული.

,,გენერალ დენიკინისთვისაც უკეთესია, თუ მას ზურგი გამაგრებული ექნებაო''—დასძენს ჟორდანია.

ასე და ამრიგათ ცოტაოდენი უმნიშვნელო ,,უკმაყოფილების'' შემდეგ ორი ,,მეგობარი (გენერალი და ჟორდანია)—უწინ პროფეიით ჟურნალისტი და ლიტერატორი, ხოლო ეხლა ,,მთავრობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმჯდომარე‘‘) ისევ მეგობრულათ მასლაათობენ. პირდაპირ შეგენატრება გარეშე ადამიანს მათი ‘ ‘ ‘

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა უ ბ ა რ ი № 8

აქ ინგლისელების სახელით ლაპარაკობს გენერალი კ ო რ ი, საქართველოს მთავრობის მხრივ კი—ჟორდანია.

აი, აქაა, თუ გნებავთ, უტყუარი და პირდაპირი მაგალითი და სურათი იმის, თუ როგორ ღონივრად გაეხსნათ მადა ინგლისელ ყაჩაღებს.

საქართველოს „დემოკრატიული რესპუბლიკის“ მთავრობა აბა რა მთავრობა იყო, მისი „სუვერენობა“ აბა რაში გამოიხატებოდა? განა ინგლისელ გენერლებს ერთხელ და ორჯერ უნახავთ ეს მთავრობის ხალხი, როდესაც ისინი (ეს „მინისტრები“ თავიანთ ,,თავმჯდომარეთურთ‘‘) თვალის წამწამში შესხერებოდენ ინგლისელი ჯარის უფროსებს და თვითეულ მათ თითის ბაქნევაზე მზათ იყვენ თუნდა წყალში გადაცვენილიყვენ?

ეს ყოველივე იყო, მაგრამ ინგლისელებისათვის ესეც არ კმარა. მენშევიკების ,,თთავრობა‘‘ მათ რაღაც ,,ნედოლაზუმენიეთ‘‘ მიაჩნიათ. როდესაც კარგს გუნებაზე ბრძანდებიან ეს გენერლები, ათასში ერთხელ ასს უზრდელ სიტყვას ერთს სიტყვას მაინც ზრდილობიანს გამოაყოლებენ ხოლმე, მაგრამ, საკმარისია ერთი ბეწო სიტყვა შეუბრუნოს ვინმემ მათ და, აბა, მაშინ უნდა უყურო სეირს! მაშინ ინგლისელებს ფეხებზე ჰკიდიათ დიპლომატიურათ სიტყვა-პასუხი. გაბოროტებული ღენერლების ღრიალი ცას ერთვის.

მოხდა ერთი ასეთი შემთხვევა: ინგლისელები—ამას ეხლა მტკიცება აღარ სჭირდება, ეს ყველასათვის აშკარაა—დენიკინის საქმეს თავის საქმეთ სთვლიდენ, ხოლო დენიკინის ჯარს თავის ჯარათ. ამ ჯარს ხელის მოწყობა ესაჭიროებოდა, ჯარისათვის საჭირო იყო ტანფეხი, იარაღი და ათასი სხვა რამ. ინგლისელები თავისას მაინცადამაინც არაფერს იმეტებდენ. ისინი აქვე რუსეთის სამხრეთის ფრონტზე, აგროვებდენ ერთხანს სომარ მასალას (ზარბაზნებს, ყუმბარებს, ,,პულემიოტებს‘‘, ტყვია-წამალს და სხვ.) და დენიკინს უგზავნიდენ. ეს სომარი მასალა ინგლისელებს გადაჰქონდათ რკინისგზით საქართველოს მიწა-წყალზე. სანამ დენიკინი ბალშევიკებს ებრძოდა, მენშევიკებს კრინტიც არ დაუძრავთ ასეთ ამბავის შესახებ, თუმცა ყოველთვის იმას ამბობდენ—,,საქართველოს იმათ (ესე იგი დენიკინისა და ბალშევიკების—პ. ს.) ჩხუბში არაფერი ესაქმებაო‘‘, შემდეგ დენიკინმა საქართველოსაც შემოუტია და ამ დროს, როგორც იქნა, მენშევიკებმაც ამოითქვეს ენა და იმდენათ გაკადნიერდენ, რომ ინგლისელების მატარებელი, რომელსაც დენიკინისათვის იარაღი მიჰქონდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დააკავეს. მტრისას, რაც ამაზე შავი დღე დაადგეს მენშევიკებს ინგლისელებმა! აი სწორეთ ამ „საუბარშია“ აღნიშნული ის ლაპარაკი, რომელიც ჰქონდა გენერალ კორის ჟორდანიასთან მატარებლის დაკავების შესახებ.

განრისხებული გენერალი მწყრალათ ჰკითხავს ჟორდანიას, თუ რა უფლების ძალით ჩაიდინა საქართველოს მთავრობამ ასეთი თავხედობა.

ჟორდანია კანიდან ძვრება, უნდა შეასმინოს გენერალს, რომ საქართველოს მთავრობა **„ყოველგვარ დახმარებას უწევს ინგლისის მატარებლებს“**, მაგრამ ამ შემთხვევას ის იმით ხსნის, რომ ინგლისის მატარებლის შემადგენლობაში რამოდენიმე ვაგონი რუსული საომარი მასალით არის დატვირთული და „ჩვენ ვიცით, რომ ეს მასალა დენიკინს ეგზავნებაო“. მართლაც და, დიდი „გმირობა“ უნდა, როდესაც დარწმუნებული ხარ, რომ—ამა და ამ იარაღს ხვალ შენს წინააღმდეგ იხმარს შენი მტერი (დენიკინს მაშინ ომი ჰქონდა საქართველოსთან) ამ იარაღს დღე შუაგულ მიეზიდებიან შენ სამფლობელოდან და შენ გულხელ-დაკრეფილი არ უმზირო ასეთ ამბავს. ჟორდანიაც ამ უბრალო გარემოებას უხსნის გენერალს, მაგრამ გენერალი საჭიროთაც არ სთვლის ამაზე პასუხი მისცეს საქართველოს მთავრობას, ის მხოლოთ იმითაა გაგულისებული, რომ, **ვინ გაბედა** ასეთი ამბავი, **ვინ მოახდინა განკარგულება** იარაღის გაჩერების შესახებ. ის გულმოსული კითხულობს „**რატომ მე არ შემეკითხეთ, სანამ რაიმე განკარგულებას მოახდენდითო**“.

ბედნიერი საქართველო და მისი „დამოუკიდებელი“ მთავრობა! თურმე ინგლისის მატარებელს რომ რამოდენიმე ვაგონი მოხსნა და რამოდენიმე საათით ჩიხში გაჩერო, ამისათვისაც მთავრობის თავმჯდომარემ, ვინ იცის რამდენი სიმწრის ოფლი უნდა დაღვაროს, რომ განრისხებულ გენერალის ღრიალს გადაურჩეს. გენერალი კორი აღშფოთებული კითხულობს—„პირველათ აჩერებთ თქვენ ინგლისელების მატარებელს?“

მთავრობის თავმჯდომარე. (მოწიწებით) დიახ!

გენერ. კორი და უკანასკნელადაც!

მთავრობის თავმჯდომარე. მე იმედი მაქვს, რომ...

გენერ. კორი. იმედი რას ჰქვია, უსათუოთ!

ეს სილაც გააწნეს მენშევიკურ მთავრობას, კიდევ ერთხელ ჩაკმენდინეს მას ხმა და დაანახვეს, თუ როგორ ესმოდა ინგლისელებს, რომლის სასარგებლოთ ჟორდანიას და მის მთავრობის წევრებს, თურმე, მთელი 25 წელი უწერიათ და ულაპარაკნიათ, „საქართველოს დამოუკიდებლობა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენშევიკებმა ეს სილაც შესჭამეს და ამის შემდეგ, ვინ იცის, კიდევ რამდენჯერ შემოეხარჯათ იმის თქმა, რომ მათ გული „არ შესცვლიათ არც ინგლისელების და არც სხვა მოკავშირე სახელმწიფოებისადმი არც ომის დროს, არც მის შემდეგ!“

აი სიყვარულიც ამასა ჰქვია! ასეთი სიყვარული მხოლოდ მენშევიკებს შეუძლიათ, ვინაიდან მათ სიტყვით კი არა, **საქმით** და **მოქმედებით** სძულთ „აღმოსავლეთის ფანატიკოსები“ და სულში იძვრენენ „დასავლეთის იმპერიალისტებს“. ეს გუნების საქმე როდია, ასე მოსდგამს მუშათა კლასის მოღალატეებს ყველგან. მენშევიკებიც ამ საერთო ხვედრს იზიარებენ.

ს ა უ ბ ა რ ი № 9.

მომქმედი პირნი: ბიჩი, სანდერსი, ჟორდანია.

ყველა ძველი ნაცნობებია.

აქ კიდევ შემოტრიალდა უკუღმა გაზეთების დაკეტვა-აღკრძალვის საკითხი.

ინგლისელებს მოუწყვიათ ინგლისური გაზეთის გამოცემა... თბილისში. გამოჩენილა ისეთი ოსტატი ხალხი, რომელიც რუსულ გაზეთთან ერთ ნაწილს ინგლისურათ ბეჭდავდა. ალბად კარგს არაფერს სწერდენ საქართველოს მთავრობის შესახებ, თორემ მენშევიკები მას ხელის შეხებას ვერ გაუბედავდენ. ბოლოს გაბედეს, როგორც იქნა, და გაზეთი მიხურეს, არა იმ წესით, რასაკვირველია, როგორც ბიჩი ურჩევდა ჟორდანიას („რედაქტორი ციხეში დაამწყვდიე, სტამბას კი ბოქლომი დაადეო) და ინგლისელი გენერალი თავის ამალითურთ უკვე ზის ჟორდანიას კაბინეტში და უკვე არკვევენ ამ საკითხს.

ჟორდანია არწმუნებს გენერალს, რომ მთავრობას „არაფერი არ აქვს ინგლისური გაზეთის და მით უმეტეს, მის რედაქტორის (ვინმე ინგლისელი ლინდლეი სკოტტის) წინააღმდეგ“.

„ინგლისური გაზეთი დაიბეჭდოს რამდენიც გნებავდეთ“.

„ყველაფერი ისე გაკეთდება, როგორც გენერალი მოისურვებს კოხივით ისერის ჟორდანია, თუმცა, მას, როგორც ვიცით, მაინცა და მაინც ენის ჭევლი არც ისე უჭრის.

კიდევ ერთი წამოჩოქება! კიდევ ერთი პანლური! მაგრამ ვინ დასთვალა, ვინ იცის სათვალავი, რამდენჯერ და როგორი შეურაცყოფა მიაყენეს საქართველოს „უზენაესი ხელისუფლების“ წარმომადგენლებს ინგლისის ჩინოვნიკებმა? რომელი ერთი უნდა ჩამოვთვალოთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ასეთია ეს ცხრა საუბარი, რამდენი ამისთანა სხვა იყო მანამდე და მას უკანაც, ამას ვინ მოსთვლის, მაგრამ თუნდა ამ ცხრა შემთხვევაში, რამდენჯერაა ჩაწიხლული და ფეხ-ქვეშ გათელილი მენშევიკების „დამოუკიდებლობა“?

ვინ იცის, რამდენი ასეთი და ამაზე უფრო ნათლათ და აშკარათ რომ ამყოვანებს მენშევიკური მთავრობის სრულ არარაობას, საბუთები თან გაიყოლიეს მენშევიკებმა.

ჩვენ არ ვიცით იხილავს თუ არა თუნდა ოდესმე, ეს სასახელო საბუთები დღის სინათლეს, მაგრამ ამას არც იმდენი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენ უკვე რაც ვნახეთ, ისიც საკმარისია.

სრული არარაობა, უსაზღვრო შიში ინგლისელების (ამ „საუბრების“ საგანსა და ჩარჩოს რომ არ გავცილდეთ) წინაშე, და იმგვარივე უსაზღვრო... სიძულვილი მუშათა კლასისა და მუშათა რევოლიუციისადმი.

ასეთია ეს სურათი!

ჩვენთვის აშკარაა, რომ „კუზიანს მხოლოდ საფლავი გაასწორებს!“.

ცხადია და აშკარაა ისიც, რომ მენშევიკების უსაქმოთ დარჩენილ ყბედების მოღალვა ძნელი საქმეა, მაგრამ, თუ კი ვინმე დარჩა ჩვენში ისეთი, რომ ოდნავ მაინც სწამს მენშევიკების მოქმედების ამბავი „დამოუკიდებელი სახელმწიფო“ გვქონდა და სხვ., მათ გულდასმით წაიკითხონ თუნდა ეს მასალა და, ჩვენ დარწმუნებული ვართ, ისინი ამ მოკლე და შემთხვევით აღმოჩენილ საბუთების ნაგლეჯიდანაც ბევრს საგულისხმოს ამოიკითხავენ.

პავლე მ. საყვარელიძე.

ქ. **თბილისი**
1927 წ., ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლიუციონური მოძრაობა შორაპნის მაზრაში

წინასიტყვაობის მაგიერ.

რევოლიუციონური მოძრაობა 1905 წ. საერთოდ შორაპნის მაზრაში და კერძოთ სამრეწველო ცენტრში, ჭიათურაში, სახელოვანი ფურცელია რუსეთის დიდი რევოლიუციის ისტორიაში. შორაპნის მაზრის როლი ერთობ დიდია. მაზრამ თვალსაჩინო ადგილი დაიკავა 1904—1905 წ. შავი ქვის სამეფო 1905 წელს ხასიათდება განუწყვეტელი ბრძოლით კაპიტალისტებთან და თვითმპყრობელობის ჯალათებთან. შორაპნის მაზრას წილად ხვდა წინა პოზიციაზე დგომა დასავლეთ საქართველოში, რეაქციის სუსხი და მისი პირველი იერიშები შორაპნის მაზრაზე იქნა მიტანილი, ლიხის მთის გადალმა რევოლიუციონური მოძრაობის პირველი დარაჯი და პირველი ბრძოლის მიცემი შორაპანი იყო. ამიტომ ის ყველაზე მეტად დაეზარალა და გაანადგურა აღვირწახსნილმა რეაქციამ. რეაქციის გაბატონების შემდეგ საქართველოს ქალაქები და მაზრები დროებით იარაღს ჰყრიან, შეიარაღებულ ბრძოლაზე ტაქტიკური მოსაზრებით ხელს იღებენ, შორაპნის მაზრა კი ბრძოლას განაგრძობს, ნამდვილ ომს აწარმოებს აფრასიონ მერკვილაძის მეთაურობით დამსჯელ რაზმებთან, ებრძვის პოლიციის მოხელეთ, სოფლის რეაქციონურ ელემენტებს.

ჭიათურის მუშების ბრძოლა სერიოზულ ჭრილობას აყენებს მეფის თვითმპყრობელობას, ბუნებრივათ სტრატეგიული ჭიათურა, შავი ქვის ბაზრის დაკარგვის შიშით, საგონებელში აგდებს კავკასიის უმაღლეს მთავრობას, ჭიათურის მიმართ ის მთელ რიგ დათმობებს აწარმოებს. ვისაც უნახავს ჭიათურაში დაწყებული კლასთა ბრძოლა, სოფლად კი—გლეხკაცებისა სისხლის მსმელ მემამულეებთან,—ის ერთხე-

ლაც არ დაკარგავდა იმის იმედს, რომ მუშათა გამარჯვების საქმე წაგებული იქნებოდა.

არც ერთ შემთხვევაში არ შემწევს ძალა გავაშუქო მაშინდელი მოძრაობის სახელოვანი დრო და რეაქციის სისხლიანი ეტაპები.

პატარა ნაშრომში მომყავს ზოგიერთი ფაქტები 1905-ს და მასთან დაკავშირებული წლების პერიოდების, რომელსაც ვაძლევ მხოლოდ ეპიზოდურ ხასიათს. რევოლიუციონური მოძრაობის ისტორიის დაწერა—მისი დეტალების კვლევა-ძიება კი რევოლიუციის ისტორიკოსების საქმეა და ვისაც ეს სპეციალური როლი შეხვდება, ვფიქრობ, ეს ნაშრომიც, როგორც მასალა, გამოადგება. ამიტომ სრული დარწმუნებული ვარ არავინ კადნიერებათ არ ჩამითვლის, თუ მე ესა თუ ის მომენტი მოვიგონე და თან ჩავურთე ის დოკუმენტები, რომელიც პირადათ მე ხელთ მქონდა. აგრეთვე ეჭვი არ არის, რომ აქ ბევრი თავდადებული ამხანაგები, უშუალოდ მონაწილენი ჭიათურის და საზოგადოთ იმერეთის რევოლიუციონური მოძრაობისა გამომრჩენ, რაც უსათუოთ უნდა მიეწეროს მეხსიერების ღალატს, დასასრულ, მიუხედავათ იმ ნაკლისა, რომელიც ამ შრომას თან ახლავს, მაინც არ დარჩება ინტერესს მოკლებული მეტადრე იმათთვის, ვისაც სურვილი აქვს 1905 წლის შესწავლისა საქართველოში.

მუშაობის საკატორლო წესი.

1905 წლამდე ჭიათურის მაღაროს მუშების მდგომარეობა აუწერელი იყო. ექსპლოატაციას საზღვარი არ ჰქონდა. შავი ქვის მრეწველებს მუშების ჩაგვრაში ხელს უწყობდა ისიც, რომ მაღაროს მუშები მუდმივი არ იყო. იმერელი გლეხი დრო-გამოშვებით მოდიოდა ჭიათურაში კაპიკების საშოვნელად. ის ერთი ან ორი კვირის მუშაობის შემდეგ ისევ სოფლის მეურნეობას უბრუნდებოდა. მუშები თავიანთი პირობების გაუმჯობესებაზე ოდნავათაც არ ზრუნავდენ. მუშები უვიცი და გაუნვითარებელი, კაპიტალისტების და „პოდრიანჩიკების“ მონები, უხმო, უენო, ეს ნამდვილი „უსულო მანქანა“ იყო მრეწველების ხელში, მრეწველის „კეთილშობილებაზე“ იყო დამოკიდებული სამუშაო ქირის განსაზღვრა.

უბედური შემთხვევისაგან მუშა დაზღვეული არ იყო, მუშის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა ბნელ, ცივ და გაუმაგრებელ მაღაროებში.

მუშათა პროფესიონალური კავშირები არ არსებობდა. რევოლიუციონური ორგანიზაციები ჯერ კიდევ არსად სჩანდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიცია, სასამართლო და მთავრობა მრეწველების, „პოდრიაიკების“ მხარეზე. გაქნილი „პოდრიაჩიკი“ მუშას იმ მცირე ხელფასაც კი ართმევდა, რომელიც „პოლუჩკაზე“ ერგებოდა. მეურმეს და მეყუთეს წონაში ატყუებდნენ, ანგარიშში და ფულის დათვლაში—კაპეიკებს აცოცებდნენ. მუშა 14—16 ს. მუშაობდა. მნგრეველს, („კირ ქაზე“ მომუშავეს) ერთი მანეთი ან ოთხი აბაზი უჯდებოდა დღეში, უკან მგორებელს, („ტაჩკაზე“ მომუშავეს), რომელსაც მოკრილი ქვა გვირაბამდე ბაქანზე გაჰქონდა—70—80 კ. ეძლეოდა, ბაქანზე გამოტანილი ქვის გადამრჩეველს 10—50 კ. დღეში. უკანასკნელ საქმეზე მცირეწლოვანთა შრომას იყენებდნენ. მუშას ბინა არ ჰქონდა, მას გარედ ეძინა, წვიმით და თოვლიან ამინდში მაღაროს აფარებდა თავს. მუშა იყო დაუბანელი და გაურეცხელი. მისი ჰური და მჭადი შავქვაში—გასერილი. ანტი-ჰიგიენური და ანტი-სანიტარული მდგომარეობა მაღაროს მუშებს „საიქიოს“ გზავნიდა, ჭიათურა კატორღა, განხორციელებული სახალინი იყო; იმერელი გლეხი უწლოვანი შვილით სიცოცხლეს და ღონეს კაპეიკებისათვის ჭიათურის მაღაროებს სწირავდა. ადგილობრივი და საზღვარ გარეთელი კაპიტალისტები ჭიათურელი მუშების სისხლით და ოფლით კაპატალს იძენდნენ. ინგლისში, გერმანიაში, ბელგიაში, ავსტრო-უნგრეთში და სხვა სახელმწიფოებში ოც მილიონზე მეტი შავი ქვა გაჰქონდათ. ის იაფი და კარგი ხარისხის იყო [1]).

რკინის გზის გაყვანამდის კიდევ უარეს პირობებს აგვიწერს ამხ. თოდრია.

---

[1]) ჭიათურის წარმოებაში გამეფებულ ჯოჯოხეთურ პირობებს 1900 წლამდის კარგად აგვიწერს ჭიათურის მაღაროებში მუშაობის კარგი მცოდნე ლადიმე თოდრია, რომელიც იქ დიდხანს მუშაობდა. ლადიმე იქ მუშაობდა ჭიათურის რკინის გზის გაყვანის დროს, 1891 წლიდან. აი რას. მოგვითხრობს თავის მოგონებებში ამხ. თოდრია: „მაღაროს მუშები და აგრეთვე გადმომზიდველი ჩალვადრების მუშაობის დრო განსაზღვრული არ იყო, მუშაობა გძელდებოდა 16—18 საათს დღეში. ერთი კუბი საქონი მარგანეცის დამუშავება, ე. ი. მოთხრა, გამოზიდვა, გაწმენდა-გაცხრილვაში მუშას ეძლეოდა 25—30 მანეთამდე. მერე, არ იკითხავთ, როგორი საქონი უნდა ყოფილიყო? იქაური ჯოხისაგან გამოჭრილი არშინი შეიცავდა 22 ვერშოკს („არსენას არშინს“). ასეთი არშინით იზომებოდა იქაური საქონი, რომელიც სინამდვილეში იყო საქონ-ნახევარი. თვიოეულ მუშას დღიურათან 18 საათის მუშაობით უჯდებოდა ექვსი შაური ან არა უმეტეს ორი აბაზისა.

ავიღოთ მეურმე და ჩალვადრების მდგომარეობა. მარგანეცის საწყობიდან მაღაროებამდის არის 5 ვერსი, ზოგან 7 და 8, კლდეები და ვიწრო გზები. ხშირი იყო შემთხვევა საპალნიანი ცხენების კლდეში გადაჩეხის, ასეთ მანძილიდან ფუთის გადმოტანა ღირდა ერთი ან ერთნახევარი კაპეიკი. ერთ უღელ ხარებს ან წყვილ ცხენებს თავიი მუშა მბლელბლებით დღეში უჯდებოდა ექვსი აბაზიდან ორ მანეთამდის“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1905 წლის მოახლოვება.

რუსეთში დაწყებული რევოლიუციცნურ მოძრაობას ჭიათურის მუშებისათვისაც უნდა აეხილა თვალები. მუშებს ადამიანური უფლებების ძებნა უნდა დაეწყო. რამდენათ ახლოვდებოდა 1905 წელი, იმდენათ ჭიათურის მუშები იღვიძებდენ: თბილისში, ქუთაისში და გურიაში დაწყებული მოძრაობა ჭიათურის და იმერეთის სოფლებს ფართოდ მოედო. 1903 წლის მეორე ნახევარში იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი უკვე არსებობდა. ამავე წელში ჭიათურაში მომხდარმა ამბებმა, პირველმა გაფიცვამ, მოეწველებს ძილი დაუფრთხო. ამ გაფიცვის დროს მუშებმა დამტვრიეს კაპიტალისტების კანტორები და შავი ქვის სასწორები. დიდი ხნობით გამწარებული მუშები მზად იყვნენ თავი გაეწირათ, მჩაგვრებელის წინააღმდეგ აშკარა ომი ეწარმოებიათ [1]). ჭიათურის მუშების პირველმა ბრძოლამ იმდენათ სტიქიური და მკაცრი ხასიათი მიიღო, რომ თვით ხელმძღვანელების მიერ საჭირო შეიქნა „მშვიდობის" და „ზომიერების" შეტანა მუშებში. აქედან იწყება ჭიათურის მუშების ახალთაობის მხარეზე გადასვლა, ბრძოლა ადამიანური უფლებების მოსაპოვებლად. მუშების პირობების გაუმჯობესების საკითხი ახლა კი მთელი სირგძე

---

[1]) 1903 წლის გაფიცვისა და დემონსტრაციის შესახებ საინტერესო სურათს იძლევა თავის მოგონებებში იგივე ამბ. ლ. თოდრია. „1903 წელს ჭიათურაში მოხდა გრანდიოზული დემონსტრაცია. მთელი ახლო-მახლო სოფლები, მაღაროს მუშები და ჩალვადრები, დაახლოვებით 10 ათასამდე მონაწილეობას ღებულობდა ამ დემონსტრაციაში. მუშები შეიარაღდენ წაკატის და ნიჩბების ტარებით ყველა მადნებში და ასე დარაზმული სტიქია თავს დაესხა ჭიათურის სასწორებს, რომელსაც წაუკიდეს ცეცხლი და მიანგა-მოანგრიეს, შემდეგ იერიში მიიტანეს პოლიციის სამმართველოზე და ისიც დასწვეს, მოკლულ იქნა „სტრაჟნიკი" და პოლიციის ჯაშუში მეჰიმე. დემონსტრაციამ მეტის მეტი სტიქიური ხასიათი მიიღო... დემონსტრაციის შემდეგ წარდგენილ იქნა მთელი რიგი მოთხოვნილებები. კაპიტალისტებმა დაკმაყოფილეს და მუშებმაც განაახლეს მუშობა. თავგრობის რეპრესიების გაელენით მუშებისათვის აღთქმული დაპირებანი კაპიტალისტების ერთმა ჯგუფმა უკან წაიღო და რამდენიმე „აჯანყების" მონაწილე მუშა პოლიციას ჩაუგდეს ხელში".

საც. დემ. მუშაობის დაწყების შესახებ ლ. თოდრია მოგვითხრობს: 1903 წ. ჩემთან დაბინავდა ჩემი ძველი მეგობარი ნესტორ ჩხიკვაძე, რომელმაც თან მოიყვანა და ჩემთან დაბინავდა ერთი უცნობი ამხანაგი, ნოე სიხარულიძე. ეს იყო უბრალოთ ჩაცმული შავგვრემანა კაცი. რომელიც დღითი ოთახში წიგნებს კითხულობდა, მხოლოდ საღამოობით სადღაც წავიდოდა და შუაღამეზე ან გათენებისას დაბრუნდებოდა. აღნიშნული სიხარულიძე ექცნი თვე ცხოვრობდა ჩემთან და მემისი ვინაობა არ ეიცოდი. ეს სიხარულიძე ბოლოს აღმოჩნდა ნოე ხომერიკი („ხუნნუზა")

(„პოგონებანი საქართველოს რევოლიუც. მოძრაობიდან", გამ. 1925 წ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიგანით წამოიჭრა მრეწველების წინაშე. იმერეთის სოფლებში მოძრაობა ძრაობა დაიწყო 1904 წლის დამლევს, ხუთის დასაწყისს იმერელ გლეხს შეატყობდი, რომ ის „რაღაცასთვის" ემზადებოდა. ის ბატონყმობის ნაშთების მოსასპობად ემზადებოდა. გლეხობა მემამულეთ ეკვეთა. მოძრაობა დღითი-დღე გაძლიერდა, იმერეთის რევოლიუციონურმა მოძრაობამ მიიღო გარკვეული ხასიათი და ფორმა. ის გამოდის რუსეთის სოციალ დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამით. გურიასთან შედარებით იმერეთის მოძრაობას პირველ ანებში სტიქიური ხასიათი აქვს. სამმართველოების დაწვა და დანგრევა, სკოლის შენობების დაკავება და მოსამსახურეთა გარეკვა სკოლიდან და სხვ. 1905 წელს უკვე სოფლებში გლეხთა მჭიდრო ორგანიზაციები გაიზარდა, ძალა-უფლება ხალხის ხელში გადავიდა, მემამულეებს და სამღვდელოებას მასიურად ებრძვიან. ბოიკოტს უცხადებს პრისტავს და სუდიას „ხალხი თვით შეიქნა თავისი თავის მოსამართლე" და მთავრობა.

მთელ ზემო იმერეთს ხელმძღვანელობს ჭიათურის ორგანიზაცია, რადგან ამ ორგანიზაციას 1905 წელში კარგი ინტელექტუალური ძალები ყავს.

ორგანიზაციის შექმნა და პარტიული მუშაობის დასაწყისი.

1905 წლის დასაწყისში პარტიული მუშაობა გაჩაღებული იყო, სოც.-დემოკრატიული წრეები — მიწყობილი: მუშაობა თანდათან ძლიერდებოდა. იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი[1]) მომუშავეების გაგზავნას არ იშურებდა. ჭიათურას პროპაგანდისტები დღითი-დღე ემატებოდა. 1905 წელში უკვე საკმაო პროპაგანდისტთა კადრი ჰყავდა ჭიათურას. პროპაგანდისტთა კორპორაციაში (კოლეგიაში) 10—15 წევრამდე შედიოდა. პროპაგანდისტი მიმაგრებული იყო რაიონზე. პროპაგანდისტი რაიონის წარმომადგენელთან ან სხვა ორგანიზაციებთან ერთად წრეებს აწყობდა, პროპაგანდა-აგიტაციას ეწეოდა, პარტიის გაყოფის შემდეგ რაიონს იცავდა მენშევიკებისაგან და სხვა პატიებისაგან, ის მათ იდეურად ებრძოდა. მუშაობის და მიღწევების შესახებ ორგანიზაციას ანგარიშს აბარებდა (არა წერილობით). თუ გინდ რაიონი ახლოს ყოფილიყო ჭიათურის ქალაქზე, ის უსაფუძვლოდ არ

[1]) იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის წევრებათ სხვადასხვა დროს იყვნენ: ბარონ ბებინეშვილი, საშა წულუკიძე, სოსო ჯუღაშვილი, პარმენ ჭიკინაძე, კოლია ქარცივაძე, სამსონ კილაძე, ნოე ხომერიკი, ალიოშა ჯაფარიძე, ნიკო (მიტო) მგელაძე და სხვები.

ჩამოდიოდა. კვირას პროპაგანდისტი სოფლად მიდიოდა მიტინგზე გამოსასვლელად სოციალ-დემოკრატიული აზრების გასავრცელებლად, ათისა და ასის თავების ორგანიზაციის მოსაწყობად, სოფლად მოგზაურობის შესახებ ორგანიზაციას ანგარიშს აძლევდა და ორშაბათიდან ისევ მაღაროს მუშებთან რჩებოდა შაბათამდე. პროფესიონალების ნივთიერი მდგომარეობა მაღაროებში უნუგეშო იყო: პური და ყველი, ცხელ საჭმელს იშვიათად მიირთმევდა. ჭიათურაში პროფესიონალების ეკონომიური მდგომარეობა ასეთი იყო: დახმარება ან ჯამაგირი განსაზღვრული არ იყო. პარტიის ხაზინადარი ნივთიერ მდგომარეობას ასე აგვარებდა: საჭმელი (ღვინო არა), ფეხზე და ტანზე, პაპიროსი. ხაზინადარს ვანო ლომთათიძეს კრედიტი ჰქონდა თედორე კეშელავას რესტორანში. კეშელავას ორგანიზაციის ხაზინადარი წინ და წინ გააცნობდა კრედიტორის ფიზიანრმიას. პაპიროსზე ბევრი ფული იხარჯებოდა. მიშა დავიდოვმა ეკონომიის გაკეთების მიზნით კონტრაბანდი თამბაქოს ყიდვის წინადადება მისცა ხაზინადარს. (მახსოვს მთელი კალათი თამბაქო არალეგალურ ბინაზე).

იანვრის გაფიცვა.

გრანდიოზული გაფიცვა, რომელიც მოხდა 1905 წლის დასაწყისში, დაიწყო 26 იანვარს. გაგრძელდა ორ თვეზე მეტი. წამოყენებული იყო ეკონომიური მოთხოვნილებანი. აღსანიშნავია, რომ ჭიათურის ორგანიზაცია პირველ ხანებში არ აყენებდა დიდ მოთხოვნილებებს. ამას ჰქონდა ტაქტიკური ხასიათი, რათა მუშებში ბრძოლის მადა თანდათანობით გაღვიძებულიყო.

პირველად პოლიტიკური მოთხოვნილებანი არ იყო: ასე, მაგალითად, იანვრის გაფიცვის დროს მუშები მოითხოვდენ „კირკაზე“ მომუშავეთათვის (მნგრეველებისათვის) 2 მანეთს, „ტაჩკაზე“ მომუშავეთათვის 1 მან. 20 კაპ. მრჩეველთათვის 1 მან., ბინებს—მაღაროებში და ცხელ წყალს—ჩაისათვის. ამ მოთხოვნილებებში მუშები გამარჯვებული გამოვიდენ. მოთხოვნილებანი თუმცაღა სავსებით არ იქნა დაკმაყოფილებული, მაგრამ ორმოცი პროცენტით ხელფასი გადიდებულ იქნა.

1906 წ. ივნისში კი მოთხოვნილება უფრო ფართე იყო; 8 საათის სამუშაო დღე, ნარდი მუშაობის მოსპობა, მიღება-დათხოვნის საქმის მუშებისავე ხელში გადასვლა. მუშათა იაფ-ფასიანი სადილი, უფასო ბიბლიოთეკა, მუშათა კავშირების თავისუფლება და სხვა.

ეს გაფიცვაც სრული გამარჯვებით დასრულდა. ორგანიზაციის

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საზოგადოთ სოციალ-დემოკრატიული პარტიის გავლენა გაიზარდა როგორც ჭიათურაში, ისე სოფლად. ეხლა უკვე მრეწველებმაც ხელი აიღეს პოლიციაზე, კაპიტალისტებმა ზურგი აქციეს „პრისტავს“ და გუბერნატორს—კაპიტალისტები და მათი რწმუნებულები სოციალ-დემოკრატიულ კომიტეტში მიდიოდენ რჩევისათვის, „წესრიგისათვის“, დაცვისათვის და სხვა.

ორგანიზაციის ერთ მთავარ ამოცანას შეადგენდა მეფუთეების მოსპობა. მეფუთე იგივე მუშები იყო, რომლებიც ნარდათ, ფუ-ობით ღებულობდენ სამუშაოს განსაზღვრულ კაპეიკებში; ესენი აღარც ხუშების კატეგორიაში იყვნენ და აღარც „პოდრიაჩიკების“, ისინი მუშათა მოთხოვნილების გამარჯვებას და დღიურ ხელფასის აწევას აბრკოლებდენ. „მეფუთები“ გაფიცვებმა მოსპო.

ვინ მუშაობდა ჭიათურაში

ჭიათურის მოძრაობა ცენტრი შეიქნა. მუშაობა გაფართოვდა, მუშების ფართე მასები სოციალ-დემოკრატიულ პარტიის გავლენის ქვეშ მოექცა. საჭირო შეიქნა ხელმძღვანელთა კადრის გადიდება მუშებში და გლეხებში, სოციალ-დემოკრატიული ცოდნის საფუძვლიანად შეტანა. ამიტომ არც კავშირის კომიტეტი და არც ქუთაისის არ ძუნწობდა პროფესიონალებით ჭიათურის ორგანიზაციის გაძლიერებას. სხვადასხვა დროს ჭიათურაში მუშაობდენ შემდეგი ამხანაგები: მიშა დავიდოვი (ორგანიზაციის მთავარი ხელმძღვანელი და ლიდერი) სტეპკო ინწკირველი, დათიკო სულიაშვილი, გუცა პარკაძე, ეპიფანე მგელაძე (მიტოს ძმა), პავლე მიხეილის ძე საყვარელიძე (პატარა), მეორე—პავლე დავითის ძე საყვარელიძე, რომელიც ამჟამად პარტიის გარეშე დგას, ბაქრაძე (ყელეზნი), ბაქრაძეს თავი მოკვეთეს სპარსეთის რევოლიუციაში ცნობილ სათარხანის დროს. მელიტონ ფილია (ავგუსტულა) ამჟამათ დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და მუშაობს კომინტერნში. გალაქტიონ და ალექსანდრე ვაშაძენი, კოტე ცინცაძე, ვანო კიასოვი, ვანო ლომთათიძე, ლადიმე თოღრია, ქრისტეფორე მელუა, იონა ბელიაშვილი, კარპეზ მოდებაძე, იუსტინე და იაკობ გამზარდაშვილი, ნიკოდიმოს ბრეგვაძე, ს. ბუაჩიძე, ლ. ემუხვარი, ბუდუ მდიგანი, ფაცია გალდავა, აღაბეკა (მუშაობდა თათარ მუშებში), საშა წულუკიძე და ხოსო ჯაფაშვილი, უკანასკნელი—მხოლოდ სერიოზულ მომენტში მუშაობდა, აგრეთვე—მენშევიკებთან კამათის დროს, ამ სტრიქონების ავტორი.—მენშევიკებიდან მუშაობდენ: ნოე ხომერიკი, ზაქარია გურული, ზაქარია ჩიჩუა, გრიგოლ ლორთქიფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიძე, სირბილაძე (პარიყელი № 1). ანდრონიკაშვილის გვარზე (პარიყელი № 2), ცნობილი ორგანიზატორი ნესტორ ჩხიკვაძე, შალიკო აბდუშელიშვილი, ალფესი ხელაძე, გიორგი წერეთელი, კოლია ჩხეიძე, ვანო კიკვაძე, არ. თოდრია და სხვები.

როგორც ვიცით, ესერებს თავისი ორგანიზაცია ჰქონდა ჭიათურაში. მათ შორის იყო ისიდორე ვარაზაშვილი, მიშა გეგეჭკორი, ვანო ბახტაძე, კაკაბაძე, გუჯეჯიანი და სხვები.

ანარქისტებს ჭიათურაში მომხრენი არ ჰყოლია, მათ ყავდა თითო-ოროლა კაცი. უეჭველია, მთელი რიგი მაშინდელი სახელოვანი ამხანაგებისა აქ მოხსენებული არ არის. მოგონება ყველა იმ ამხანაგებისა, ვინც იქ მუშაობდა, ძნელია ამჟამად სათანადო დოკუმენტების უქონლობის გამო.

ფრაქციული ბრძოლა.

ჭიათურაში და საზოგადოთ იმერეთში ფრაქციულმა ბრძოლამ ბალშევიკებსა და მენშევიკებს შორის მწვავე ხასიათი მიიღო. პირველი და გადამწყვეტი ბრძოლა მენშევიკებს მისცა სოსომ პერევისის ოაიონში. ცნობილია, რომ სოსოს პირველი ადგილი ეჭირა კავკასიის ბალშევიკებში. მას ეკუთვნის ბროშიურა „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე". ამ ბროშიურამ საშუალება მისცა ქართველ ბალშევიკებს გარკვეულიყვნენ უთანხმოებაში. ფრაქციული ბრძოლა გაშორდა ვიწრო წრეს, კამათი იყო მიტინგებზე, სადაც მუშაც იყო და „პოდრიანჩიკიც", პარტიული და არა პარტიული; სოფლად კამათს აგრეთვე მწვავე ხასიათი ჰქონდა, ბალშევიკი და მენშევიკი ერთმანეთს ებრძოდა. იმერელი გლეხი ორივეს უსმენდა, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ძველ წესებს ებრძოდენ, მეფის თვითმპყრობელობას და პოლიციას.—მაგრამ ის ჩაფიქრებული იყო, როდესაც ახალ თაობის ხალხი ერთმანეთს ებრძოდა. თუ რა მწვავე ხასიათი ჰქონდა კამათს ჭიათურაში, ამის დასამტკიცებლად მოვიყვან ერთ ამონაწერს: მაშინდელი „პროლეტარიატის ბრძოლა"-დან (№ 11, 1905 წ.) „რედაქცია სწერს: „ჩვენ მივიღეთ ჭიათურიდან რეზოლიუცია, სადაც 200 პერევისელი მუშა ზიზღს უცხადებს მეუმცირესე გრიგოლს[1]), რომელმაც ამბ. კობაზე გაავრცელა ცრუ ხმები პერევისში კამათის გამო"[2]).

---

[1]) აქ ლაპარაკია გრიშა ლორთქიფანიძეზე.

[2]) ფრაქციულ ბრძოლის სიმწვავეს კიდევ უკეთ ახასიათებენ ის ამხანაგები, რომლებიც დაესწრენ კამათს ბალშევიკებსა და მენშევიკებს შორის. მენშევიკების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალშევიკებს ჭიათურის ორგანიზაციის გაყოფის შემდეგ ჭიათურაში უმრავლესობა აღმოაჩნდა. გაჩაღებული ბრძოლა მუშებზე გავლენის გასაძლიერებლად ბალშევიკების სასარგებლოდ გათავდა. საზოგადოთ საქართველოში ბალშევიკები ჭიათურაში იყვნენ ძლიერი. აქ იყო უმრავლესობა უმრავლესობაში და უმცირესობა უმცირესობაში. თვით ჭიათურაში ბოლშევიზმის დედა ძარღვი „ვაგონის', დამტვირთავი მუშები იყო. ეს მუშები თითქმის მუდმივ მუშებათ ითვლებოდენ. ამ მუშების საუკეთესო და დიდი უმრავლესობა ბალშევიკებს ემხრობოდა. ეს მუშები ორგანიზაციის მატერიალური ბაზაც იყო. ივნისის გაფიცვის შემდეგ დამტვირთავი მუშა დღეში იღებდა 2 მანეთს და ბინას. მისი სამუშაო დრო 8 საათი იყო. მუშები ფინანსიურად ორგანიზაციას ეხმარებოდენ. აგრეთვე მათთან ინახავდა თავს მთელი რიგი პროფესიონალებისა—„სტარშები, პროკაშჩიკები'', რომელთა დანიშნა ორგანიზაციას ეკუთვნოდა. ივნისის გაფიცვებმა კიდევ უფრო გაიზარდა მუშების აქტივობა და ბალშევიკების გავლენა. ივნისის გაფიცვა 1905 წელს კიდევ გამარჯვებით გათავდა.

ვინ მოჰკლა კომანდირი ტარასოვი და ჟანდარმი დერევიანინი.

ჭიათურაში ჯერ ოქტომბრის მანიფესტამდეც თავისუფალი მიტინგები და კრებები ეწყობოდა. პოლიციას წინდაწინვე მიეცემოდა გაფრთხილება, რომ მიეღო ზომები მიტინგის დაცვის შესახებ კაზაკებისაგან. ერთი ასეთი გაფრთხილებისათვის მეც ვიყავი გაგზავნილი „პრისტავ" პროკოპი მესხთან, რომელიც ოფიციალურათ გავაფრთხილე პარტიის სახელით. მესხი ლოიალური იყო. მან მიიღო ზომები კომიტეტის ბრძანების შესასრულებლად. 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცხადების შემდეგ ჭიათურაში წარმოსადგენი არ იყო, რომ მეფის ჯარისკაცები მოზღვავებულ მუშების დემონსტრაციას ხელს შეუშლიდა. ტარასოვი ასეული ჯარის კაცებით რკინის გზის მახლობლად დემონსტრაციას დაუხვდა და ის გაფანტა, ჯარის კაცებსაც არ მოსწონდა ტარასოვის ველურობა და ხულიგანობა. ტერო-

---

მხრიდან ოპონენტათ გამოვიდა ნოე ხომერიკი, ბალშევიკებიდან საშა წულუკიძე. კამათის დროს ნოე ხომერიკმა „პადლეცი" უწოდა საშა წულუკიძეს. ეს ამბავი მთელ პარტიულ და უპარტიო მასას მოვდო და იწვევდა უსაზღვრო უკმაყოფილებას საშა წულიკიძისათვის „პადლეცის" წოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოისტმა ჩიგოგიძემ ის აშკარად შუადღისას მოჰკლა, ჩიგოგიძე დაპატიმრეს. ის კატორღაში დაიღუპა. ტარასოვის მკელლობა მოაწყვეს, თუ არ ვცდები, ესერებმა.

ჟანდარმ დერევიანინს არავის არ ეშინოდა, მეფის გადმოგდება და მუშების წითელი დროშა სასაცილოდ არ ყოფნიდა. ის ყველას ათვალიერებდა, მუშათა მოძრაობის შესახებ ცნობებს ცნობებზე გზავნიდა.

სოლომონ ლომთათიძემ მისი მოკვლა იკისრა. ჟანდარმი მოჰკლა, მაგრამ, სამწუხაროთ, სოლომონიც იქვე დაიღუპა, ჟანდარმმაც მოასწრო სროლა და ორივენი ერთად მოკვდა. მაშინ ხმა გავარდა, თითქოს, მას მოხვდა ზაქარია გურულის ტყვიაო, რომელიც მას ახლდა ტერორისტულ აქტზე. მაგრამ ეს ცნობა სიმართლე არ უნდა იყოს. სოლომონ ლომთათიძე მენშევიკური პარტიის წევრი იყო.

ტერორისტული აქტები სოფლადაც გაძლიერდა. რეაქციონური თავადაზნაურობა სახლკარს სტოვებს და ქუთაისს მიეშურება. მოჰკლეს მელიტონ აბაშიძე და მრავალი სხვა. მთავრობის მოხელეთა და სამღვდელოების გავლენა დაეცა. ბოიკოტი სასამართლოებისა 100% გატარდა. ხალხი იყო შორაპნის მაზრის სოფლებში მოსამართლე და მსაჯული.

პოლიციელთა განიარაღება და წითელი რაზმის შეიარაღება.

წითელი რაზმი და შეიარაღება მომენტის აქტუალურ კითხვათ გადაიქცა. ვინ ვის მოასწრებდა—ბალშევიკი, ესერი თუ მენშევიკი. პირველი რაზმი სავარჯიშოდ ბალშევიკებიდან გამოვიდა, ვანო კიასაშვილის მეთაურობით. (უნდა აღვნიშნო, რომ წითელი რაზმის ცალკე ორგანიზაცია დასაწყეს საქართველოში მარტო ჭიათურაში იყო. გურიაში ბალშევიკური ცალკე წითელი რაზმი არ ყოფილა. შეიარაღება მოითხოვდა მთავრობის მოხელეთათვის იარაღის აყრას, სოფლად მემამულეთა და ჩარჩ-ვაჭრებისთვის იარაღის ჩამორთმევას. ჭიათურის ორგანიზაციამ ეს სამოქმედო პროგრამა მთელი თავისი სიგრძე-სიგანით დააყენა. მოწინავე მუშები და გლეხები წითელ რაზმში გაიწვია, სხვათა შორის, ჭიათურის ბალშევიკების ორგანიზაციას ეკუთვნის ჩხარის საბოქაულოს განიარაღება. აგრეთვე ყვირილის სამაზრო სამმართველოსი, სადაც „ბლოკი“ იქნა შეკრული სხვა პარტიებთანაც, მაგრამ იარაღის მეტი ნაწილი ბალშევიკებს ხვდა წილად რაზმის სიმცირის გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიათურის მუშები საომრად მოემზადა. მუშებს აღარ აკმაყოფილებდა გაფიცვები, ეკონომიური მოთხოვნილებანი. იმერეთის მუშების და გლეხების წინაშე კითხვა დაისვა მთავარი მტერის — თვითმპყრობელობის დამხობა, პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლა. სხვანაირად მისი განთავისუფლება კაპიტალისტებისა და მემამულეთა კლანჭებისაგან შეუძლებელი შეიქნა:

1905 წლის მეორე ნახევარში ჭიათურის მუშებმა უკვე რევოლიუციონური გზით თავისუფლება მოიპოვა. „პრისტავი" და მთავრობა კომიტეტს „მისჩანჩალობდა". მაზრაში გამეფდა ხალხის ხელისუფლება, მთავრობის დაწესებულებებს ახლა ყოველგან ბოიკოტი ჰქონდა გამოცხადებული, ხალხი სამართლისათვის ათის თავთან მიდიოდა, სერიოზული სასოფლო საკითხები საერთო კრებაზე არჩეული კომისიების საშუალებით წყდებოდა. ჭიათურაში ხელფასის აწევის გამო ყოველი მხრიდან მუშა ხელი მოაწყდა. უმეტესად ბათომის ფაბრიკა ქარხნების დახურვის შემდეგ. როგორც ვიცით, კაპიტალისტებმა ბათომის მუშებს ლოკაუტი გამოუცხადა. ჭიათურას საუკეთესო მუშები მოაწყდა. ჭიათურა შეიქნა მოძრაობის ცენტრი. ამხანაგმა ბუდუმ ერთხელ კიდევაც იოსუნჯა: „არ ვიცი ჭიათურა ქუთაისის პერიფერიაა, თუ თვით ქუთაისი".

მუშები დღითი-დღე ირაზმებოდა. ბალშევიკური ორგანიზაცია ჭიათურაში თავს „ამაყათ" და თავისუფლად გრძნობდა.

ვინ იყო აფრასიონ მერკვილაძე [1]).

რევოლიუციონური მოძრაობის დაწყებისთანავე აფრასიონ მერკვილაძემ თვალსაჩინო და სპატიო ადგილი დაიჭირა შორაპნის მაზრაში. აფრასიონი მცოდნე, ნიჭიერი და არაჩვეულებრივი გულადი იყო. აფრასიონის შესახებ სხვადასხვა აზრს გაიგონებდი მაშინ: ბევრი მას ტიპიურ ყაჩაღათ თვლიდა, ამხანაგების ერთი ნაწილი ამტკიცებდა, რომ ის ნამდვილი ბალშევიკი იყო, ზოგიერთს კი ის მენშევიკად მიაჩნდა. აფრასიონის ყაჩაღობის შესახებ ლაპარაკი წინასწარ ზედმეტია: იყო თუ არ იყო ის ყაჩაღი, ეს ჩვენ უნდა ვეძიოთ მის მოქმედებაში, რომლის საბუთის გადაშლას რამდენიმეთ შევეცდები აქ. რაც შეეხება მის ბალშევიკობას, ეს არ არის მართალი; აფრასიონი ბალშევიკებთან არ ყოფილა, პირიქით, ბალშევიკებს კამათის

*) ჩვენ არ ვკისრულობთ აფრასიონის ბიოგრაფიის დაწერას. აქ მხოლოდ ლაპარაკი იქნება მის რევოლიუციონერობაზე და პარტიასთან დამოკიდებულებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს ებრძოდა, თავის რაიონში ბალშევიკ პრპაგანდისტებს არ უშვებდა, ესერებიდან, რა თქმა უნდა, შორს იდგა. მენშევიკებთან ის არ იყო. მეტადრე შორაპნის ორგანიზაციის მენშევიკებთან, სადაც მოძრაობის დაწყების პერიოდში მუშაობდა. მათი (შორაპნელი მენშევიკების) არაფერი სწამდა და ბალშევებსაც კი უწოდებდა.

გასამართლება.

აფრასიონს მუდმივი კონფლიქტი ჰქონდა პარტიასთან. ის ორგანიზაციას გაშორდა და თვით მოაწყო პარტიაც და ორგანიზაციაც. შორაპნის მაზრის დიდი და თვალსაჩინო რაიონი თავის გავლენის ქვეშ დააყენა, შექმნა წოთელი რაზმის ორგანიზაცია, შეიძინა იარაღი და აწარმოებდა რევოლიუციონურ მუშაობას მაზრაში. 1905 წელს დაბა ყვირილაში სამი მთავარი რაზმი მოქმედებდა: ბალშევიკების, მენშევიკების და აფრასიონ მერკვილაძის (ესერებს მცირე რაზმი ჰყავდა). აფრასიონის რაზმმა ისეთივე მონაწილეობა მიიღო ჯარის ნაწილების განიარაღებაში, როგორც ბალშევიკების და მენშევიკების რაზმებმა. ჯერ კიდევ რეაქციის გაბატონებამდე აფრასიონს ყვირილის ორგანიზაცია ბრლადებებს უყენებდა. აფრასიონზე ბევრს ლაპარაკობდენ— მისი განიარაღების ცდაც კი იყო, მაგრამ ეს სახიფათო საქმე იქნებოდა. ბრალდებათ აფრასიონს შემდეგს უყენებდენ: თავისებურებას, ორგანიზაციის არ დამორჩილებას (ესე იგი, უდისციპლინობას) მუშაობაში, ან უკეთ რომ ვთქვათ, „ურა“ ტაქტიკას. აფრასიონი ტფილისში იქნა გაწვეული უმაღლეს პარტიის ორგანოში დასაკითხავად და პასუხის მოსათხოვად. აფრასიონი თბილისიდან დაბრუნდა, მოითხოვა საჯარო გასამართლება. გასამართლებას მიტინგზე ახდენდენ.—აფრასიონს ამ გასამართლებაში წილად ხვდა გამარჯვება. მის წინააღმდეგ გამოსულ ორატორებს თავისი მჭერმეტყველური სიტყვით პასუხი გასცა. მიტინგის დიდი უმრავლესობა აფრასიონისაკენ დარჩა— დემონსტრატიულად მიტინგი თავისაკენ წაიყვანა და გზას გაუდგა. მის წინააღმდეგ სერიოზული და „უფლებიანი“ ორატორები გამოვიდა; რ. ჩიხლაძე, ზაქარია გურული. ზ. ჩიჩუა და სხვები,—მაგრამ ამათ შერჩათ ათიოდე კაცი აფრასიონის წინააღმდეგ.

ამის შემდეგ აფრასიონ მერკვილაძემ კატეგორიულად გასწყვიტა კავშირი ორგანიზაციასთან, კონტაქტში იყო ბალშევიკებთან და მენშევიკებთან იმ შემთხვევებში, თუ რაიმე საერთო სერიოზული მოვლენა იყო; მაგალითად, პოლიციაზე ან ჯარზე თავდასხმა სხვანაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად ოფიციალური ორგანიზაციების მას არა სწამდა რა; მათ მუშაობას პესიმისტურად უყურებდა.

რეაქციის თარეში მაზრებში.

მოსკოვ-პეტერბურგის რევოლიუციონური მუშების დამარცხება მეფის მთავრობის მიერ ნიშნავდა შორაპნის მაზრის რევოლიუციონურ მოძრაობის სასტიკად ჩახშობას. შორაპნის მაზრის ბედი რუსეთში დიდ რევოლიუციასთან იყო დაკავშირებული. დასავლეთი საქართველო გინდ მთელი საქართველო რეაქციონურ რუსეთის ჯარს ვერ გაუმკლავდებოდა, ამაზე ოცნებაც კი არ შეიძლებოდა. ცნობილია, რომ იაპონიასთან იმპერიალისტურ ომში დამარცხებულმა რუსეთის თვითმპყრობელობამ შორეულ აღმოსავლეთში მყოფი ჯარი „შინაურ მტრებს“ მუშებს და გლეხებს მიუსია. ლიხის მთას, იმერეთზე გასალაშქრებლად, უთვალავი ჯარი ზარბაზნებით და ტყვიისმფრქეველებით მოადგა. შორაპნის მაზრა გზაა დასავლეთ საქართველოში შესასვლელად, ამიტომ მაზრას კიდევ მეტი უბედურება დაატყდა თავს. გარდა იმ ჯარისა, რომელმაც სპეციალურად შორაპნის მაზრის დასასჯელად იყო გამოგზავნილი, მაზრას გურია-სამეგრელოს „დასამშვიდებლათ“ გზათ მიმავალი ჯარიც მოსკვენებას არ აძლევდა. შორაპნის მაზ. საშინლად ააწიოკა დამსჯელმა რაზმებმა. დასწვეს ყვირილა, ბელაგორი, ჭითურა, ცეცხლსა და მახვილს მისცეს შორაპნის მაზრის სოფლები. მაზრას გადასახადათ დაადეს ყვირილის ხაზინიდან პარტიის მიერ კონფისკაციაქმნილი ფული. სამღვდელოების და მემამულეების ღალა ერთი-ორად გლეხობას შეაწერეს. მაზრა სოფლად გადაიქცა; ბრუნდი და მართალი დაიხვრიტა. ხალხის ნაოფლარი განიავდა, მოძრაობის მონაწილე და არა მონაწილე ასობით ციხეში და ციმბირში გაიგზავნა. ხალხის დამცირებას, შეურაცყოფას, დარბევა-აწიოკებას საზღვარი არ ჰქონდა. ხალხში შიში იყო და გლოვის ზარმა მოიცო, იმედ-დაკარგულმა ხალხმა არ იცოდა, ხვალ ცოცხალი იქნებოდა, თუ მკვდარი.

შავი რაზმი.

ალიხანოვის ჯარის ჩამოსვლამ მაზრაში სრული გადატრიალება მოახდინა; აღსდგა ძველი წესები, სოროებში მიმალულ რეაქციონერებს, თავად-აზნაურებს, პოლიციელებს და მღვდლებს და მათ მოციქულებს ფრთები შეესხა, რეაქციამ იარაღი აისხა. ადგილობრივი შავი რაზმი დამსჯელი რაზმის საუცხოო აგენტი შეიქნა. მაზრაში ასპარეზზე გამოვიდა ცნობილი „ესერი“ კოლია ნემსაძე, „პრისტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვი'' ლ. მახარაძე, აზნაური ვარდენ საყვარელიძე, სოგრატ აბაშიძე, ქარქაშაძე და სხვ. ამათ იკისრეს ,,კანონისა და სამართლიანობის'' გატარება. ყველა ესენი და სხვები 1905 წელს „ბამა აბრამის ბატკანს'' მოგაგონებდა—იცოდენ ვინ რას აკეთებდა, ვინ რა იყო. ისინი გახდენ რუსეთის მეფის აგენტების ზრახვების გამნაღდებელნი მაზრაში. ხალხს იმდენს ვერას აკლებდა შორე გუბერნიებიდან ჩამოსული რუსის სალდათები და სარდლები, რამდენსაც ადგილობრივი შავი რაზმი. ესენი შეუბრალებლად ხოცავდენ და ჟლეტდენ თავიანთ მეზობლებს ,,პრისტავის'' თანამდებობის საშოვნელად და ,,სტრაჟნიკის'' მათრახის ხელში დასაკავებლად.

ორგანიზაციის ტაქტიკა

აღვირ წახსნილ რეაქციასთან ბრძოლა ძნელი შეიქნა. ბრძოლის მიცემის შემდეგ პარტია უფრო ზარალდებოდა, რეპრესიებს აორკეცებდენ. პარტია იარაღების გადამალვას, ხალხისათვის იმედის მიცემას და მომავალი ბრძოლისათვის მზადებას შეუდგა. ახლა ორგანიზაციების მთავარ ამოცანას შეადგენდა პატარა რევოლიუციონური უჯრედების შენახვა ღა ზრუნვა გაბაწრულ, გადასახლებულ და ციხეში მყოფ რევოლიუციონერებზე.

ეს იყო ტაქტიკა მაშინდელი ორგანიზაციების; აფრასიონ მერკელაძე ამას არ ემორჩილება, ის იარაღს არ ყრიდა, რეპრესიებს ტერორით უპასუხებდა. პარტიამ გადასწყვიტა აფრასიონთან მოლაპარაკება. აფრასიონი დათანხმდა წინადადებაზე. დაშალა რაზმი, რამოდენიმე თან წაიყვანა და ბათუმში გაემგზავრა.

აფრასიონის დაბრუნება მაზრაში.

ბათუმში არალეგარულად ცხოვრების დროს აფრასიონის ყურამდის მივიდა ყველა ის საშინელებანი, რაც ხდებოდა მაზრაში! ყოფილი რაზმელების დაჭერა, დახვრეტა და ხალხის აწიოკების სურათი აფრასიონის წინაშე გადაიშალა. ის ბათუმიდან მაზრაში დაბრუნდა, დარჩენილ რაზმელებს თავი მოუყარა, იარაღი აისხა, პარტიზანული ომი გაჩაღდა. აფრასიონი და მისი რაზმი არ ინდობს არც ერთ მოღალატეს. ის გადავიდა შეტევაზე—პოლიციის მოხელეებზე და სოფლის თავაშვებულ რეაქციონერებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერორისტული აქტები.

დაბრუნდა თუ არა აფრასიონი ბათუმიდან, შეუდგა ტერორისტულ აქტების წარმოებას. რეაქციის წათამამებული თავად-აზნაურობის ერთი ნაწილი გლეხობაზე შურისძიებას დასასრულს არ აძლევდა. ის, რაც 1905 წელში იგემეს გლეხობისაგან, ეხლა ერთი ორად ინაზღაურებდენ. აფრასიონი შეუდგა მათ ალაგმვას. 30 იანვარს 1906 წელს სოფ. საზანარში თავს ესხმის იაგორს, კოწიას და ალექსანდრე მდივნებს. რაზმელებმა მოკლეს იქ მყოფი ივანე მემენაშვილი. დასჭრეს კოწია და ალექსანდრე მდივნები და ქალი ლიდია ამირეჯიბი:.

3 თებერვალს ს. არგვეთში რაზმი თავს ესხმის ტრიფონს და ნიკო ჭაჭიაშვილების ოჯახს: ჭაჭიაშვილებს რაზმი პოლიციასთან კავშირს და „შპიონობას“ აბრალებდა. ნიკო და ტრიფონ ჭაჭიაშვილი რაზმმა დახოცა 16 თებერვალს, რაზმის ერთი ნაწილი ს. ძანში თავესხმის გალაქტიონ ლოლაძეს. ლოლაძეს რაზმი ბრალდებათ უყენებდა პოლიციასთან კავშირს და „შპიონობას“. ლოლაძე რაზმმა მოჰკლა.

იმავე 16 თებერვალს რაზმის მეორე ნაწილი ს. დილიკაურში თავს ესხმის იაგორ და ვარდენ საყვარელიძეებს. ეს ცნობილი ვარდენია, რომელიც გასამართლებული იქნა საბჭოთა ხელისუფლების დროს როგორც ძველი დაუწდომელი პოლიციელი. ვარდენ საყვარელიძე კი სიკვდილს გადარჩა.

8 მარტს, იმავე 1906 წელს ს. კიცხში გამოცხადდა სამი წითელი რაზმელი და დასჭრეს აზნაური ჯიბო ბარათაშვილი.

ჯიბო ბარათაშვილს რაზმი პოლიციის აგენტობას და ხალხის წინააღმდეგ სასტიკ რეპრესიების წარმოებას აბრალებდა.

მეორე დღე, 9 მარტი კი, კინაღამ საბედისწერო შეიქნა წითელი რაზმისათვის. ს. საზანარში ეკლესიის ეზოში დაღლილ-დაქანცულ რაზმი ისვენებდა, რაზმის მთავარი ძალები აქ იყო თავმოყრილი; თვით აფრასიონ მერკვილაძე, კაცია გაფრინდაშვილი, თეოფანე კაპანაძე, კოლია ლორთქიფანიძე, თომა ჩუბინაძე, ისმაილ ჭუმბურიძე, ალექსანდრე ქურციკიძე, ტერეფონ კაპანაძე, ბიქტორ სარდნაძე, გიორგი ჭუმბურიძე და ამბაკო სამანიშვილი. ლ. მახარაძემ ცნობა მიიღო, რომ რაზმი სახანოს ეკლესიაში იმყოფება. დიდძალი რაზმით მახარაძემ ეკლესიას ალყა შემოარტყა. გაჩაღდა ომი შავსა და წითელ რაზმს შორის. რაზმმა გაისროლა რამოდენიმე ბომბი, ალყა გაარღვია და გავიდა. ამ შეტაკების დროს რაზმმა მოჰკლა ურიადნიკი ივანე სტეპანოვი—მოკლულს იარაღიც აართვეს და გაიქცენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაზმელების მხრივ ბრძოლის დროს მოკლულ იქნა ბიკტორ საირდანაძე და გიორგი ჭუმბურიძე (მოკლული რაზმელების წაღება რაზმმა ვერ მოასწრო, საზოგადოთ რაზმი ბრძოლის ველზე დახოცილ რაზმელებს იშვიათად უტოვებდა მტერს, მკვდრები თან მიჰქონდათ). იმავე ხანებში რაზმი ჭკლავს ს. არგვეთის მღვდელს გიორგი ფერაძეს მკვლელი ალექსი ტრაპაიძე ადრე შეიპყრეს და საველე სასამართლომ ის ყვირილაში სასტიკად დასაჯა. (ტრაპაიძეს ჯერ სცემეს და შემდეგ დახვრიტეს).

ჯოჯოხეთის მანქანის მოწყობა.

რაზმის ერთ მთავარ ამოცანას შეადგენდა „პრისტავი" მახარაძის თავიდან მოშორება; მახარაძე რაზმს არ ასვენებდა, რაზმთან შეტაკებას არ ერიდებოდა. ჯოჯოხეთის მანქანის მოწყობის მიზნით დაქირავებულ იქნა ოთახი სადგურ შორაპანში მღვდელ ხუსკივაძის სახლში.

წითელი რაზმის მიზანი იყო გამოეწვია მახარაძე ჩხრეკისათვის. ამიტომ „სტრაჟნიკ" კალანდიამ ვითომ ხელში ჩაიგდო საიდუმლო წერილი, რომელიც ლ. მახარაძეს მიუტანა. წერილი იყო მიმართული პავლეზე, ხელს აწერდა სიმონ ჟღენტი. ამ წერილში პავლეს სიმონ ჟღენტი სწერდა, რომ სადგურ შორაპანში ჩამოტანილია საიდუმლო სტამბა, რევოლვერები და პატრონები, ინახება ხუსკივაძის სახლის ამ და ამ ოთახში. ჟღენტი სთხოვდა პავლეს, რომ საჩქაროთ გადაეტანა ყოველივე, რადგან მახარაძისაგან ჩხრეკაა მოსალოდნელია. რაზმს იმედი ჰქონდა, რომ მახარაძე ახლა გახდებოდა ბომბების მსხვერპლი, მაგრამ მახარაძემ „ფრთხილად" მოახდინა ჩხრეკა: „სტრაჟნიკებს" უბრძანა ეროლათ შორიდან იმ ოთახში. მართლაც, სროლის შემდეგ აფეთქება მოხდა. სასამართლოს პროცესზე და გამოძიებაში მახარაძემ აჩვენა, რომ წერილის წაკითხვისთანავე მიეხვდი, რომ ეს „ნომერი" იყო.

თავდასხმა შორაპნის სასოფლო სამმართველოზე.

რაზმს ესაჭიროებოდა პასპორტები, სახელის და გვარების გამოცვლა, ქალაქებში კავშირისათვის, ტყვია-წამლის მოსატანათ წასვლა და სხვა. ამ მიზნით რაზმი თავს ესხმის სამმართველოს და იძენს პასპორტებს. იქვე მყოფ მამასახლისს და პოლიციის მოხელეთ რაზმი არაფერს ეუბნება—მხოლოდ ჩამოართვეს სახელმწიფო ბეჭედი, თავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუფალ ცარიელ პასპორტებზე დააკრეს და ისევ უკან დაუბრუნეს. რაზმი მხოლოდ იქ დაკიდებულ ხელწიფის სურათს ვერ ითმენს. სურათი დაგლიჯეს და გზას გაუდგენ.

სამმართველოზე თავდასხმის შემდეგ რაზმმა ცნობა მიიღო, რომ ეფრემ შალიმბერიძე პოლიციის აგენტია და რეაქციის მოციქული, რაზმმა გადასწყვიტა მისი მოკვლა. 12 მარტს ის მოჰკლეს ცხრა წყაროში.

იგივე რაზმი თავს დაესხა ქუთაისიდან მომავალ თავად-აზნაურობის წინამძღოლს ნესტორ ხიდირბეგიშვილს[1]). მარშალი რაზმმა მოჰკლა. ტერორისტულმა აქტებმა მთავრობა დააფრთხო. აფრასიონის სახელი ძილს უფრთხობს რეაქციონურ ელემენტებს. რამოდენჯერმე აფრასიონს ალყა შემოარტყეს, ეგონათ, ახლა კი ხელში ჩავიგდეთ და რაზმის აღსასრული დადგებაო, მაგრამ რაზმი ყოველგან გამარჯვებული გამოდიოდა.

ბრძოლა ყაჩაღებთან.

შექმნილ მდგომარეობით ქურდ-ბაცაცები სარგებლობდენ. რაზმის სახელით თავს ესხმოდენ და ყაჩაღობდენ. მთავრობისათვის ხელსაყრელი იყო, რათა ყაჩაღობა დაებრალებია წითელ რაზმისთვის მერკვილიძის სახელის გასატეხად. სადაც არ უნდა მომხდარიყო ცარცვა,—მერკვილაძეს და მის რაზმს აბრალებდენ.

რაზმშიც შეიპარებოდა ხოლმე ისეთი მოღალატე და ნაძირალა, რომელიც შავბნელს, რაზმის სახელის გამტეხ საქმეს ჩაიდენდა, აფრასიონი ასეთებს დაუნდობლად ებრძოდა, მან გასწმინდა რაზმი მოყაჩაღე ელემენტებისაგან. ერთს ასეთ რაზმელს, იაკინთე კობახიძეს სიკვდილი გადაუწყვიტა. კობახიძე გაიქცა, აფრასიონი ვერ ურიგდებოდა ყაჩაღებს და ყაჩაღობას, რაც უნდა კრიტიკულ მდგომარეობაში არ ყოფილიყო ჩავარდნილი. აფრასიონს ექსპროპრიაციისაც კი არაფერი სწამდა, თუ გინდ ის პარტიის საჭიროებისათვის ყოფილიყო. ასეთი იყო აფრასიონი, რომლის ყაჩაღობაზე პარტიული და უპარტიო ლაპარაკობდა.

---

[1]) თავის-თავად ცხადია, რომ რაზმი ეყრდნობა ხშირად ხმებს და ეჭვს ამათუ იმ პირის შესახებ და არ შეიძლება ამ მხრივ ესა თუ ის შეცდომა არ იყოს ჩადენილი მთელ რიგ ტერორისტულ აქტებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფრასიონის სიკვდილი.

აფრასიონ მერკვილაძის შიშით მთავრობას მოსვენება არ ჰქონდა, მისი სახელი თავზარს სცემდა შავი რეაქციის მოციქულებს. აფრასიონი რეაქციის სუსხმა ვერ გასტეხა: მას აქვს საკუთარი სტამბა, „არსენალი"; ბრძოლის პროცესში იარაღს იარაღი ემატებოდა, მის გარშემო რევოლიუციონური ძალები თავს იყრიან. მთავრობა და გუბერნატორი აღშფოთებული იყო აფრასიონის და მისი რაზმის განადგურების დაგვიანებით. აფრასიონის ნათესავებს,—მოხუც მამას და.დებს დროგამოშვებით აპატიმრებდენ, აფრასიონის შიშით ანთავისუფლებდენ. მაზრის უფროსმა მანსვეტოვმა და მისმა თანაშემწემ ლ. მახარაძემ კატეგორიულად გადასწყვიტეს ან მაზრიდან გადაბარგება ან მერკვილაძის განადგურება. მისი შეპყრობის იმედი დაჰკარგეს, ახლა ღალატით აფრასიონის მოკვლის ორგანიზაციის მოწყობას შეუდგენ. არავის თავში ეჭვს არ ბადებდა, რომ აფრასიონი ცოცხლად არ დანებდებოდა. ლავრ. მახარაძემ შეიპყრო რაზმელი დიანოზ ცერცვაძე, რომლის შეპყრობის შემდეგ აფრასიონს ბედიც გადასწყდა. ცერცვაძემ აფრასიონის კვალს მიაგნებინა. ჭიათურიდან 10—15 ვერსტის მანძილს მოშორებით ს. სვერში 20 თებერვალს 1907 წელს აფრასიონს ალყა შემოარტყეს—პირველად მან ალყა გაარღვია, სროლის დროს დაჭრილი ამხანაგიც თან გაიტაცა. (მასთან ორი რაზმელი იყო: დუგლაძე და გაჩეჩილაძე) აფრასიონის საუბედუროთ, არა მარტო სახლი ყოფილიყო ალყა შემორტყმული, საიდანაც მტერს გაუსხლტა, არამედ—მთელი სოფელი. წინაალმდეგობამ და სროლამ საღამომდის გასტანა. წითელი რაზმის არწივს, უშიშარს და რევოლიუციის გმირს მტრის ტყვია აღარ ასცდა, ადრე დუგლაძის და გაჩეჩილაძის თოფის ხმა მიწყნარდა... ზემო-იმერეთის ს�ი კლდის ძირში სვერის მთის გადასავალს დაჭრილი აფრასიონი ანდერძს სტოვებს, ანდერძი ნათარგმნია რუსულად და მოყვანილია საბრალმდებლო ოქმში: „Товарищи и мои красносотенцы, не теряйте мою кровь, ни моего наставления, ни пролетарского исповедания и не занимайтесь грабежами, одно только жаждал, чтобы сказать, но не дали звери"... далее письмо нельзя разобрать, так как замарано кровью...

დაჭრილმა აფრასიონმა სიკვდილთან ბრძოლის წუთებში მიახლოვებულ მტრისთვის ბომბის სროლა სცადა, მაგრამ მას ძალ-ღონე აღარ დაემორჩილა, მტრის ჯარმა ტყვიები ერთხელ კიდევ დაახალა და მან თოვლიან კლდის ძირში სამუდამოთ მიიძინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე ბელადის გამოჩენა.

რაზმელებში ყველაზე მეტი სახელი და სიმპატია პორფილე პაიჭაძეს ჰქონდა, თვით აფრასიონს ის ძლიერ უყვარდა, მის რჩევას ანგარიშს უწევდა. რაზმი ღელავდა.—მოითხოვდენ „სისხლის აღებას“, სამაგიეროს გადახდას, მტერთან ბრძოლის გაგრძელებას, მაგრამ დაობლებულ რიზმს ბელადი, ხელმძღვანელი არ ჰყავდა. ასპარეზზე პაიჭაძე გამოვიდა, მისი მეთაურობა რაზმმა ისურვა. აფრასიონის სიკვდილი მეხივით გავარდა შორაპნის მაზრაში, მანსვეტოვი, მახარაძე, კოლია ნემსაძე, აბაშიძე და საყვარელიძე ზეიმს ზეიმზე მართავდენ. დაობლებული რაზმი აფრასიონის დაკარგვას ცხარე ცრემლით სტიროდა.

ფიცი სასაფლაოზე და შურისძიება.

რაზმმა კატეგორიულად გადასწყვიტა შურის-ძიება. 25 თებერვალს პორფილე პაიჭაძე ამხანაგებით აფრასიონის სასაფლაოზე გამოცხადდა. საბრალმდებლო ოქმში შემდეგნაირათაა მოყვანილი პორფილე პაიჭაძის სიტყვა სასაფლაოზე:

„Слово во время погребения Апрасиона. Пожертовавши собою товарищ и наш учитель Апраспон, мы словами не можем высказать ту речь, которая мучить наше серце. Не можем широко описать Ваше рыцарство, но клянемся нашею честью и убеждением, что завещаное Вами мы исполним, пока мы будем живы, даем слово не оскверним Ваше имя. Мы продолжим борьбу против тиранов, мы не оставим без отомщения диявола Махарадзе Вашу кровь и его сторонникам. Мы пронизим им сердце или мы самы падем, теперь прощай дорогой товарищ Апраспон. Вы доказали вашим соратникам Вашу храбрость, Ваше имя будет незабвеное в нас и в истории, последний раз прикладываемся к Вам“. 1907 г. 25 февраля. П. Панчадзе.

ადრე პორფილე პაიჭაძემ და ცნობილმა ტერორისტებმა რაზმელებმა—სანდრო ბოჭორიშვილმა და ბესარიონ ჟღენტმა ცნობა მიიღეს, რომ მერკვილაძის გამცემნი არიან სოფელ სვერში მცხოვრებნი მღვდელი ღენტორ წერეთელი და „სტრაჟნიკის“ ძმა ბიწაძე. პაიჭაძე ზემო დასახელებული ამხანაგებით სვერში გამოცხადდა, ორივენი გაიტაცა—მიიყვანა იმ ადგილას, სადაც მერკვილაძე იქნა მოკლული და დაკითხვის შემდეგ ორივენი იქვე მოჰკლა.

რეპრესიები კვლავ გაძლიერდა. მერკვილაძის ადგილას მეორე მერკვილაძე გაჩნდა—პორფილე პაიჭაძე, მან კავშირი აღადგინა მაზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაში გაფანტულ რაზმელებთან და მოქმედებას შეუდგა. აფრასიონის დები ალექსანდრა და მინადორა შეიარაღდენ, რაზმში შეედენ— დაეპატრონენ აფრასიონის იარაღის საწყობს, ბომბებს, ვინტოვკებს და ტყვიებს, აწვდიდენ იარაღს წითელ რაზმელებს, ასრულებდენ წითელ რაზმელთა მოვალეობებს.

პაიჭაძის წინადადება ჭიათურის ორგანიზაციას.

პორფირე პაიჭაძემ მოლაპარაკება გამართ ორგანიზაციასთან: რაზმი ვერ ურიგდებოდა იმას, რომ მახარაძე ცოცხლი იყო და მერკვილაძე კი მკვდარი. მახარაძის სიკვდილი ჯერ აფრასიონის სიცოცხლეში იყო გადაწყვეტილი. აი წინადადება, რომელიც მიიღო აფრასიონმა და პორფირემ მახარაძის მოკვლის გამო ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტისაგან რუსეთის სოც. დემ. მ. პარტიისა:

«Исполнительная комиссия комитета Кутаисской губер. этим извещает тов. Апрасиона Мерквиладзе и Порфирия Паичадзе, что она по товарищески обязывает их убить пристава Махарадзе и Колю Немсадзе»

მაგრამ აფრასიონი დაიღუპა ისე, რომ პარტიის მოსისხლე მტერი ცოცხალი დარჩა. ახლა პაიჭაძის წინადადება შემდეგში გამოიხატებოდა: იკისროს ჭიათურის ორგანიზაციამ მახარაძეზე ტერორის მოხდენის ორგანიზაციულად მოწყობა. აქტს შეასრულებს თვითონ და მისი ამხანაგები, რის შემდეგ თანახმა იქნება თითონ და რაზმმა ჩაბაროს იარაღი ორგანიზაციას, მიიღოს "იავკები" მათთვის და რაზმებისათვის და წავიდნენ სხვადასხვა ქალაქებში ორგანიზაციების განკარგულებაში სამუშაოთ.

ხსენებული საკითხი დადებითად გადაწყდა. ჭიათურის ორგანიზაციამ გამოყო ამხანაგები, მათ დაეკისრა პაიჭაძესთან ერთად, მახარაძეზე ტერორისტული აქტის მოწყობა.

თავდასხმა მახარაძეზე.

გადაწყვეტილების შემდეგ მახარაძეზე თავდასხმის გეგმა შემუშავდა. ლ. მახარაძე, ს. სვერში მღვდლის წერეთლის და ბიწაძის მოკვლის გამო, თავისი ამალით ჭიათურას ეწვია. ტერორისტები ორ ადგილას მთავარ სტრატეგიულ პუნქტებში ჩასაფრდენ. მაგრამ ჩასაფრებულ ადგილებს მახარაძე ასცდა, ის სხვა გზით წავიდა. ტერორისტების საფარიდან გამოვიდენ და კვალდაკვალ დაედევნენ. საუბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროოთ, თურმე მახარაძემ ყოველივე იცოდა, იცოდა სად იყვნენ ჩასაფრებული და მასზე თავდასხმის ყოველივე გეგმა. ვაგონის მუშა ბალშევიკი კუხიანიძე მას ცნობებს აწვდიდა, რაზმელები კი კუხიანიძეს არაფერს უმალავდენ და თავიანთ განზრახვას, როგორც ამ ხანაგს, უხიარებდენ. აღელვებულმა პორფირე პაიჭაძემ, სანდრო ბოჭორიშვილმა და ბესარიონ ჟღენტმა იგრძვნეს რა, რომ მახარაძეს შეუძლია გაუსხლტეს მათ ხელიდან და მოჰკრეს თუ არა თვალი, ტყვეები დაახალეს, მახარაძე წაიქცა, მისმა „სტრაჟნიკებმა“ და კაზაკებმა სროლით უპასუხეს ტერორისტებს. მახარაძის მოკვლა ახლა მაინც ფაქტი ეგონათ, მაგრამ მას ტყვია ასცდენოდა, ის უვნებლად გადარჩა.

გაქცეულმა ტერორისტებმა გაიგეს თუ არა, რომ მახარაძე ცოცხალი იყო, იმავე ღამესავე ჭიათურაში შემოვიდენ, რათა მატარებელში ჩაჯდომის დროს, თუ გინდა მსხვერპლად შეწირულიყვენ. მოეკლათ: მახარაძემ ტერორისტებს შეასწრო მატარებელზე, ამნაირად ჰქონდა განწირული თავი პორფილე პაიჭაძეს, ოღონდ მახარაძე მოეკლა.

რეპრესიები თავდასხმის შემდეგ.

შორაპნის სადგურში დააპატიმრეს გრიშა გორდეზიანი. გორდეზიანი ჭიათურაში გამოეგზავნა პ. პაიჭაძეს წერილით ჭიათურის ორგანიზაციის სახელზე. პაიჭაძე და რაზმი სწუხდა, რომ ლ. მახარაძე ვერ მოჰკლეს და სასწრაფოდ ემზადებოდენ მეორეულ თავდასხმელად. გორდეზიანის დაპატიმრებამ ყოველივე აღმოაჩინა. ცემის დროს ის გამოტყდა. წერილის მიზანი, შინაარსი და ვისთან მიქონდა, მახარაძეს აუხსნა, რის შემდეგ სრულიად მოულოდნელად ჭიათურის ორგანიზაციის წევრები დააპატიმრეს (მათ შორის მეც) აი როგორაა ეს საქმე საბრალმდებო ოქმში მოყვანილი:

„Пристав Квирильского участка Махарадзе узнал через своего агента *), что на ст. Шорапани находится некто Гриша Гордезиани, последний секретным поручением м. Чиатури Порфирия Паичадзе; немедленно командировал туда дух стражников, которые задержали названного Гордезиани и доставили его приставу Махарадзе. У Гордезиани оказались два письма, написанные на грузинском языке и написаное Порфирием Паичадзе, из коих одно адресовано на имя Чиатурских товарищей а другое Арсену. По обяснению задержанного Гордезиани первое письмо он должен был доставить Тенгизу Жгенти, а другое Арсену Тодрия...

[1]) გრიშა გორდეზიანი შეპყრობილ იქნა იმავე კუხიანიძის მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორდეზიანის ჩვენება და დაჭერილი წერილი საბედისწრო შეიქნა სასამართლოს დროს. ერთი რომ, წერილში მთელი ანგარიში იყო და იარაღის და თავდასხმის მომავალი გეგმა. ამ წერილშივე იყო ტარასი ბოლქვაძის წითელიშვილთან წასვლის ცნობა და მთელი რიგი ამხანაგების სახელები.

საშინელება შორაპნის ციხეში.

1606-7 წლებში შორაპნის საპყრობილეში ყოფნა წამების ჯვარი იყო. ციხე ყოველივე სამართლის და კანონის გარეშე იდგა; არც ერთ შემთხვევაში იქ ჩავარდნილი ტუსაღი გადარჩენას არ მოელოდა. ან სამხედრო-საველე სასამართლო მოგისპობდა სიცოცხლეს, ანდა სპეციალურად მოწყობილს ცემის და წამების ორგანიზაცია მწარე ტანჯვაში სულს ამოგხდიდა. არსებობდა სამეული: მახარაძე, სოგრატ აბაშიძე და ვარდენ საყვარელიძე. საცემი ადგილი ტუსაღებისათვის ციხის გარეთ იყო მოწყობილი, მახარაძის სახლის შენობაში; ვინ არ დაიტანჯა და ვინ არ დალია შორაპნის ციხეში სული. სანდრო ბოჭორიშვილს ბევრი აღარ უცოცხლია, მან წვალებაში დალია სული. აქ როდი იყო ცემა მარტო იმისათვის, რომ ტუსაღს თავის დანაშაულობა აღიარებია, არამედ — სცემდენ იმიტომ, რომ ის მომკვდარიყო. როდესაც გრიშა გორდეზიანი შემოიყვანეს ჩემი ცემის დროს ჩემდა საცნობად და ხელის დასადებად, მთელი სახე დასახიჩრებული ჰქონდა, კბილები ჩამტვრეული, სახე დასივებული და ჭკუაზე შერყეული იყო. რა თქმა უნდა, ის ამის შემრაც კიდევ თუ რაიმე იცოდა, მახარაძეს უამბობდა. (არა ნაკლები დღე დასდგომია ამ სტრიქონების დამწერს. ამ ეპიზოდის მოყოლა ამ შემთხვევაში ზედმეტად მიმაჩნია, რადგან ამის შესახებ პირად ჩემს მოგონებაში უკვე იყო).

იაკინთე კობახიძე.

კობახიძე მერკვილაძის რაზმელი იყო. აფრასიონმა ის რაზმიდან გარიცხა ყაჩაღობისათვის, რის შემდეგ ის მაინც არ გასწორდა. აფრასიონმა მას სიკვდილი გადაუწყვიტა. ამავე დროს კობახიძეს პოლიციაც სდევნიდა. ადრე კობახიძე მახარაძეს დააპატიმრა. სატუსაღოში ის მახარაძემ გამოიყენა. კობახიძემ მიაგნებია ბათომში თომა ჩუბი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიძის და ისმაილ ჭუმბურიძის კვალს, ტუსაღი კობახიძე მახარაძეთან წაიყვანა ბათუმში,—ჩუბინიძის და ჭუმბურიძის შესაპყრობლად. კობახიძეს ყვირილის ციხეში არავინ არაფერს უმალავდა, გამოუცდელი ტუსაღები უმეტესად ახლა მოყვანილნი „ამხანაგ" ტუსაღს თავგადასავალს და ამხანაგების ვინაობას მოუყვებოდენ. კობახიძე ყველა ცნობას მახარაძეს აწვდიდა. მას დამორჩილებული ჰყავდა თავის საკანში მჯდომი ტუსაღები (მათი რიცხვი ოცზე მეტი იყო) გრიშა გორდეზიანის მიერ ჭიათურის ორგანიზაციის წევრების გაცემა ამავე კობახიძის საშუალებით მოხდა. პირველად თურმე გორდეზიანი მაგრად იყო. ცემას გაუძლო და მახარაძეს უარი უთხრა დანაშაულის აღიარებაში. მაგრამ გამოუცდელი გორდეზიანი შემდეგ ტუსაღ კობახიძეს მოუყვა საკანში თავგადასავალს, ამხანაგების მიზანს და სხვა. იაკინთე კობახიძემ ლ. მახარაძეს ყოველივე უამბო, რის შემდეგ გრიშა გორდეზიანი აწამეს, მან დანაშაულიც აღიარა და ვინც კი იცოდა, გასცა. იაკინთე კობახიძის ჯალათობა ციხეში დიდხანს გაგრძელდა[1]).

მთავრობამ ის, მხოლოდ როგორც იარაღი, გამოიყენა, არ გაანთავისუფლა, პირიქით, როგორც სხვა რაზმელები, იგიც გადასცა—საველე სასამართლოს. კობახიძე ციხიდან გაიქცა, ის ლეჩხუმში შეიპყრეს. კობახიძემ ქუთაისის ციხეში შემოყვანის დროს გვარის გამოცვლა სცადა. რა თქმა უნდა, ეს „ნომერი" არ გასჭრიდა. კობახიძეს ვინ არ იცნობდა. ტუსაღებმა კობახიძეს ჯერ სცემეს და შემდეგ „დო-ვეტრუ"-ში დანით მოჭკლეს.

რაზმის დაქსაქსვა.

მახარაძეზე თავდასხმის შემდეგ რეპრესიები ერთი ორად გაიზარდა. პოლიცია აღარავის ინდობდა. საკმარისი იყო უბრალო ეჭვი ან ვისმეს დასმენა, რომ მერკვილაძის რაზმის საქმეზე თავი ამოგვყო ციხეში. წითელი რაზმი კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდა. ზოგიერთები მაზრიდან გავიდენ. ცნობილია კოლია ლორთქიფანიძემ ბაქოში მოახერხა გაპარვა. ლორთქიფანიძე ამ საქმეზე დააპატიმრეს. მიუსაჯეს ექვსი წლით გამასწორებელი რაზმი, მაგრამ რადგან მას ბრალი ედებოდა მერკვილაძის რაზმის საქმეზე—პოლიტიკურ საქმეზე და ტეროროისტულ აქტებზე, ბაქოდან ქუთაისის ციხეში გადმოიყვანეს, მეორეხელ გასასამართლებლად.

---

[1]) ჭიათურაში დაპატიმრების დროს ჩემთან დაპატიმრებულ ამხანაგებთან ერთად (თიდრია, ჭოლაძე და სხვები) მიგვიყვანეს კობახიძის საკანში. მაგრამ მან შესამე დღესვე მოითხოვა ჩვენი იმ საკნიდან გაყვანა. რაღაც ცილი დაგვწამა, თითქოს ჩვენ შეგვეტანოს ციხეში სადგისი და დანა მის მოსაკლავად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაიჭაძის შეპყრობა.

ქუთაისის ციხეში 70 მეტი მერკვილაძის რაზმელი უკვე იჯდა. გამოძიების დამთავრებას და სასამართლოს დანიშვნას პირი არ უჩანდა, რაზმელები დაპატიმრების დროს ძალზე იყვნენ ნაცემი, ამიტომ დიდ ტანჯვა-წვალებას განიცდიდნენ. მერკვილაძის რაზმი ტუსაღებზე გავლენას ახდენდა. მათ განსაკუთრებული თვალყურის დევნა ჰქონდა. რაზმელები რკინის ბორკილებში იყვნენ ჩაჭედილნი. პორფილე პაიჭაძემ ცნობა მიიღო, რომ ქუთაისის ციხეში გამეფებულია სასტიკი რეჟიმი, მეტადრე ცუდათ ექცევიან მერკვილაძის რაზმელებსო. პაიჭაძე ქუთაისში წამოვიდა მთელი რიგი ტერორისტული აქტების მოსახდენად, მეტადრე ციხის უფროსის და ციხის მეთვალყურეების გასაწყენდათ, რათა ტეროორის შიშით მთავრობას შეეცვალა ციხის სასტიკი რეჟიმი. შორაპნის, ყვირილის და რიონის სადგურები პაიჭაძემ მშვიდობიანად გამოიარა, მაგრამ, საუბედუროთ, შეიქნა ქუთაისის სადგურის ბედის წერა. წინად პაიჭაძე რკინის გზის ვაგონების დამლაგებელი იყო. ამ დროს მას მიანდვეს ხულიგან სადგურის უფროსის მოკვლა, რის გამო მას 15 წლის კატორღა ჰქონდა მისჯილი. მას მერკვილაძესთან შეერთებამდისაც სასტიკად დაეძებდნენ. ქუთაისის სადგურის ჟანდარმმა ის იცნო... პაიჭაძის ბედიც გადაწყდა. ჟანდარმთა რაზმმა სადგურში მას ალყა შემოარტყა—პაიჭაძემ შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ გვიან იყო. გაძლიერებული „კონვოით“ პორფილე ციხეში მოიყვანეს. მისმა შეპყრობამ ტუსაღეს თავზარი დასცა. პაიჭაძე მოათავსეს ცალკე საკანში. მისი საკანის გასაღები ჩვეულებრივ ზედამხედველებს აღარ ანდვეს. პაიჭაძე ფეხებშიაც და ხელებშიაც ბორკილებით დასჭედეს. პოლიცმეისტერი, „პრისტავი“, გუბერნატორი და სხვა ხულიგნები ციხეს აწყდებოდენ, შეეხედნათ იმ კაცისათვის, ვინც მათ შიშის ჟრუანტელს გვრიდა და მოსვენებას არ აძლევდა.

სისხლის სამართლის საქმე თუ პოლიტიკური.

პორფილე პაიჭაძის შეპყრობის შემდეგ რაზმის არსებობის ბედი გადაწყდა. დაპატიმრებულთა საქმეების გამოძიებითი დასრულებას მთავრობა შეუდგა ყოველ ხერხს ხმარობდა ამ პროცესისთვის სისხლის სამართლის ხასიათი მიეცა და არა პოლიტიკური, მაგრამ ეს ვერ შესძლო. ბევრი იმუშავეს ამ მხრით საგანგებო საქმეთა გამომძიებლებმა ჯერ ბოიკომ, შემდეგ სენკევიჩმა. დაბოლოს იძულებული შეიქნენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანახმად დაბერილ დოკუმენტებისა და ფაქტებისა, საქმისათვის მიეცათ რევოლიუციონური ხასიათი.

საბრალმდებლო ოქმი, რომელიც მთელ დიდ წიგნს წარმოადგენს და ჩაბარდა თვითეულ ტუსაღს გასამართლების წინ, მეტად საინტერესოა. გამოძიებას მოყავს სრულიად უცვლელად რუსეთის სოც. დემ. შუშათა პარტიის პროგრამა, პარტიის ყველა მოთხოვნილებანი და სხ.

ოქმი ნათლად ამტკიცებს ერთი მხრით აფრასიონის და რაზმის მომზადებას, მეორე მხრით მთავრობის შეხედულებას გამოძიების დასრულების შემდეგ. ნახული დოკუმენტები, მიწერ-მოწერა და მოქმედება იმდენად რევოლიუციონურია, რომ დამნაშავეთა ყაჩაღებათ მონთვლა მთავრობამ ვერ შესძლო; რა თქმა უნდა, მისთვის ეს ხელსაყრელი იყო, მას ამით უნდოდა დაემტკიცებია, რომ მოძრაობა და სოციალ-დემოკრატია ყაჩაღობა და ყაჩაღებია. თვით აფრასიონი რომ იდეური და პოლიტიკური მოღვაწე იყო, ამაში ეჭვის შეტანაც არ შეიძლება. მიუხედავათ იმისა, რომ აფრისიონის ცხოვრება დევნა და წვალება იყო გამხეცებული მთავრობის აგენტების მეოხებით, ის გონებრივ განვითარებაზე ზრუნავდა. მისი მოძრავი ბიბლიოთეკა ჩავარდნილი მთავრობის ხელში მოკლის დროს შესდგებოდა შემდეგი წიგნებისაგან: „Капитал“ Карл Маркса. „Наши разногласия“ Плеханова. „Классовая борьба во Франции“, К. Маркс: Доклад обед с'езда соц. дем“. письмо Ленина. „Крестьянский вопрос во Франции и Герм.“ Ф. Энгельса. „Соц. переварот“ Кауцкого, „Государственная дума“ Шлихтера... ან „ყაჩაღი“ აფრასიონის სამგზავრო ბიბლიოთეკა! აფრასიონს სწამდა, რომ მოძრაობის მეთაურობას ცოდნა სჭირია.

სასამართლო.

ტუსაღები და საზოგადოება მომავალ მერკვილაძის პროცესზე ბევრს ლაპარაკობდენ. მერკვილაძის საქმე რამდენიმე ტომისგან შესდგებოდა. საბრალმდებლო ოქმი კი მთელ წიგნს წარმოადგენდა. ნაწილი ბრალდებულების კიდევ არ იყო შეპყრობილი. ნაწილიც ციხიდან გაიქცა, მაგრამ საქმის გარჩევა მაინც უნდა დანიშნულიყო. ამ საქმემ გამოძიებაში გასტანა ხუთი წელიწადი. არა ერთი საჩივარი და თხოვნა იქნა მიცემული უმაღლეს მთავრობისადმი საქმის გამოძიების დაჩქარების შესახებ, მაგრამ მას დასასრული არ უჩანდა. სასამართლოს თავმჯდომარეთ დაინიშნა ცნობილი ჯალათი ღენერალი იგნატიევი, ბრალმდებლად გამოვიდა კავკასიის სამხედრო სასამარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თლოს პროკურორის თამაშემწე პოლკოვნიკი გოლიცინსკი, სასამართლოს წევრებათ მე-202 გორის ქვეითა პოლკის კომანდირი გამალეი და 201 ქვეითა პოლკის კომანდირი ფეოდოროვი. სასამართლოს სხდომა დაიწყო ენკენისთვის დამლევს 1911 წ. და გათავდა იმავე წლის ოცდა თერთმეტ ოქტომბერს. დამცველად პარტიამ სახელმწიფო დუმის სოციალ დემოკრატიული ფრაქციის საშუალებით ცნობილი სოკოლოვი (მაშინ ბალშევიკი იყო) პეტროგრადიდან გამოიწვია. გამოვიდენ აგრეთვე ქართველი დამცველები: გრიგოლ გიორგაძე, ირდიშვილი, საყვარელიძე და სხვები. საქმე გაირჩა დახურულ კარებში. საქმის გარჩევის პერიოდში, ქალაქს, სასამართლოს შენობას და ციხეს გაძლიერებული ჯარი იცავდა. ტუსაღები ხელშიც და ფეხშიც რკინის ჯაჭვებით იყო დაბორკილი და ერთი მეორეზე გადაბმული. ვექილების და პარტიის ცდა შეადგენდა სიკვდილის სასჯელის აშორება ბრალდებულებისათვის. ნაწილი ტუსაღებისა სასამართლოს წინაშე გამოტყდა დანაშაულში.

განაჩენი.

სასტიკმა განაჩენმა ყველაზე ცუდათ იმოქმედა. სოკოლოვი სასწრაფოდ გაემგზავრა პეტერბურგს, რათა „პროტექციით" ემოქმედა მეფის მოადგილეზე განაჩენი სისრულეში არ მოეყვანა. გამოვიდა ცნობილი კადეტის ნაბოკოვის წერილი „რუსსკია ვედომოსტში". წერილის მიზანი იყო ემოქმედა მთავრობის უმაღლეს წრეებზე სიკვდილის დასჯის შეცვლის შესახებ.

მაგრამ ყოველივე ამაოთ. 18 ნოემბერს 1911 წელს „ჩორნი დვორში" განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი; ჩვენ ხელთ გვაქვს განაჩენის სრული ტექსტი, რაც ნიმუში და დამახასიათებელია მეფის თვითმპყრობელობის სამხედრო სასამართლოების და კანონების.

18 ნოემბერი წარუშლელია იმათ მეხსიერებაში, ვისაც ბედმა არგუნა ყოფილიყო მაშინ ქუთაისის ციხეში. ეს ტრაღიკული მომენტი მწარე მოგონებაა არამც თუ მარტო მერკვილაძის საქმის მონაწილეთა, არამედ ყველა ტუსაღებისათვის განურჩევლად მათი პოლიტიკური რწმენისა და მიმართულებისა. აქტის შესრულების შემდეგ თვითმპყრობელობის ჯალათების მიერ, დამგლოვიარებული ტუსაღების ნუგეშის მიმცემი არავინ იყო. ტუსაღებს ამხნევებდა მხოლოდ ის, რომ უშიშრად გასვლამ სახრჩობელაზე სიკვდილის საშიშროება გააქარწყლა. „ნადზორატელებმა", რომლებშიაც კიდევ იყო დარჩენილი პატიოსნების ნამცეცი და დაესწრენ ამ სურათს, შემდეგი გადმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვცეს: ზიარებაზე ტუსაღებმა უარი სთქვეს, ჯარს სიტყვით მიმართეს პ. პაიჭაძემ და კ. ლორთქიფანიძემ. მათ აუხსნეს, რომ ისინი გადიან სახრჩობელაზე არა იმიტომ, რომ ჩაიდინეს რაიმე ბოროტება, არამედ იბრძოდენ მუშათა კლასის გასამარჯვებლად.

განაჩენის კითხვა და სხვა ცერემონიები ტუსაღებზე არავითარ გავლენას არ ახდენდა. ისმაილ ჭუმბურიძე თვით შეხტა სკამზე, რათა თავი გაეყო სახრჩობელაში, მაგრამ მას ჯალათებმა ეს არ დაანებეს, სანამ არ შეასრულეს დახრჩობის საზიზღარი პროცედურა, მანამ არ გადასცეს ის ჯალათის ხელში. კოლია ლორთქიფანიძემ მიმართა ციხის უფროსს შემდეგი სიტყვებით: «Господин начальник, разрешите нам попращаться между собою».

რამოდენიმე წუთში ტუსაღებმა ერთმანეთი ჩაკოცნეს და თითქოს აქ არაფერიაო, ჯალათის მიერ გამზადებულ თოკში თავი გაყვეს. ექვსი ამხანაგი: პორფილე პაიჭაძე, ტრიფონ არაბიძე, კოლია ლორთქიფანიძე, ალექსანდრე სვანიძე, ისმაილ და სერაპიონ ჭუმბურიძეები ჯალათმა ციხის „ჩორნი დვორში“ ჩამოახრჩო.

ვინ არის ისეთი, მაშინდელი ტუსაღი, რომ ოდესმე ეს საშინელება დაავიწყდეს და ქება-დიდებით არ მოიგონოს ის ამხანაგები, რომლებმაც დაუმტკიცეს ყველას,—თუ როგორ უნდა სიკვდილი თავისუფლებისათვის. სამწუხაროდ, პაპიროსის ქაღალდზე დაწერილი პაიჭაძის წერილი არ შემრჩა, რომელიც მწერდა, ქვედა სართულიდან ზევით: სჩანს, ჩვენი ბედი გადაწყვეტილია, ჩვენ გვაიმედებს ის, რომ შენ გადარჩი. რამდენიმე წლის შემდეგ თავისუფალი იქნები—გახსოვდეს ჩვენი საქმე და ნუ დამივიწყებო. ერთხელ კიდევაც მოვათავსე გაზეთში წერილი მათი საფლავის მოწყობის შესახებ, მაგრამ არავინ გამომეხმაურა...

ყველანი დამნაშავე ვართ...

თენგიზ ყლენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარკვევი ქართული აზროვნების ისტორიიდან.

1. ჩვენი ეკონომიკა 1850—1870 წლებში.

50-იან და 60-იან წლებს ქართული აზროვნებისა და კულტურის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს: ამ ეპოქაში დაიწყო ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ღრმა მნიშვნელობის დიფერენციაცია და ქართული კულტურის აყვავებისა და აღორძინების საქმეს მტკიცე საფუძველი ჩაეყარა.

როგორი ისტორიული მიზეზები ედვა სარჩულად ამ მოვლენას და რაში გამოიხატებოდა ძირეული შინაარსი დაწყებული მოძრაობისა აზროვნების სფეროში? ზოგიერთი ჩვენი მკვლევარი ერთობ იოლად სწყვეტს ამ საკითხს; მათი განმარტებით ვორონცოვის პოლიტიკამ ხელი შეუწყო კულტურულ აყვავების საქმეს თეატრისა, ჟურნალისა და გამომცემლობის მოწესრიგებით, ხოლო შემდეგში რუსეთის უნივერსიტეტებში აღზრდილმა ახალგაზრდობამ ჩვენში შემოიტანა რუსეთისა და ევროპის პროგრესიული აზრები და თეორიები. მაგრამ ასეთი ახსნა ისტორიული ხასიათის მოვლენისა არ შეიძლება სრულად ჩაითვალოს. მათი წარმოშობის მიზეზი უფრო ღრმაა და იგი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარებაში მარხია. აღნიშნულ მოვლენის სწორ **ისტორიულ-სოციოლოგიურ** შეფასებას მივიღებთ მხოლოდ მაშინ, როდესაც გამოვარკვევთ ეპოქის ეკონომიურ სტრუქტურასა და იმ სამეურნეო ამოცანებს, რომელიც მორიგ საკითხთა რიგში წამოაყენა ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობამ.

ჩვეულებრივად ჰგონიათ, რომ ბატონ-ყმურ საქართველოში არავითარ ეკონომიურ ცვლილებას არ ჰქონია ადგილი. მაგრამ ეს შემცდარი მოსაზრება არის; ჩვენი საზოგადოების ეკონომიური ცხოვრების ხერელეთ შესწავლაც კი გვარწმუნებს იმაში, რომ საქართველოში რუსეთის მართველობის შემოქრის მეორე დღიდანვე საგრძნობლად შემოიჭრა **სავაჭრო კაპიტალი**, რომელმაც დარღვევისა და გაბანდგურების ელემენტები შეიტანა ბატონ-ყმურ ურთიერთობაში, ხოლო 50-იან წლებში ჩვენ ვამჩნევთ **სამრეწველო კაპიტალიზმის** ელე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენტებსა და ფორმებსაც, რაც აუცილებლად აღსანიშნავი არის. კაპიტალიზმის ეს ფორმები ისახებოდა როგორც ქალაქში, ისე სასოფლო მეურნეობაში. ავალაპარაკოთ ფაქტები: ამიერ-კავკასიაში ვაჭრობა უცხოეთთან შემდეგნაირად ვითარდებოდა: 1822 წ. შემოტანილი და გატანილი იყო 1.289.108 მან. საქონელი; 1840 წ.—4.426.724; 1851 წ.—5.298.233; 1860 წ.—7.368.084; 1865 წ.—13.193.798; 1870 წ.—15.388.718 მან.[1]). ასე ვითარდებოდა ამიერ-კავკასიის სავაჭრო ურთიერთობა მხოლოდ უცხოეთის ქვეყნებთან. რაც შეეხება რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობას, იგი რამდენადმე ჩამორჩებოდა უცხოეთისას, და მხოლოდ 1876 წელს დაეწია მას, როდესაც სავაჭრო ურთიერთობამ რუსეთთან მიაღწია 14.715.118 მან. სამწუხაროდ, ამ ჟამად ხელთ არა მაქვს ცნობები ამიერ-კავკასიისა და კერძოდ საქართველოს შინა-ვაჭრობისა და სავაჭრო დაწესებულებათა შესახებ, მაგრამ მოყვანილი ცნობები საგარეო ვაჭრობის შესახებ საკმაო საბუთს იძლევიან იმისა, თუ რამდენად საგრძნობლად შეიჭრა ამიერ-კავკასიაში სავაჭრო კაპიტალისტური ურთიერთობა.

ახლა განვიხილოთ ფაბრიკა-ქარხნების განვითარების საქმე, უკეთ სამრეწველო კაპიტალის შეჭრის საკითხიც. 1835 წლისათვის **ორესტ ეფეცკი** სწერდა, რომ საქართველოში არ არის ფაბრიკები, გარდა ტფილისის ერთი აბრეშუმის საქსოვისა[2]). 1858 წ. ტფილისის გუბერნიაში მოიპოვება 239 ფაბრიკა-ქარხანა, რომელთა საერთო წარმოება უდრიდა 512.321 მან.[3]) რასაკვირველია, ეს ფაბრიკა-ქარხნები წვრილი ტიპისა იყო. 1869 წელს იმავე ტფილისის გუბერნიაში ფაბრიკა-ქარხნის რიცხვი უდრიდა 367-ს, ხოლო მათი წარმოება კი 382.279 მან.[4]). 1869 წელს ცნობებში არ შედის სრულად თვით ქალ. ტფილისის ფაბრიკა-ქარხნების რიცხვი. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ფაქტები ნათლად ამტკიცებენ იმ მოსაზრებას, რომ 1850 წლებიდან საქართველოში უკვე იწყება სამრეწველო კაპიტალიზმის შემოჭრის ნელი პროცესი, რაც 70-იან წლებისათვის უკვე საკმაოდ საგრძნობი შეიქნა.

„კაპიტალიზაციის“ პროცესს ვერ **ასწრებს** ჩვენი სოფელიც. უფრო გარკვევით რომ ვსთქვათ, კაპიტალისტური ელემენტები ჩვენს

[1]) იხ. „Кавказский Календарь“ за 1879 год, გვ. 342—5.

[2]) იხ. О. Евецкий: „Статистическое описание Закавказского края“ გვ. 134, 1835 წ.

[3]) იხ. Сборник материалов для описания Тифлисской губернии, под редакцией К. Виссермана. т. I. вып. I გვ. 72—74, 1870 წ.

[4]) იხ. იქვე გვ. 201—02.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასოფლო-მეურნეობაში ჯერ კიდევ ბატონ-ყმურ ეპოქაში შეიჭრა. მთელი რიგი მებატონეებისა მამულების კულტურულ დამუშავებას შეუდგა და საგრძნობ ცვლილებებსაც მიაღწია. ამის შესახებ ბევრს სწერდენ „მამულის პატრონობისა და ვაჭრობის გაზეთ „გუთნის დედაში“, რომელიც ჟურნალ „ცისკარის“ დამატებად გამოდიოდა. აქედან ჩვენ მოვიყვანთ რამოდენიმე ციტატას, რომელიც საუცხოოთ ახახიათებს ჩვენს სასოფლო მეურნეობაში შეჭრილ ვითარებას. „გუთნის დედის“ ერთ-ერთი თანამშრომელი სწერდა:

„ეხლანდელ გაღვიძებას სხვა საფუძველი აქვს და სიხარულით ვაღიარებ, რომ ეს საფუძველი არის ნამდვილი ბუნებითი და ამისათვის შეურყეველი და საუკუნო... ამასთან უნდა მოვიხსენიო, რომ ერთი უმთავრესთა მიზეზთაგანი გაღვიძებისა ის არის კიდევ, რომ ამ ბოლო დროებში ძალიან გამრავლდა ჩვენი აღებ-მიცემა ევროპის ხალხთან, მოსვლა ევროპიელებისა ჩვენს მხარეში და გატანა ჩვენი საქონლისა... მართლაც ამ ბოლო დროს, აქაურმა ევროპიელებმა დაუწყეს ზიდვა ჩვენს გამოსავალსა, ბამბასა, მატყლსა, აბრეშუმსა, წმინდა სანთელსა და სხვ., გარდა ბევრმა ევროპიელებმა დაიწყეს მოსვლა მხოლოდ საქონლის გასაზიდავად მეტადრე იმას შემდეგ, როცა ევროპაში გაჩნდა აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობა. ყველა ამ შემთხვევას ის შეუდგა, რომ ჩვენი მიწის, ანუ პირუტყვის გამოსავალს დაედვა ფასი და წაახალისა ხალხი და რამდენიც ეს აღებ-მიცემა გამრავლდება, იმდენი ფასიც აიწევს და ხალისიც გამრავლდება. რასაკვირველია, რომ თვით განათლების წარმატებასა, საჭაროების გამრავლებას და მომავალ ცვლილებასა ბატონ-ყმობის საქმეზე აქვს დიდი მონაწილეობა მამულის კეთების ზრუნვის გამრავლებაში, რომელიც ჩვენს დროში არის მომხდარი უეჭველად და ყველასათვის საცნო საქმე. **თავის დღეში არა ყოფილა ამდენი მსურველი ახალის მაშინების ანუ ახალი თესლების დაბარებისა, არც ამდენი მთხოველი სხვა და სხვა ხვნა-თესვის ნაწილებზედ გარიგებისა, არც მომხმარები მამულზე ამდენი ფულისა, ბოლოს დროს ტფილისში და გარეშე აშენდა რამდენიმე ქარხანები, რომელიც არ შაარცხვენდენ თვით ევროპის მხარესა და გამოჩნდენ მამულის მკეთებელნი სოფლებშიაც, სადაც მოაწყვეს თავიანთი მამულები მშვენიერს და ანგარიშიან წესსზედ**[1]) (ხაზი ჩვენია. ს. ხ.)

[1]) იხ. „გუთნის დედა“ № 1—1863 წ. წერილი: „საეკონომიო წლის აღწერა, ანუ ამბავი სასოფლო მამულების კეთების და სხვა ხელოსნების მდგომარეობისა კავკასიის მხარეში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკითხველი უკვე ამჩნევს, თუ ევროპის ბაზარმა როგორ წაახალისა, ავტორის გადმოცემით, ჩვენი მემამულენი და როგორ იმოქმედა გასასაღებელ ნედლი მასალის დამზადების საქმეზე. მართლაც, მთელი რიგი მემამულეებისა შეუდგენ ბამბის, თუთუნის, აბრეშუმის კულტურულად მოყვანასა და მასთანვე საწარმოო იარაღებისა და მანქანების გამოწერას ევროპიდან. აღსანიშნავია, რომ ამიერ-კავკასიისა (1863 წ.) და მოსკოვის (1864 წ.) სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მთელ რიგ ქართველ მემამულეებს გაუგზავნიათ ექსპონატები და მრავალ მათგანს მიუღია ჯილდო. ცხადია, რომ ახალი საწარმოო იარაღებისა და ევროპიული კულტურის შემოღების საჭიროებას უკვე გრძნობდა მცირედი ნაწილი ქართველ მემამულეთა და ამის მიმართულებით შესაფერისი ნაბიჯიც იყო გადადგმული. აი, რას სწერდა ერთი ცნობილი მემამული, ევროპიულად განათლებული ღენერალ-მაიორი **კონსტანტინე მამაცოვი**:

„აწინდელი სოფლისა მოსახლკარობა (ე. ი. მეურნეობა ს. ხ.), რომელიც იყო საკმაო ჩვენ წინაპართათვის იმისა მდაბიურსა ცხოვრებაში არა არს შესაფერისი ჩვენი დროის, ცხოვრებისა. **ჩვენი დრო არც ისეთია, რომ ერთისა მდგომარეობიდან გადავდივართ მეორეში და თანდათან უტევებთ ყოვლისა დაძველებულსა ჩვეულებასა. მაშასადამე, ჩვენსა მოსახლკარეობასა ვითარცა უმთახრესსა ღონისძიებასა ხალხის გამდიდრებისა უნდა აქვნდეს აგრეთვე თავისი პროგრესი (წინსვლა)... გარდა აწ ოდეს დამყარდა საზოგადო მშვიდობა, გარდა მცირედის ადგილისა, ვალი ყოველის თვითეულისა აქაურის განათლებულის კაცისა არს და საფუძვლის მშვიდობა გავრცელებისა თავიანთ ქვეყანაში ყოველთა კეთილთა ევროპის ცივილიზაციაზე (განათლებათა)...** არა ერთი გზით დავრწმუნდი, არამც თუ შეძლებული მებატონენი, არამედ გლეხნიცა გამზადებულ არიან შემოიტანონ ხმარებაში ევროპიული გუთანი, ფარცხი, სარეწი მაშინა და სხვანი იარაღნი სასოფლოსა მოსახლკარობისანნი“[1].

ამოწერილი ციტატები საკმაოდ ამტკიცებს იმ ფაქტს, რომ უკვე ბატონ-ყმურ საქართველოს სასოფლო მეურნეობამ იგრძნო ევროპის კულტურის გემო და დაიწყო ნელი პროცესი ჩვენი მეურნეობის, ასე ვსთქვათ, „კაპიტალიზაციისა“, დაწინაურებულ მემამულეთა „კაპიტალისტურ ეკონომიკაზე“ გადასვლა. ჩვენმა მკვლევარებმა, სამწუ-

[1]) იხ. კ. მ ა მ ა ც ო ვ ი ს წერილი: სახელოსნოთა შვილთათვის საქართველოს სკოლებში. „გუთნის დედა“ № 6 – 1862 წ.

ხაროდ, არ მიაქციეს ყურადღება იმ გარემოებას, რომ ჩვენში ბატონ-ყმობის მოსპობის დროს (1863-4 წ.) ლიბერალური და ნახევრად ლიბერალური პროექტებით გამოდიოდენ უმთავრესად წორედ ის მემამულეები, რომელთაც შეგნებული ჰქონდათ ევროპიული ტეხნიკის მნიშვნელობა და პრაქტიკულადაც ცდილობდენ თავიანთ მამულების ასეთი გზით მოწყობას. ეს ცნობებიც ნათლად გვიჩვენებს, თუ საით მიექანებოდა საქართველოს ეკონომიური ცხოვრება უკვე მე-19-ე საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისიდან. ქალ. ტფილისის მცხოვრებთა ზრდაც ნათლად გვიჩვენებს ამ პროცესის მთავარ მიმართულებას. ევეციის ცნობით 18;5 ქალ. ტფილისში 25.290 მცხოვრები იყო, აქედან სომხობა შეადგენდა 18.222, ქართველები—4.217[1]). 1847 წელს ტფილისის მცოვრებთა რიცხვი აღწევს 29.853-ს[2]). 1864 წ.-60.085; 1876—წ. 87.918 (?)[3]) 1864 წ. რუსობა იყო ტფილისში 12.302; 1876 წელს—19.574. გაიზარდა 59.01 პროც. ქართველობა—14.878; 1876 წ.-21—542; გაიზარდა—44,79 პროც.-ია. სომხობა 1864 წ. 18.488 1876 წ.—37.308. გაიზარდა 30,96 პროც.[4]). ეს ცნობა მრავალ მეტყველი არის იმის გამოსარკვევად, თუ როგორ სამეურნეო პროცესს განიცდიდა საქართველო აღნიშნულ ეპოქაში, რადგან ქალაქის მცხოვრებთა ზრდა თავის თავად ლაპარაკობს ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო დარგებზე.

საერთოდ რომ დავასკვნათ, ეს იყო ეპოქა, რომელშიაც რღვევა-განვითარებას განიცდიდა ნატურალური და ბატონ-ყმური მეურნეობა, ხოლო მეორე მხრივ, ძლიერდებოდა და მაგრდებოდა სავაჭრო კაპიტალი და მასთანვე ისახებოდა სამრეწველო კაპიტალის ფორმებიც როგორც ქალაქად. ისე სოფლად. ეს იყო დიდი მნიშვნელობის სამეურნეო ცვლილება, რომელიც ხასიათდებოდა ძველი სამეურნეო ფორმიდან ახალ სამეურნეო ფორმაზე **გადასვლის ეკონომიური პროცესებით.** ამრიგად აღნიშნულ ეპოქაში ჩვენი ცხოვრების საერთო განვათარებამ გარკვეული ხასიათის სამეურნეო ამოცანები წამოაყენა განსახორციელებლად. ჩვენი ცხოვრება უკვე განიცდის კაპიტალისტური ურთიერთობის ნელს, მაგრამ მაინც საგრძნობ მშობიარობის ტკივილებს. ამ გარემოებას არ შეეძლო თავისი გავლენა არ მოეხდინა ჩვენ სოციალურ ურთიერთობაზე და იდეოლოგიაზედაც. ვისაც

---

[1]) იხ. ევეციის დასახელებული შრომა გვ. 134.

[2]) იხ. ვისერმანის დასახელებული კრებული გვ. 14.

[3]) იხ. Н. Зендлих сборник сведений о Кавказе ტ. VI გვ 97. - 81880 წ.

[4]) იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურს არსებითი მიზეზები ჰპოვოს იმ ღრმა მნიშვნელობის აზროვნების დიფერიანციაციისა, რომელიც ჩვენში მოხდა 60-იან წლებში, მან უპირველეს ყოვლისა უნდა ჩაიხედოს ჩვენი მაშინდელი ეკონომიური ცხორებისა და ვითარების სიღრმეში და იქ იპოვის ამის ამხსნელ საბუთებს.

ამ წერილში ჩვენ ზემოაღნიშნული ეკონომიური მომენტებით დავკმაყოფილდებით. ახლა აღვნიშნავ მოკლეთ იმ ცვლილებას და მომენტებს, რომელიც მოხდა ჩვენი ცხოვრების იდეოლოგიურ ფრონტზე: ჩვენი გამოკვლევით მე-60-იან წლებში ამა თუ იმ სახით ჩამოყალიბდა თუ ჩაისახა ოთხი უმაღლესი საზოგადოებრივი მიმდინარეობა: 1 **თავად-აზნაურულ ლიბერალური** მიმდინარეობა, დამცველი არსებული სოციალური ურთიერთობისა და ეკონომიური წყობილებისა. (დიმ. ყიფიანი, გრ. ორბელიანი და სხვა). 2. **თავად-აზნაურულ ლიბერალური** (აღ. ორბელიანი, კ. მამაცაშვილი და სხვ.) 3. **რადიკალურ-დემოკრატიული** ბურჟუაზიული შინაარსის (ი. ჭავჭავაძე, გ.წ ერეთელი, ს. მესხი და სხვ.) და 4. **სოციალისტური**, რომელიც ორი უმთავრესი წყაროდან ჭრეფდა თავის საარსებო შინაარსს: **ევროპის უტოპიურ და სხვა სოციალისტურ სისტემებიდან** (გრ. თარხან-მოურავი, მ. ქიქოძე, ნაწილობრივ ნ. ნიკოლაძე და ან. ფურცელაძე,) და რუსეთის **ნაროდნიკულ იდეოლოგიიდან**. ნაროდნიკულმა იდეოლოგიამ ჩვენში 1872-73 წლებში დაარსა პარტია და პარტიულ მუშაობასაც შეუდგა.

ასეთი დიფერენციაცია საზოგადოებრივ აზროვნებისა გამოწვეული იყო თვით საზოგადოებრივი და ეკონომიური ცხოვრების დიფერენციაციით: იდეოლოგიურ ფრონტზე წარმოებული ბრძოლა თავის თავად ასახვა იყო იმ ცვლილებისა, რომელიც ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში მოხდა მე-IX-ე საუკ. პირველი ნახევარიდან მოკიდებული [1]) 60-იან წლებში ჩვენმა ინტელიგენციამ არა მარტო ბურჟუაზიულ-ლიბერალური და დემოკრატირული პროგრამა შეითვისა, შეიმუშავა, არამედ რუსეთისა და ევროპის სოციალისტურ ოჯახიდან გადმოიტანა ჩვენში სოციალისტური აზროვნებაც. მაგრამ თუ ჩვენში ამ ეპოქაში შემოჰრილ სოციალისტურ სისტემების არსებით შინაარს გავითვალისწინებთ, გამოვარკვევთ სოციალისტურ საფუძვლებს, მაშინ დავინახავთ, რომ ამ სოციალისტურ სისტემეებს თავს აფარებდა ბურჟუაზიულად და წვრილ ბურჟუაზიულად განწყობილი რადიკალური ინტელიგენცია: სოციალისტური აზროვნების ფორ-

[1]) იხ. ჩვენი წიგნაკი: ქართული ინტელიგენციის პროფილი მე-19 საუკუნეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მებში არსებითად გამოხატა თავისი ინტერესები **ამომავალმა ბურ-ჟუაზიულმა კლასმა** და უკვე საკმაოდ მრავალრიცხოვანმა **წვრილმა ბურჟუაზიამ** (განსაკუთრებით ნაროდნიკულმა მიმდინარეობამ). ამიტ-ომ გარეგნულმა სოციალისტურმა სამოსელმა არ უნდა დაფაროს ამ მიმდინარეობის არსებით სოციალური შინაარსი[1]).

2. სამოცდაათიანი წლების არალეგალური ქართული გაზეთი.

ბრიტანეთის მუზეუმში ახლად აღმოჩენილი ქართული **გექტო-გრაფიული გაზეთი** ერთი საყურადღებო ეპიზოდია ქართული სო-ციალისტური აზროვნების ისტორიიდან. ამ გაზეთის სახელწოდება არის: „დროშა“, რომელსაც ქვევით აწერია: **ქართული სოციალური გაზეთი.** გაზეთს ამშვენებს გამლილი დროშა, რომელზედაც დაწე-რილია ილიას სიტყვები; **თუმცა აწმყო არ გვწყალობს, მომავალი ჩვენია.** ამ გაზეთის გამოცემა დაუწყიათ 1873 წ. აპრილის 1 (13)-ს ქალ. პარიზში. გაზეთის პირველ წერილში, რომელიც დაწერილი არის **ნ. ნიკოლაძის** ხელით, ვკითხულობთ:

„**რედაქციისაგან**: „**დროშა**“, ქართული სოციალური გაზეთი, გამოიცემა პარიზში ათი დღის განმავლობაში, ყოველ დღე, საღამოო-ბით. ამ გაზეთზე არც ხელის მოწერა მიიღება, არც ცალ-ცალკე ფურ-ცლების გამოწერა. ის მარტო რედაქციისათვის იბეჭდება. ათი დღის შემდეგ, ესე იგი 11 (23) აპრილს 1873 წ. დროშის ბეჭდვა მოის-პობა“.

ასე სწერს **დროშის** რედაქცია თავის განცხადებაში. ჩვენს განკ-კარგულებაში ამ ჟამად არის მხოლოდ სამი ნომერი (№ 1, 2 და 3).

სანამ გაზეთის შინაარსს გავაცნობდეთ მკითხველებს, ჩვენ უნდა გამოვარკვიოთ ერთი საკითხი: ვინ არის „დროშის“ რედაქტორი (ან რედაქტორები) და საიდან მოხვდა იგი ბრიტანეთის მუზეუმში, ე. ი. გავეცნოთ ამ გაზეთის წარმოშობის ისტორიას. „დროშის“ პირველი ნომრის მეორე წერილში (იხ. ქვევით) ჩვენ ვკითხულობთ: „ის („დრო-შა“) **სამოიდე ახალგაზრდას** სამახსოვრო წიგნებიდან ამოხეული თა-ბახიაო“. ეს სამოიდე ახალგაზრდა—ნიკო ნიკოლაძის გადმოცემით, არიან: **დავით მიქელაძე, პავლე იზმაილოვი,** ტფილისელი სომეხი, და თვით **ნიკო ნიკოლაძე.**—1873 წელს დ. მიქელაძე, როგორც მისი წერილებიდან ირკვევა გაზ. „დროებაში“ (დაარსდა 1866 წ.), იმყო-

[1]) ეს საკითხი განხილული იქნება უფრო ვცლად ჩვენს ნარკვევში: სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფებოდა პარიზში, ხოლო ნიკო ნიკოლაძე საქართველოდან 1872 წ. გაზაფხულის თვეებში გაემგზავრა საზღვარ გარეთ და იქ ერთ წელზე მეტი დაჰყო. (იხ. მისი წერილები „კრებულში“ № 4, 1873 წ.). გაზეთის წარმოშობის ისტორიას ჩვენ ასე გადმოგვცემს პატივცემული ნ. ნიკოლაძე:

„პატივცემულო ამხანაგო სიმონ! თქვენ მეკითხებით, თუ რა გარემოებებში ვბეჭდავდით ჩვენ, პარიზში, 1873-ის გაზაფხულზე ქართულ სოციალურ გაზეთს „დროშას“, რომლის პირველი სამი ფურცელი სრულიად უცაბედათ აღმოვაჩინე წარსულ დეკემბერში ბრიტიშ მუზეუმის საწყობში. სიამოვნებით გაცნობებთ, რომ იმ გაზაფხულზე მოეხვდით პარიზს დათა მიქელაძე, ქართულ მწერლობაში უფრო ცნობილი „მეველეს“ სახელით, პავლე იზმაილოვი, შემდეგ მყოფი ტფილისის ქალაქის თავათ, და მე. იმ დროს მე ვმუშაობდი ქართულ შრიფტის გამარტივებაზე და ქართული სტამბის მოწყობაზე. ამ ძიების დროს გავეცანი ახალ აღმოჩენას, რომელიც ერთობ აადვილებდა ლიტოგრაფიების მოწყობას და ხმარებას, რაც კავკასიის ხალხების არეულ და მოუწყობ ანა-ბანებს საშუალებას მისცემდა მოეწყოთ გაადვილებული პროპაგანდა ახალი ევროპიული აზრების ადგილობრივ ენებზე. ამ მიზნით განვიზრახეთ და კიდეც ავასრულეთ ათი სამაგალითო ფურცელი დაგვებეჭდა „დროშასი“. გაზეთს ვბეჭდავდით ასას ცალს და მუქთად ვუგზავნიდით ქართველებს და კავკასიელებს, ვინც გვეგულებოდა ციურიხს, ჟენევაში, ვენაში და სხვაგან. გაგება არა მაქვს: ვის ჩარჩენია და შეუწირავს ბრიტიშ მუზეუმისათვის ის სამი პირველი ცალი „დროშისა“, რომლის ასლი თქვენ ხელში გაქვთ. ვრჩები სრული პატივსცემით **ნ. ნიკოლაძე**“.

ბრიტანეთის მუზეუმში „დროშის“ სამი ნომერი გაუგზავნიათ 1895 წ. ვინ გაგზავნა ეს ნომრები „დროშისა“ ან საიდან შეიძინა იგი მუზეუმმა, არა სჩანს. აღსანიშნავია ის, რომ პროფ. ალ. ხახანაშვილმა, რომელმაც 1905 წელს აღწერა ბრიტანეთის მუზეუმში მოთავსებული ქართული ხელთნაწერები, ერთი სიტყვითაც არ მოიხსენია „დროშა“. ხახანაშვილმა შედარებით ვრცლად გადმოგვცა საყოველთეო ჟურნალი „მუშის“ შინაარსი, რომელიც გამოდიოდა ტფილისში არალეგალურად 1889—1891 წლებში. ამ „მუშის“ ათი ნომერი 1898 წელს 10 თებერვალს მიუძღვნია მუზეუმისათვის ცნობილ ქართველ ანარქისტსა და ემიგრანტს ვარლამ ჩერქეზიშვილს[1]), ხოლო

[1]) იხ. ალ. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი: ბრიტანიის მუზეუმის ქართული ხელთნაწერები. „მოამბე“ № 8—1905 წ. შესაძლებელი არის „დროშის“ ეს ნომრებიც ვ. ჩერქეზიშვილმა გადასცა მუზეუმს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩერქეზიშვილსათვის ეს ნომრები გადაუცია ზ. ჭიჭინაძეს, როგორც ის სწერს ერთს თავის მოგონებაში. ალ. ხახანაშვილისათვის გაზ. „დროშა", ალბად, უცნობი იყო, თორემ იგი არ დატოვებდა მას ალუნუსხავად რაკი არალეგალური „მუშის" შინაარსი გადმოგვცა. ეს ნომრები გასული წლის დეკემბერში შემთხვევით აღმოაჩინა ნ. ნიკოლაძემ. ბრიტანეთის მუზეუმს, როგორც ნ. ნიკოლაძე გადმოგვცემს, საუცხოოდ შეუკინძავს **დროშის** ეს ნომრები საფიანით და თაეის კატალოგშიაც აღნიშნულია: „**დროშა" ქართული რევოლიუციონური გაზეთი**. დროშის პირველ ნომერზე ინგლისურად მიწერილი არის, რომ გაზეთი გამოდიოდა ჟენევაში და მისი რედაქტორი იყო ს. მესხიო. ეს ცნობა არ არის სწორი. გაზეთი გამოდიოდა პარიზში. ხოლო მისი რედაქტორად არ ყოფილა **ს. მესხი**. როგორც „**დროშის**" 1874 წლის წერილებიდან ირკვევა, სერგო მესხი საზღვარგარეთ გამგზავრებულა 1873 წლის ივნისის 6-ს და იქ ერთი წელიწადი დარჩენილა[1]). „დროშა", როგორც დავინახეთ, გამოსულა 1873 წ. აპრილის 1-ს, ასე რომ, მისი რედაქტორობა არ შეეძლო ს. მესხს. როგორც ავღნიშნეთ, ამ გაზეთს შეერთებულად სცემდენ ნ. ნიკოლაძე, დ. მიქელაძე და პ. იზმაილოვი. აღსანიშნავია ის, რომ ბრიტანეთის მუზეუმს გაზეთთან ერთად მოუთავსებია ს. მესხის პორტრეტიც. ეს პორტრეტი დახატული უნდა იყოს ქართველი მხატვარის ა. ბერიძის მიერ. იგივე სურათი მესხისა მოთავსებული არის მსგავსივე წარწერით, რაც ბრიტანეთის მუზეუმის სურათის ქვეშ არის, — „ჟურ. თეატრში", რომელიც ვ. აბაშიძის რედაქტორობით გამოდიოდა 1885 წლიდან[2]). ცხადია, მას, ვისაც ს. მესხის ეს სურათი გადაუცია ბრიტანეთის მუზეუმისათვის, უსარგებლია „ჟურ. „თეატრში" მოთავსებული სურათით.

ახლა გავიცნოთ გაზეთის შინაარსი. **პირველ ნომერში** მოთავსებულია შემდეგი ხელმოწერელი წერილები: 1. რედაქციისაგან (დაწერილია ნიკო ნიკოლაძის ხელით), 2. წინასიტყვაობა (მისივე), 3. ვისი ბრალია? (დ. მიქელაძის), 4. ეკლესია და სახელმწიფო (ნ. ნიკოლაძის), 5. ჩვენი საზოგადოების სიყალბე (პ. იზმაილოვის), 6. აღდგომა! (ნ. ნიკოლაძის), 7. წვრილი ამბები (მისივე).

მეორე ნომერში: 1. საფრანგეთის გარეგანი პოლიტიკა (ნ. ნიკოლაძის), 2. სისულელე და უზრდელობა სიბრძნის მანტიაში (დ. მიქელაძის), 3. ერობის თვითმართველობა როგორ გამოგვადგება (პ.

---

[1]) იხ. სერ. მესხის ნაწერები ტ. I. გვ. 167 და სხ.

[2]) იხ. „თეატრი" № 18 — 1885 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იზმაილოვის), 4. თანამედროვე სურათები (ნ. ნიკოლაძის), 5. ნაწყვეტ-ნაწყვეტი ამბები (დ. მიქელაძისა და ნ. ნიკოლაძის).

მესამე ნომერში: 1. რას უნდა ვაკადოთ? (დ. მიქელაძის), 2. პარტიული დისციპლინა (ნ. ნიკოლაძის), 3. თანამედროვე სურათები (მისივე), 4. ცოტ-ცოტა... (ბ. იზმაილოვის), 5. ნაწყვეტ-ნაწყვეტი ამბები (ნ. ნიკოლაძის).

გაზეთის ფორმაც ძლიერ პატარა ზომისაა. თითეული ნომერი ოთხი გვერდისაგან შესდგება, სულ თორმეტი გვერდია.

საკითხების მიხედვით გაზეთი შემდეგ თემებს ეხება: 1. საგაგარეო პოლიტიკის საკითხებს; 2. ნაციონალურ საკითხს; 3. მუშათა მოძრაობის საკითხს; 4. სოციალიზმის პრობლემას და 5. სხვა სოციალისტურ და ისტორიულ ხასიათის საკითხს. საინტერესო არის გაზეთის წინასიტყვაობა, დაწერილი ნიკოლაძის მიერ, რომელიც გვიხსნის და გვიმარტავს თავის უმთავრეს დანიშნულებას. აქ ჩვენ კითხულობთ:

„სწორედ გასაკვირველი და გულმოკვლელი საქმეა კაცი დღევანდელ გონიერების ცხოვრებას ესწრებოდეს, და მის გავლენას კი არ ცდილობდეს, მის დაკვირვებას არ იწვევდეს და მისგან საკმაო ხელმძღვანელი საფუძვლის გამოკრებას არ ეძებდეს. ჯირკის და დაბალი პირუტყვების მეტს არც ერთ გვამს არ უნდა სურდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში განს გადგომა, წაყრუება და უმნიშვნელო, უმიზნო სიცოცხლე, მაგრამ ბევრი სულიერი ამ მხრით ჯირკზე უარესია, ბევრი ცოცხლებ შუა ცხოვრობს და ცოცხლების ცხოვრებაში კი არ ურევია.

„დღეს ეს მით უფრო სამწუხარო და დამაღონებელი მოვლენაა, რომ ეხლანდელი ცხოვრება 1870 წლის ომის მადლით უწინდელ მის სიყრუიდან და სიბნელიდან გამოვიდა. დღეს მთელი ევროპა გაღვიძებულია. ყოველგან ისმის გაუმჯობესების სიტყვა, გაახლების სურვილი, სჩანს, ცხოვრების წინ წამყვანი ძალა მოქმედებს და ახალი წესის დაარსება იწყება. გაქრა უწინდელი დამთურგვნელი, ბევრი ძალა უკანასკნელ სასიკვდილო კლაკნაში იკარგება და იხარჯება ძველი თაობის და მიმართულების უკანასკნელი წამები; ახალი თაობა სამკვიდრების მისაღებათ ირაზმება,—მზადდება ახალი წესი და ვინ იცის როგორი პოლიტიკური მოვლენები. და ამ დროს ყრუდ და ბრმად დარჩენა შეცდომა კი არაა მარტო, მძიმე დანაშაულებაა შემდეგი თაობის და ხალხის წინ.

„ჩვენ ამ ნაირ შეცდომის და დანაშაულობის თავიდგან აც-

ილება გვსურდა, გვსურდა ჩვენი ახალ-გაზრდობისათვის მაგალითი გვეჩვენებია, თუ როგორ შეიძლება ეხლანდელი ცხოვრების დაკვირვება და გაცნობა, ასე რომ კაცს ცხოვრებაში სამოქმედოთ ხელმძღვანელი აზრი და გამოცდილება ქონდეს. ,,დროშ-ას'' მეტი მიზანი არა აქვს, ის სამიოდე ახალგაზრდას წიგნებიდან ამოხეული თაბახებია, ის იმ მუსაიფის და სიტყვების გამოსახვაა, რომელსაც ეს ახალგაზრდები გამოთქვამენ ხოლმე, როცა გაგებულ ამბებს, შენიშნულ მოვლენებს, გაცნობილ აზრებს ერთმანეთს აცნობენ. ათი თაბახი საკმაოთ დაანახვებს მკითხველს ამ გვარ სამახსოვრო წიგნების და მუსაიფობის სარგებლობას და საჭიროებას და თუ ,,დროშამ'' ჩვენ ახალგაზრდობაში შორეულ დაკვირვებისა და დამზადების სურვილი აღძრა, თუ მისი მაგალითი უკვალო და უნაყოფო არ გამოდგა ,,დროშის'' მიზანი სრულებით მიღწეული იქნება'' (№ 1).

ამგვარად ,,დროშის'' რედაქცია მთავარ მიზნად ისახავს პროპაგანდა გასწიოს ქართველ ახალგაზრდობაში და დეხმაროს მას სამოქმედო ხელმძღვანელი აზრის შემუშავებისა და გამოცნობის შეძენაში. მაგრამ რაში გამოიხატება ,,დროშის'' პროგრამა და რას ელტვის იგი? შეიძლება ითქვას, რომ გაზეთის თანამშრომლებთა შორის არ არის თანხმობა ყველა საკითხებში.

შემდეგი წერილი, რომელიც ჩვენ შემოკლებით მოგკყავს, განსაკუთრებით ააშკარავებს მისი ავტორის პოლიტიკურ და სოციალურ ხაზს. აი ეს წერილიც:

აი ჩვენი საზოგადოებრივი იდეალი:

„თავისუფალი ფედერაცია ყველა კავკასიელი ხალხებისა, გაწყობილთა ყველა მოქალაქეების ეკონომიურ თანასწორობისამებრ.

„ამ იდეალს და ეხლანდელ მდგომარეობის შუა ისეთი განსხვავებაა, რომ ერთბაშათ იდეალის მიღწევის იმედის ქონა შეუძლებელია. ეკონომიური დახლართულობის გარდა არ შეიძლება არ შევამჩნიოთ, რომ გასრული ცხოვრება კავკასიელი ხალებისა იყო დაცალცაკავებული და მტრული. ამ გარემოებამ დღემდინაც დასტოვა კვალი და სხვა და სხვა ხალხების ურთიერთ მტრობა ისეთი ძლიერია, რომ შეცდომა იქნებოდა მათი დავიწყებისა.

,,წარმოვიდგინოთ ეხლა შემდეგი. იქნება შეუძლებელი გარემოება; წარმოვიდგინოთ, რომ რუსული ელემენტი, რომელიც ორნაირად გვაერთებს ჩვენ (ჯერ ერთი კანონების და მარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველობით და მეორე იმ სიძულვილით, რომელსაც ის ჩვენ ყველაში სახავს) წარმოიდგინოთ მეთქი, რომ ეს ელემენტი უეცრად გაქრა კავკასიაში და ჩვენ დაკრჩით თავისუფალი. ამ ელემენტის გაქრობასთან ერთად ქრება ყველაფერი, რაც კერძო ხალხებს აერთებდა და ეს ხალხები ხელახლავ ერთმანეთის წინააღმდეგი რჩებიან. რა ძნელი იქნება მაშინ ამ გაუწყობელი ხალხების შეერთება. ამისთანა გარემოების ხედველობით ჩვენ ახალგაზრდობა მოვალეობათ ვსთვლით იმისთანა მდგომარეობის დამზადებას ეცადონ, რომელშიაც ყველაზე უფრო ნაკლებ იძრებოდეს ეს ნაციონალური წინააღმდეგობა.

,,ამისთანა მდგომარეობას წარმოადგენს მაგალითად ერობის თვითმართველობა და მისი მიღწევა. ეს ეხლაც შესაძლებელია, ერობა რიგიანად აწყობს ხალხის საქმეებს, სამართლიანად ანაწილებს მის გადასახადს, მის ზნეობის და ნივთიერ კეთილ დღეობაზე ზრუნავს და თან ამორჩეულ პირებს აარსებს ყოველ თემისა და ხალხისათვის და ეს უკანასკნელი გარემოება ჩვენ ყველაზე უფრო ძნელად მიგვაჩნია.

„იმისთანა შემთხვევაში, რომელიც წელან წარმოვიდგინეთ, საჭირო იქნება მარტო ამ ამორჩეულ გვარების უფლებების გადიდება და გავრცელება და თუ ხელში ამორჩეული მმართველობა გვეყოლებოდა ყოველ კავკასიის ხალხებისათვის ამ ამორჩეულ პირებს შუა დათანხმება უფრო ადვილი იქნება მაშინ, ვინემ საყოველთაო არეულობის დროს, როცა თითეულ მაზრას მისი შინაგანი წესიერების აღდგენა დასჭირდება.

„თუ კი ამ ნაირად გაადვილდება სხვა და სხვა ტომების ერთმანეთში დათანხმება, მაშინ ერობის ყრილობებიდან საერთო და საყოველთაო პოლიტიკურ ერებამდე მარტო ერთი ნაბიჯი ღა დარჩება'' (№ 2).

ამ წერილში პირველ რიგში წამოყენებული არის ეროვნული საკითხი და მისი მოწესრიგების საჭიროება, აღსანიშნავია ის, რომ ერობა ავტორს პოლიტიკური ფუნქციებით აღუჭურავს და მისი საშუალებით ცდილობს ეროვნული საკითხის მოწესრიგებას კავკასიაში.

უფრო გარკვევით ,,დროშის'' სოციალისტური პრინციპი გამოთქმულია შემდეგ სიტყვებში:

,,რომელ მხარეს საზოგადოების ცხოვრებისას (არ უნდა) გადავავლოთ თვალი, თუ კი ამას ცოტა-ოდნათ დაკვირდებით, შევნიშნავთ, რომ საფუძელათ იმას ეკონომიური ხასიათი უძევს... ევროპა ისეთ პოლიტიკური ერთობის შედეგებისაკენ მიიწაფება

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელშიაც საზოგადოებრივი განწყობილება სოციალისტური იდეალებისამებრ შეიცვლება ისე, რომ შრომას უპირატესობა მიეცეს და მშრომელი ხალხი წინა ადგილზე დააყენოს.

,,აი ეს მშრომელი ხალხი თვითონ იწყებს თავისი რაზმების შედგენას და თავის ძალას შესაფერ ორგანიზაციას აძლევს ,,მუშების კავშირების'' შედგენით და სხვა და სხვა საზოგადოების დაარსებით. ამ საზოგადო მასებში და კავშირებში მონაწილეობას იღებენ მარტო ერთი რომელიმე ქვეყნის მუშები კი არა, თითქმის მთელი ევროპის და ხანდისხან ამერიკის შრომელებიც,—და ამნაირად, ნელ-ნელა არსდება შრომელი ხალხის ურთი-ერთობა და შეერთება... ეს ,,მუშების კავშირების'' მომავალი ევროპის სოციალისტური შეერთებული რესპუბლიკის თესლათ გამოდგებიან'' (№ 3).

მკითხველი ნათლად შეამჩნევს, რომ წერილის ავტორი—პ. იზმაილოვი—სოციალიზმის განხორციელების საქმეს მუშათა კლასს უკავშირებს; ამით იგი საგრძნობლათ სცილდება რუსულ უტოპიურ სოციალიზმს—ნაროდნიკების კონცეპციას, რომელიც სოციალიზმის დასაყრდენ ძალას გლეხობაში ხედავდა. საინტერესო არის ნიკო ნიკოლაძის შენიშვნები მუშათა კავშირებისა და მათი მნიშვნელობის შესახებ. ნ. ნიკოლაძემ თვისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში ნ. ჩერნიშევსკის მეტად დიდი გავლენა განიცადა. 1866 წ. ჰერცენის ,,კოლოკოლში'' მოთავსებულ მის წერილებს ნაროდნიკული აზროვნების, განსაკუთრებით კი ჩერნიშევსკის, დიდი გავლენის ბეჭედი აზის[1]). 70-ან წლების პირველ ნახევარში იგი ნაწილობრივ, თუ სავსებით არა, თავისუფლდება ნაროდნიკული იდეოლოგიის გავლენისაგან და ევროპის სოციალისტური სისტემების გავლენას განიცდის.

70-იან წლებში რუსეთის ნაროდნიკობა პოლიტიკურ ბრძოლის საჭიროებას ან სრულიად უარყოფდენ, ან მას მეორე და მესამე ხარისხის მნიშვნელობას ანიჭებდენ. ნიკოლაძე არ ეთანხმება საკითხის ამ გვარად დაყენებას და „დროშის“ ფურცელზე პატარა შენიშვნაში ეკამათები ჟურ. „Вперед“-ის (პ. ლავროვის რედაქციით გამოდიოდა) მიმდინარეობას. „ეს ჟურნალი რუსულმა წრემ უნდა გამოსცეს, რომელსაც სოციალური მიმართულება აქვსო და პოლიტიკური კითხვების უწინ სოციალური საგნების გამოკვლევა უნდაო. **ჩვენ კარგათ არ გვესმის ამ კაცების აზრი, რომელნიც ამ ორ კითხვებს აცალკევებენ თითქოს ერთი უმეოროთ შეიძლებოდეს**. მაგრამ ვნახოთ

[1]) იხ. „Колокол“ № 198—99, 1865 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაში მდგომარეობს ამ ყმაწვილების „სოციალიზმი“ (№ 1). ასეთი შეხედულება სოციალურ და პოლიტიკურ კითხვების ერთმანეთზე დაკავშირებისა, არსებითად ეწინააღმდეგებოდა მაშინდელ ნაროდნიკულ იდეოლოგიას.

ნ. ნიკოლაძის მიერ დაწერილ ერთ წერილში ვკითხულობთ:

„აღდგომა იმ დღეს ვისასწაულოთ, როცა ჩვენ კანონებში, ჩვენ წესში, ჩვენ ცხოვრებაში, ნამდვილად განხორციელდეს და გამოიხატოს ის, ძმობაზე დაფუძნებული სწავლა, რომელიც გრძნობიერად ქრისტემ გამოთქვა და გონიერათ ჩვენმა თანამედროვე სწავლამ გამოიკვლია. როცა ამ სწავლის გამარჯვება მოახლოვდება“.

როცა მისი აზრით გადასხვაფერდება ჩვენი ცხოვრება და ჩვეულება, როცა საზოგადოებრივ ცხოვრებას საფუძვლად ძმისთანა კანონები ექნება, რომელთაც „ძმობის“ წესი ქვეყანაზე უნდა დაამკვიდროს, მაშინ და მარტო მაშინ ვიდღესასწაულოთ აღდგომა, რადგან მარტო მაშინ ნამდვილად აღმდგარი და გამარჯვებული იქნება კაცობრიობის აზრი, გრძნობა და გონება“. (№ 1).

დავით მიქელაძე წერილში—**რას უნდა ველტვოდეთ**—წმინდა წყლის ნაციონალისტურ პოლიტიკას იცავს. იგი ეწინააღმდეგება რუსეთის მთავრობასთან მშვიდობიანი დამოკიდებულების დაჭერას და სწერს:

„მე მგონია, მშვიდობიანი პროგრესი, ერობის დაარსების მოწოდება, სამოქალაქობრივი წყობილება მომავალში, ნაფიცი კაცები სამჯავროში—ვერც ერთი ესენი ვერ გვიხსნის, და ჩვენ მოგველის, ადრე თუ გვიან გაჭრობა, როგორც ნაციონალობას... მაშ, რა ვქნათ, იკითხავს ვინმე.—უპასუხებ: ყოველი ჩვენი ღონე, ცოდნა, გამოცდილება, ენერგია უნდა მოვახმაროთ იმას, რომ ჩვენი ხალხები, როდესაც რუსეთი გარეშე მტერს შეებმება—და ეს ჟამი არ არის შორს—მაშინ, ისინი იარაღით ხელში ბრძოლის ველზედ გამოვიდეს დიდი და პატარა. ამ სანატრელ და დიდებულ დროს, ძველებური ქართველი ვაშა-ვაშას ჭყივილით დავამტეროთ ხალხი მტერსა; ყველას ერთგულად ძმურის თანხმობით უნდა შევძახოთ: ,,თავისუფლება ან სიკვდილი'' (№ 3).

დ. მიქელაძე (შვეელე) ჩენში ცნობილი იყო, როგორც სეპარატისტი და ამ თავის ნაციონალისტურ პროგრამას იგი ,,დროების'' ფურცლებზედაც იცავდა. მაგრამ იგი აშკარა ავანტიურისაკენ მოუწოდებდა ქართველ ხალხს. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ პოლიტიკას თავიდანვე ებრძოდა ნ. ნიკოლაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ჩვენ გავაცანით მკითხველს გაზ. „დროშის“ ფურცლებზე მოთავსებული უმთავრესი წერილების შინაარსი. **ჩვენი ჟურნალისტიკის ისტორიაში გაზ. „დროშა“ პირველ არალეგალურ გაზეთად შეიძლება ჩაითვალოს** და ამიტომ არის საინტერესო მისი გაცნობა. უნდა ითქვას, რომ „დროშის“ ფურცლებზე არ არის არც ერთი ისეთი აზრი გამოთქმული, რაც ჩვენს მოწინავე ინტელიგენციას არ გამოეთქვას ამაზე იმ ფორმით ლეგალურ „დროების“ ფურცლებზე. მაგრამ პარიზის თავისუფალ ატმოსფერაში, რუსეთის ცენზურისა და ადმინისტრაციისაგან მოშორებულმა ინტელიგენციამ უფრო ნათლად გამოაჩაჩკარავა თავისი აზრები. მაგრამ საკმარისი არ არის მარტო ამ აზრების გაცნობა. საჭიროა მათი ისტორიული საზომით შეფასება, მისი, ასე ვსთქვათ, სოციოლოგიური და სოციალური საფუძვლების გამორკვევა.

როგორც ზევით აღენიშნეთ, 50-70 წლების განმავლობაში უკვე სწარმოებდა ჩვენში **კაპიტალისტური წყობილების მშობიარობის პროცესები**. ეს გარემოება თავის თავად იწვევდა ცვლილებებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ამძაფრებდა აზროვნებასაც. ინტელიგენცია, რომელიც იზრდებოდა ამ ატმოსფერაში და რომელიც მასთანვე ითვისებდა რუსეთის მე-60 წლების სოციალ-პოლიტიკურ იდეალებს, ძალა-უნებურად განიცდიდა ამ ახალ ეკონომიურ პროცესების გავლენას: სრულიად არ არის გასაკვირველი, რომ ეს ინტელიგენცია შეეჯახა ძველ დახავსებულ სოციალ-პოლიტიკურ წყობილებას და თვისი პოლიტიკაც რადიკალური მიმართულებით გადახარა. არც ის არის გასაკვირველი, რომ ამ ინტელიგენციის ნაწილმა შეითვისა სოციალისტური აზროვნების გარეგანი ფორმა: **არსებითად ამ ფორმებში იმალებოდა მოწინავე ინტელიგენციის რადიკალური დემოკრატიული სულისკვეთება** ბურჟუაზიული **შინაარსით**. ჩვენ ინტელიგენციას უფრო აინტერესებდა პოლიტიკური თავისუფლების მოპოება, ცხოვრების კალაპოტის გაფართოება და ფართო თავისუფალი ასპარეზი სამოღვაწეოდ. ახლად ფეხადგმული ბურჟუაზიის ინტერესებიც მეტს არ მოითხოვდა: ინტელიგენცია თავისდა შეუგნებლად მუშაობდა ახალი ჯანსაღი სოციალური კლასის ინტერესებისათვის და ამით იგი უდიდეს პროგრესიულ საქმეს ასრულებდა: იდეოლოგიურად მაინც ნერგავდა საქართველოს ნიადაგზე ევროპული ხასიათის პროგრესიულ აზროვნებას.

სიმონ ხუნდაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

25 ივნისის მიტინგი ნაძალადევში.

1917 წლის მაის-ივნისში უკვე საკმაოდ იყო შერყეული ტფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ავტორიტეტი ჯარისკაცების თვალში.

საბჭოს მესვეურ ბოლშევიკ-ესერებისთვის რომ გეკითხათ, ამის მიზეზი იყო ბალშევიკების მიერ გაჩაღებული „უპასუხისმგებლო“ პროპაგანდა-აგიტაცია დროებით მთავრობის და მისი დამცველების — „ობორონცების“ წინააღმდეგ. ისინი ნაკლებ ყურადღებას აქცევდენ იმ პირობებს, რაც იწვევდა ამ უკმაყოფილებას, რაც ბადებდა ბალშევიკებისადმი თანაგრძნობას.

ჯარი, თანახმად დაპირებისა, მოელოდა ზავს — უკონტრიბუციოს, უანექსიოს და სხ. ჯარისკაცი, რომელიც მოშორებოდა სახლ-კარს, ცოლ-შვილს და სამი წლის განმავლობაში ომობდა, სისხლსა ღვრიდა, ალაჰმა უწყის რისთვის და ვისთვის, დღე-დღეზე სახლში წასვლას ელოდებოდა თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ, — 21 ივნისს კი მას ახალი ომისაკენ მოუწოდებდა დროებითი მთავრობა, ჯარი შეტევაზე გადავიდა.

ჯერ კიდევ, ვიდრე შეტევა დაიწყებოდა, ტფილისში გახშირდა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს „უნებართვოდ“ გარნიზონის სხვა და სხვა ნაწილებში მიტინგებისა და კრებების მოწვევა. დაბოლოს საბჭოს სრულიად დაუკითხავად დანიშნულ იქნა საერთო საქალაქო მიტინგი საყარაულო ბატალიონის მიერ.

ამის გამო ტფილისის საბჭოს ორგანო „**იზვესტია**“ სწერდა: გაზეთი „კავ. რაბოჩ“. № 79 მეორე გვერდზე მსხვილი ასოებით დაბეჭდილია შემდეგი შინაარსის განცხადება: „საყარაულო ბატალიონი სთხოვს ქალაქ ტფილისის მთელს გარნიზონს მოვიდეს ჯარისკაცთა მიტინგზე მესანგრეთა ყაზარმებში დროშებით. მიტინგი შესდგება ოთხშაბათს, 21 ივნისს, დღის 3 საათზე“.

მოჰყავდა რა ეს ცნობა „იზვესტია“ სწერდა: „უნებლიეთ თვალში გეცემათ პეტროგრადის ანალოგია. იქ უპასუხისმგებლო პირებმა დემონსტრაცია დანიშნეს 10 ივნისისათვის, რაც მოსალოდნელი იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაქცეულიყო შეიარაღებულ შეტაკებათ. დემონსტრაციას უნდა ჰქონოდა დროებით მთავრობის პოლიტიკის საწინააღმდეგო პროტესტის ხასიათი. როგორც მოეხსენება ჩვენს მკითხველებს, საქმეში ჩაერია სრულიად რუსეთის ყრილობა და პეტროგრადის საბჭო და ასე გამოსვლა აღარ მომხდარა. ეგრეეე ხდება ჩვენში, ტფილისში.''

შემდეგ გაზეთი უსაყვედურებს მიტინგის მოწვევის ინიციატორთ — თუ მიტინგის ხმოწვევა ვსურდათ, რატომ ჩვენ არ შეგვატყობინეთ, ჩვენ ხომ მთელი გარნიზონის ნდობით ვსარგებლობთო და სხ დაბოლოს გაზეთი სწერს: ,,მას (ე. ი. ტფილისის საბჭოს) უნდა მიეღო ამის საწინააღმდეგოთ გადამწყვეტი ზომები და ასეც მოიქცა: 19 ივნისს მოწვეულ სასსრაფო სხდომაზე მუშ. და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა წინადადება მისცეს საყარაულო ბათალიონს არ მოიწვიოს 21 ივნისისათვის დანიშნული მთელი გარნიზონის მიტინგი''.

შემდეგ გაზეთი მოუწოდებდა ,,მთელს ტფილისის გარნიზონს მჭიდროთ შემოკრებილიყო თავის მიერ არჩეულ საბჭოს გარშემო და სამარცხვინო ბოძზე გაეკრა ყველა ისინი, ვისაც თავისი პირადი გამოსვლებით ანარქია შეჭქონდა ჯარში და ასე საფლავსა სთხრიდა ჩვენი თავისუფლებისა. ჩვენი დიადი რეოლიუციისათვის'' (,,იზვესტია'' № 68).

მაგრამ მარტო ამნაირი პროტესტითაც არ დაკმაყოფილდა საბჭო და მისი ბეჭდვითი ორგანო. უკვე იწყო დენა „პროტესტებმა" ჯარის სხვა და სხვა ნაწილებიდან. ეს „პროტესტები" იბეჭდებოდა „იზვესტიაში" საყარაულო ბათალიონის წინააღმდეგ.

როცა ასე თუ ისე „შემზადებულ იქნა" ნიადაგი ბალშევიკების წინააღმდეგ საბჭომ თითონ დანიშნა საერთო მიტინგი ნაძალადევში.

„კავკ. რაბოჩ"-ში და სხვა გაზეთებში ასე იყო გამოცხადებული მიტინგის მოწვევის შესახებ:

„ქალაქ ტფილისის ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი კვირას, 25 ივნისს, დილის 8 საათ. იწვევს მიტინგს თავისუფლების მოედანზე. ნაძალადევში, დანიშნულ დროზე ეკრიბებიან მუშები და ჯარისკაცები ქალაქის ყველა უბნებიდან შემდეგი წესით: სამხედრო ნაწილები და მუშები ნავთლუღიდან, ორთაჭალიდან, ვერიდან და სხვა შორეულ პუნქტებიდან ორგანიზაციულად მოწყობილი პროცესიებით, დროშებით, მუსიკით და რევოლიუციონური სიმღერებით გამოდიან დილის 7 საათიდან. ჯარისკაცების პროცესიებს უხელმძღვანელებს საორგანიზაციო კომიტეტები, მუშებისას — ამორჩეულნი. ქალაქის ცხოვრება ნორმალურად მიმდინარეობს. ტრამვაის და ეტლების მოძრაობა არ სწყდება. ნავთლული-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან და ორთაჭალიდან პროცესიები გაივლის კახეთის, კრასნოგორის და ჩერქეზოვის ქუჩებით; ორთაჭალის რაიონიდან: ეორონცოვის ქ., 19 თებერვლის და ჩერქეზოვის ქუჩას; ვერის რაიონიდან—ვერის ხიდით კირიჩნი და ჩერქეზოვის ქუჩით. დიდუბის რაიონი საბაჟოს ქუჩ. გადაივლის რკინის გზის ხიდზე.

მიტინგზე გარჩეული იქნება შემდეგი საკითხები: 1) ჩვენი შეტევა, 2) ორმოცწლიან ჯარისკაცების შესახებ და 3) მინდვრების დამუშავება. ხელს აწერს—**ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი** („კავკ. რაბ." № 83).

40 წლიანი ჯარისკაცებისა და მინდვრების დამუშავების საკითხი, ასე ვსთქვათ, მეორე თუ მესამე ხარისხოვანი საკითხები იყო. აქ მთავარი იყო საკითხი „ჩვენი შეტევის" შესახებ.

ამ საკითხის გარჩევის დროს უნდა გამოაშკარავებულიყო ჯარის სულიერი განწყობილება—მომხრე იყო ის შეტევის, თუ წინააღმდეგი?

ენერგიულად ემზადებოდენ როგორც „ობორონცები" მენშევიკესერების სახით, ისე **„პორაჟენცები"** (ბალშევიკები)—როგორც მაშინ ეძახდენ ბალშევიკებს.

ბალშევიკების **„თეზისები"** ასეთი იყო:

„ბალშევიკების სიტყვათა თეზისები 25 ივნისისათვის მოწვეულ გარნიზონის მიტინგზე—

1) ომი არის ძველი რეჟიმის ყველაზე აუტანელი მემკვიდრეობა.

2) ომი ყველაზე დიდი საფრთხეა რევოლიუციისათვის.

3) ომი ამდიდრებს ბურჟუაზიას და კაპიტალისტებს.

4) ომი აღარიბებს ხალხს.

5) ომის შეწყვეტა ყველაზე დიდი ამოცანაა რევოლიუციისათვის.

6) ყველა მეომარი ქვეყნების ახლანდელი დანგრევა-განადგურების დროს შეტევა არავის გამარჯვებას არ მიანიჭებს.

7) მისი ერთად ერთი შედეგი იქნება ახალი მსხვერპლი.

8) გერმანიაში, ინგლისში და სხ. სახელმწიფოებში იზრდება რევოლიუცია, იქ ხალხს ხვრეტენ.

9) შეტევა აამხედრებს ჩვენს წინააღმდეგ დასავლეთ ევროპის პროლეტარიატს (შეტევა ეწინააღმდეგება სტოკჰოლმის კონფერენციის მოწვევის მოწოდებას და ხელშეკრულებათა გადასინჯვას).

10) შეტევა გააძლიერებს კონტრ-რევოლიუციას (სახელმწიფო სათათბირო და სხ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

11) შეტევა დააუძლურებს რევოლიუციონურ დემოკრატიას და გააძლიერებს სამხედრო გავლენას სახელმწიფოში.

12) შეტევის დღიდანვე რევოლიუციამ ერთი ფეხი საფლავში გადადგა.

13) ერთად ერთი გამოსავალია: მთელი ძალა-უფლების გადასვლა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ხელში.

14) შეტევა მხოლოდ იმიტომ დაიწყო, რომ ფრონტი თავიდანვე მოწყვეტილი იყო „ზურგისაგან".

„სოციალისტი" მინისტრები ატარებენ იმპერიალისტურ პოლიტიკას როგორც რუსეთის, ისე მოკავშირეთა.

15) ჩვენ მოვითხოვთ შეტევის დაუყოვნებლივ შეჩერებას.

16) პროტესტებით და რეზოლიუციებით, ორგანიზაციულად.

17) შეტევა სტრატეგიის საკითხი არ არის, არამედ—პოლიტიკის საკითხია.

18) შეტევა დაიწყო მოკავშირე იმპერიალისტების ძალ-დატანებით.

19) ჩვენ თავიდან ვიხსნით პასუხისმგებლობას და ვაკისრებთ მას იმათ, ვინც დაიწყო ეს შეტევა და მხარს უჭერს მას („კავკ. რაბ." № 86).

„კავკ. რაბჩ."-შივე მოყვანილი იყო შემდეგი „სია ორატორებისა—ბოლშევიკების, რომლებიც გამოვლენ 25 ივნისის მიტინგზე: კალანდაძე, ერქომაიშვილი, ოკუჯავა, ნაზარეტიანი, ქავთარაძე, ბოგდანოვი, მრავიანი, ეტინგოფი, ტოროშელიძე, არაქელ ოქუაშვილი, ცხაკაია, სმელოვი, ჩებოტარევი, ლარჩენკო, ზუბოტიკინი, იურლოვი, კულინი, ტონკინი, მამულია, პეტროვი, მუშნიკოვი და კოსტინი. („კავკ. რაბ." № 83).

რა მოხდა მიტინგზე?

მეორე დღეს „ერთობა" სწერდა შემდეგს: **„მიტინგი ნაძალადევში.** 25 ივნისს ნაძალადევის თავისუფლების მოედანზე მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მოწყობილი მიტინგი, სამწუხაროთ, არასასურველად დამთავრდა. უმეტეს ნაწილად მიტინგს ჯარისკაცები დაესწრენ. მიტინგის გახსნისთანავე მეუმრავლესეების მეთაურობით მიტინგს ერთი ნაწილი ჯარისკაცებისა გამოეყო და ცალკე გამართეს მიტინგი, დარჩენილ ჯარისკაცებთან გაიმართა დღის წესრიგის თანახმად ლაპარაკი. უნდა აღინიშნოს, რომ აქაც მეუმრავლესე ორატორებს ჯარისკაცები ლაპარაკის დროს ხელს უშლიდენ: მათზე არ იმოქმედა არავითარმა ამხანაგურმა დარიგებამ, ისინი თავისას განაგრძობდენ. ამ დროს მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმრავლესენი მეორე ალაგას განაგრძნობდენ მიტინგზე ლაპარაკს. როცა იქ მივიდენ მეუმცირესე ორატორები და ერთმა მათგანმა ფურცლების გავრცელება დაიწყო ჯარისკაცებში, სტაცეს მას ხელი ჯარისკაცებმა: შეიქნა ერთი არევ-დარევა, რომლის დროს ბევრს სცემეს. ამის შემდეგ, როცა ცოტათი ხალხი დაშოშმინეს, კვლავ განაგრძეს მეუმრავლესეებმა ლაპარაკი. მეუმცირესენი კი იქ აღარ გამოცხადებულან და ერთი-მეორეს აფრთხილებდენ—უფრთხილდით ფეხი არ გადადგათ მეუმრავლესეთა მიტინგისაკენ". („ერთ." №. 82—27/VI).

„იზვესტია" სწერდა: **„კიდევ 25 ივნისის გამართულ მიტინგის შესახებ.** 25 ივნისს გამართულმა მიტინგმა ნათლად დაგვანახვა, თუ როგორი კონტრ-რევოლიუციონური ძალაა თავშეფარებული ჩვენს ჯარში და როგორ ეხერხება მას უკიდურესი ლუზუნგების სახით აკეთოს თავისი შავი საქმე, გაიტაცოს ნაკლებათ შეგნებული ელემენტები. იმათ, ვინც დაესწრო 25 ივნისის მიტინგს და უნებლიე მოწმედ შეიქნა ჩვენი ამხანაგებისადმი მხეცურად მოქცევისა, დაინახა, თუ ვინ ბატონობდა მიტინგზე, როგორი სუეკვო პირები სთესდენ უთანხმოებასა და შურს ვიღაც ბიჭ-ბუეკები. რუსეთის შორეულ გუბერნიების გლეხი-ჯარისკაცები ადვილათ უჯეროდენ საეჭვო პირთ, რომლებიც გაიძახოდენ:

სცემეთ, სცემეთ, მოჰკლეთ!

საეჭვო პირები წარმატებით მუშაობდენ. ერთი ხელით გზას უწალდავდენ კონტრ-რევოლიუციას, მეორე ხელი ჯიბეში ჰქონდათ, საიდანაც იტაცებდენ ფულს.

მაგ., ამბ. რუსიას ცემის დროს მოაჭრეს პიჯაკის ჯიბე და წაიღეს ყველაფერი, რაც შიგ იყო.

— მე დავინახე, ამბობს მისი ცოლი,—როგორ წაართვეს ჯიბიდან საფულე, მაგრამ არაფერი მითქვამს, რადგანაც ვიფიქრე—ფულს წაიღებენ და ცემასაც თავს ანებებენ მეთქი.

აი როგორი ხალხი «მუშაობდა" მიტინგზე?

აი ვინ იყვნენ ის ვაუბატონები, რომელნიც გაიძახოდენ:

— ბურჟუებს სცემეთ!..

ქურდები, მძარცველები, პროვოკატორები... ხალხის ნაძირალები...

საშიში ძალა რევოლიუციისათვის.

ისინი აძლევენ ტონს მიტინგს.

და ამ მიტინგს მიესალმება „კავკაზ. რაბოჩი"

ეს მიტინგი ამხნევებს ჩვენს ბალშევიკებს.

ამ მიტინგმა მათ „დაანახა, რომ ძალა მათ მხარეზეა"

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჩვენ ღრმად ვწუხვართ, რომ ბალშევიზმად წოდებული იდეური მიმდინარეობა ასეთ დიდ შეცდომას უშვებს, რომ ის ხელს უწვდის ქუთდესა და მძარცველების ხულიგანურ ბრბოს.

მართლაც რომ ბალშევიკები იმ ბრბოს ემყარებოდენ, რომელიც 25 ივნისს მუშტი-კრივით გაუმასპინძლდა ჩვენს ამხანაგებს, გაჰქურდა მათი ჯიბეები. ჩვენ თამამად შეგვეძლო გვეთქვა, რომ ბალშევიზმის საქმე საბოლოოდ წასული, რადგანც ეს ბრბო ხვალ ისევე მოეპყრობა თვით ბალშევიკებს" („იზვესტია" № 75)."

„ბრძოლა" (ბალშევიკური კვირეული გაზეთი) სწერდა:

მ ი ტ ი ნ გ ი

კვირას, 25 ივნისს, გაიმართა დიდი მიტინგი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ტფილისის გარნიზონმა და მუშებმა. მიტინგს უმეტეს ნაწილათ ჯარის კაცები დაესწრენ. ეს მიტინგი მოიწვია ტფ. მუშათა და სალდათთა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა, სადაც, როგორც ვიცით, მენშევიკი „ობორონცები" ბატონობენ. მიუხედავათ ამ გარემოებისა, მიტინგის დიდი უმეტესობა მონაწილე ბალშევიკური გამოდგა: დიდი ხალისით და ყურადღებით უსმენდენ ბალშევიკების კომიტეტის მიერ წამოყენებულ ორატორებს, ოვაციით ეგებებოდენ მათ ლოზუნგებს, ერთხმათ ღებულობდენ მათ რეზოლიუციას. დროშების და პლაკატების უმეტეს ნაწილზე წარწერილი იყო ბალშევიკური ლოზუნგები. მაგ. „მთელი ძალა-უფლება მუშათა, სალდათთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს", „ძირს შეტევა", „გაუმარჯოს საერთაშორისო ზავს", „ძირს ათი მინისტრი-კაპიტალისტი", „პური, ზავი, თავისუფლება" და სხ.

მრავალ-ათასიან მიტინგზე ერთხმათ მიღებულ იქნა ბალშევიკების რეზოლიუცია შეტევის შესახებ, (იხ. „კავკ. რაბ." № 85), რომელშიაც გაბარებულია, სხვათა შორის, შემდეგი აზრები: „სოციალისტ კერენსკის მიერ გამოცხადებული შეტევა ნაყოფია იმპერიალისტური პოლიტიკის გამარჯვების, რომ შეტევა სტრატეგიულს მიზანს ვერ აღწევს, იწვევს აუარებელ ახალ მსხვერპლთ, შეტევა აქარწყლებს პეტროგრადის მუშ. და ჯ. კ. საბჭოს მანიფესტს, მიმართულს მთელი ქვეყნის დემოკრატიისადმი, იგი ნაკარნახევია ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტების მიერ, რომელნიც კანკალებენ თავიანთი დემოკრატიის მოსალოდნელ აჯანყების წინაშე. შეტევა აამხედრებს ჩვენ წინააღმდეგ დასავლეთის დემოკრატიას, სახელს გაუტეხს, ე. წ. დამბალების იდეას და სხვა და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს იყო ამ რევოლიუციაში ბალშევიკების პირველი პოლიტიკური გამოსვლა ადგილობრივად, რომელიც ბრწყინვალე გამარჯვებით გათავდა. ამ მიტინგმა ჩვენ დაგვარწმუნა იმაში, რომ ხალხის ფართო მასაში, მეტადრე ჯარის კაცებში, რევოლიუციონურ სოციალ-დემოკრატიას ანუ ბალშევიკური პოზიციას მაგრათ აქვს ¦ძირი გადგმული. ამავე მიტინგზე ნათლად დავინახეთ ისიც, რომ ჩვენი ობორონცების პოზიცია იმავე მასაში ერთობ მკრთალი თანაგრძნობით სარგებლობს.

ეს გარემოება ბალშევიკებს გვავალებს გავაორკეცოთ მუშაობა მუშათა და ჯარისკაცთა მასაში, რათა ორგანიზაციულათ შევაკავშიროთ და დავრაზმოთ რევოლიუციონური ელემენტები, რომლებიც ჩვენსკენ მოიღტვიან. ეს გარემოება იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენ სწორ ტაქტიკას რუსეთთან ერთად ჩვენშიაც პროლეტარების და ნახევრად პროლეტარების უფრო შეგნებული და რევოლიუციონური ნაწილი იზიარება, რაც უეჭველ გარანტიას იძლევა დიდი რევოლიუციის სრული გამარჯვებით დაგვირგვინებისათვის.

მენშევიკებსაც ამ მიტინგიდან უნდა გამოეტანა გაკვეთილი, რომელიც ეუბნება მათ, რომ ობორონცული ტაქტიკა თითქმის სრულიად გაკოტრდა. მეტადრე ჯარისკაცთა თვალში და საჭიროა კრიტიკული განხილვა ამ პოზიციის და ახალის შემუშავება, ისეთის, რომელიც უფრო შეეფერებოდეს ნამდვილ რევოლიუციონურ და ინტერნაციონალისტურ პრინციპებს.

მარა ჩვენი მენშევიკ-ობორონცები ჯერ-ჯერობით სულაც არ ფიქრდებიან თავის დამარცხების ნამდვილ მიზეზებზე და სრულიად უიმედოთ ცდილობენ ეს მარცხი სხვა გარემოებით ახსნან. ისინი, როგორც დიდი ხნით გაბატონებული მიმდინარეობა, მოკლებული არიან თვითკრიტიკის ყოველივე უნარს და არხეინად განაგრძობენ მინისტრების სავარძელში ნებივრობას. ისინი კვრიანდელ მარცხის მიზეზებს ბალშევიკების ბოროტ-განზრახვაში ეძებენ.

რაშია საქმე?

სამწუხარო ამბავი

„მიტინგზე მოხდა ფრიად სამწუხარო ინცინდენტი: ზოგიერთა ჯარის კაცებმა ხელით შეურაცყოფა მიაყენა ჯერ რამდენიმე მენშევიკ-პროპაგანდისტს და შემდეგ ბალშევიკებსაც, როცა უკანასკნელთ ხმა აიმაღლეს ძალადობის წინააღმდეგ და საქმეში ჩაერიენ. ასეთი საქციელი ერთნაირად დასაგმობია ყოველი ნამდვილი რევოლიუციონერის მხრით. ბალშევიკებმა თავის ორგანოში („კავკ. რაბ.“ № 85)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე დღესვე დაგმეს იგი და სამარცხვინო ბოძზე გააკრეს მოძალადენი. ჩვენ ვალიარებთ პროპაგანდა-აგიტაციის განუსაზღვრელ თავისუფლებას. თვითეულმა მოქალაქემ, მით უფრო ჩვენმა თანამგრძნობმა ჯარის კაცებმა კარგათ უნდა იცოდენ, რომ ყველას აქვს შეუზღუდველი თავისუფლება, ყოველნაირი საშუალებით, სიტყვით, წერით და სხვ. გაავრცელოს თავისი შეხედულებანი. რუსეთის უდიდეს რევოლიუციას წაუშლელ ჩირქს სცხებს თვითეული ცდა ამ პრინციპის შელახვის. ნამდვილი თავისუფლების ეს ანბანური ჭეშმარიტება ყველასთვის ცხადი უნდა იყოს.

ეს ასეა, მარა ჩვენ ვალდებული ვართ გავიგოთ ამ სამწუხარო მოვლენის ნამდვილი მიზეზი. ჩვენ ასეც მოვიქცევით. „კავკ. რაბ.". ზემოთ ნაჩვენებ ნომერში მოყვანილია სრული ტექსტი საბჭოსთან არსებულ პროპაგანდისტების ბიუროს მიერ გამოცემულ პროკლამაციისა, რომელიც თავიდან ბოლომდე მიმართულია ბალშევიკების წინააღმდეგ. პროკლამაციაში წითელი ხოლით გატარებულია ერთი აზრი: ბალშევიკები დეზორგანიზატორებია, ანარქისტებია, კონტრ-რევოლიუციონერებია. კონტრ-რევოლიუცია მარჯვენით უკავშირდება კონტრ-რევოლიუციას მარცხნით, ე. ი. ბალშევიკებს, რომლებიც ხელი-ხელ ჩაკიდებული ილაშქრებენ რევოლიუციის მტარებელ ცენტრის, ე. ი. ობორონცების წინააღმდეგ. პროკლამაცია გაჟღენთილია ბალშევიკების სიძულვილით და მიზნათ ისახავს ყოველი საშუალებით მათ ცენტრალურ ორგანოებს (ცენტრ. კომ. „Правда" და სხ.) სახელი გაუტეხოს ფართო მასის თვალში.

აი, ასეთ ღვარძლით, სიძულვილით და ფრაქციული შოვინიზმით გაჟღენთილი პროკლამაციის ასობით და ათასობით სალდათთა მასაში გავრცელებას შეეცადენ „უპარტიო" ორგანოს წარმომადგენელნი, რომელსაც სახელად ჰქვია: «Коллегия пропагандистов при Сов. Раб. и Солд. Деп. гор. Тифлиса». ეს პროკლამაცია საჩქაროთ გამოცემულია ამ კოლეგიის ბიუროს მიერ მიტინგზე გასავრცელებლად იმ მიზნით, რომ ადგილობრივ ბალშევიკებსაც სალდათების და მუშების თვალში სახელი გაუტეხონ, ჩირქი მოსცხონ.

ჩვენ მრავალი საშუალებები გვაქვს იდეურ მოწინააღმდეგესთან საბრძოლველათ. ასეთი პროკლამაციებით ბრძოლა კი უკიდურეს დემაგოგიურ საშუალებათ უნდა ჩაითვალოს და, როგორც ასეთი, სასტიკათ დაგმობილი უნდა იქნას. მით უფრო აღმაშფოთებელია ეს საქციელი, რომ მას ჩადის ვიწრო ფრაქციული მოსაზრებით და სიტყვით უპარტიო ორგანო. ეს იმას ნიშნავს, რომ მეწშევიკ-ობორონცებმა თავის ფრაქციულ იარაღათ გადააქციეს უპარტიო ორგანო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორიცაა მუშათა და სალდ. დეპ. საბჭო. აი, ეს პროკლამაციები გაავრცელეს მენშევიკ-პროპაგანდისტებმა ჯარის კაცთა მიტინგზე, ოომელიც თითქმის ერთხმად ემხრობოდა ბალშევიკებს. როცა მდაბიოთ მოაზროვნე ჯარის კაცებმა, რომლებიც ოვაციას უკეთებდენ ბალშევიკ ორატორებს, გაიგეს პროკლამაციის შინაარსი და გამავრცელებლების მიზანი, მოთმინება დაჰკარგეს და დასაგმობ ძალადობას მიმართეს.

ეს გარემოება იყო, ჩვენი აზრით, ინციდენტის უმთავრესი მიზეზი. ჩვენ კიდევ ხაზგასმით ვიმეორებთ, რომ სასტიკათ ვგმობთ ძალადობას ვინმეს წინააღმდეგ. რაც უნდა ცუდი შინაარსის ფურცლებს ავრცელებდეს იგი, მეტადრე რევოლიუციონური ორგანოს წარმომადგენელია. ჩვენმა ამხანაგებმა საქმით დამტკიცეს ეს ჩვენი შეხედულება, როცა გაბედულათ ამ პოგრომულ სტიქიაში ჩაერიენ და მენშევიკ-პროპაგანდისტების ბედი გაიზიარეს.

ისიც დასაშვებია, რომ აქ შავრაზმულ პროვოკაციას ჰქონდა ადგილი: ძველი რეჟიმის წარმომადგენელნი, რომელნიც ჩვენი ობორონცული ორგანოების რბილი პოლიტიკის წყალობით მრავლათ დასეირნობენ ქუჩაში, გადაცმულნი სალდათის შინელში, დაერიენენ ჩვენს პროპაგანდისტებს. თუმცა ასეთი ვარაუდობისთვის ჯერ-ჯეროობით საბუთები არ გვაქვს.

ასეთია ჩვენი შეხედულება:

ახლა თვალი გადავავლოთ მენშევიკ-ობორონიცების ორგანოს („ერთობა-„Борьба-Извест“.—Сов. Раб. и Солд. Деп. г. Тифлиса“ და ნახავთ, რომ ამ ორგანოების უპასუხისმგებლო პუბლიცისტები ძველ, ნაცად ხერხს მიმართავენ ჩვენს წინააღმდეგ—სამარცხვინო დემაგოგიას, სიყალბეს, ცილის წამებას, ცინიზმს. ყველანი ერთხმად გაიძახიან: ეს ინციდენტი ბალშევიკებმა გამოიწვიესო! ერთნი ამბობენ: ბალშევიკების ანარქიტულ-რასკოლნიკურ-დეზორგანიზატორულ ტაქტიკას ასეთი შედეგი ბუნებრივად უნდა მოყოლოდაო, უფრო გაბედულნი და უტიფარნი პირდაპირ გაიძახიან: ეს ცემა-ტყეპა ბალშევიკების მოწყობილიაო! „ერთობა“ წარბშეუხრელათ არწმუნებს ამაში თავის მკითხველებს. ის სწერს: „უბრალო, მასიურ ბალშევიკებს უფრო თავდაჭერილათ ეჭირათ თავი, ვიდრე მათ მეთაურებს“. მეთაურების დანაშნულება თურმე იმაშიაც მდგომარეობს, რომ დროზე გაიფრთხილოს მენშევიკები: ასეთ ფურცლებს ნუ გაავრცელებთ, თორემ ექსცესებია მოსალოდნელიო! „ერთობის“—ცინიზმი ისე შორს მიდის, რომ სამსახიროდ იგდებს ჩვენს ამხანაგებს, რომელთაც სცემეს, როგორც მენშევიკების დამცველ! „ერთობის“ უცერემონიო პუბლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისტი ოხუნჯობს: „ხულიგანთა ბრბომ არც ბალშევიკები დაინდო და ისინიც მიტყეპა. მეთაურებმა ვერ შესძლეს მათ მიერ მოწყობილი გამოსვლის შესაფერ კალაპოტში ჩაგდება (?) და იმ ჯადოქრული ძალების შეჩერება, რომელნიც სამოქმედოთ გამოიწვიეს".

ვისაც ობიექტიური სიმართლე აინტერესებს, ჩვენთან ერთად იტყვის, რომ „ჯადოქრული ძალების" გამოწვევას ძალიან შეუწყვეს ხელი მენშევიკურ ლიდერებმა თავიანთ უტაქტიკო საქციელით. ჩვენ რომ მენშევიკების გაჯავრება გვინდოდეს, ვიტყოდით: „რაც მოგვა დავითაო, ყველა შენი თავითაო". ერთი სიტყვით, კვირის მიტინგზე მოხდარი ინციდენტის შესახებ მენშევიკებმა ამ პატარა ხანში მთელი ლიტერატურა შექმნეს, მარა ამ ლიტერატურაში დემაგოგიის, ლანძღვა-გინებისა და ცილისწამების მეტს ვერაფერს ნახავთ ხოლმე.

როცა ბალშევიკების წინააღმდეგ ობორონცების ბრძოლა ასეთ ხასიათს ღებულობს, ეს ორი რამის უტყუარი მიჩვენებელია, სახელდობრ: 1) ობორონცული მენშევიზმი იდეურ-პოლიტიკურათ კოტრდება და 2) ბალშევიზმის იდეური იარაღით დამარცხება შეუძლებელია!.. („ბრძოლა" № 5; 2 ივლისი).

---

25 ივნისს მომხდარი ინცინდეტის გამო იყო გამოძიება, კმათი, მაგრამ საქმე ამას აქით არ წასულა. ეს სჩანს „კავკაზ. რაბოჩ." შემდეგი წერილიდან:

„**ცილის მწამებელნი**. როგორც ვიცით, 25 ივნისის ტფილისის გარნიზონის მიტინგზე მომხდარი ექსცესების გამოსაძიებლათ შედგენილია საგამომძიებლო კომისია.

კომისიის ამოცანაა—გამოარკვიოს ექსცესები, ფაქტი და დამნაშავენი პასუხისგებაში მისცეს.

მაგრამ ზოგიერთი პირების, ჯგუფებისა და პარტიებისათვის ასეთი კომისია სრულიად ზედმეტია. მათთვის საკითხი უკვე გადაჭრილია. მათ იციან მიზეზიც, დამნაშავენიც. მათ იციან ვინ მოიმოქმედა ეს. რისთვისაა საჭირო რაღაც საგამომძიებლო კომისია, როცა მენშევიკები და ესერები პირდაპირ ამბობენ ვინც არის დამნაშავე. „ბალშევიკები—აი ვინ არიან ცემა-ტყეპის ორგანიზატორები",—ამბობენ სირცხვილ დაკარგული, უსინდისო ცილის მწამებელნი.

მათ უკვე შესძლეს შეცდომაში შეეყვანათ ჯარისკაცების ზოგიერთი ჯგუფები, რომელთაც საპროტესტო რეზოლიუციები გამოიტანეს, სადაც მიუთითებდენ ბალშევიკებზე, როგორც დამნაშავე პირებზე.

მაგრამ ობორონცული გაზეთების ცილის წამებზე მუშები და ჯარისკაცები ხიზღით უპასუხებენ. მეტად თვალდასანახად და უჭკუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდ ემსახურებიან ისინი მქონებელ კლასებს და ყოველი ნაბიჯი იწ-ვევს უკმაყოფილებას საკუთარ რიგებში ცილის მწამებლებისადმი. ჩვენი პასუხიც ასეთია—ზიზღი.

მაგრამ ვისაც არ უნდა ედებოდეს ბრალი უხეში ძალადობის ფაქტი ფაქტად რჩება, რომელიც მოითხოვს დაუყოვნებლივ გადამწ-ყვეტი ზომების მიღებას, რომ მომავალში არ გამეორდეს ასეთი რამ.

ამისათვის საჭიროა გაძევებულ იქნას ორგანიზაციებიდან ის პირები, ვინც მუშტი-კრივს მიმართავს; შეწყვეტილი იქნას ბალშევი-კების წინააღმდეგ პოგრომული აგიტაცია, რაც იწვევს დაპატიმრებას, ძალადობას და შეურაცყოფას; შეაგნებინონ პასუხისმგებელ პირთ, ჯგუფებს, ბეჭდვითი ორგანოებს, რომ დაუსჯელად ცილისწამება და-უშვებელია იმითი, ვინც არ უნდა იყოს.

ყოველგვარ უსირცხვილობას უნდა დაედოს საზღვარი. („კავკ. რაბ.“ № 92).—

ასეთია გაზეთების აღწერით იმ მიტინგის სახე, სადაც სრული გარდატეხა მოხდა ჯარისკაცთა სულიერ განწყობილებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატომ დაიგვიანა საქართველოში „ოქტომგერმა“?

ანუ 1910—17—20 წლები საქართველოში.

მცირე შესავალი.

1927 წ. სრულდება რუსეთის პროლეტარული რევოლიუციის მეათე წლის თავი. ეს ათეული კაცობრიობისათვის სრულიად ახალი სოციალური ცხოვრების დასაწყისია. ამით იწყება ახალი ისტორიული ეპოქა, რომელსაც მეცნიერება სოციალიზმს უწოდებს; ჩვენი დრო მხოლოდ დასაწყისია, გარდამავალი ხანაა; განვითარების შემდეგი ხანა კომუნიზმის სახით გვეხატება დღეს.

პროლეტარული რევოლიუცია, რომელიც 1917 წლის 25 ოქტომბერს (ძვ. სტილით) დაიწყო რუსეთის ყოფილ იმპერიაში, მალე უკვე ათ წელს მიაღწევს და ამიტომ საჭირო ხდება ისტორიამ ის დეტალურათ შეისწავლოს და მომავალ ისტორიკოსებს მეცნიერულათ დამუშავებული მასალა გადასცეს, რომ რევოლიუციის თვალმომჭრელი სრბოლის კანონების გამოკვლევა გაუადვილოს, ასეთ გამოკვლევას მტკიცე საფუძველი მისცეს.

სწორეთ ამ მიზნით გამოსცა ამ წლის ოქტომბრის დასაწყისში საკავშირო კომპარტიის ცეკას პარტისმა სანიმუშო პროგრამა-სქემა „ოქტომბრის ათი წლის თავის აღსანიშნავი ისტორიული ნარკვევებისათვის და მასალების დასამუშავებლათ.“ ცეკას პარტისმა უკვე მიმდინარე წლის დასაწყისიდანვე მისცა წინადადება ადგილობრივსა და ეროვნულ კომპარტიებს, რომ ასეთ მუშაობას დღეიდანვე შეუდგენ.

საქართველოს კომპარტიის პარტისი ვერ დატოვებს უყურადღებოდ ამ წინადადებას; მას მასალაც აქვს და საბუთიც, რომ ნაყოფიერათ შეასრულოს ეს სამუშაო. საქართველოს გასაბჭოება ე. ი. პროლეტარული რევოლიუცია 1917 წლის ოქტომბერს მოსკოვში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომხდარ ბალშევიკური „გადატრიალებას“ კი არ მოჰყვა, ეს მოხდა ოქტომბრის შემდეგ სამი წლით გვიან, ე. ი. 1921 წლის თებერვალში.

ამნაირათ, 1921 წლის 25 თებერვალი საქართველოსათვის ეს იგივეა, რაც ცენტრალურ რუსეთისათვის 1917 წლის 25 ოქტომბერია. აქედან, როგორც ხედავთ, საქართველოში „ოქტომბერმა“, ე. ი. პროლეტარულმა რევოლიუციამ სამი წლით და ოთხი თვით დაიგვიანა.

რათ მოხდა ეს? რა ისტორიულმა პირობებმა, რა ძალებმა და რა გარემოებამ ან შემთხვევამ გამოიწვია ეს დაგვიანება? და რამ მიიყვანა საქართველო გასაბჭოებამდე?

I

თვითმპყრობელური რეაქციის გამაგრება, მუშათა ხელახალი ამოქრავება და სოციალ-დემოკრატია დიდი იმპერიალისტური ომის წინ

რუსეთის პირველი რევოლიუციის (905 წ.) დამარცხების შემდეგ თვითმპყრობელური რეაქცია გამაგრდა და 1910 წელს თავის უმაღლეს წერტილს მიაღწია. რევოლიუციონური ბრძოლა თითქოს ჩაჰქრა, რევოლიუციონური პარტიები ჩაჩუმდენ, ბალშევიკების ფრაქციაც კი „ჯურღმულებში“ მიიმალა.

რევოლიუციის მეთაურები, ვინც დაჭერას გადაურჩენ, ზოგი საზღვარ-გარეთ, ევროპაში, გადავიდა და იქიდან ხელახალი რევოლ. ორგანიზაციის შენებას ხელმძღვანელობდა. ზოგი აქვე დარჩა და შინვე მუშაობდა. რევოლიუციის ერთი მონაპოვარი, რაც გადარჩა რეაქციის სრულ განადგურებას—ეს იყო „სახელმწიფო დუმა“

ეს იყო საერთოდ, მაგრამ ცხოვრების ძირითადი ეკონომიური პროცესი მაინც თავისი გზით მიმდინარეობდა. მსოფლიო ბაზარზე საკონკურენციო ბრძოლაში ჩაბმული რუსული კაპიტალიზმი მაინც წინ მიიწევდა და სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან ეკონომიურათ დაკავშირებული მათთან ერთად მსოფლიო ომს ამზადებდა. პირველი რევოლიუციის იერიშებით შეფერხებული სახალხო მეურნეობა ისევ ფეხზე დგებოდა: რამდენიმე წლის განმავლობაში ზედიზედ ხორბლეულის კარგმა მოსავალმა რუსეთი წელში გამართა და მსხვილ მრეწველობასაც გასაქანი მისცა. ამ შინაურმა ეკონომიურმა პროცესმა უცხოეთის კაპიტალიც მიიზიდა. გლეხკაცობის პროლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარიზაცია სწრაფი ნაბიჯით წავიდა და სოფლიდან გამოსული მუშა-ხელი, შუაგულ რუსეთში რომ სამუშაოს ვერ შოულობდა, შორეულ ოქროს მადნების მხარეს მიემგზავრებოდენ სამუშაოზე. ოქროს მადნებში სამრეწველო მუშების თავის მოყრამ მალე **„ლენის ამბები“** მოამზადა (1912 წლის 4 აპრილი). „ლენის ამბებით“ დაიწყო რუსეთში მუშათა კლასის ხელახალი მასიური რევოლიუციონური აღმოძრავება.

როგორი იყო საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა ამ ხანებში და რას წარმოადგენდა სოციალ-პოლიტიკურად საქართველოს „მოსახლეობის“ მოწინავე ნაწილი, მისი დიდი უმრავლესობა, ქართველი მშრომელი ხალხი?

1906 წელს პირველი რევოლიუციის (905 წლის) უკანასკნელი ტალღები საქართველოში ჯერ ისევ ბობოქრობდა, მაგრამ რეაქცია სპარსეთის რევოლიუციის დამარცხების შემდეგ (1909 წ.) აქაც ძალზე გამაგრდა: ასე რომ 1910 წელს იგი აქაც მთელ თავის ძალაში იმყოფებოდა.

როგორც იმდროინდელი ქართული გაზეთები მოწმობენ, ჯერ კიდევ 1909 წელს დასავლეთ აქართველოში ძალიან ცუდი მოსავალი იყო, იმდენად ცუდი, რომ „სახელმწიფო დუმის“ სოც.-დემ. დეპუტატი კარლო ჩხეიძე მთავრობას დამშეული ხალხის შველას სთხოვდა. მთავრობის დახმარება ვერას უშველიდა ხალხს, რომ შემდეგ წელიწადს, 1910 წელს მას მეტად უხვი მოსავლით სული არ მოეთქვა და წელში არ გამაგრებულიყო.

„1909 წლის საშინელმა მოუსავლობამ დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოში, სწერს ამბ. თედო ღლონტი, პურისა და სოფლის ყოველგვარ ნაწარმოების წარმოუდგენელმა სიძვირემ, შიმშილმა... მეტათ უმწეო მდგომარეობაში ჩააგდო ქართველი ხალხი... და როცა 1910 წელს კარგი მოსავალი მოვიდა საქართველოს ორივე კუთხეებში“-ო (დასავლეთ-აღმოსავლეთში) ეს გარემოება ხალხს მართლაც გამართავდა წელში“-ო, განმარტავს ავტორი, რომ ამას, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში სიმინდის ფასის დაწევა არ მოყოლოდა: ჩვენში კი 1909 წელს ფუთი სიმინდი 1 მ. და 1 მ. 20 კაპ. იყიდებოდა ბაზარზე, დღეს კი ასეთივე ხარისხის სიმინდი ფუთი 35 კაპ.—40 კაპეიკამდე ფასობს„ („სახალხო გაზეთი“ № 179—1910 წელი 9/XII).

აქედან სოფლის მშრომელ ხალხს 1910 წლის კარგი მოსავალიც ბევრს ვერას შველოდა, ის ფულის „საშოვრათ“ მაინც იძულებული იყო „გარეთ სამუშაოზე გასულიყო“. მაგრამ მას აქაც დაუძლეველი დაბრკოლება ხვდებოდა: წარმოება-მრეწველობაში ამ დროს არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ რუსეთშიაც მწვავე კრიზისი ჯერ კიდევ არ დასრულებულიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...„სწორეთ ასეთი ფართე წასიათისაა დღევანდელი ეკონომიური კრიზისი რუსეთში, სწერს იმ დროინდელი ბალშევიკური გაზეთი თავის მეთაურში, არ არის თითქმის არც ერთი დარგი მრეწველობისა, სადაც კრიზისი არ იყოს გაბატონებული“... („მოგზაური“ № 4—1910 წ.).

ეს კრიზისი საქართველოს მუშათა კლასის **რაოდენობითი** შემცირებაში შემდეგნაირათ გამოიხატა. მთავრობის მიერ გამოცემული „კავკასიის კალენდარით“ (ნახ. „კავკასიის კალენდარი“ 1909, 10, 11 და 12 წლ. მუშათა რიცხვი საქართველოში 906—7 წლებში დაახლოვებით 20.500-მდე ყოფილა, ხოლო 1910 წელს 20.944 კაცამდე ასულა. ასე რომ, სამი-ოთხი წლის განმავლობაში სულ რაღაც 500-მდე კაცი მომატებია.

საქართველოს ცალკე ნაწილებს თუ ავიღებთ აღმოჩნდება, რომ დაწინაურებულ კუთხის მუშათა რიცხვი ძალზე შემცირებულა.

მაგალ. ტფილისის გუბერნიაში 1907 წელს მუშათა რიცხვი აღწევდა 12.037 კაცს, ხოლო 1910 წელს იყო მხოლოთ 10.633 კაცი, დაიკლო 1.404 კაცით. ამავე წლებში მუშათა შემადგენლობის თვისებითი ცვლილებაც საგრძნობია. კულტურულათ დაწინაურებულ მუშების რიცხვი კლებულობს მაშინ, როდესაც კულტურულათ ჩამორჩენილები მატულობს.

მაგალითად, ბათომის ოლქში 1903 წლ. 5.142 მუშიდან 3.300-მდე კაცი ბათომის ნავთის ყუთების (როტშილდის და სხვა ევროპიელ კაპიტალისტების) ქარხნის მუშებათ ითვლება და ეს მუშები თითქმის ყველა საქართველოს ისეთი დაწინაურებულ კუთხეებიდან იყვენ გამოსული, როგორიც არის გურია და ვაკე-იმერეთი. ამ გარემოებას ამოწმებს იმდროინდელი მთავრობის ოფიციალური ცნობა, რომელიც ამბ. ფილიპე მახარაძის წიგნის—„905 წელი“—დამატებაშია მოთავსებული. იქ სწერია: ...„ქადაგება დაიწყო ყველაზე დიდ ქარხანაში ბნიტოში (ბათომში), სადაც მუშათა რაოდენობა 2.000 კაცს აღწევს. ეროვნული შემადგენლობა ამ ქარხანაში შემდეგია: ქართველია 80%, რუსი 8%, თათარი 6%, სომეხი 5%, სხვა ეროვნების 5%... ეს იყო 1901-5 წლებში.

ხოლო 1910 წელს საერთოდ ბათომის ოლქში „კავკასიის კალენდარის“ ანგარიშით მუშათა რიცხვი 6.109 აღწევდა, აქედან ართვინის ოლქის (ოსმალეთის საზღვრებზე) სპილენძის სადნობ ქარხნის მუშა 4.761 კაცამდე ითვლებოდა მაშინ, როდესაც ქ. ბათომის ნავთის ყუთების ქარხანაში მხოლოდ 290 კაცამდე იყო, რადგან ამ დროს როტშილდის ქარხანა და სხვა უცხოეთის მსხვილი კაპიტალისტების ქარხნები 905 წლის რევოლიუციის გამო დახურული იყო. როცა მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, თუ რა როლი შეასრულა

ეროვნული ბიბლიოთეკა

როტშილდის ქარხანამ დასავლეთ საქართველოს 905 წლის რევოლიუციურ მოძრაობაში, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ ამ ქარხნის დახურვით რევოლიუციას ამ მხარეში მთავარი საფუძველი და წყარო მოესპო.

ამნაირათ 1910 წელს საქართველოს ხელხი მწვავე ეკონომიურ კრიზისს განიცდიდა, მისი მუშათა კლასი გარდა ტფილისის რკინის გზის მთავარ სახელოსნოებისა და რამდენიმეთ ჭიათურის მარგანეცის მაღარო-ქარხნებისა, სამოქმედო ბაზას მოკლებული იყო.

ამ ნიადაგზე რეაქცია სავსებით გამაგრდა, მემამულეებმა თავიანთი უფლებები აღადგინეს და მშრომელი ხალხიც თავისი მხრით გარემოებას და პირობებს დაემორჩილა, აღდგენილ რეაქციას თანდათან ისევ შეეგუა და ჩვეულებრივ ჭაპან-წყვეტას უდრტვინველათ შეუდგა.

ზემოთ აღნიშნული 1910 წელს ლეგალურათ გამოსული ბალშევიკური გაზეთის, „მოგზაურის“ შინაური მიმოხილველი ასე აგვიწერს იმდროინდელ გლეხკაცობის სულისკვეთებას და პოლიტიკურ-სოციალურ მდგომარეობას...

...„ესული კვირის (1910 წლის აპრილის პირველი კვირის) ქრონიკაშიც საკმაოდ მოიპოვება დამაფიქრებელი ამბები. აიღეთ „ჩვენი გაზეთის“ № 16-ში (ს. დ. მენშევიკური) მოთავსებული კორესპონდენცია გურიიდან.

რა უნდა ჰქნას ასეთ პირობებში მყოფმა ხალხმა? როგორც კორესპონდენტი იწერება, ჩოხატაურის საბოქაულოს გლეხობისათვის ადგილობრივ ადმინისტრაციას გადაუხდევნებია მემამულეებზე შეწერილი მიწის ბაჟი, ე. ი. ისეთი გადასახადი, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს გლეხებთან, რომელიც კანონის აზრით მიწას ადვილ და თვით ქონებამ უნდა გადაიხადოს. ეს ბაჟი გადაუხდევინებია დარაჯებისა და პოლიციის ძალით, რომელთა შენახვა ბაჟის აკრეფის დროს იმავე გლეხებისათვის დაუვალებიათ...

ამ კითხვის გამორკვევა მოუსურვებიათ იმავე ბედში მყოფ ჩოხატაურის მოვაჭრეებს. გაუსაჩივრებიათ პოლიციის ადგილობრივი აგენტის მოქმედება და პასუხათ მოსვლიათ, რომ საქმის გამოძიება მიენდოს იმავე აგენტს, რომელიც ბაჟების აკრეფას ხელმძღვანელობდა... თუ რა განაჩენს გამოუტანდა გლეხებს ეს აგენტი, დასძენს მიმოხილველი, ამას მკითხველი ადვილათ მიხვდებაო. („მოგზაურის“ 1910 წლ. № 2).

თუ როგორი იყო მუშათა მდგომარეობა ამ მხრით, ამას კიდეე იმავე გაზეთის მუშკორები ასე აგვიწერენ:

„... ცოტა რომ არა ვთქვათ, სწერს იმდროინდელი მუშკორი პეტრონი თავის კორესპონდენციაში — თამბაქოს ფაბრიკების მუშათა ცხოვრებიდან, — ტფილისის თამბაქოს ფაბრიკებში ათასი კაცი მინც მუშაობს. როგორია დღეს მათი მდგომარეობა? როგორ შეინახეს მოპოებული უფლებები? სამწუხაროთ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამაზე ფიქრი მათთვის ზედმეტ ბარგათ გამხდარა... არავითარი ხმის ამოღება, არავითარი პროტესტი აღარ ისმის!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე კორესპონდენტი „კანდიტერი“ იმავე გაზ. იმავე №-ში სწერს:

„კანდიტერ-მებულკეების ცხოვრებიდან: 1906 წლიდან დაწყებული თანდა თან გვეცლება ხელიდან ყოველივე მოპობილი ფულები, თანდათან უარესდებ ცხოვრების პირობები, აუტანელი ხდება ჩვენი ცხოვრება“... და სხვა.

შემდეგ იმავე გაზეთის—„მოგზაურის“ შინაური მიმოხილველი მე № 6-ში დაასკვნის: „ . . . ყველგან, ყველა წარმოებაში ერთ-სა და იმავეს ეხედავთ: 905-სა და 906 წლებში მოპობული შეღავა-თიანი პირობები ისპობა, სამუშაო დღე ყოფილ 8-9 საათის ნაცვ-ლათ 15 საათამდის აჰყავთ, შტატი მცირდება და სხვა. ასე იქცევი-ან ჩვენი კაპიტალისტები, როგორც ადგილობრივ მკვიდრთაგანნ, ისე „განახლებულ—(?) ევროპიელებიც“...

როგორც ხედავთ ეკონომიური კრიზისისა და პოლიტიკური რეაქციის ზეგავლენით რევოლიუციონური სულისკვეთება საქართველოს როგორც მუშებში, ისე გლეხკაცობაში 1910 წელს თითქმის სულ ჩამქრალა. რაც შეეხება იმდროინდელ ერთად-ერთ რევოლიუციო-ნურ პარტიას, ს. დემოკრატიას, მისი მდგომარეობა-ვითარება შემ-დეგ სურათს წარმოადგენს.

საქართველოს სოციალ-დემოკრატია—ყოველ შემთხვევაში მისი მენშევიკური ნაწილი, 1910 წელს მხოლოდ მკრთალი ლეგალური „მუ-შაობით“ კმაყოფილდება და მხოლოდ „სახელმწიფო დუმით“ სულ-დგმულობს.

რაც შეეხება ს. დ. რევოლიუციონურ ნაწილს, ბალშევიკურ ფრაქციას, მისი მდგომარეობა მართლაც აუტანელი იყო, თუმცა ამ-ხანაგების იმ მცირე ჯგუფს, რომელიც გადარჩა დაჭერასა და გადა-სახლებას, რევ. მუშაობისათვის თავი არ დაუნებებია.

იმ დროინდელი აქტიური რევოლიუციონური, ამბ. ილარიონ მგელაძე (ვარდინი) ამ მდგომარეობას თავის მოგონებაში შემდეგ ნაი-რათ აგვიწერს:

„ . . . 1909 წლის გაზაფხულზე და ზაფხულში სასტიკი ბრძოლა სწარმო-ებდა მენშევიკებთან, რომელნიც თითქმის საბოლოოთ დადგნენ ლიკვიდატორების გზას...

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენს შორის არც ერთი ინტელიგენტი არ ყო-ფილა და თავის-თავად იგულისხმება, პოლიტიკური მომზადების მხრით მენშევი-კები ბევრათ გვჯობნიდნენ... წავიდენ რა ტფილისის კომიტეტიდან, მენშევიკები გამაგრდენ სოალქო კომიტეტში, საიდანაც დაგვიწყევეს ლანძღვა თავიანთ ფურც-ლებში, გვეძახოდენ სექტანტების ჯგუფს...

„1909 წლის აგვისტოში ორი პროკლამაცია დავბეჭდეთ ლეგალურ სტა-მბაში.

ამავე წლის ოქტომბერში, დაბოლოს, ჩვენ მოვაწყვეთ საკუთარი სტამბა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოემბერში ჩვენ დავიწყეთ გაზეთ „ტფილისის პროლეტარის“ გამოცემა...

„ტფილისის პროლეტარი“ ჩვენ გამოვეცით 3 ნომერი. (სამწუხაროდ საქართველოს რევოლიუციის მუზეუმის არქივში არ აღმოჩნდა ამ გაზეთის არც ერთი ნომერი. რ. კ.) უკანასკნელი ნომერი გამოვეცით 1910 წელს... 1910 წლის მარტში... ჩვენი უკანასკნელი პროკლამაცია, როგორც მახსოვს, იყო სამაისო გამოცემა 1910 წელს...

არალეგალური ლიტერატურის გარდა 1910 წლის გაზაფხულზე ჩვენ შეუდგენდით კვირეულ ჟურნალის „მოგზაურის“ გამოცემას... (ეს გაზეთი თუ ჟურნალი „მოგზაურის“ სახელწოდებით სულ 6 №-რი გამოსულა, სადაც ნანავა ზემოთ ზოგი ადგილი უკვე აღვნიშნე. რ. კ.)...

1910 წლის მაისში დაიწყო დაპატიმრება. ახალი მუშაკები აღარ იყვნენ არც ნივთიერი სახსარი იყო, თანამგრძნობმა ინტელიგენტებმა, მათ შორის ნიკო ელიავამ, ფულები აღარ მოგვცეს, რომ პირველ რიგში სტამბა გადაგვერჩინა. თვითეული ჩვენგანის მდგომარეობა ბეწვზე ეკიდა, კერძოთ მე ჯაშუშები ფეხ და ფეხ დამყოლდენ. აუცილებელი იყო ჩემი ტფილისიდან გასვლა. ძლივს ვიშოვნე 3 მანეთი.

ამავე წლის ივნისს—ივლისში ჩვენი ორგანიზაცია დანგრეული იქნა, სტამბა აღმოაჩინეს, მე კი 1910 წლ. ნოემბერში ბაქოში ვიყავი „(ნახ. ჟურნალ“ „რევოლიუციის მატიანეს“ № 1 (11) 1925 წ. გვ. 156-60). იქვე იყო იმ დროს კობა—სტალინიც. რ. კ.).

ამნაირათ 1910 წლის დასაწყისშივე ს. დემოკრატიის მენშევიკური ნაწილი ერთიანად დადგა ლეგალურ ნიადაგზე, რევოლიუციური ორგანიზაციის ლიკვიდაცია თვითონვე გამოაცხადა, ხოლო ს. დ. ბალშევიკური ნაწილი მთავრობის რეპრესიების გამო ამავე წლის შემოდგომაზე თითქმის მთლად გაქრა. 1911 წელს რეაქცია ცენტრებში იმდენათ გაძლიერდა და გაბატონდა, რომ გალიკვიდატორებული მენშევიკები ლეგალურ ნიადაგზედაც ვეღარ გამაგრდენ: ტფილისში, მაგალითად, ლეგალური გაზეთის გამოცემაც ვეღარ შესძლეს და მოქმედება ქ. ქუთაისში გადაიტანეს: აქ 1912 წლიდან ლეგალური გაზეთის გამოცემას შეუდგენ.

ბალშევიკურმა სოციალ-დემოკრატიამ 1910 წელს მოქმედება შესწყვიტა და თითო-ოროლა მისი წარმომადგენელი იძულებული გახდა გადასულიყო ბაქოში. ბალშევიკების ამ პატარა ჯგუფმა 1913 წელს ძლივს მოახერხა და ისიც არა ტფილისში, არამედ ქ. ბაქოში ქართული ჟურნალის გამოცემა. ეს იყო ჟურნალი „**წყარო**“, რომელსაც ბალშევიკები მხოლოდ მეათე ნომრის შემდეგ წაუძღვენ (ამხ. ფილიპე მახარაძე ჩაუდგა რედაქციას სათავეში), ხოლო პირველი ათი ნომერი მენშევიკების ბელადის ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით გამოვიდა.

ჟურნალ „წყარო“-ში ჩვენ ვკითხულობთ, თუ რა განსხვავება იყო დიდი იმპერიალისტური ომის წინ რუს-მუშების რევოლიუციურ მოძრაობის ვითარებასა და საქართველოს მშრომელი ხალხის რევოლიუციურ მოძრაობას შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალ წყაროს მე-4 №-ში 1913 წ. 14 აპრილს ასეთი ცნობაა დაბეჭდილი:

„ლენაში მომხდარ უბედურების წლის თავი“. 4 აპრილს პეტერბურგში მოხდა გაფიცები და მიტინგები გასულ წლის 4 აპრილის ქ. ბოდაიბოში მწვიდობიან გაფიცულ მუშების დახოცვის გამო 1, 2, 3, და დილით 4 აპრილს ფაბრიკებში, ქარხნებში და სახელოსნოებში გაავრცელეს პროკლამაციები რ. ს. დ. პარტიის პეტერბურგის კომიტეტის სახელით... ჯერ ქარხნებში და ფაბრიკებში მიტინგი იქნა გამართული და გარდა ამისა პეტერბურგის ქუჩებზე—დიდი დემონსტრაციები. დაახლოვებით სადემონსტრაციო გაფიცვებში და მანიფესტაციაში მონაწილეობა მიიღო 80-ათასამდე მუშამ. „იმავე ჟურნალის მე-8 №-რში კი 1913 წ. 24 თებერვალს (ნოე ჟორდანიას რედაქტორობის დროს) დაბეჭდილი იყო ვითომდა „მუშის“ კორესპონდენცია, რომელიც ჭიათურის მარგანეცის მუშების ამოძრავებას შეეხებოდა. ეს „მუშა“—დავიჯეროთ, რომ ის მართლა მუშა იყო, სწერდა:

„. . . მაგრამ ამას (ე. ი. წარმოების პირობებსო. რ. კ.) არ დაგიდვენ ჭიათურის „ურა-ტაქტიკის“ მუშები. აქ ერთ (რომელიმე მუშას) მოუვა რაღაც მოთხოვნილება, რის შემდეგაც ის ჩამოუვლის მუშაობის დროს დანარჩენ მუშებს და ეტყვის: ამა და ამ დროს მუშაობას თავი გაანებეთ და ესა და ეს მოითხოვეთო, მორჩა და გათავდა: გაფიცვა გადაწყვეტილია. მოატანს დანიშნული დრო და გაფიცული რჩება სულ რამოდენიმე მუშა, რომლებიც მეორე დღეს უარეს პირობებში უბრუნდებიან სამუშაოს. მარტო ერთ ფირმაში, ერთი წლის განმავლობაში ოთხი ასეთი შემთხვევა იყო, ასეთი შემთხვევები ხშირია სხვა ფირმებშიაც, რასაც შედეგად მოსდევს დეზორგანიზაცია.

ცხადია, ეს კორესპონდენტი მენშევიკი ს. დემოკრატია, რომელიც თავის გაზეთს განსაზღვრული მიზნით ასეთ ცნობას აწვდის. ლიკვიდატორი სოციალ-დემოკრატია თავისი პრესის საშუალებით ჭიათურაში სამოძრაოთ აღძრულ მუშებს იმ აზრს უნერგავდა, რომ „გაფიცვა დეზორგანიზაციას ნიშნავსო“... და მისი ასეთი ქადაგება რომ სჭრიდა და გავლენას ახდენდა ამ ფაქტიდანაც აშკარად სჩანს: **გაფიცვის შემთხვევები** 1912 წლის განმავლობაში, როგორც თვითონ კორესპონდენტი აღნიშნავს, **ხშირი ყოფილა** „ურა ტაქტიკის“ მატარებელთა (ე. ი. ბალშევიკ-მუშების. რ. კ.) მეთაურობით, მაგრამ ყოველთვის „ჩამქრალა“;

ზემოთ დასახელებულ „მუშის“ წერილიდან ვტყობულობთ ერთს მეტათ საყურადღებო ფაქტს: „ლენის და პეტროგრადის ამბების“ შემდეგ 1912 წლის განმავლობაში ჭიათურის მარგანეცის მუშებში აღძრული ამოძრავებისა და ბრძოლის ხალისი, გაჩენილა კიდეც გამოსვლის ნიშნები გაფიცვის სახით, მაგრამ მენშევიკ სოც.-დემოკრატებს ეს „ურა-ტაქტიკათ“ უცვნიათ და იგი „ჩაუქვრიათ“.

მაგრამ აქ ისტორიული თვალსაზრისით კითხვაა წამოყენებული: ჭიათურის მუშების ამოძრავების ხალისი გაფიცვის სახით მართლა მარტო ამ „ურატაქტიკის“ (ე. ი. ბალშევიკ-აგიტატორების)

ბრალია, როგორც ამას „წყაროს“ კორესპონდენტი „მუშა“ ამბობს, თუ უფრო ძირითად მოვლენას, ეკონომიურ სფეროში მომხდარ ცვლილებას ჰქონდა გადამჭრელი მნიშვნელობა?

რა მოხდა ასეთი ამ წლებში ჭიათურის ცხოვრებაში? აი რა:

1910 წლიდან დიდ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს აშკარათ ეტყობოდათ, რომ ისინი ომისთვის ემზადებოდენ და ამისათვის ისინი სამხედრო იარაღისთვის საჭირო მასალის მომარაგებას შეუდგენ. ცხადია, რომ ომისთვის საჭირო შეიქნა ლითონის წარმოების გაძლიერება, ხოლო ლითონის წარმოებაში, როგორც ვიცით, მარგანეცი აუცილებლათ საჭირო მასალას წარმოადგენს. აი ეს იყო ომის მიზეზი, რომ ამ წლიდან კაპიტალისტებმა ჭიათურიდან მარგანეცის გატანა გააორკეცეს.

მაგალითად: 1909 წელს 31 მილიონამდე ფუთი მარგანეცი რომ გაუტანიათ, 1913 წელს მათ გაუტანიათ სულ 67 მილიონი 978,170 ფუთი („Кавказский Календарь“ за 1915 и 1916 г.) აი საიდან გაჩნდა ჭიათურის მუშებში ბრძოლის ხალისი, მაგრამ, როგორ ზემოთ ვთქვი, ამ ხალისს მენშევიკი-ლიკვიდატორები ახშობდენ, აქრობდენ. ამნაირად საქართველოში დიდი იმპერიალისტური ომის წინ რევოლიუციური მუშაობა ერთობ მიმკრთალი და შესუსტებული იყო; რუსეთის ცენტრებში კი ამ დროს მუშათა რევოლიუციონური მოძრაობა კვლავ გამოცოცხლდა, („ლენის ამბები“). შესაძლებელი შეიქნა მუშური ორგანოს („პრავდა“) გამოცემაც და საერთოდ მუშათა კლასის რევოლიუციონური სულისკვეთება დღითი-დღე გიგანტიურათ იზრდებოდა...

ჩვენში დიდი იმპერიალისტური ომის წინ მუშათა და გლეხთა მოძრაობა თითქმის შეჩერებული იყო მაშინ, როდესაც პეტროგრადში მუშათა მოძრაობამ უკვე ბარიკადებზე ბრძოლის ხასიათი მიიღო (1914 წლის ივლისის დღეები) აქ, საქართველოში, სრული სიწყნარე სუფევდა. უეჭველია, რომ რუსეთში მუშების ამოძრავების ხმამ საქართველოს ხალხის ყურამდეც მოაღწევდა, მაგრამ ამასობაში დიდი იმპერიალისტური ომიც გამოცხადდა და ზარბაზნების ჭექა-ქუხილმა ერთიანათ დაახშო პეტროგრადელ მუშების რევოლიუციური ხმები. საქართველოც ომის ფერხულში ჩაება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II

(1914, 15 და 16 წლები)

როგორი იყო დიდი იმპერიალისტური ომის დროს საქართველოს ეკონომიური და სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობა და რაში გამოიხატა საქართველოში ხელახალი რევოლიუციონური ამოძრავება, რა საფეხურს მიაღწია მან 1917 წლის „თებერვლის რევოლიუციის“ წინ?

დაიწყო მსოფლიო დიდი იმპერიალისტური ომი და პეტროგრადში გაჩაღებული მუშათა რევოლიუციონური ბრძოლა შესწყდა, ხოლო საქართველოში გამეფებული „სიჩუმე, ვით მკვდართა ძილი“ ისევ ძალაში დარჩა.

ომის გამოცხადებამ პირველ წელს ჩვენში მხოლოდ ცხოვრების ზედა პირი შეარხია, ააფორიაქა, მაგრამ, რაც დრო გადიოდა, ომი-ანობა თანდათან იჭრებოდა ცხოვრების სიღრმეში და იქ ეკონომიურ ცვლილებას ახდენდა, რაც თავის მხრივ ხალხის პოლიტიკურ განწყობილებასა და სულისკვეთებაშიაც ცვლილებას იწვევდა. შემდეგ ომს სხვადასხვა სტიქიური უბედურება—წყალდიდობაც, ნაკლები მოსავალი და შიმშილობაც დაერთო.

წარმოებაში, როგორც ომის შედეგი, მოხდა ღრმა ცვლილება: ერთი მხრივ ერთბაშათ შესწყდა საექსპორტო საქონლის საზღვარგარეთ გატანა საქართველოდან—მარგანეცის, სიმინდის, აბრეშუმის და სხვა, მეორე მხრივ ძალიან დაიკლო ფართლეულობის და სხვა საქონლის რუსეთიდან შემოტანამ, რადგან ეს საქონელი რუსეთშიაც ნაკლები მზადდებოდა ფაბრიკა-ქარხნების სამხედრო მასალის დამზადებაზე გადასვლის მიზეზით.

ამას დაერთო ის გარემოებაც, რომ ამიერ-კავკასიის ცენტრში, ტფილისში, ოსმალეთის საზღვრებზე ფრონტის გახსნის გამო რუსეთის ჯარებმა თავი მოიყარა. ტფილისი სამხედრო ძალების მთავარ ბაზად გადაიქცა. აქედან ტფილისის ბაზარზე ყოველგვარი საქონლის საშინელმა სიძვირემ იჩინა თავი და სიძვირე, რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო მატულობდა.

მეორე მხრივ ჩვეულებრივ საქონლის წარმოების, განსაკუთრებით წვრილი წარმოების შემცირებამ, გამოიწვია უმუშევრობის გაზრდა. სოფლათაც ომში ახალგაზრდათა გაწვევის გამო მუშა ხელი შემცირდა, აქედან სასოფლო მეურნეობის პროდუქციაც შემცირდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ დროინდელ ერთ ქართულ გაზეთში (იხ. „სახალხო გაზეთი“ 1916 წლის მე-469 №-ში) ამბ. თედო ღლონტი თავის ფელეტონში — „საქართველოს ეკონომიური ცხოვრება 1915 წელს“ ზემოთ ასახულ მდგომარეობას შემდეგნაირად აგვიწერდა:

„...ომმა შეაფერხა ვაჭრობა... საფაბრიკო მასალების შიმშილობაა ჩვენში, ბამბეულობის და შალეულობის ფასმა: 300 - 400% მოიმატა, ტყავეულობა აღარ იშოვება, შემცირდა სხვა საქონელიც. ეკონომიური მდგომარეობა საბედისწერო შეიქმნა (წყალდიდობა, შიმშილობა და სხვა)...

მძიმე პირობები დადგა 1915 წელს: ა) უცხოეთის ბაზარი დაიკეტა... აღარ ჭქმნის საცხოვრებელ მასალების მეტს; ბ) არა ჩვეულებრივი მოფსავლობა ნიადგრების გამო. დაარსდა სამბედრო სამრეწველო კომიტეტები, მაგრამ ამან ვერა უშველა რა. წვრილ ქარხნებში მუშაობა შემცირდა, ზოგან შეწყდა (ართვინში სპილენძის ქარხნები ვეღარ მუშაობენ, ჭიათურის ქვას ბაზარი დაეზში—ალავერდის ქარხნები 60—80% ამზადებენ სპილენძს—მუშა ხალხი დარჩა უმუშევარი და დაბრუნდა სოფელში, ამან გაუხშირა ყაჩაღების თარეში: ოჯახის მდგომარეობა გართულდა: ახალგაზრდები ჯარში გაიწვევს, მუშა ხელი შემცირდა, ქალები მათ მაგივრობას ვერ ეწევიან—მამები უგზავნიან ფულს ომში გაწვეულებს, რაც აქვეითებს ჩვენი ხალხის ნივთიერ მდგომარეობას.

მაგრამ 1915 წ. მრავალი კოოპერატივი დაარსდა. დაარსდა სასოფლო კოოპერატივის კავშირები, სამაზრო საკოპერაციო ბიუროები. ამ გარემოებამ სიძვირე შეანელა. ქალაქში მუშები ახერხებენ გაფიცვებს და ხელფასზე გავლენას ახდენენ; მ. გრამ სიძვირე იზრდება.—სახელმწიფო სასურსათო თანხაც შველოდა ხალხს სიძვირის დროს—ეს თანხა გამოლილია, მოსავლის იმედი ნაკლებია (ეს 1916 წელს რ. კ.). რადგან მუშა ხელი თანდათან მცირდება...

ერთი სიტყვით, ეკონომიური ცხოვრება საქართველოში 1915 წელს ამბ. თედო ღლონტის ანალიზით დიდი იმპერიალისტური ომის გავლენის მიზეზით უკვე საშინელ კრიზისს განიცდიდა: იგი, ასე ეთქვათ, დადამბლაებული იყო.

ასევე დადამბლავება დაეტყო რევოლიუციონურ მოძრაობასაც: შეგნებულათ მოწყობილი გაფიცვების ნიშანწყალიც კი აღარსად სჩანდა, ვლეხთა არავითარი პროტესტი აღარ ისმოდა.

სიძვირე ისე აუტანელათ ხდიდა ცხოვრებას, რომ ამ საერთო ენა-ჩაკმედილობის დროსაც ეკონომიურმა კრიზისმა თავისი გამოხატულება მაინც იპოვა. ეს იყო 1916 წელს საქართველოს ეკონომიურ ცენტრებში, ქალაქებში „ქალთა არეულობა“ და მაღაზიების დარბევა მუშა ქალების, მუშის ცოლების მიერ, რომლებიც „ცხოვრების სიძვირეს“ ვეღარ ითმენდნენ და მაღაზიების დარბევით ფიქრობდნენ დაკმაყოფილებას. ეს მოვლენა სტიქიური იყო, მას შეგნების ნატამალიც არ ახლდა, ყოველად მიზანშეუწონელი იყო, მით უფრო იმ დროს, როცა პოლიტიკურ-პარტიული მუშაობა ჯერ კიდევ „ჯურღმულებში“ ოდნავ სწარმოებდა და გამოაშკარავებას ვერ ბედავდა. ამიტომ აქ „ქალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა არეულობასა და მაღაზიების დარბევაში“ ძალიან ცოტა ხედავდა მრისხანე ნიშანს მომავალ რევოლიუციისას. ყველას ეგონა, რომ ყოველივე ამას მთავრობა მალე ჩააქრობდა და ცხოვრება ისევ თავის სამხედრო კალაპოტში ჩადგებოდა. ასე ფიქრობდენ და გრძნობდენ იმ დროს არა მარტო „მეშჩანები“, სოფლელნი, არამედ საქართველოს „შეგნებული“ მენშევიკ სოციალ-დემოკრატებიც.

მხოლოდ თითო-ოროლა ბალშევიკი, ბალშევიკების პატარა ჯგუფი, ამ ამბებით აღტაცებული, აღფრთოვანებით მოელოდა სანატრელ რევოლიციონური ქარიშხალის ამოვარდნას. ის ცდილობდა თავისი სუსტი ძალ-ღონით, რომ აღძრული უკმაყოფილება გაეღვივებია, ცდილობდა ისეთი ელემენტების მომზადებას, რომლებიც ომის ნიადაგზე აღმოცენებულ რევოლიუციას ხელმძღვანელობას გაუწევდენ. მაგრამ მათ ყოველგვარ მოქმედებას მენშევიკები მტრულათ, უარყოფით უყურებდენ და ისინი ყოველგვარი ზომებით მათ დათურგვნას და მოსპობას ცდილობდენ. მაგალითად, როცა ბალშევიკებმა 1916 წელს აპრილში „სამაისო“ ფურცელი გამოსცეს ომის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგით, ნოე ჟორდანიას დირეკტივის თანახმათ მენშევიკური ორგანიზაციები შეეცადენ ეს ფურცლები მოეგროვებიათ და ცეცხლში დაეწვათ. გურიაში ზოგ ალაგას, და ქუთაისში, ეს მართლაც შეასრულეს.

ეს ფაქტიც ნათლად მოწმობს იმას, თუ რამდენათ იყო იმ დროს ჩვენში ჩამქრალი სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობა. საზოგადოებრივ პოლიტიკური მხრით რომ მდგომარეობა საქართველოში სწორეთ ასე იყო აღნიშნულ წლებში, ე. ი. 1917 წლის თებერვლის რევოლიუციის წინ, ამას ამბ. სილვა თოდრიას ,,მოგონებაც“ ნათლად მოწმობს. მით უფრო დამაჯერებელია ეს მოწმობა, რომ ამბ. სილვა ამ დროს ლენინგრადიდან ჩამოვიდა საქართველოში და ცდილობდა საქმის ვითარებას ახლო გასცნობოდა, ამიტომ მას ადვილათ და ნათლათ შეეძლო დაენახა ის განსხვავება, რაც იმ დროს ლენინგრადის საზოგადოებრივ ცხოვრებასა და საქართველოს ვითარებას შორის იყო.

„1915 წლის ზაფხულში ჩამოვედი პეტერბურგიდან საქართველოში, სწერს თავის მოგონებაში ამბ. სილვა თოდრია... მსოფლიო ომის მსვლელობა ვითარდებოდა... „ყველაფერი ომისათვის“ იყო ლოზუნგი მთავრობის წრეებიდან მოკიდებული ლიბერალურ საზოგადოებამდე. სოციალისტური პარტიების ზოგი ჯგუფებიც ეზიარებდენ ამ ლოზუნგს...

საქართველოში კი ომის შესახებ იმ თავითვე თავისებური შეხედულობა არსებობდა, რომელიც შემუშავებული იყო მენშევიკურ ინტელიგენტურ ზედა წრეებში და ჩანერგოდა ქვედა ფენების გონებაში. ეს თავისებურება გამოიხატება შემდეგში: იმ

დროს, როდესაც სულით და გულით მომხრე იყვნენ ოსმალეთზე რუსეთის გამარჯვებისა, არამც და არამც არ სურდათ იმავე რუსეთის გერმანიაზე გამარჯვება. პირიქ თ, გამოსჭვივოდა ბეჭდვითი და ზეპირ სიტყვიერებაში რუსეთზე გერმანიის გამარჯვების სურვილი... ზემოხსენებული შეხედულება ომზე ყოველივე ლოღიკას მოკლებული იყო.

ტფილისი ამ დროს წარმოადგენდა სამხედრო ფრონტის შორეულ ზურგს, სადაც დგროვილი იყო აუარებელი ომის დამმბარე ცოცხალი და სხვა მასალები...

მენშევიკები, როგორც ლეგალური ორგანიზაციის მონაწილენი, ღიად მოქმედებენ... მეშჩანურ და წვრილ-ბურჟუაზიულ წრეებში ფართეთ ჰქონდათ გადგმული ფესვები. ჩვენ კი (ე. ი. ბალშევიკები, რ. კ.) მუშა—პროლეტარულ წრეში ვიყავით მოქცეული და რადგან ეს უკანასკნელი არც ისე მრავალრიცხოვანი იყო, ამიტომ ჩვენი (ბალშევიკების, რ. კ.) ჯგუფიც არ შეადგენდა თვალსაჩინო რიცხვს. ვერც, რაიმე მოქმედების უნარს ვიჩენდით ამ დროს... „საზოგადოთ საქართველოში 1916 წელს ძალიან ნაკლები რევოლიუციონური სული ტრიალებდა... (იხ. „რევოლ. მატიანე.“ 1924 წ. № 2—3 (7—8) გვ. 254-67).

„ვერც რაიმე მოქმედების უნარს ვიჩენდით ამ დროს“, ამბობს ამხ. სილვა თოდრია. ეს შეიძლება უფრო ცუდი შთაბეჭდილების გავლენით იყო დაწერილი, ვიდრე საქმის ყოველმხრივი გაცნობით,-მაგრამ უეჭველად ცხადია, რომ იმ დროს ომის გავლენა ყველაფერს თავის განსაკუთრებულ ბეჭედს ასვამდა, ბალშევიკები—მაშინ თითო ოროლა თუ იყო სადმე გადარჩენილი—ხმის ამაღლების საშუალებას მოკლებული იყვენ, ხოლო მენშევიკები მთლად აცდენ რევოლიუციონურ მოქმედების გზას და „როგორც ლეგალური ორგანიზაციის მომხრენი“, ღიათ მოქმედობდენ—ამ მოქმედებაში, რასაკვირველია, რევოლიუციონური მუშაობის ნატამალიც არ ერია.

ასეთი მდგომარეობა საქართველოში თვით 1917 წლის თებერვლის რევოლიუციის სრულ გამოჯვებამდე გაგრძელდა.

ამხ. სილვა განაგრძნობს იმავე გვერდზე: „იმ დროს, როდესაც 1917 წლის დასაწყისში პეტროგრადში რევოლიუციური ტალღები სულ უფრო და უფრო მძლავრად ბობოქრობდენ, ჩვენში არავინ არ ფიქრობდა თუ ამ ტალღების მეცხრე შეხეთქება ასე ახლოს იყო“. (ე. ი. რევოლიუციას არავინ მოელოდა. რ. კ.)

თებერვლის რევოლიუციის პეტროგრადში გამარჯვება თუ რამდენად დაუჯერებელ—მოულოდნელი იყო ქართველ მენშევიკებისათვის ეს იქიდანაც აშკარაა, რომ „სახელმწიფო დუმის“ ს. დ. ფრაქციის თავმჯდომარე კარლო ჩხეიძე საჭიროდ სცნო ეს ამბავი საქართველოს სოციალ-დემოკრატებისთვის შიფრიანი დეპეშით ეცნობებია: „მთავრობაძე გარდაიცვალა, შეატყობინეთ ნაცნობთ და ნათესავებსო“.

ამიტომაც იყო ჩვენში რომ ამბობდენ—„თებერვლის რევოლიუცია საქართველომ ფოსტით მიიღოო“—

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტროგრადში 1917 წლის თებერვალში დაიწყო მუშათა და ჯარის ნაწილების რევოლიუციური გამოსვლები, თებერვლის დამლეგს რევოლიუციამ ბარიკადულ ბრძოლებში გაიმარჯვა და ეს ამბავი ტფილისში მენშევიკებმა მხოლოდ სახელ. დუმის დეპუტატის კარლო ჩხეიძის ქარაგმიანი დეპეშიდან გაიგეს მარტის პირველ რიცხვებში.

აი ეს რევოლიუციაში არა თუ მონაწილეობაა, არამედ მისი გამარჯვების ამბის გაგების დაგვიანებაც—„რევოლიუციის ფოსტით მიღება“.

რა მოხდა ამ „მიღების“ შემდეგ? აღეძრა საქართველოს მშრომელ ხალხს ბრძოლის წყურვილი და გაუძღვა მას საქართველოს სოციალ-დემოკრატია რევოლიუციურ გზაზე რევოლიუციის მონაპოვარის შესანარჩუნებლათ, თუ არა?

— არა, სრულიადაც არა. პირიქით, აქ, საქართველოში, ორი მოპირდაპირე ძალა სრულიად მშვიდობიანათ შეხვდენ ერთმანეთს და მშვიდობიანადაც დაშორდენ. აი რას სწერს ამაზე იგივე ამხ. სილვა ფოდრია:

„...პეტროგრადში მომხდარ გადატრიალების რამდენიმე დღის შემდეგ მიწვეული იყვნენ მეფის მოადგილესთან (ტფილისში) ნოე ჟორდანია და ნოე რამიშვილი, რომლებმაც მიიღეს მისი ლოცვა-კურთხევა სამოქალაქო ძალა-უფლების ხელში აღებაზე და უვნებლად გაისტუმრეს ის პეტროგრადში საგანგებო მატარებლით, იმის მაგიერ, რომ მეტეხში გაემგზავრებიათ“...

არ დამავიწყდება არც მე ის სურათი, რომლის მნახველი მეც გავხდი იმ დღეებში და რომელიც სწორეთ ამ ამბავს შეეხება. მეფის მოადგილის სასახლის წინ მივდიოდი და ჩემი ყურადღება ერთიანათ მიიპყრო წითელ ჩოხებში და წითელ ყაბალახებში გამოწყობილმა მხედრებმა—ყაზახებმა, რომლებიც სასახლის წინ ჩამწკრივებულიყვნენ ჩასუქებული ტაიჭებით და მეფის მოადგილის, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის „გამობრძანებას“ ელოდენ. ცოტა ხანს შემდეგ მართლაც „გამობრძანდა“ ძველი ნაბატონარი, დინჯათ და აღუშფოთებლად ჩაჯდა ავტომობილში და სადგურისაკენ გაემგზავრა. „წითელი მხედრებიც“ ავტომობილს უკან გაჰყვენ, გეგონებოდათ ეს დამარცხებული და გაქცეული მტერი კი არა, არამედ ძალაში მყოფი ბატონები სადღაც სასეირნოთ ან სადარბაზოდ მიემგზავრებიანო.

არ გასულა საათი, რომ ასეთივე სიდინჯით და ასევე აღუშფოთებლათ დაიკავეს სასახლე ნოე ჟორდანიებმა და ნოე რამიშვილებმა.

III

თუ ომის გამოცხადებამ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, პეტროგრადის მუშათა რევოლიუციური ბრძოლა შეწყვიტა და . მათი სულისკვეთება ნაწილობრივათ იმპერიალისტურ ომში გამარჯვებისაკენ მიმართა, საქართველოს მშრომელ ხალხში ასეთი რამ ნაწილობრივათაც არ იყო: იმპერიალისტური ომი ქართველი მშრომელი ხალხისთვის მხოლოდ ერთ საშინელ უბედურებას წარმოადგენდა და ყოველგვარ აზრსა და მიმზიდველობას, ინტერესს მოკლებული იყო.

ამიტომ ომიანობამ უფრო ამ ომისადმი უარყოფითი დამოკიდებულება გამოიწვია და არა გატაცება და ეს მით უფრო, რომ ქართველი მუშა ხალხი უმეტესად თავს იყრიდა მრეწველობის ორ დარგში? ეს იყო რკინის გზა და მარგანეცი. ომიანობის გამო ერთიც და მეორეც „სამხედრო წესებზე“ იქნა გადაყვანილი და აი ამ გარემოებამ მუშებში ომისაგან თავის დახსნის და თავის შველის სულიერი განწყობილება დაბადა, რაც მის რევოლიუციონერობას და კლასობრივი ბრძოლის სურვილს ჩანასახშივე სპობდა.

1917 წლის იანვრის 15-ს „რვა მუშის“ ჟურნალ „პირველ ნაბიჯში“ ჭიათურიდან მოწერილს შემდეგს კორესპონდენციას ვპოულობთ, რომელიც ნათლათ გვიხატავს მუშებისა და მეურმეების ზეზოაღნიშნულ სულისკვეთებას.

ჭ ი ა თ უ რ ა.

წირქვალის ღელეზე ცხრამდე სარეცხი (მარგანეცის) ქარხანა ითვლება, სადაც მაღაროს მუშებიანათ დაახლოვებით 1000 კაცამდეა... დღეს ეს მუშები ზოგი პოზიციაზე იტანჯებიან, ზოგი დასახიჩრებული დაუბრუნდა თავ-თავის გაცივებულ კერას, ხოლო ზოგმა განუტეევ ტანჯული სული. ხ ო ლ ო რ ო მ ლ ე ბ ი ც დ ღ ე ს ს ა ბ უ შ ა ო ს შ ე ს ჩ ე რ ე ბ ი ა ნ — ს რ უ ლ ე ბ ი თ დ ა მ ო ნ ვ ე ბ უ ლ - დ ა ბ ე ჩ ა ვ ე ბ უ ლ ი ხ ა ზ ე ი ნ ე ბ ი ს წ ი ნ ა შ ე მ კ ვ დ ა რ ს უ ლ ე ბ ს - ღ ა წ ა მ ო ო ა დ გ ე ნ ე ნ. თიქმის ორი წლი მუშებისა პირველ და მეორე ხარისხის მოლაშქრეებათ ირიცხებიან (ე. ი. სალდათებათ) და როგორც „თავდაცვის“ საქმეზე მოსამსახურენი—სამხედრო სამსახურიდან დროებით თავისუფლდებიან, ამის გამო არამც თუ სავალდებულო დადგენილებებს იცავენ (ე. ი. ზრომის დაცვის დაკანონებულ წესებს. რ. კ), პირიქით—ხელს უწყობენ მის დარღვევას. მაგალითათ, ზოგი მათგანი ხაზეინებს ქრთამსაც კი აძლევენ, ოღონდ სამხედრო ბეგარა აიშორონ თავიდან. ამასთანავე უზიდავენ სახლიდან საპალნლბით ღვინოებს და ზოგი მათგანი სახლშიაც ემსახურებიან“.

აქედან ცხადია, მუშა, რომელიც ისე დაქვეითებულა, რომ ,,ხაზეინს'' ქრთამს აძლევს და ხელზე მოსამსახურეთ უდგება, ბრძოლის გუნებაზე არაა და მხოლოდ იმის ცდაშია, თუ როგორ დაიძვრინოს თავი ,,სამხედრო ბეგარისაგან'', ომში ანუ ,,ჩხუბში'' წასვლისგან. იმ დროს ომში წასვლა ანუ ,,სალდათად წაყვანა'' ხომ სიკე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილს ეთანასწორებოდა და ასეთ სიკვდილს არავითარი „ფასი“. არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ჩვენებურმა მუშამ იცოდა, რომ ის „ბრძოლის ველზე“ „რუს ხელმწიფის ბრძანებით“ კვდებოდა, რასაც მისი პოლიტიკური შეგნება ჰგმობდა, რასაც ის ვერას გზით ვერ ურიგდებოდა. ამიტომ ის რჩებოდა შინ „ხაზეინების წინაშე“ დამცირებას და პოლიტიკურათ დუმილს.

ასე იყო საერთოდ საქართველოში ყველგან, რკინის გზაზედაც კი 1917 წლის თებერვლის რევოლიუციის წინ. მაგრამ შეიძლება მკითხველმა იფიქროს, რომ მისი ასეთი სულისკვეთება თებერვლის რევოლიუციის გამარჯვებამ შესცვალა, გაამხნევა ის და ბრძოლის გუნებაზე დააყენა?

როგორც იმავე ჟურნალის „პირველი ნაბიჯის“ 1917 წლის 2 აპრილის №-რიდან ვტყობილობთ, ჭიათურის რაიონის მშრომელ მასების ყურამდე „რუს ხელმწიფის დამხობის და „დროებითი მთავრობის“ დაარსების ამბები მარტის პირველ რიცხვებშივე აღწევს, და მუშა ხალხიც უეცრათ „ფეხზლდება“, მოძრაობაში მოდის და სიხარულსა და ზეიმს ეძლევა.

მაგრამ რა ხასიათისაა მისი „გამოფხიზლება“, მისი „ამოძრაობა“ ან რა ფასი აქვს მის „სიხარულს“ და მის „ზეიმს“?

აი როგორ გვიპასუხებენ ყველა ამ კითხვებზე მუშკორები ჭიათურიდან:

„4 მარტს ჭიათურის „ბაზარი“ სიხარულის ალშია. ყველას პირზე ღიმილი უთამაშებს. მუშების ვიწრო წრე რაღაც ჩოჩქოლშია, უნდათ ადგილობრივი კოლექტივის (ე. ი. მენშევიკური ს. დემოკრატიული უჯრედის. რ. კ.) შეკრება: შეკრება მოახერხეს მხოლოდ საღამოთი (!) ამხანაგები ვერ გამორკეულან. არა სჯერათ, რომ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კრება ლეგალურია...

5 მარტი. დღეს კვირაა. სოფლიდან ხალხი ბაზარს მოაწყა... ვინაიდან ადგილი პატარაა, მიტინგი დანიშნული იქნა თეატრის ეზოში. ხალხი დაიძრა, მხიარული ხმაურობით, ქუჩაში გამოეფინა. გაისმა სიმღერის ხმა, იქვე შესდგა წრე ახალგაზრდა მუშების, რომელიც „მარსელიეზას“ სიმღერით ხალხს წინ გაუძღვა; საიდანღაც (!) გაჩნდა ორი წითელი დროშა... მიტინგს ხსნის ექიმი...

თავმჯდომარე განუმარტავს მიტინგს, თუ რა მოხდა პეტროგრადში და რამ გამოიწვია ასეთი გადატრიალება...

თავმჯდომარის წინადადებით მიტინგი ღებულობს შემდეგ რეზოლიუციას: გაეგზავნოს თანაგრძნობის დეპეშა ახალ მთავრობას. ცალკე პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭოს და აღმასრულებელ კომიტეტს - შემდეგ რეზოლიუციით შემოღებულ იქნას დემოკრატიული რესპუბლიკა, მოწვეულ იქნას სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება...

შემდეგ მიტინგი იშლება...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორეთ ასეთივე მიტინგი-დღესასწაული გაიმართა ამიერ-კავკასიის ცენტრში, ქართველ მუშათა კლასის თავყრილობის მთავარ-ალაგას—ტფილისში 5 მარტს (1917 წელს), რასაკვირველია, გაცილებით უფრო ფართეთ და მენშევიკურ სოციალ-დემოკრატიის მიერ სწორეთ ასეთივე რეზოლიუცია იყო წამოყენებული და მასსების მიერ მიღებული. ასეთმა მიტინგ-დღესასწაულების ტალღამ სწრაფად გადაირბინა მთელ საქართველოზე და რევოლიუციის ბუდეთ წოდებულ კუთხეში—გურიაში კორესპონდენტ „შახანკოლას“ სიტყვით შემდეგნაირი სახე და ხასიათი მიიღო:

„ამ საერთო დღესასწაულმა, სწერს ხსენებული კორესპონდენტი 1917 წ. ჟურნალის „პირველი ნაბიჯის“ მე 3 №-ში, გურიის მთელმარე სოფლებსაც მოურაკეზა კარზე, სალათას ძილისგან დაბრუებულები შეიშმუშნენ და თანდათან აბობოკნდენ, მოოსვენრობა ეტყობათ, მ ა გ რ ა მ მ უ დ ა ზ ე ვ ი დ ა ნ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა ს მ ი ჩ ვ ე ულ ნ ი დ ღ ე ს ა ც ს ა დ ღ ა ც გ ა ი ყ უ რ ე ბ ი ნ ე ბ ი ნ ე ბ ი ნ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრების თავმჯდომარის წინადადებით ნოე ჟორდანია აირჩიეს საპატიო თავმჯდომარეთ“..

როგორც ხედავთ, თებერვლის რევოლიუციის გამარჯვების მერე ერთი თვის სიჩუმის შემდეგ საქართველოში მშრომელი ხალხიც „გამოფხიზლდა“, ამოძრავდა და სიხარულს მიეცა, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ყოველივე ეს ხდებოდა მენშევიკურ სოც.-დემოკრატიის ხელმძღვანელობით, რაც იმას ნიშნავდა, რომ ხალხს სჯეროდა: 1) სიხარულის მიზეზია „სახელმწიფო დუმის“ ს.-დ ფრაქციის მოღვაწეობა, 2) თებერვლის რევოლიუციის გამარჯვება ეითომ „ფართე საზოგადოების“ უკმაყოფილებამ და „დუმის“ კოალიციის“ იერიშებმა გამოიწვია, 3) თითქო რევოლიუცია ისე თავისთავათ მოხდა და თითქო სისხლდაუღვრელთ „გამოფხიზლებულ“ და „ამოძრავებულ“ ხალხს არავინ აგებინებდა იმას, რომ ჩატარებული თებერვლის რევოლიუციის გამარჯვება უმთავრესათ მუშათა და ჯარისკაცთა შეიარაღებულ შეერთებული შეტევის შედეგი იყო, რომ ეს გამარჯვება უმთავრესად მუშათა კლასის ინიციატივით და თავგამოდებული ბრძოლით იყო მოპოვებული.

საქართველოში ამ გამარჯვების გამო გამართულ საზეიმო სუფრას არხეინათ მოუსხდა წვრილ ბურჟუაზიული ინტელიგენცია და მუშათა კლასის ცრუ წარმომადგენელი—მენშევიკური სოც.-დემოკრატია და სწორეთ ამით აიხსნება, რომ ხალხის იმდროინდელ სიხარულს და ზეიმს ბრძოლაში გამარჯვებულთა სიხარულის და ზეიმის ნატამალიც არ ახლავს. ეს არ იყო რევოლიუციური ზეიმი, არამედ ეს იყო საქართველოში მენშევიკური სოც.-დემოკრატიის და ჩვენებური ყოველნაირი ნაციონალისტების „მზამზარეულზე მოკალათება“ და მუშათა კლასის ხარჯზე „ქეიფი“.

ეს პოლიტიკური „ქეიფი“ საქართველოში მენშევიკური სოციალ-დემოკრატიული მთავრობის შექმნით საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადებით დასრულდა. ქართველი ხალხი ამისთვის წინასწარ მომზადებული იყო, როგორც ზემოთ დავინახეთ, ობიექტიურადაც და სუბიექტიურადაც, მაგრამ თვითონ რუსეთის შუაგულში, პეტროგრადსა და მოსკოვში რუსეთის დიდი რევოლიუცია, ცხადია, ამ გზით ვერ წავიდოდა და არც წავიდა.

აქ რევოლიუციის დიდი ბელადის, ლენინის, პეტროგრადში 2—4 აპრილის დღეებში ჩამოსვლით გამოირკვა, რომ იგი (რევოლიუცია) ერთ გარკვეულ გზას უნდა დაადგეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას აუცილებლად 1905 წლის მარცხი მოელის.

ეს გარკვეული გზა უჩვენა რევოლიუციას ლენინმა. ეს იყო მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შათა კლასის მოწინავე რაზმის—კომუნისტური პარტიის მიერ ბრძოლის ხელმძღვანელობის ხელში აღება, პროლეტარიატის გეგემონიის გამოცხადება და ამოძრავებული გლეხკაცობის პროლეტარულ რევოლიუციაში ჩართვა.

ლენინმა, როგორც ვიცით, მებრძოლ მუშათა მასსებში გადაისროლა ლოზუნგი: „მთელი ძალა უფლება-საბჭოებს“ და ამით კომპარტიასაც განსაზღვრული ტაქტიკა მისცა სამოქმედოთ. ამას მოჰყვა ბალშევიკების მეთაურობით მუშათა მასების გამოსვლა „ივლისის დღეებში“, რასაც სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია, როგორც დროებითი მთავრობამ კერენსკის წინამძღოლობით, ისე რუსეთის მენშევიკურმა სოც.-დემოკრატიამ ქართველი მენშევიკის, ირ. წერეთლის მეთაურობით. მაგრამ ბალშევიკების ხელმძღვანელობით ამოძრავებულმა მუშათა კლასმა თავისი გაიტანა და „ოქტომბრის დღეებში“ ძალა-უფლება დაიპყრო: ყოფილი რუსეთის იმპერიის სათავეში ჩადგა და **პროლეტარული დიქტატურა გამოცხადდა.**

რა ხდებოდა ამ დროს საქართველოს პოლიტიკურ სფეროში?

როგორც ზემოთ ვთქვით, მეფის მოადგილეს სასახლე საქართველოს მენშევიკური სოც.-დემოკრატიის წარმომადგენლებმა მშვიდობიანი გზით, უბრძოლველად დაიკავეს და როცა რუსეთის დროებითმა მთავრობამ ამიერ-კავკასიის კომისარიატი დანიშნა ადგილობრივ მთავრობათ, ისინიც ამ აქტს სრული მორჩილებით შეხვდენ.

მაგრამ მენშევიკური სოც.-დემოკრატია საქართველოში ძალაუფლების ხელში ჩაგდებას თავისებური მეთოდით ცდილობდა. ერთი მხრით რომ ის ბალშევიკებს იდეურათ ებრძოდა, მეორე მხრით უთანხმდებოდა და უკავშირდებოდა როგორც შინაურ ნაციონალისტურ პარტიებს, ისე აზრებიჯანის და სომხეთის ბურჟუაზიულ პარტიებსაც.

აღსანიშნავია ის გარემობა, რომ პეტროგრადის „ივლისის დღეები“, ე. ი. ბალშევიკური მუშათა მასსების ქუჩებში იარაღით გამოსვლა დროებითი მთავრობის წინააღმდეგ აქ, საქართველოში, აღინიშნა მხოლოდ იმით, რომ ამიერ-კავკასიის კომისარიატმა მენშევიკური სოც.-დემოკრატიის მეთაურობით რეპრესიები გააძლიერა საქ. კომპარტიის წინააღმდეგ (1917 წლის 20 მაისიდან ბალშევიკური ფრაქცია უკვე ჩვენშიაც გამოყოფილი იყო ცალკე პარტიათ) და ამიერ-კავკასიის მშრომელ მასსებში ასეთი ლოზუნგი გადაისროლა: „ომი სრულ გამარჯვებამდე, ძირს სამოქალაქო ომი!“ ასე რომ, ის მუშათა რევოლიუციურ მოძრაობას ძირშივე სპობდა. რევოლიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციით გახარებულ-აღტაცებული მუშათა კლასი მენშევიკურმა სოციალ-დემოკრატიამ იდეურად სრულიად დაიპყრო და ლოზუნგით— „ძირს სამოქალაქო ომი“ „მშვიდობიანობის“ გზაზე დააყენა.

და როცა ოქტომბრის დღეებში პეტროგრადსა და მოსკოვში მუშათა კლასმა ბალშევიკების მეთაურობით შეიარაღებულ ბრძოლაში გაიმარჯვა და საბჭოთა ძალა-უფლება გამოაცხადა, აქ, საქართველოში, ამიერ-კავკასიის კომისარიატი მენშევიკური სოციალ-დემოკრატიის მეთაურობით რუსეთის ცენტრალურ მთავრობას გადუდგა, არ დამორჩილა, არ გადადგა და თავი ცენტრისგან დამოუკიდებელ მთავრობათ გამოაცხადა (1917 წლის ნოემბერში). **ეს აშკარა კონტრ-რევოლიუციური აქტი იყო.**

მალე ამას უფრო ვიწრო ხასიათის კონტრ-რევოლიუციური აქტი მოჰყვა. სახელდობრ ის, რომ საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა (1918 წლის 26 მაისს) და, ცხადია, საქართველოს მენშევიკური სოციალ-დემოკრატია ამ რესპუბლიკის მართველი პარტია გახდა.

ამნაირად რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას და მის მართველ პარტიას, კომპარტიას,—დაუპირდაპირდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და მისი მართველი პარტია, მენშევიკური სოცდემოკრატია.

იქ, რუსეთის ცენტრში, გაიმარჯვა პროლეტარულმა რევოლიუციამ, ხოლო აქ, საქართველოში ქვეყანას „ფოსტით მიღებულ თებერვლის რევოლიუციის“ სულისკვეთების გამომხატველი პარტია, სოციალ-დემოკრატია დაეპატრონა.

აქედან, ცხადია, ვიდრე საქართველოს კომპარტია საქართველოს სოციალ-დემოკრატიასთან ბრძოლაში, ესე იგი ხელ-ახალ რევოლიუციაში არ გაიმარჯვებდა, მანამდე საქართველოში „ოქტომბრის რევოლიუციის“ მონაპოვარსაც ადგილი არ ექნებოდა, მანამ პროლეტარული დიქტატურა საქართველოში ვერ გამოცხადდებოდა და, მაშასადამე, მანამდე საქართველოს კომპარტია ძალა-უფლებას მოკლებული იქნებოდა. ერთი სიტყვით, მანამდე „ოქტომბერი“ საქართველოსთვის ვერ დადგებოდა.

ამიტომ საქართველოს კომპარტიის ამ ხანის მთავარი ლოზუნგი იყო: **გაუმარჯოს სამოქალაქო ომს. მხოლოდ ასეთი ომით შეეძლო მას ძალა-უფლების დაპყრობა საქართველოში.** ასეთი ომი, სამოქალაქო ომი, არის რევოლიუცია და აი, **საქართველოში უნდა მოეხდინა კომპარტიას ხელახალი რევოლიუცია,** რომლის საშვალებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ადგილობრივ ძალა-უფლებას დაიპყრობდა და პროლეტარულ დიქტატურას დაამყარებდა.

მაგრამ პარტიას მაშინ შეუძლია რევოლიუციის მოხდენა ე. ი. ხელმძღვანელობა, თუ ამისთვის არსებობს ობიექტიური და სუბიექტიური პირობები, თუ რევოლიუცია, როგორც სტიქიური მოვლენა, უკვე დაწყებულია, წინაალმდეგ შემთხვევაში მას (პარტიას) მხოლოდ მზადება შეუძლია მომავალ რევოლიუციისათვის და არა თვით რევოლიუციის მოხდენა.

საქართველოში „ოქტომბერის“ მართლა ოქტომბერში მოსახდენად საჭირო იყო ჩვენში „ივლისის-დღეებიც“ გაგვევლო და კომპარტია ძალა-უფლების ასაღებათ მუშათა კლასის რევოლიუციური ამოძრავებით მომზადებულიყო.

მაგრამ საქართველოში ეს, როგორც ზემოთ აღნიშნულ მოძრაობის მსვლელობიდან დავინახეთ, არ შეიძლებოდა, ამიტომ „ოქტომბრის“ შესაქმნელად, ე. ი. მომავალი რევოლიუციისათვის ხანგრძლივი მზადება შეიქმნა საჭირო.

ამიტომ საქართველოს კომპარტიას სხვა გზა არ ჰქონდა, თუ არა მხოლოდ მზადების მომავალი პროლეტარული რევოლიუციისათვის. ის მართლაც ასე მოიქცა პირველ ხანებში, ე. ი. 1917 წლის მარტის დღეებიდან მოკიდებული ვიდრე 1918 წლის 23 (10) თებერვლამდე, ვიდრე ამიერ-კავკასიის დემოკრატიული სეიმის დასაცავად მენშევიკურმა მთავრობამ ყოფილ ალექსანდრეს ბაღში ბალშევიკების მიერ გამართული საპროტესტო მიტინგი არ დახვრიტა.

ასეთი ზომების შემდეგ იგი პირდაპირ იძულებული შეიქნა ერთიანად არალეგალურ ნიადაგზე გადასულიყო და მენშევიკურ მთავრობის წინაალმდეგ ბრძოლა განსაკუთრებულ პირობებში ეწარმოებია. მას მუშათა მასებზე იდეური გავლენის მოსახდენათ და მამასების იდეურად დასაპყრობად გზა და საშუალება მოუსპეს. ამნაირად საქართველოს კომპარტიის წინაშე აღნიშნული თარიღის შემდეგ ასეთი დილემა წარმოიშვა: ან გულზე ხელები დაიკრიფოს და უკეთეს პირობებს დაუცადოს, გარეშე ძალის მოშველების იმედით იცხოვროს, ანდა თავის რევოლიუციური ენერგია სხვა გზით და მეთოდით გამოიყენოს, არ დაუცადოს მომავალ გარეშე ძალას „და პირობებს, არამედ ეხლავე მოიკრიფოს ძალ-ღონე, დამყაროს საქართველოში უკვე არსებულ სტიქიურ მოძრაობას და აჯანყებისა და„ შეთქმულების“ მოწყობას პირდაპირ შეუდგეს.

მაგრამ კომპარტია მასსების სტიქიურ მოძრაობას ვერ დაემყა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება ისე, თუ მას თავისი სახელმძღვანელო იდეების,—იქ, იმ მასსებში გამტარებელი მუშათა კლასი, მისი მოწინავე ნაწილი მაინც, მხარს არ უჭერს და მასთან ერთად არ იბრძვის. შეიძლება სთქვათ: საქართველოს მუშათა კლასი საქართვ. კომპარტიის მხარეზე იდგაო, მაშასადამე, მას სრული საბუთი ჰქონდა აჯანყების და „გამარჯვების“ გზას დასდგომოდა.

მაშ, ვნახოთ რას გვეუბნებიან ქართველი მშრომელი ხალხის ინ დროინდელი ცხოვრების ფაქტები.

(შემდეგი იქნება)

რაჟდენ კალაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1905 წლის დამარცხების შემდეგ.

1906 წლის დეკემბრის 5-ს საღამოთი ჩვენ (კამო, სულაქველიძე და მე) მივედით ქალ. სოფიაში.

სადგურზე შემოგვეგება „**პაპაშას**“ მიერ ჩვენი მისვლის შესახებ გაფრთხილებული ბულგარელი, რომელმაც დაგვაბინავა სასტუმრო „მაკედონიაში“. 10 წუთის შემდეგ ამ ბულგარელმა წინადადება მოგვცა ორ ჩვენგანს წავსულიყავით ტუფეკსიევთან, რომელიც მაკედონიის კომიტეტის წევრი იყო და ბულგარეთში ხელმძღვანელობას უწევდა ჩვენს ოპერაციებს. წავედით მე და კამო. ტუფეკსიევმა მეტად გულ-თბილად მიგვიღო. ამ ადამიანში ერთბაშად დაინახავდი რევოლიუციის ერთგულს, ენერგიულსა და ჩვენი საქმისადმი თანამგრძნობს. მისგან ჩვენ გავიგეთ, რომ „პაპაშა“ მოვიდოდა სამი დღის შემდეგ.

მატროსებს, რიცხვით 4 კაცს, კაპიტანთან ერთად მოველოდით მეორე დღეს.

გამომუშავებულ იქნა მომავალი მარშრუტი—სად და როდის უნდა წავსულიყავით. „პაპაშას“ მიერ ნაყიდი გემი ვარნაში იდგა. იარაღი რამდენიმე დღის შემდეგ უნდა მიგვეღო. გეკონდა ცნობები იმის შესახებ, რომ იარაღით დატვირთული ვაგონები სერბიას გამოცილებული იყო. იარაღი მოდიოდა ბელგიიდან, საფრანგეთიდან და გერმანიიდან. იარაღის ყიდვას „პაპაშა“ ხელმძღვანელობდა.

ჩვენი ჩასვლის მესამე დღეს სოფიაში მოვიდა „პაპაშა“ და ჩამოხტა სასტუმრო „**ევროპაში**“, საიდანაც ტელეფონით დაგვიბარა მასთან მისასვლელათ. ჩვენც წავედით. პაპაშას მხვილი ავსტრიელი კომერსანტის საბუთები ჰქონდა. სასტუმროშიაც ამ საბუთებით გაეწერა.

გადაწყდა რომ 9 დეკემბერს ჩვენ უნდა წავსულიყავით **ვარნაში**. მატროსებიც ამ დროისთვის მოვიდენ. მათ შეჩერება მოუხდათ სოფიაში მხოლოდ ერთი დღით... 9 დეკემბერს ჩვენ გავემგზავრეთ ვარნაში. გამგზავრების წინ დავნიშნეთ პაროლი, რომლითაც ვისარგებლებდით ტრაპიზონში თუ კონსტანტინეპოლში ყოფნის დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს წინ იყო ან სრული გამარჯვება, ან სრული დამარცხება. დამარცხება— ეს იქნებოდა გემის დაღუპვა, გემთან და იარაღთან ჩვენც უნდა დავღუპულიყავით.

გამგზავრების წინ სამივემ დავწერეთ (ნაცნობ-მეგობრებ-ამხანაგებისადმი) გამოსათხოვარი წერილები. ყოველი წერილი ასე იწყებოდა: „ძვირფასო ამხანაგო (თუ მეგობარო), როცა ამ წერილს მიიღებ, მე ცოცხალი აღარ ვიქნები და სხ.“.

თითეულმა ჩვენთაგანმა დასწერა 40-მდე წერილი და ცალ-ცალკეე დავლუქეთ, შემდეგ ყველანი ერთად შეეხვიეთ ერთ ქაღალდში, კვლავ დავლუქეთ და გადავეკით „პაპაშას“ და ვსთხოვეთ, რომ გაეხსნა მხოლოდ იმის შემდეგ, როცა ცნობას მიიღებდა ჩვენი გემისა და საერთოდ ჩვენი დაღუპვის შესახებ.

გამოვემშვიდობეთ „პაპაშას“, ტუფეკსიევს და გავუდექით გზას. მათ გვისურვეს მშვიდობიანი მგზავრობა და სხვ.

ჩვენ არაჩვეულებრივათ ვიყავით აღფრთოვანებული, რადგანაც რევოლიუციის სასამსახურო საქმეზე მივდიოდით.

ვარნაში მისვლისას გავჩერდით დროებით სასტუმროში. ჩამოსული მატროსები კი მეორე სასტუმროში გაჩერებულიყვნენ, მათ უკვე დაეთვალიერებიათ გემი და ამზადებდენ მას.

იარაღი რკინის გზით უნდა მოსულიყო. ერთმა მაკედონელმა, რომელმაც ვიცოდა ჩვენი და მატროსების საცხოვრებელი ადგილი, მესამე დღეს გვაცნობა, რომ ჩვენ წავსულიყავით გემთან და მოვემზადებულიყავით გემზე გადასასვლელად.

ჩვენ წავედით და დავათვალიერეთ გემი. ის იყო საშუალო, საკმაოდ ძველი გემი. შევეკითხეთ კაპიტანს—გამოდგებოდა თუ არა. მან მოგვიგო, რომ გემი გამოსადეგიაო.

სოფიაში „პაპაშასთან“ და ტუფეკსიევთან ერთად გამომუშავებული გეგმის თანახმად კამო შეუღგა ჯოჯოხეთის მანქანის მოწყობას გემის „ტრიუმში“.

გეგმა შემდეგში იყო: თუ ზღვაზე რაიმე უბედურება მოხდებოდა ან ჩვენ დაკავებას ან გაჩხრეკას მოგვინდომებდა რუსეთის რომელიმე გემი, მაშინ კამო ჩვენს გემს ააფეთქებდა. „ტრიუმიდან“ ჯოჯოხეთის მანქანა კამომ მექანიკურად დაუკავშირა სამზარეულოს, თვით კამო უნდა ყოფილიყო მზარეული.

მესამე დღეს გვაცნობეს, რომ ვაგონები იარაღით მოსული იყო. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

ჩვენ სამივე წავედით ნავთსადგურში, სადაც იმყოფებოდენ მატროსები და მუშები. ნავთსადგურის მუშებმა იწყეს იარაღით სავსე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყუთების გადატვირთვა. ყუთებში ჩაწყობილი იყო თოფები, რევოლვერები, ვაზნები, დინამიტი.

როგორც ჩვენ „პაპაშამ“ გადმოგვცა, მას ნაყიდი ჰქონდა 2 ათასი ცალი „მანლიხერის“ სისტემის თოფი, 500 ცალი რევოლვერი იმავე მარკისა, 2 მილიონი ვაზნა და 2 ტონამდე დინამიტი.

იარაღის ვაგონებიდან გემში ჩატვირთვა გაგრძელდა საღამოს 10 საათიდან დილის 6 საათამდე. ვაგონებიდან გემთან ყუთები მიჰქონდათ პატარა „ტაჩკებით“. მუშაობას ჩვენ ვუცქეროდით, ზოგჯერ ვშველოდით კიდეც ყუთების დაწყობაში.

იქვე ნავთსადგურში იდგენ ჟანდარმები, რომელნიც თვალ-ყურს ადევნებდენ მუშაობას და იცავდენ ტვირთს. ყუთის ტაჩკაზე დადების დროს შემთხვევით ერთი მათგანი გასქდა და ვაზნები გადმოცვივდა. მე კამოს ვეუბნები ქართულად:

—„რასა ჰგავს ეს. რას იფიქრებს ჟანდარმი, რომ დაინახოს რაც არის ამ ყუთებში?“

ჟანდარმმა, მართლაც, მიირბინა... და დაგვეხმარა ვაზნების შეგროვებაში, ისიც ჩვენსავით აწყობდა დაბნეულ ვაზნებს ყუთებში და ყუთის დაჭედის დროსაც კი მოგვეხმარა.

როცა საქმეს მოვრჩით და ყუთი გემზე წაიღეს, ჩემთან მოდის ერთი მუშათაგანი, რომელიც დატვირთვაში მონაწილეობას ღებულობდა.

—„გამარჯვობა, თქვენ საიდანა ხართ“.—შემეკითხა ქართულად.

მე განცვიფრებული დავრჩი, როცა ამ მუშამ ქართულად დაიწყო ლაპარაკი; მე ვერ გადავსწყვიტე მეპასუხნა თუ არა, მაგრამ დაბოლოს გადავსწყვიტე მეპასუხნა ქართულად. ეუთხარი, რომ ჩვენ ვართ კოსტანტინეპოლიდან ჩამოსული ვაჭრები. შევეკითხე მას ვინაობა. მიმიგო, რომ ის სომეხია. დიდი ხანია წამოსულია სომხეთიდან, დიდხანს ცხოვრობდა ტფილისში, შემდეგ წამოვიდა სამუშაოდ ბულგარეთში. იმ მეკითხება—დიდი ხანია წამოსული ვართ კავკასიიდან არა და შეგვიძლია თუ არა ეუთხრათ მას რა ხდება იქ. მე მივუგე, რომ ათი წელიწადია რაც წამოსული ვართ და არაფერი ვიცი რა ხდება მეთქი. ეტყობოდა, რომ ჩემი სიტყვები არა სჯეროდა. თავი გააქნია და მოგვშორდა. მე კამოს ეუთხარი: „რა უბედურებაა, აქაც კი გვცნობენ ჩვენ ვინ ვართ მეთქი“.

დილით, როგორც კი მოვრჩით ყუთების გემზე გადატანას, ჩვენ დავბრუნდით სასტუმროში, ანგარიში გავუსწორეთ სასტუმროს პატრონს, მოვიმარაგეთ საგზაო ნივთები და წავედით გემზე. როცა გემის „პალუბაზე“ ავედით, ისე ვიყავით გახარებულნი და აღტაცებულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი, რომ არც კი შემინიშნავს, რომ მახლობლათ იმყოფებოდენ ნავთსადგურის ჟანდარმები, აგრეთვე რუსეთის გემები, სადაც ხალხი ფუსფუსებდა. აქ მე წამოვიძახე: „გაუმარჯოს შეიარაღებულ აჯანყებას!“ კამომ ხელი მკრა—„ნახე შენც რაღა ადგილი, ასეთი სიტყვების წამოსასროლათო“ - საყვედურითი მითხრა მან.

მზადება დამთავრებული იყო, სურსათი შეძენილი, რაც ორ კვირაზე მეტს იკმარებდა. საჭირო იყო მხოლოდ ცნობის მიღება ტუფეკსიევიდან, რომ გემი დაძრულიყო.

ჩვენ სამივეს ყოველგვარი პასპორტები მოგვეპოვებოდა, რომლებითაც უნდა გვესარგებლა ადგილის და გარემოების მიხედვით, გემზე ჩვენ მაკედონიის კომიტეტის ატესტატებით ვსარგებლობდით. სამივეს გვქონდა მაკედონიის კომიტეტის თავმჯდომარის მიერ ხელმოწერილი ატესტატი, სადაც ნათქვამი იყო, რომ ჩვენ ვიყავით მაკედონიის კომიტეტის წევრები.

გემს მიმართულება უნდა აეღო სამხრეთით ბულგარეთის ნავთსადგურ ბურგასისაკენ, საიდანაც ჩვენ უნდა წავსულიყავით კონსტანტინეპოლისკენ.

გადავწყვიტეთ კონსტანტინეპოლში არ შეეჩერებულიყავით და განგვეგრძო გზა ტრაპიზონისაკენ; ტრაპიზონიდან კი—არხავეში, რომელიც დაშორებულია ბათუმიდან 60—70 ვერსტით.

დარწმუნებული ვიყავით, რომ ბულგარეთის ნავთსადგურებში ჩვენ არავინ დაგვაკავებდა.

ზღვაზე ჩვენთვის საშიშროებას წარმოადგენდა რუსეთის გემი. ამ შემთხვევისათვის ჩვენ საჭირო ზომები გვქონდა მიღებული, რომ ცოცხლად არ ჩავვარდნოდით ხელში. შეეკითხეთ გემის კაპატანს—ხელს გვიწყობდა თუ არა ამინდი, რომ გზას გავდგომოდით.

—„თუმცა ამინდი კარგს არაფერს გვიქადის, მაგრამ თუ ტუფეკსიევიდან ცნობას მივიღებთ, მაინც უნდა დავიძვრათო“,—გვიპასუხა მან.

ამ დღეს ჩვენ გემი მოვაწესრიგეთ, ყველაფერი მივალაგ-მოვალაგეთ, ღამით დავიძინეთ და დილით ადრე „პალუბაზე“ ისე გამოვედით, რომ ჩვენი გემის გვერდით არც კი შეგვინიშნავს ახალი, დიდი, თეთრად შეღებილი გემი **„ეკატერინა ველიკაია“**. ჩვენ განცვიფრებული დავრჩით ამ გემის აქ გაჩენით. იქ დავინახეთ რუსი მატროსები და რუსი ჟანდარმებიც კი. ჩვენ უნდა დავმალულიყავით, რომ არავის დავენახეთ და არ ვეცნენ. ვაცნობეთ ეს კაპიტანს. მან გვიჩრია, რომ პალუბაზე არ გამოვსულიყავით, უბრძანა აგრეთვე მატროსებს, რომ ურთიერთშორის არ ელაპარაკათ, რადგანაც შესაძლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელი იყო „ეკატერინა ველიკაია“-დან რუსული ლაპარაკის გაგონება და ასე ჩვენი აღმოჩენა.

გავმართეთ თათბირი იმის შესახებ, როგორ მოვქცეულიყავით: მოხსნილიყო გემი თუ არა? გადავწყვიტეთ არ დაგვეცადა ტუფეკსიეგის ცნობისთვის და დღის 3 საათზე მოვხსნილიყავით. შევეკითხეთ გემის კაპიტანს—იქნებოდა ღელვა ზღვაზე თუ არა. მან მოგვიგო: თუ არ მოვიხსნებით—სულ ერთია, აქვე დაგვიჭერენო. როლები ასე იყო განაწილებული: კაპიტანი და 4 მატროსი გემს მართავდენ, კამო იყო მზარეულად, მე და სულაქველიძე უნდა ვყოფილიყავით სიგნალის მიმცემნი.

ჯერ კიდევ ვენაში ყოფნის დროს „პაპაშას“ წინადადებით ჩვენ ვიყიდეთ ხელით მოსახმარი პროჟექტორები, რომლითაც განათება შეიძლებოდა 2-3 კილომეტრის მინძიღლზე. ამ პროჟექტორებით ხელში ჩვენ უნდა გავჩერებულიყავით მთელი ღამის განმავლობაში გემზე და რიგ-რიგობით გვედარაჯნა.

ერთი საათის შემდეგ ზღვაზე ამოვარდა ნელი ქარი. საღამოთი ქარმა იმატა და მთელი ღამე გაგრძელდა. ვარნიდან გასვლისას კამოს დაეკალა სადილის მომზადება, კამოც საქმეს შეუდგა. საწყობიდან სურსათი გამოიტანა, მაგრამ ნახევარი საათის შემდეგ ის ზღვის ავადმყოფობით შეიქნა ავად. მან დიდხანს თავი არ მისცა ავადმყოფობას, მაგრამ როცა ველარ გაუძლო, წავიდა „კაიუტაში“ და მეორე დღემდე პირჩამხობილი გაატარა.

სადილი მე მოვამზადე. მართალია, ვერაფერი მცოდნე გახლდით ამ საქმის, მაგრამ დამშეულთ ჩემ მიერ შემზადილი კერძი მაინც მოეწონათ.

მთელი ღამე მე და სულაქველიძე გემზე ვდარაჯობდით. კაპიტანი მუდამ კომპასს უცქეროდა, შემდეგ ბარომეტრს, რომელიც არაჩვეულებრივ ამინდს აჩვენებდა.

მეორე დღეს დილით ზღვაზე უკვე ქარიშხალი იყო. ამ დროს ერთი მატროსი გახდა ავად. საქვაბეში მხოლოდ ორი მატროსი დარჩა, რომელნიც საქმეს ვერ ადიოდენ.

მე დამავალეს ჩავსულიყავ საქვაბე განყოფილებაში, მივშველებოდი მატროსებს და ასე ორი საათით მათ მოესვენათ. მე ჩავეშვი, მაგრამ ჩასვლისთანავე თავბრუ დამესხა. მეტი გზა არ იყო, ვსტაცე ნიჩაბს ხელი, ვიწყე ნახშირის მიწოდება იქ, სადაც ეს საჭირო იყო. ისეთი შეხუთული ჰაერი იყო, რომ სასუნთქავად მივირბენდი ხოლმე იმ მილთან, რომლის საშვალებით საქვაბეში ჰაერი შემოდიოდა.

თავს ძალას ვატანდი. ვცდილობდი ეს ორი საათი რაიმენაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად იქ შემუშავნა და როცა ეს დრო გავიდა, კიბეზე ძლივს-ძლივობით ამოვედი. შემდეგ ორჯერ კიდევ მომიხდა საქვაბეში მუშაობა, მაგრამ რამდენი დროც გადიოდა, მით უფრო მეადვილებოდა ეს მუშაობა.

საღამოთი ქარიშხალი საკმაოდ ძლიერი იყო, გემს ანძრევდა. ჩვენს შეკითხვაზე,—თუ სად ვიმყოფებოდით—კაპიტანმა მოგვიგო, რომ ძნელია თქმა, მაგრამ როგორც სჩანს, გზა პირდაპირ აღმოსავლეთისაკენ გვიჭირავსო. კაპიტანის ამნაირმა განცხადებამ ჩვენ ყველანი გაგვაოცა. ვერ წარმოგვედგინა, თუ როგორ შეიძლებოდა მის მიერ იმის არ ცოდნა, სად ვიმყოფებოდით, მაგრამ იძულებული ვიყავით კაპიტანს დავთანხმებოდით, რადგან ჩვენ ზღვაზე ცურაობის შესახებ არავითარი წარმოდგენა არ გვქონდა.

13 დეკემბერს ღამის 12 საათზე მე სადარაჯოდან ჩავედი კაიუტაში, ჩემს მაგივრად პალუბაზე სადარაჯოთ ავიდა სულაქველიძე.

ძილში მომესმა საშინელი ხმაური და გემის შენძრევა ვიგრძენი. პირველად ამას ყურადღება არ მივაქცევ, ვიფიქრე—ეს ქარიშხალის ბრალი იქნება მეთქი, მაგრამ ივივე განმეორდა მეორეჯერ. მე საჩქაროდ წამოვდექი ლოგინიდან და გავექანე პალუბისაკენ. ვხედავ კამოც დგება. სულაქველიძე დარბის, მატროსები ფუსფუსებენ, კაპიტანი კი სდგას საჭესთან და გამუდმებით იმეორებს:

»—полный задний ход«.

გემის შენძრევა განმეორდა მესამეჯერ. ვხედავთ, რომ პალუბაზე წყალი ასხამს. მივდივარ კაპიტანთან და ვეკითხები რაშია საქმე, ის კი განაგრძობს ყვირილს:

»—полный задний ход«.

ამ დროს გაისმა საყვირის საზარელი ხმა. ვეკითხები კაპიტანს —რას ნიშნავს ეს. ის მეუბნება:

— ეს დადუპვის სიგნალიაო.

როცა ეს გაიგონა, კამო სამზარეულოში გაიქცა. ის ამბობს: გემს ავფეთქებო. რამდენიმე წუთის შემდეგ საყვირის ხმა სწყდება. საქვაბედან მოისმის მატროსის ხმა: „ქვაბებს წყალი შემოადგა“. მოირბინა კამომ და სასოწარკვეთილი ამბობს:

— „პროვოდები“ არ მოქმედებენ, გემის აფეთქება არ შეიძლებაო და მას სურს გაიქცეს „ტრიუმში“. კიბიდან ბრუნდება და ამბობს, რომ „ტრიუმი“ წყლითაა სავსე, ჯოჯოხეთის მანქანაც წყალშია და შენძრევის გამო „პროვოდებიც“ დაწყვეტილიაო.

მივრბივართ კაპიტანთან და ვეკითხებით—„აგვიხსნას, დაბოლოს, რა მოხდა“. ის მოგვიგებს: „გემი გაირიყა“. ვეკითხებით—

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავიღუპებით თუ არა. „არ ვიცი—ეს დამოკიდებულია ზღვის სიღრმეზე და ადგილ-მდებარეობაზე“—მოგვიგო. სთქვა რა ეს, კაპიტანი სადღაც წავიდა. ამ დროს ყველა მატროსები შეიკრიბნენ და ჩვენ შევუდექით მსჯელობას იმაზე, როგორ მოვქცეულიყავით. ერთმა განაცხადა.

—„—თავი მოვიკლათ, ერთმანეთი დავხოცოთ, თორემ სულ ერთია, თუ არ ჩავიძირეთ ზღვაში, რომელიმე სამხედრო გემი დაგვიჭერს და ყველას დაგვხვრეტავენო. ეს აზრი იმიტომ დაებადა მას, რომ როცა პალუბაზე გამოვედით, ბევრ ჩვენგანს ხელში რევოლვერები გვქონდა. როცა ჩვენ ამ საგანზე ვმსჯელობდით, გავიხედეთ, კაპიტანი არა სჩანს, დავუწყეთ ძებნა. პალუბაზე არ აღმოჩნდა. მაშინ ერთი მატროსი ამბობს: „ის თავის კაიუტაში იქნებაო“. გავიქეცით კაიუტისაკენ. ის დაკეტილი აღმოჩნდა შიგნიდან, დავუწყეთ ბრახუნი; არავინ პასუხს არ იძლევა. ყველამ ერთად დავუშინეთ მუშტები, ფეხებით შევანგრიეთ კარი. ვხედავთ ზის კაპიტანი მაგიდასთან და ხელში უჭირავს რევოლვერი—თავის მოსაკლავად ემზადება. მიირბინეს მატროსებმა, წაართვეს რევოლვერი და გამოიყვანეს „კაიუტიდან“. წავედით პალუბაზე, სადაც წყალი იდგა. თათბირის შემდეგ გადავსწყვიტეთ დაგვეცადა დილამდე, დავხედეთ საათს—საათის ორი იყო, საშინლად ცივოდა, ჰყინავდა. რაც თბილი ტანთსაცმელი გაგვაჩნდა, ყველაფერი „კაიუტში“ დაგვრჩა, სადაც წყალი იდგა. ძნელი იყო ასეთ სიცივეში გაჩერება. ზღვაზე არაფერი მოსჩანდა, საშინლად ბნელოდა და ვერ გამოგვერკვია სად ვიმყოფებოდით: ბულგარეთის, ოსმალეთის თუ რუსეთის ნაპირთან.

როცა „პალუბაზე“ წყალი შემოგვადგა მუხლამდე, გადავედით კაპიტანის გასაჩერებელ ალაგას. ერთმანეთს ვეხვეოდით და ისე ვთბებოდით. კამო ხუმრობდა და გვამხნევებდა.

ამ დროს შევნიშნეთ, რომ ერთი მატროსი—ფელიქსი—სადღაც გაჰქრა. დავუწყეთ გამოძახება, მაგრამ არ გვიპასუხებდა. ვიფიქრეთ, უეჭველად წყალში ჩავარდა და დაიხრჩო. კამომ წინადადება შემოიტანა გვემღერა: „შენ მსხვერპლი გახდი“.

როცა საქმეს შეუდექით, გემის ცხვირთან გამოჩნდა ვიღაცას ხელი, რომელიც წყალში ქანაობდა. ვიღაცამ ეს შენიშნა და წამოიძახა—„აი სად დაღუპულა ფელიქსიო“. ერთმა მატროსმა თავი დახარა წყლისკენ, მეორემ მას ფეხებში სტაცა ხელი, რომ არ ჩავარდნილიყო. ხელი კი თანდათან მაღლა იწევდა. მატროსმა სტაცა ხელი და ეწევა მაღლა. ვხედავთ, რომ ფელიქსი დაეშვა ძირს „კაიუტაში“. სადაც იყო კონიაკით სავსე ყუთი. არ ვიცი როგორ გახსნა მან წყა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლში ყუთი და ამოიღო იქიდან სამი ბოთლი. ბოთლები მას მარცხენა ხელში ეჭირა მკერდთან მიმაგრებული. ამნაირად ის ამოათრიეს წყლიდან.

მოწყენილობა უცბად სიხარულით შეიცვალა ჯერ ერთი იმიტომ, რომ ფელიქსი ცოცხალი იყო, მეორედ—ვიშოვნეთ გასათბობი საშუალება. კონიაქმა თავისი გაელენა იქონია ყველაზე. გავთბით.

ამნაირ მდგომარეობაში გავატარეთ დილამდე. გათენდა. მოშორებით გამოჩნდა ნაპირი, მაგრამ ვერ გამოვარკვიეთ რომელ სახელმწიფოში ვიმყოფებოდით. ნაპირზე მოსჩანდა სამი პატარა სახლი. ეს ადგილი სოფელს არა ჰგავდა.

მას შემდეგ, რაც ნაპირი დავინახეთ, თავის მოკვლაზე ფიქრს თავი დავანებეთ და ხელ-ახლა დაგვებადა სურვილი განგვეგრძო ბრძოლა. ნაპირად ჩვენ ხალხი შევამჩნიეთ. ეტყობოდა, რომ მათ ჩვენ შეგვნიშნეს, მაგრამ საშველად არ წამოვიდნენ. ჩვენს გემზე, რომელიც გადახრილი იყო გვერდზე, ფრიალებდა წითელი ბაიალი, რაც არ წარმოადგენდა, რა თქმა უნდა, რევოლიუციონურ ნიშანს, არამედ ეს იყო საშიშროების ნიშანი.

ბევრი ჩვენთაგანი სრულიად გაცივებული იყო, წყალი კი უახლოვდებოდა იმ ადგილს, სადაც ჩვენ ვიდექით. გადავსწყვიტეთ გეცნობებია ჩვენი გასაჭირის შესახებ რევოლვერებიდან გასროლით. ჩვენ სულ აღმოგვაჩნდა 5 რევოლვერი და დავიწყეთ სროლა ნაპირად მდებარე ქოხების მიმართულებით. მაგრამ ვერ შევნიშნეთ, რომ ვინმე ნაპირიდან ჩვენსკენ გამოქანებულიყო, ასე გაგრძელდა შუადღემდე. შუადღეზე ჩვენ შევნიშნეთ, რომ რამდენიმე კაცი ნავში ჯდება, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ნავი ისევ ნაპირს მიადგა და ჩვენსკენ მომავალი ხალხი ნაპირად დადავიდა. გადავსწყვიტეთ, რომ ნაპირიდან ჩვენ დასახსნელად არავინ იზრუნებდა და შევეცადეთ რაიმენაირად ჩვენ თვით მიგვეღწია ნაპირამდე. მატროსებმა განაცხადეს, ზღვის ტალღები იმდენად ძლიერია, რომ ნაპირამდე ცურვით მისვლა ყოვლად შეუძლებელიაო.

წყალი კი თანდათან მაღლა იწევდა, უკვე მუხლებამდე შემოგვადგა წყალი, უნდა კიდევ მაღლა აეწეულიყავით, ცოტა მაღლა კიდევ იყო მეორე ხიდი, გავამაგრეთ ის და გადავსწყვიტეთ ყველამ იქ ასვლა.

ღამდება. და აი, შევნიშნეთ, რომ ნაპირად მოვიდა 6 კაცი, რომელთაგან 2 ჯდება ნავში. ჩვენ გაგვეხარდა, როცა ნავმა გამოსწია ჩვენსკენ. დაახლოვებით ერთი საათის შემდეგ ნავი მოვიდა ჩვენთან. ჩვენ ერთხმად შევსძახეთ: „თქვენ ვინა ხართ“. მათ გვიპასუ-

ხეს, რომ ისინი იყვნენ მეთევზეები. ჩვენს შეკითხვაზე—სად ვიმყოფებოდით, მოგვიგეს: „რუმბინის ნაპირზეო“. არ გვიფიქრია რა იმ საფრთხეზე, რომელიც ჩვენ მოგველოდა, გვსურდა გაგვეგო მხოლოდ წაგვიყვანდენ ისინი თუ არა. „რა თქმა უნდა, წაგიყვანთო, მაგრამ ჩვენს ნავს 3 კაცის მეტის წაყვანა არ შეუძლიაო.

ჩვენს შორის უნდა ამოგვერჩია ისეთი ამხანაგები, რომლებიც საცალების ამარა იყვნენ დარჩენილნი და რომელნიც სიცივისაგან კანკალებდენ.

პირველად ნავში ჩავსხით სულაქველიძე და ორი მატროსი. როცა ამ ნავმა გასცურა დაახლოვებით ერთი კილომეტრი, ნაპირიდან წამოვიდა მეორე ნავი. მეორეჯერ ჩავსხით კამო და კიდევ 2 მატროსი. პირველი ნავი დაბრუნდა ერთი საათის შემდეგ. როცა მე და კაპიტანი ჩავჯექით ნავში, გემი სრულიად ჩაიძირა წყალში. მოსჩანდა მხოლოდ დირეყის წვერი.

მეთევზეებმა გადმოგვცეს, რომ ისინი დილიდანვე ცდილობდენ შველას, მაგრამ ზღვა ამის ნებას მათ არ აძლევდა. წაგვიყვანეს მიწის დიდ სახლში, შუა ალაგას გააჩაღეს ცეკხლი. საკმაოდ თბილოდა. ჩვენ ყველანი მოწყენილი ვიყავით. როცა ნავით მოვცურავდით, ზღვაზე ვხედავდით, თუ როგორ ცურაობდა ყუთების ნამსხვრევები, ზოგიერთი ამხანაგების ტანისამოსი, სურსათი და სხ.

მეთევზეებმა მეტად გულთბილად მიგვიღეს. მოამზადეს ჩაი, მოხარშეს თევზი. პურის ჭამის შემდეგ წინადადება მოგვკეს იქვე—ბრელ ტახტებზე დაგვეძინებია. ჩვენ გადავსწყვიტეთ ვინაობა არ გავგვმჟღავნებია მეთევზეებისათვის და საკითხი გაგვეხილა დილით. გამოვკითხეთ მეთევზეებს რომელი ქალაქი იმყოფებოდა მახლობლათ, როგორ შეიძლებოდა იქ მისვლა, ვინ იყო მოსახლეობა. თვით მეთევზეები მოლდავანები აღმოჩნდენ. რუსულად კარგად ლაპარაკობდენ. ასე თურმე მეთევზეებს არა ერთხელ გადაერჩინათ მეზღვაურები.

მთელი ღამე ყველას მკვდრებივით გვეძინა. ადრე დილით, როცა ჯერ კიდევ სხვებს ეძინა, მე ავდექი და ნაპირად წავედი. მეთევზეებმა გვითხრეს, რომ გემიდან ნივთებს ზღვა ნაპირად გამოყრიდა. მე მაწუხებდა ის გარემოება, რომ გემზე დარჩენილ ჩემს პალტოს ჯიბეში იყო ჩემს სახელზე უვადო პასპორტი. ვიფიქრე, თუ ეს პალტო ნახეს, ნახავენ მასთან ერთად პასპორტს, საიდანაც აშკარა იქნება ჩვენი ვინაობა. ნაპირზე მე გამომიდგა სამი ძაღლი. მე თავს ვიცავდი რევოლვერით, რითაც ერთი ძაღლი დავსვერი ფეხში. ძაღლების ყეფაზე გამოვარდა ერთი მეთევზე. ძაღლები მომაშორა, მაგრამ საშინლად უკმაყოფილო იყო, რომ მისი ძაღლი დავჭერი. დილით ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირზე მრავლად ეყარა ყუთების ნამტყრევები, ზოგიერთი ნივთები, მაგრამ ჩემი პალტო არ სჩანდა. მეთვეზე შემეკითხა იმის შესახებ, თუ რა მიგვქონდა ჩვენ. ვუპასუხე, რომ ლიმონი და ფორთოხალი მეთქი. როცა ყუთების ნამტვრევებს შეხედა, ის დაეჭვდა. ამის შემდეგ აღარ გამიგრძელებია მასთან საუბარი და დავბრუნდი ქოხში. ამხანაგები უკვე ამდგარიყვენ და ერთმანეთს ეკითხებოდენ ვის დარჩა ჯიბეში ფული. მხოლოდ კამოს შარვლის ჯიბეში გადარჩენილიყო 500 ფრანკი. გადავსწყვიტეთ მივსულიყავით მახლობელ ქალაქში და იქიდან დეპეშა გაგვეგზავნა ტუფეკსიევისთვის ფულის გადმოგზავნის შესახებ. აღმოჩნდა, რომ ჩვენ რკინის გზიდან მოშორებით ვიმყოფებოდით— რუსეთის მოსაზღვრე ნავთსადგურის სულინსა და სანავსადგურო ქალაქ კონსტანცას შუა, სადაც რამდენიმე ჭაობიანი ყურეა. მახლობელ დაბამდე იყო დაახლოვებით 20 კილომეტრი. საათის 10-ზე გამოვემშვიდობეთ მეთვეზეებს, მივეცით მათ პატივისცემისთვის 20 ფრანკი, ვსთხოვეთ ეჩვენებიათ გზა და გავსწიეთ ქვეითად, სიარული გვიხდებოდა ფეხშიშველი ჭაობიან ადგილებში. რამდენიმე ხნის შემდეგ ზოგიერთს ჩვენგანს ფეხები დაუსისხლიანდა. მაგრამ სხვა გზა არ იყო, უნდა განგვეგრძო ის.

საღამოთი ჩვენ მივაღწიეთ რომელიღაც დაბამდე და პირდაპირ წავედით რესტორანში. იქ რამდენიმე კაცი ისხდა. როცა ჩვენ ნახევრად ტიტვლები დაგვინახეს, გვკითხეს ვინ ვიყავით. მეთევზეებიდან ჩვენ ვიცოდით, რომ რუმინიაში დიდი პატივისცემით სარგებლობდენ გემ „პოტიომკინის“ მატროსები. ამიტომ მიუგეთ: „ჩვენ პოტიომკინელები ვართ. ვიყავით ზღვის პირად ყურეს ახლოს“. დამოკიდებულება ჩვენდამი უცბათ შეიცვალა. გაგვიმასპინძლდენ. მოგვაწოდეს ცხელი კერძი, რამდენიმე ბოთლი ღვინო. ასეთმა დამოკიდებულებამ ჩვენ გაგვამხნევა და დავიწყეთ გამოკითხვა სად იმყოფებოდენ პოტიომკინელები. გვიპასუხეს, რომ ისინი ზოგჯერ მოდიან აქ, მაგრამ ამ დაბაში არ ცხოვრობენო. შევეკითხეთ როგორ შეგვეძლო მისვლა მახლობელ რკინისგზის სადგურამდე. აღმოჩნდა, რომ მახლობელ რკინისგზის სადგური იმყოფებოდა 40 კილომეტრის მოშორებით. როცა გადასაზიდ საშუალებაზე შეგეკითხეთ,—მათ გვითხრეს, რომ ეს შეუძლია მოაწყოს მამასახლისმა და ერთი მათგანი წავიდა მამასახლისის მოსაწვევად. რამდენიმე ხნის შემდეგ მამასახლისიც მოვიდა, მოგვესალმა და გვკითხა რას ვთხოულობდით. ჩემს თხოვნაზე, რომ მოეცა ეტლი, მან ერთს იქ მყოფს რაღაც უთხრა, რომელმაც მოიყვანა ორი ეტლი. თითოეულში უნდა გადაგვეხადა 10 ფრანკი. ღამის 10 საათზე გავსწიეთ ბრაილოვისაკენ, სადაც მივედით დილით. იქ ასე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადავსწყვიტეთ: ერთი ნაწილი უნდა წამოსულიყო რუსეთში, მეორე ნაწილი— სოფიაში, სადაც საქმის ვითარება უნდა ეცნობებია ტუფექსიევისთვის. კამო რუსეთში მოეჩქარებოდა.

გადავსწყვიტეთ კამოს და მატროსების გალაცით რუსეთში გამომგზავრება. გალაცი რუმინიის საზღვარზე მდებარეობს. მე, სულაქველიძე და კაპიტანი კი უნდა წავსულიყავით სოფიაში და იქ გადაგვწყვიტა როგორ მოვქცეულიყავით. გალაციდან ჩვენ გავემგზავრეთ რკინის გზით ბუქარესტში.

როგორც ზევით აღვნიშნე, გემის გარიყვის შემდეგ ჩვენ უტანისამოსოდ დავრჩით—ამიტომ ესთხოვეთ მეთევზეებს თუ შეეძლოთ რაიმე მოეცათ ჩვენთვის. სხვათა შორის მე წამოვიღე ერთი ნახმარი შარვალი, რომელიც ჩავიცვი ბუქარესტში მისვლისას, დარჩენილი ფულით ვიყიდე ახალი შარვალი, მაგრამ ვიდრე სასტუმროში მივიდოდი, ის გზაში დაირღვა. ჯერ კიდევ ბუქარესტში მისული არ ვაყავით და ტუფექსიევს გზიდან ვაცნობეთ ჩვენი აქ მისვლის შესახებ. 5 თუ 6 საათის შემდეგ ჩვენ მივიღეთ ფული. გადავსწყვიტეთ, რომ კაპიტანი დარჩებოდა ბუქარესტში, მე და სულაქველიძე წავიდოდით სოფიაში.

ბუქარესტიდან გავემგზავრეთ ჟურჟევოში, იქიდან მდ. დუნაით გადავედით რუშჩუკში, საიდანაც მივედით სოფიაში.

ტუფექსიევი დიდათ გაოცებული დარჩა იმ გარემოებით, რომ ჩვენ გავირიყეთ რუმინეთის ნაპირად იმ დროს, როცა მიმართულება აღებული გვქონდა კონსტანტინეპოლისაკენ. საჩქაროდ ვაცნობეთ „პაპაშას“, რომელიც ბერლინში იმყოფებოდა, რომ მოეცა ჩვენთვის დარიგება როგორ მოვქცეულიყავით. „პაპაშასაგან“ განკარგულება მივიღეთ, რომ გადაგვერჩინა გემის ტვირთი. განვიხილეთ ეს საკითხი და გამოვიმუშავეთ გეგმა. გადაწყდა ჩემი გაგზავნა იქ, სადაც გემი გაირიყა კაპიტანთან ერთად. სულინში უნდა მოვლაპარაკებოდით ნავთსადგურის სამმართველოს იმის შესახებ, თუ როგორ გადაგვერჩინა ტვირთი.

სულაქველიძე უნდა წასულიყო სოფიაში. მეორე დღეს, ეს იყო 22 დეკემბერს, მე გავემგზავრე იმავე გზით—რუშჩუკი, ჟურჟუევი, ბუქარესტი. ბუქარესტდიდან კაპიტანთან ერთად წავედით სულინში. ჯერ ჩვენ მივედით ტულჩაში, იქიდან უნდა წავსულიყავით ეტლით. სასტიკი ზამთარი იყო. ყინვა 28 გრადუსს აღწევდა. ძნელი იყო მოგზაურობა. ასე ვიმოგზავრეთ ორი დღე-ღამე. გზაში ჩვენ გვხვდებოდა პატარა სოფლები, სადაც ვჩერდებოდით. სულინში ჩამოვხტით პატარა სასტუმროში. საღამო იყო. გადავსწყვიტეთ მეორე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს მივსულიყავით ნავთსადგურის სამმართველოში. შუაღამეზე, როცა გვეძინა, ჩვენი ოთახის კარებზე ვიღაცამ დაკაკუნა. როცა კარი გავაღეთ, დავინახეთ, რომ ჩვენთან მოსულიყო ოთხი კაცი კომენდანტის მეთაურობით. მოგვთხოვეს პასპორტები. მე მქონდა ბულგარელ—ზეინკლის პასპორტი, კაპიტანს—რომელღაც ბულგარელი გემის კაპიტანის პასპორტი. მოგვთხოვეს მივსულიყავით საკომენდატოში. ჩვენ პოოტესტი განვაცხადეთ, მაგრამ მათ ჩვენ გვიწოდეს „სამოზვანცები“ და მოითხოვეს გავყოლოდით პირადობის გამოსარკვევად.

საკომენდანტოში მე ერთი დავიდარაბა ავტეხე. დავიწყე ყვირილი როგორ ბედავდენ ჩვენს დაპატიმრებას, მოვითხოვე, რომ ნება მეიცათ ჩვენთვის დეპეშა გაგვეგზავნა სოფიაში. მე ნება დამრთეს გამეგზავნა დეპეშა. გავუგზავნე დეპეშა ტუფეკსიეეს, რომ დაპატიმრებული ვიყავი.

მეორე დღეს მოვიდა კომენდანტი და ბოდიშს იხდის, რომ მოხდა გაუგებრობა. გამოირკვა, რომ ტუფეკსიეეს ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრის საშუალებით პროტესტი გაეგზავნა რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრისათვის, რომ სულინში დაპატიმრებული არიან ბულგარეთის ქვეშეგდომები, რომელთაც ბრალს დებენ „სამოზვანცობაში“.

აქ ჩვენ გამოვცხადდით როგორც ოფიციალური პირები. წაველით ნავთსადგურის სამმართველოში და განვაცხადეთ რისთვის მივედით. მივედით იმისათვის, რომ გადაგვერჩინა ბულგარეთის გარიყული გემი, აგრეთვე ამ გემზე მოთავსებული ტვირთი. ამასთან ერთად განვაცხადეთ, რომ გემზე იყო იარაღი, რომელიც ეკუთვნოდა მაკნდონიის კომიტეტს. სამმართველოში ჩვენი განთავისუფლების გამო უკვე პროტესტი განეცხადებია რუსეთის კონსულს. რუსეთის კონსულს განეცხადებია, რომ გემი და ტვირთი ბულგარეთის არ არის, არამედ ის იგზავნება რუსეთშიო. ამიტომ ის მოითხოვდა ჩვენს დაპატიმრებას და გემთან ერთად რუსეთისთვის გადაცემას.

ნავთსადგურის სამმართველოს ასეთი განცხადების შემდეგ რუსეთის მთავრობის წარმომადგენელის დასაკმაყოფილებლად დაენიშნა ექსპერტიზა: სად მიდიოდა გემი და ვის ეკუთვნოდა ის. ექსპერტიზის მოხდენა მიენდო იმ ხუთი უცხო გემების კაპიტნებს, რომელნიც მაშინ სულინში იდგენ. იქ იყო—ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის, რუსეთის და რუმინეთის გემები. ექსპერტიზა დაინიშნა მეორე დღისთვის. მე და ჩვენი გემის კაპიტანი მეტად აღელვებული ვიყავით. გვეშინოდა არ გამოაშკარავებულიყო საქმის ვითარება. მე ვუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რჩიე ჩვენს კაპიტანს წინასწარ მოლაპარაკებოდა ამ გემების კაპიტნებს და დაერწმუნებია ისინი, რომ ჩვენი გემი მიდიოდა ბურგასისაკენ და ის ეკუთვნოდა მაკედონელებს. ექსპერტიზა გაგრძელდა 4 საათი. მე სასტუმროში მოუთმენლად ველოდები კაპიტანის დაბრუნებას. საათის 9-ზე კაპიტანი დაბრუნდა. ექსპერტიზას გემი და ტვირთი ეცნო ბულგარულად, რომელიც მიდიოდა სამხრეთით, მაგრამ ზღვაზე ღელვის გამო თავისუფლად შეეძლო მოხვედრილიყო რუსეთის საზღვარზეო.

თურმე რუსეთისა და რუმინიის კაპიტნებს დაღუპული გემი ეცნოთ რუსულ გემათ, მაგრამ დანარჩენები წინაალმდეგნი ყოფილიყვნენ. ასე ჩვენ გავიმარჯვეთ ამ საკითხში. ახლა საჭირო იყო მოქმედება იარაღის გადასარჩენად. მივიღეთ სათანადო დოკუმენტები ნავთსადგურის სამმართველოსაგან და შევუდექით მოლაპარაკებას იმის შესახებ, თუ რა დაჯდებოდა ეს მუშაობა. ერთმა ბულგარეთის გემმა მოითხოვა 30 ათასი ფრანკი. ჩვენ კი „პაპაშასაგან“ ნებადართული გვქონდა 20 ათასი ფრანკის დახარჯვა. ვაცნობეთ ამის შესახებ ტუფეკსიევს, რომლისაგან უარი მივიღეთ. ტუფეკსიევმა გადასწყვიტა, რომ ტვირთის გადარჩენა არ ღირდა, მხოლოდ გაგვეგო სად გამორიყავდა იარაღს ნაპირად და მაშინ გაგვეცხადებია ჩვენი უფლება.

ამის შემდეგ ჩვენ არაფერი დაგვრჩენოდა იმის გარდა, რომ წავსულიყავით უკანვე. ჩვენ შევეცადეთ მიგვეღო ცნობა სულინში სად იყო გამოგდებული ზღვიდან იარაღი. გავიგეთ, რომ იარაღის ნაწილი ზღვას გამოერიყა ტულჩევში. გადავწყვიტეთ მეორე თუ მესამე დღეს წავსულიყავით ტულჩისკენ.

საღამოთი, როცა მე და კაპიტანი რესტორანში ვისხედით და ვსადილობდით, ჩვენთან მოვიდა მაღალ ტანის კაცი და რუსულად მოგვესალმა:—Здравствуйте земляки.—მე მას ალმაცერად შევხედე და ბულგარულ ენაზე მიმსგავსებით მივუგე—სადაური „ზემლიაკები“ ვართ მეთქი. მან დამშვიდებით მოჰკიდა ხელი სკამს, დაჯდა ჩვენს ახლოს და ამოიღო თავისი სადარბაზო ბარათი, რომელზედაც ეწერა ემელიანოვის გვარი—სავაჭრო აგენტი რომელიღაც სანავოსნო საზოგადოებისა. დაგვიწყო გამოკითხვა ვინ ვიყავით. მე ეუთხარი ბულგარელი ვარ მეთქი, კაპიტანმა უთხრა ჩრდილო რუსეთიდან ვარ, დიდი ხანია რუსეთიდან ვარ წამოსული და ახლა ბულგარეთში ვცხოვრობო. მან არ დაიჯერა ჩვენი ნათქვამი, არ მოგვეშვა—გემმუდარებოდა სიმართლე გვეთქვა, გვარწმუნებდა, რომ მან ყველაფერი იცის. მან მოითხოვა ღვინო და იწყო ჩვენი გამასპინძლება. კაპიტანს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოტათი უყვარდა გადაკვრა. როცა ეს ემელიანოვმა შენიშნა, მეც დამიწყო ღვინის მოწოდება; რამდენიმე ხნის შემდეგ ის ჯიბიდან ღებს წერილს და მაჩვენებს ერთს ადგილს, სადაც სწერია შემდეგი: გრიგორი ივანოვიჩ, თვალყური ადევნეთ ორ რევოლიუციონერს, რომელნიც სულიწმი მოვლენ, თითქოს ბულგარეთის ქვეშევრდომები იყვნენ, ნამდვილათ კი რუსეთის რევოლიუციონერები არიან და სხ.“ მე მინდოდა ეს წერილი მისი ხელიდან გამომეგლიჯა, მაგრამ ვერ მოვახერხე, შემდეგ მან მე მომმართა და მკითხა—მუსიკას ხომ არ მოვისმენდი? მე უარი ვუთხარი, მაგრამ მან მაინც მომცა წინადადება მომესმინა ბულგარული მარში. ის ადგა, მოვიდა მუსიკის დამკვრელებთან და რაღაც უთხრა. მათაც დაუკრეს. როცა გაათავეს, მან მე მომმართა და მკითხა—„ხომ კარგად დაუკრეს ბულგარული მარში“? მე მივუგე—„ეს სრულიადაც არ არის ბულგარული მარში, ეს რაღაც სხვა არის მეთქი“. ის თითქოს გაჯავრდა და შეეკითხა მუსიკოსის დამკვრელთ—თქვენ რა დაუკარითო“.—იმათ რაღაც სხვა სახელი უთხრეს.

მაშინ მე მივეცი წინადადება მუსიკის დამკვრელთ მართლა ბულგარული მარში დაეკრათ. მათაც დაუკრეს. მე შევნიშნე, რომ ემელიანოვს სურდა ჩვენი გამოცდა—მართლა ჩვენ ბულგარელები ვიყავით თუ არა, მაგრამ მისი ასეთი ხერხი გაცრუდა. შემდეგ, როცა დაბნელდა, მან წინადადება მოგვცა წავსულიყავით რომელღაც თეატრში. მე ვუჩრიე წავსულიყავით ერთი მიყრუებული, გაუნათებელი ქუჩით.

გზაში ცოტათი ჩამოვრჩი და გადავწყვიტე მიმებეგვა, მაგრამ მან ეს შემნიშნა და არ მოისურვა წინ წასვლა. მე რამდენჯერ შევეცადე ჩამოვრჩენოდი, ის წინ გამეშვა. დაბოლოს მან წარმოსთქვა—„იარე მეგობარო ფსატოვ ჩემს გვერდით“. მაშინ მე მას მხრებზე ვსტაცე ხელი და ვუთხარი: „შე ძაღლო, ჩვენ კარგათ ვიცით, რომ რუსი ჯაშუში ხარ და თუ გეშინია, რათ აკეთებ ასეთ საძაგელ საქმეს, დაიკარგე, არ დამენახო მეთქი“.

ის ცოტათი შეშინდა. „როგორ, მე გამეხარდა თანამემამულეების ნახვა, ჩვენი სურვილია თქვენ დახმარება გაგიწიოვო“. ის სხვა გზით წავიდა.

მეორე დღეს ჩვენ ვიქირავეთ ეტლი და გავუდექით გზას. სოლინიდან გასვლისას მე შევნიშნე, რომ ეგევე ემელიანოვი მივიდა მეეტლესთან, გადასცა ვერცხლის ფული და რაღაც უთხრა. აშკარა იყო, რომ მეეტლეს მიანდო თვალ-ყური ედევნებია ჩვენთვის. ორი საათის შემდეგ ჩვენ მივაღწიეთ ერთ სოფელში. აქ ჩვენ მეეტლეს მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეცით დაპირებული და წინადადება მივეცით დაბრუნებულიყო უკან ის განცვიფრდა. ფული მიიღო და სთქვა—„როგორც გნებავთო“.

ვიქირავე მეორე მეეტლე და განვაგრძე გზა.

მივედით ტულჩაში. იქ იყო სამხედრო ნაწილი. ჩვენ მივედით ჯარის სამართველოში და ვიკითხე იყო თუ არა აქ ზღვის მიერ ნაპირად გამორიყული იარაღები გემ „ზორიას“ ჩაძირვის შემდეგ. აღმოჩნდა, რომ მათ უკვე ჰქონდათ ცნობა ჩვენი იქ მისვლის შესახებ. მათ წინადადება ჰქონოდათ მიცემული ხელი შეშალათ ჩვენთვის იარაღის დათვალიერებაში. ჩვენ გვაჩვენეს იარაღის დიდი საწყობი. იქ ეწყო 200-მდე თოფი. წყლისგან დაჟანგული იყო. მე ვსთხოვე გაეწმინდათ ეს იარაღი, ზეთი წაესვათ და შეენახათ ჩვენს ხარჯზე, ვიდრე ბულგარეთის მთავრობისაგან არ მიიღებდენ განკარგულებას. დავუძახეთ რამდენიმე ჯარისკაცს, რომელთაც შევპირდით თითო თოფის გაწმენდაში 20 კაპ. და გავსწიეთ უკანვე.

როცა ბუქარესტში მივედი, გადავსწყვიტე შეკითხებოდი ტუფეკსიევს როგორ მოვქცეულიყავი კაპიტანის მიმართ. ტუფეკსიევისაგან მივიღე დეპეშა, რომ კაპიტანი გამენთავისუფლებია და წინადადება მიმეცა მისთვის დაბრუნებულიყო უკანვე საიმედო გზით, თვით მე დაუყოვნებლივ წავსულიყავი. ამასთან ერთად ტუფეკსიევი მაცნობებდა, რომ ფული გადმოგზავნილი იყო ბუქარესტში. მე გამოვემშვიდობე კაპიტანს და გავემგზავრე ჯურჯიევში. მდ. დუნაიზე ყინულის მოძრაობა იყო. ის ნავი, რომლითაც ჩვენ გასვლა ვაპირებდით მეორე ნაპირზე, იძულებული იყო რამდენიმეჯერ უკან დაბრუნებულიყო. ექვს საათს მოუნდით მეორე ნაპირად გადასვლას. მდ. დუნაის მეორე ნაპირზე ბულგარეთის ადმინისტრაცია გულდასმით მადევნებდა თვალს. უფროსი მეკითხება: „როგორაა საქმე, უსატოვ, გადაარჩინეთ გემი თუ არა“?

მე განცვიფრებით შევხედე. თავი გავაქნიე და ვუთხარი—არავითარი გემი მე არ ვიცი, მე ზეინკალი ვარ, რა საქმე მაქვს მე გემთან მეთქი.

„არა, ჩვენ ყველამ ვიცით, რათ მალავთ. ვიცით ვინცა ხართ. ამასთან ერთად მან ამოიღო ბულგარელი გაზეთი, სადაც პირველ გვერდზე მსხვილი ასოებით დაბეჭდილი იყო: „რუსი სტუდენტების ავანტიურა“ და შემდეგ აწერილი იყო როგორ მიჰქონდათ რუს სტუდენტებს რუსეთში გემით დიდძალი იარაღი, ვაზნები და 100 ტონამდე დინამიტი. მე ამისათვის ყურადღება არ მიმიქცევია და გავსწიე სადგურისაკენ. მეორე დღეს მე უკვე სოფიაში ვიყავი.

კ. ჩხენკელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ. ს. დ. მ. პ. „მეგრძოლი ტეხნიკური ჯგუფის“ წარმოგადგენლეგის მუშაოგა გელგიაში.

(მოგონება)

1907 წლის შემოდგომის დამდეგს შვეიცარიიდან გადავედი ბელგიაში. ბელგიაში წასვლის მიზანი იყო როგორც განათლების განგრძობა, ისე სამუშაოს შოვნა.

იმ ხანებში ჩვენი პარტიის ბრიუსელის ორგანიზაციაში ირიცხებოდა 15—20 წევრამდე, უმეტესად მენშევიკები. პოლონელ, ლატიშთა სოციალ-დემოკრატებს და ბუნდოველებს ჰქონდათ მოწყობილი დამოუკიდებელი წრეები, თუმცა ზოგიერთი ამხანაგები ამ უჯრედებიდან ჩვენთანაც მუშაობდენ.

მეორე სახელმწიფო სათათბიროს გარეკის შემდეგ ბრიუსელს მრავლად მოაწყდა ემიგრანტები, მათ შორის, სახელმწიფო სათათბიროს ჩვენი ფრაქციის ორი ყოფილი წევრი—ივანე რომანოვი (სორმოვოს ქარხნების მუშათა მიერ არჩეული) და ალექსინსკი (რომელიც ამ ჟამად თეთრი ემიგრაციის აშმორებულ ჭაობშია ჩაფლული).

ამათი მოსვლის შემდეგ ჩვენი ჯგუფის მუშაობა შესამჩნევად გამოცოცხლდა; მოეწყო მთელი რიგი რეფერატები და მოხსენებები; დამყარებულ იქნა უფრო რეგულიარული კავშირი პარიზის და ჟენევის ორგანიზაციებთან, სადაც ბალშევიკები თვალსაჩინო როლს ასრულებდნენ. მიექცა სერიოზული ყურადღება შინაორგანიზაციულ საკითხებს. ძალების ახალმა განწყობილებამ ჩვენსა და მენშევიკებს შორის გვიკარნახა ორგანიზაციის ბიუროს გადარჩევის აუცილებლობა; არჩეულ იქნა 2 ბალშევიკი—ლატიში კ. ზუტტე და ამ სტრიქონების დამწერი.

ამავე დროს ამხ. ზუტტე მუშაობდა ბრიუსელის ლატიშთა ორგანიზაციაში, რომელიც ხელმძღვანელობდა პარტიულ ორგანოს „ცინა“—გამოცემა-ექსპედიციის საქმეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმასთან მე გავეცანი ლატიშ ამხანაგებს: ალფრედს (გარი მაგელი), სკარრეს (მუსიკოსი, იგივე ზაუერი) და გრიშას (სალნინს). ამ უკანასკნელმა გაიგო თუ არა, რომ მე ვიყავი კამოს ახლობელ მეგობართაგანი, წინადადება მომცა მიმეღო თავის თავზე „სამხედრო-ტეხნიკური ჯგუფის“ ზოგიერთი დავალებანი; ამ ჯგუფის წარმომადგენლად საზღვარ-გარეთ თითონ ითვლებოდა.

იმ ხანებში ანტივერპენით და ჰოლანდიის ზოგიერთი ნავსადგურებით იგზავნებოდა იარაღი და ლიტერატურა. საერთო ხელმძღვანელობის გაწევა დავალებული ჰქონდა ამხ. ლიტვინოვს (პაპაშა), რომელიც დროგამოშვებით მოდიოდა სახელმძღვანელო დარიგებათა მისაცემად.

საექსპედიციო მუშაობაში ალფრედს და გრიშას ეხმარებოდა ლატიში, სახელწოდებით „ბარონ“. ერთი ოპერაციის ჩავარდნის გამო ხსენებულ ბარონისადმი ნდობა დიდად შეირყა. მდგომარეობა გვიკარნახებდა მიგვეღო სიფრთხილის ზომები.

უპირველეს საზრუნავად გაგვიხდა იარაღის საწყობის გადატანა ჩემი და ალფრედის ბინებიდან უფრო საიმედო ალაგას. ამასთან ერთად მე და გრიშამ საჭიროდ დავინახეთ სრულიად ჩამოგვეშორებია საქმისათვის „ბარონი“, მაგრამ იგრძნო თუ არა მან ეს, შეეცადა ბრიუსელიდან წასულიყო ზოგიერთი საჭირო მასალები.

მივიღეთ რა ცნობა იმის შესახებ, თუ რომელ საათზე უნდა გამგზავრებულიყო ის, ჩვენ წავედით და წამოვიყვანეთ ის ბრიუსელის ჩრდილოეთის სადგურიდან. „ბარონი“ დაპატიმრებული გვყავდა ჯერ ჩემს ბინაზე, შემდეგ ერთი ჩემი პირადი მეგობრის—უპარტიო ქართველის ი. ციციშვილის ბინაზე. ამხ. გრიშას საჭიროდ მიაჩნდა მისი სრულიად ჩამოშორება, მოკვლა, მაგრამ ზოგიერთი ამხანაგების რჩევით, მივიღეთ რა დაპატიმრებულისაგან საჭირო ცნობები და მასალები, გავანთავისუფლეთ. როცა რიგაში ვიყავი, ამხანაგებმა გადმომცეს, რომ გრიშას განზრახვა „ბარონის“ შესახებ სისრულეში მოეყვანათ ბალტიის მხარეში.

შემდეგში ბრიუსელში ჩამოსული ამხ. ლიტვინოვის (პაპაშა) განკარგულებით გაუქმებულ იქნა იარაღის საწყობი.

ბრიუსელის ჯგუფის მოღვაწეობიდან აღსანიშნავია კიდევ ერთი ფაქტი. იმ ხანებში ბერლინის ციხეში იჯდა ამხ. კამო. მეფის მთავრობა მოითხოვდა მის, როგორც სისხლის დამნაშავის, გაცემას. განსვენებული ამხ. ლიბკნეხტი, რომელიც კამოს რწმუნებული იყო, ამაოდ ეცადა ეშოვა კამოსთვის პარტიული ბილეთი. ამ საქმეში ხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლს უშლიდენ მენშევიკები—პოტრესოვი, დანი, ჩერევანინი და სხვ. ყოველგვარ დაბრკოლებებს ჰქმნიდენ იმისათვის, რომ კამოს არ მიეღო პარტიული დოკუმენტი, რითაც დამტკიცდებოდა, რომ ის იყო რევოლიუციონური პარტიის წევრი. ბილეთი შემოწმებული უნდა ყოფილიყო საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მიერ; ბიუროს მდივნად მაშინ იყო კამილ გიუისმანსი. ვისარგებლეთ რა იმ შემთხვევით, რომ პირადათ ჩვენდამი კარგს განწყობილებაში იყვნენ როგორც გიუისმანსი, ისე დე-ბრუკერი, ფოლკაერტი და სხვა ბელგიელი სოციალისტები, რომელნიც მაშინ რევოლიუციონურ პლატფორმას ადგენ, ჩვენ შეეძელით გვეშოვნა ამხ. ლიბკნეხტისათვის საჭირო საბუთები.

მაგრამ არ გვქონდა იმედი, რომ ჩვენი შუამდგომლობა საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს წინაშე წარმატებით დაგვირგვინდებოდა, ამიტომ პარალელურად შევიმუშავეთ კამოს ციხიდან გაქცევის ტეხნიკური გეგმა, იმ შემთხვევაში, თუ გერმანიის მთავრობა გადასწყვეტდა მის გადაცემას რუსეთის ჯალათებისათვის როგორც სისხლის სამართლის დამნაშავეს.

იარაღის საწყობების გაუქმებისა და გერმანიის მთავრობის მიერ კამოს რუსეთის მთავრობისათვის პირობით გადაცემის შემდეგ „მებრძოლი ტეხნიკური ჯგუფის“ წევრთა უმრავლესობა დაბრუნდა რუსეთში, რათა პარტიული მუშაობა ეწარმოებიათ სხვა დარგებში.

ნ. ამირაღოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავლაბრის სტამბის აღმოჩენა მთავრობის მიერ.

1906 წ. აპრილის პირველ რიცხვებში მიხა ბოჭორიშვილმა მთხოვა, ნება მიმეცა სტამბის თავზე მდებარე ოთახებში ემაცადინათ. მე ვკითხე—რას აპირებდნენ, რა უნდა შეესწავლათ: მან მითხრა, „ხაშურიდან ქიმიის ერთი კარგი მასწავლებელია მოსული და გვპირდება ასაფეთქებელ ნივთიერების მომზადებას გასწავლითო, ორივ პარტიამ სამ-სამი კაცი გამოყო და ოთახებია საჭიროო“.

მე გასაღები გადავეცი. აქ იყვნენ მუმრავლესთაგან: მიხა ბოჭორიშვილი, ალაჯალოვა და ზავარიანი. მეწშეევიკებიდან: ჯიბლაძე, ჩაჩავა, და გოგუა. ისე აქებდა ბოჭორიშვილი მასწავლებელს, რომ მე ცნობის მოყვარეობამ დამძლია, მინდოდა ჩემის თვალით მენახა ვინ და რა იყო: ვფიქრობდი—ან მიხა მატყვილებს, ის ვიღაც პროფესორია, ან სახლი სხვა მიზნისათვის უნდათ; ჩემს წმინდა მოვალეობათ ვთვლიდი, რომ სახლში არა პარტიული არავინ მოხვედრილიყო.

12 თუ 13 აპრილს (კარგად არ მახსოვს) დილით ადრე მიველ სტამბის ბინაზე. ამხანაგები მწვანეზე წიგნს კითხულობდნენ, მასწავლებლი მოსული არ იყო; ჩაჩავა და გოგუა ძველი ამხანაგები იყვნენ, კარგად მიცნობდნენ; გოგუა აქ არ იყო. ჩაჩავამ ლაპარაკი დამიწყო. განგებ ვიგვიანებდი და ლაპარაკის დროს ეზოში დავდიოდი და ყოველ კუთხე-კუნჭულს ვშინჯავდით, რომ გამოჩენილ მასწავლებლისათვის თვალი მომეკრა.

მასწავლებელიც მოვიდა. ალაჯალოვა და ზავარიანი ჭიშკართან შეეგებენ; მე ამ დროს კარებთან ვიდექ და მათ ლაპარაკს ყურს ვუგდებდი; მასწავლებელი მათ სომხურ კილიკიურ კილოზე ელაპარაკებოდა, საშულო ტანის იყო, შავთვალ-წარბა, სახე გავაქსილ ტყავივით ულაპლაპებდა, შორიდან ზანგს წაგავდა, ევროპიულად და მოხდენით ეცვა, ქალებთან ლაპარაკის დროს სულ იღიმებოდა; მე მის მახლობლად ორ ან სამ ნაბიჯზე ვიდექი და მან ერთხელაც არ იკითხა,—ვინ ვიყავი, ან იქ რათ ვიყავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ხანებში, როცა ორი ან სამი ამხანაგი თუ საქმეზე ლაპარაკობდა, ამ დროს თუ ვინმე უცნობი დაუახლოვდებოდა, ლაპარაკს სწყვეტდენ და ახალ შესწრობილს ეცნობოდნენ. მაგრამ აქ ასე არ მოხდა. მასწავლებელი მე წარმომიდგა ვიღაც დონ-ჟუანათ...

სწორეთ ამავე დროს ჩემთან რაღაც საქმეზე მოვიდა მიხა ბოჭორიშვილის დედა. მე, მას უთხარი:

— გადაეცი მიხას, მასწავლებელზე ეჭვი მეპარება და ფრთხილად იყოს მეთქი. მოხუცს ეწყინა და მითხრა: „შენ ხომ იცი მიხაკო რა ფრთხილია და დარწმუნებულ იყავი, რომ იგი შეცდომას არ დაუშვებს". „დიდათ სასიამოვნოა ეს, მაგრამ მაინც უთხარი გაფრთხილდეს, რადგანაც მასწავლებელზე ეჭვი მეპარება მეთქი".

14 აპრილს საათის 10-11 ჩემთან მოვიდა კაცი, რომელიც სრულიად გაპარსული იყო, კარგად ჩაცმული, თვალებზე ლუნჯი სათვალეები ჰქონდა. დამიწყო ცქერა, მეც ვუცქეროდი. ეჭვიც კი დამებადა: ვინმე გადაცმული ჯაშუში ხომ არ არის მეთქი, მაგრამ უხერხულ მდგომარეობიდან მან გამომიყვანა.

— მიცანი?—შემეკითხა.

— მიხაკო, შენა ხარ?! განცვიფრებით წამოვიძახე—რა ამბავია, რა მოხდა!

— გაგვცეს, თავს უნდა უშველოთ! დღეს დილით მასწავლებელი რომ შემოვიდა, სთქვა—ჯაშუშები გარშემო შემოგვერტყენ და თავს უნდა ვუშველოთ.—მე მაშინვე გამოველ, განაგრძო მიხამ,—ვნახე ოთხივე კუთხეში შორე-ახლო კაცები იდგნენ, ვითომდა არაფერი, მაგრამ თვალი ჩვენსკენ ჰქონდათ, მე შინ აღარ შევბრუნდი, დანარჩენნიც წვავიდ-წამოვიდნენ, მარტო ბაბეა იქ და, აბა, შალე, როგორმე ეს პასპორტი გადაეცი და შენ სადმე წადი.

გადაცვსწყვიტე ასე: მიხოს ჩემთვის სომხის სახელგვარით პასპორტი მოეტანა და მე სპარსეთში უნდა გავსულიყავი, იქიდან კი—ინგლისში, მე სომხურ-თათრული ენა კარგად ვიცოდი, ეს ჩემთვის საძნელო არ იყო და რადგან ენების შესწავლა მეხერხებოდა, თუ საჭირო დარჩებოდა, ინგლისურსაც ვისწავლიდი. მიხო წავიდა, მე მაშინვე ავლაბარში გაველ, ბაბეს პასპორტი გადავეცი. განცხადება დავწერე: „ქირავდება ოთახი", ჭიშკარზე გავკარ და წაველ.

ჩვენდა საუბედუროთ ამხანაგ ალაჯალოვას, ზავარიანს და ჩაჩავას ზოგიერთი ტანისამოსი და ლოგინი იქ დაეტოვებინათ.

ბაბეს ყველაფერი ეს ერთად შეეკრა და მითხრა: „შენს სახლში გადაიტან და იქიდან წავიღებო". იმ საღამოთი მე ბარგის გადმოსატანათ გავგზავნე გიორგი რაზმაძე და ვთხოვე ერთ ღამეს დარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩენილიყო და თუ „მდგმური“ მოვიდოდა, ქირა გამოერთმია და ბარგი მიეცა, თუ არა დილაზე სახლში გადმოეტანა. ეს იყო სიგნალი. თუ იმ ღამეს გასაჩხრეკად მოვიდოდენ, გიორგის ცოტა ხანს დააკავებდნენ, იგი სოფლიდან ახლად ჩამოსული იყო და პარტიის არაფერი იცოდა: ერთს ან ორ კვირას გააჩერებდნენ ციხეში და ჩემი გაქცევის შემდეგ მას გაანთავისუფლებდენ.

14 აპრილს მე მეუღლითურთ ღამის გასათევად მივედი გიორგი ბაქრაძესთან. ღამემ მშვიდობიანათ ჩაიარა. მეორე დღეს რამზაძემ მითხრა: „მდგმური არ მოვიდა, ბარგი სახლში გადმოვიტანე“. ამნაირად საფრთხე აცილებულად მივიჩნიე, ჩემს ბინაზე მიველ, მაგრამ მწარედ მოვსტყუვდი.

15 აპრილს დღისით 12-1 საათი იქნებოდა პოლიცმეისტერის ეტლით ჩემთან მოვიდა ნაწილის უფროსი საგინაშვილი და მკითხა:

— როსტომაშვილი შენა ხარ? საგინაშვილი შეხდულობით ულამაზო კაცი იყო, ტანად დაბალი, ქალური ხმა და სულელური გამომეტყველება ჰქონდა, წარა-მარა იღიმებოდა; ეს კაცი გულმოდგინეთ სდევნიდა ტფილისში სოციალისტებს. ჩემი დაჭერის რამდენიმე დღის შემდეგ ის მოჰკლეს.

— მე ვარ! უპასუხე.

— თქვენ გასაქირავებელი სახლი გქონიათ, შეიძლება წამომყვეთ და გვაჩვენოთ?

მივხდი, რომ ჩავცვივდით, მაგრამ უარის თქმაც არ ივარგებდა და ვუთხარი შეიძლება მეთქი.

პოლიცმეისტერის კარგმა ცხენებმა სტამბაში სწრაფათ მიგვიყვანეს. აქ იყო პოლიცმეისტერი მარტინოვი, პალატის პროკუროორი, მისი ამხანაგი სკაპინსკი, ორი როტმისტრი, რამდენიმე ჟანდარმი ბოქაულები, ყაზახები, ყაზახთა ოფიცერი, გოროდოვოები, ერთი როტა საპირონები, ერთი როტა მსროლელნი და მრავალი სხვადასხვა ხალხი. მთელს უბანს ალყა ჰქონდა შემორტყმული.

სტამბიდან მთელი ქონება ეზოში ამოეყარათ, ჯარის-კაცნი თხრას განაგრძობდენ. ჩემმა მისვლამ ყველას ყურადღება მიიქცია და სხვადასხვა „ჩინის“ ჩინოვნიკი სხვადასხვას მეკითხებოდა. მე ერთი პასუხი მქონდა: „არ ვიცი“.

ჩემში, მართალია, გაიღვიძა თავის დაცვის ინსტინქტმა, მაგრამ ამასთანავე ვფიქრობდი იმის შესახებ, თუ რა ნაირი ჩვენება მიმეცა, რომ ამხანაგებისთვის არ მევნო. აქ გამახსენდა სამი წლის წინად მიხა ბოჭორიშვილთან ერთად შედგენილი გეგმა: თუ დაგვიჭერდენ— უნდა გვეთქვა: ხერხაშვილი და ზარდიაშვილი ცხოვრობდა აქ; ასე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა გვეთქვა იმ შემთხვევაში, თუ შიგ სტამბაში არ დაგვიჭერდნენ. ასეც მოხდა, შიგ სტამბაში არავინ დაუჭერიათ. მაშასადამე, ძველი გეგმა უნდა განხორციელებულიყო.

მთავრობის პირველი შეკითხვა ასეთი იყო:—ეს რა არის? აქ მარტინოვმა ბომბებზე მიმითითა. ბომბები ამოეღოთ, ვედროში ჩაეწყოთ და ზედ წყალი დაესხათ.

— არ ვიცი, მივუგე.

— ვინ ცხოვრობდა აქ?

— მდგმური!

— იცნობ?

— ვიცნობ!

— რა გვარი იყო?

— ორნი იყვნენ, ერთის გვარი იყო ხერხაშვილი, მეორის—ზარდიაშვილი.

— რა საქმის ხალხი იყვნენ?

— რკინის გზაზე მუშაობდნენ.

ჯარისკაცები მიწის თხრას განაგრძობდენ, მაგრამ ყოველ ნიჩბის აწევაზე ქვეშ-ქვეშ ჩემსკენ გამოიყურებოდნენ. თუმცა პოლიციმეისტრის ბრძანებით მისი პირადი დარაჯა ყაზახი მდარაჯობდა, მაგრამ მე მაინც ყველას ვაკვირდებოდი და მინდოდა მათ სახეზე მათი სულისკვეთება ამომეკითხა,—კმაყოფილნი იყვნენ თუ არა. პოლიციმეისტერთან ერთად აქ დიდ როლს ასრულებდა როტმისტრი ფირალოვი, ის დამდევდა საითაც პოლიციმეისტერს მივყავდი... ამათ სახეზე მხიარულება ეტყობოდათ, მაგრამ აქ მე ერთი მაკვირებდა: აქ იყო რამდენიმე სრულიად უცნობი პირი, რომელთაც ეტყობოდა, მოწმედ იყვენ მოწვეული... ესენიც უფრო მხიარულად გრძნობდენ თავს, ვიდრე მიწის მთხრელი ჯარისკაცები.

პეტრე-პავლეს სასაფლაოს მახლობლად მდებარე პატარა გორადან ცნობის მოყვარე ხალხი გადმომდგარიყო და ამ საკვირველ „მუშაობას“ უყურებდა. ერთმა იმ პირთაგანმა, რომელიც მოწმეთ იყო მოწვეული, პოლიციმეისტერს გორისაკენ მიუთითა.

— უყურე ბატონო როგორ იყურებიან? მაგრამ პოლიციმეისტერმა ხმა არ გასცა. პალატის პროკურორმა როტმისტრ ფირალოვს და პროკურორ სკაპინსკის უბრძანა ჩვენთვის ჩვენება ჩამოერთმიათ.

ჩვენი სტამბის პირდაპირ იყო პატარა, ორ-ოთახიანი მეზობლის სახლი. ამ სახლში შემიყვანეს. აქ ერთ ოთახში მრავალნაირ საქმელებით მშვენივრად მორთულ ტაბლას მოსგდომოდა ორი, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქალაქო ტანისამოსში მორთული პიროვნება, აქვე დასხდენ პოლიც-მეისტერი, პროკურორი, ყაზახის ოფიცერი და განაგრძეს ნადიმი. აქვე მეორე ოთახში მე შემიყვანეს და დაიწყო ჩვენების ჩამორთმევა. მე ჩემ თავს არ ვენდე და თარჯიმანი მოვითხოვე. როტმისტრმა მითხრა: „შენ რუსულს კარგად ლაპარაკობ და თარჯიმანი რათ გინდაო“? ეს მართალია, ეუთხარი მე, მაგრამ არა ისე, როგოც ქართულს. თხოვნა შეწყნარებულ იქნა და თარჯიმანათ დამინიშნეს ერთი იმ პირთაგანი, რომელიც სასადილო ტაბლასთან იჯდა*). ჩვენების ჩამორთმევა გაგრძელდა საღამოს ექვს საათამდე. მეკითხებოდენ მრავალნაირად, მე ვუპასუხებდი ერთნაირად, რამდენიმე ფურცელი დასწერეს. ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ სტამბის ქონება ექვს ურემზე დაუდვეს და სადღაც გაისტუმრეს. შემდეგ სახლს ცეხლი წაუკიდეს, მე, ორი ჟანდარმის თანხლებით მეტეხის ციხეში გამგზავნეს**). ამავე დროს ჩემს სახლშიც მოეხდინათ ჩხრეკა. რადგანაც ჩემმა მეუღლემ რაზმაძის მიერ მიტანილ ბარგის არა იცოდა რა, ეთქვა ბარგი რაზმაძემ მოიტანაო; ამ ბარგიდან მჩხრეკავმა რამდენიმე კაბა მოიტანა სტამბაში. სკაპინსკიმ უსაყვედურა—რატომ მთლად არ მოიტანეო.

აქ საჭიროა აღვნიშნო, რომ სტამბაში ჩვენ ელექტრონის საიდუმლო ზარი გვქონდა. როცა სტამბა აღმოაჩინეს და ზარი ნახეს, ბევრი ეძებეს, მაგრამ ზარის დასაწყისი ვერ იპოვეს. ვერც იპოვნიდნენ. ამ ზარის საიდუმლოება იცოდა ბაბემ, მე, მიხამ, ლადომ, გიგომ, მანასემ, ჭიჟიკომ და მიხა ჩოდრიშვილის შვილმა (სახელი დამავიწყდა), რადგანაც ზარი მან გაიყვანა.

პროკურორმა მკითხა: ზარი საიდან ირეკებოდა. მე უთხარ: „არ ვიცი“. მე რომ მცოდნოდა საიდუმლო ზარის გაკეთით რამდენიმე ამხანაგს გადავარჩენდი, ამას ვიზამდი, მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, მე არ ვიცოდი, რომ ჩემს „არ ვიცი“ 28 საუკეთესო ამხანაგის დატყვევება მოჰყვებოდა.

აი საქმე როგორ იყო: მე რომ „არ ვიცი“ უთხარი, მთავრობამ სთქვა: „რადგან სტამბა სოც.-დემოკრატებისაა, ზარი გაზეთ „ელვი-

*) მე ამ კაცის გვარი გავიგე და ნიკო ერიქოვს ვუამბე ციხეში. ნიკო ერიქოვმა მითხრა, ეგ კაცი ჯაშუში არ არის, ჟანდარმერიაში მსახურობს მთარგმნელად ფრანგულ, სომხურ, ქართულ და თათრულ ენებისო.

**) მერე გავიგე, რომ როცა სახლის ხის ნაწილები დამწვარიყო, მეზობლებისათვის ებრძანებინათ, ღობე და აგური გაეზიდათ. დღეს იმ ადგილას, სადაც სტამბა იყო, მოზრდილი ღრმა ორმო არის. ასეთი ისტორიული ადგილი უყურადღებოთ არის დატოვებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან“ იქნება გამოყვანილიო“ და გასცეს ბრძანება „ელვის“ რედაქცია გაეჩხრიკათ. სწორეთ ამ დროს „ელვის» რედაქციაში რაღაც კრება იყო დანიშნული და ვიდრე მე ციხეში მიმიყვანდენ, „ელვის“ რედაქციიდან მოიყვანეს ოცდა-შვიდი კაცი, რომელთა შორის იყო ალაჯალოვა, კარაჯიანი, ზავარიანი, მიხო ბოჭორიშვილი, კოტე ანდრონიკაშვილი და სხვანი, მიხა ცხაკაია კი გზაზედ მიმავალი დაეჭირათ.

ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ერთი კვირის შემდეგ ციხეში 28 კაცი წარმომიდგინეს და სკაპინსკიმ მკითხა: აბა, ამათში ვის იცნობ, ვინ არის შენი მდგმურიო. „მე გადავხედე მათ მხოლოდ იმიტომ, რომ გამეგო ვინ იყო მოყვანილი. ამ ამხანაგებიდან ბევრი ვერ მიცნობდა, მე კი უმრავლესობას ვიცნობდი; ყველაზე კარგათ მიხა ცხაკაია ვიცნობდი. ის გავიცანი 1891 წელს ნინოშვილთან ერთად. კინაღამ თმებში ხელი ვიტაცე ამათი დატყვევებისათვის და პროკურორს დაღონებული უთხარი: აქ არ არიან ის კაცები, არავის არ ვიცნობ. მე მაშინვე კამერაში გამომამბრუნეს, დაპატიმრებულთაგან ზოგი თავდებში გაუშვეს. ზოგი სულ გაანთავისუფლეს. დასტოვეს მიხა ბოჭორიშვილი და სონა უთნელიძე; პირველი იმიტომ, რომ ის სახლის პატრონი (მოხუცი დედაკაცი,) რომელშიაც მე ჩვენება ჩამომართვეს მთვრალი მოიყვანეს და მან ხელი დაადო: „აი ეს იყოვო“. მეორე იმიტომ, რომ ამხანაგ ალაჯალოვას კაბა კარგად მოერგო.

მიხო ბოჭორიშვილი ოთაროვის გვარით იყო დაჭერილი, პროფესიათ სიღნაღელი მსახიობი ვარო ეთქვა, მაგრამ გამოძიებით მას უმტკიცდებოდა, რომ ის არც მსახიობი იყო და არც ოთაროვი. იმ დროს ჩვენ დიდი სასჯელის მოლოდინში ვიყავით: გაზეთებში სწერდნენ: ავლაბრის სტამბის საქმე სამხედრო სასამართლოს უნდა გადაეცესო“.

მიხამ მითხრა, რათაც უნდა დაჯდეს, ციხიდან უნდა გავიქცე, ამ განზრახვით მეტეხის ძველ შენობაში (კარგად აღარ მახსოვს) მეცამეტე თუ მეთოთხმეტე კამერის კედელი გახვრიტეს და რამდენიმე, მგონი 7 კაცი, გაიქცა. სხვათა შორის, მიხა ბოჭორიშვილიც, მაგრამ მას ციხის გვერდზე ფოშტის სახურავზე გზა დაბნეოდა და ჩამოსვლა ვერ მოეხერხებინა. ფოშტის დარაჯს შეენიშნა, მას ქურდი ჰგონებოდა, ყვირილი მოერთო. ფოშტის მოსამსახურის ყვირილზე, ციხის დარაჯნი გამოცვივნილიყვნენ და როცა „ქურდი დაიჭირეს», თავიანთი ტუსაღი იცნეს და ციხეში ხელახლად შემოაგდეს.

ამ წლის (1906 წ.) 27 აპრილს ველოდებოდით პირველი სახელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწიფო სათათბიროს გახსნას. ხმა გავრცელდა, რომ სათათბიროს გახსნის დღეს დიდ მანიფესტს გამოსცემენო. ციხის ადმინისტრაცია ყოყმანში იყო: ვაი თუ სახელმწიფო სათათბირომ პოლიტიკური ტუსაღები გაანთავისუფლოსო. ამისათვის ადმინისტრაციამ ტუსაღთ საღავე მიუშო, კაჟ-ები გააღეს, ტუსაღები სასეირნოთ ყველა ერთად გაუშვეს და მნახველებსაც უფლება მისცეს კამერებში შესულიყვნენ და რამდენიც უნდოდათ, იმდენ ხანს დარჩენილიყვნენ.

სახელმწიფო სათათბირო გაიხსნა და გარეკეს კიდეც, მაგრამ ტუსაღები არ გაანთავისუფლეს, ციხის ადმინისტრაცია მაინც რაღაცის მოლოდინში იყო. ერთხელ ციხის პროკურორმა გვითხრა: ბატონებო, ჩვენ თვითონ არ ვიცით ხვალ რა იქნება, დამშვიდით, კამერები ღია გაავვთ, მნახველები თავის დროს მოდიან და სხვა. ამ ნაირად, ერთხელ გაღებული კამერები დიდხანს დარჩა ღიათ. მნახველებს ძალიან დიდი ხნით უშვებდნენ ტუსაღებთან.

ასეთ პირობებში ამხ. მიხა ბოჭორიშვილი ციხის ბიბლიოთეკარად დააყენეს. ის ძველი შენობიდან ახალშიც ხშირად დადიოდა. ხელახლა მითხრა: ჩემი გაქცევა აუცილებელია, რადგან ამ წყეულმა ბებერმა ხელ-ახლა აჩვენა ჩემზეო. მე უთხარ როგორც გენებოს მეთქი. ამ დროს დალაქმა არტემამ (ვკარი არ მახსოვს) წინადადება მომცა გავქცეულიყავ, გაქცევას მე მოგიწყობო, მაგრამ მე უთხარი: არ მსურს სხვის უბედურებაზე ჩემი ბედნიერება ავაშენო მეთქი. მისი წინადადება იყო: „ძირს დარაჯს მოვისყიდით, თოკს მოგიტან, ფანჯარას გასჭრი და ჩამოხვალ, ჯარისკაციც თან გამოგყვებაო.“ ასეთი გაქცევა „სარისკო“ იყო. ჯარისკაცს შეეძლო სიტყვა შეეცვალა და თოკიდან ჩიტივით ჩამოვეგდე. გარდა ამისა, თუნდა მშვიდობით გავქცეულიყავ, ცოლ-შვილს მოსვენებას არ მისცემდენ, და ხელ-ახლა რომ დავეჭირე, სასჯელი უფრო სასტიკი იქნებოდა; ყველა ამ მოსაზრებით მტკიცე უარი უთხარი. მიხა ბოჭორიშვილს კი ეურჩრე უეჭველად წასულიყო. კვრიაში ორჯერ ჩემთან მნახველები მოდიოდნენ, არ მახსოვს—ოთხშაბათი იყო თუ პარასკევი, ციხეში გადაცმული დალაქი მოვიდა, ამ დღეს ციხეში ბევრი მნახველები იყო. და მნახველები ჩვეულებრივად კამერებში შემოვიდნენ. დალაქი ჩემს კამერაში შევიყვანეთ, მიხას დალაქნა წვერ-ულვაში მოპარსა, ზედმეტი ტანისამოსი გაიხადა და მიხას ჩააცვა, პარიკი გაუკეთა; მე ამ ხნის განმავლობაში კარებზე ვიდექ, რომ არავის ზეშეხედნა. როცა მორთვა გათავდა, დამიძახეს: ავათვალ-ჩავათვალიერე და ვუთხარ: „წადი“, მიხა წავიდა, მას გაჰყვნენ მოსული მნახველები. საქმე მშვენივრად ჩატარდა. მიხას გაქცევით რომ არავინ დაესჯათ, მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვმართეთ შემდეგ ხერხს: მიხას ტანისამოსი, ფეხსაცმელები და ქუდი ფანჯრიდან დარაჯთა განყოფილებაში გადავყარეთ.

საღამოს შვიდ საათამდე საქმე კარგად იყო. შვიდ საათზე, როცა ტუსაღები დათვალეს და ერთი დააკლდათ, შეჰქმნეს ჩოჩქოლი, შეჰქმნეს განგაში. გაიმართა ჩხრეკა. ვანო სულხანოვმა პირდაპირ კამერიდან გადმომძახა: „კაცო, მიხა ბოჭორიშვილი რწყილი ხომ არ იყო, რომ ლოგინში დამალულიყო, რას მიედ-მოედებიანო“. გაჩხრიკეს დარაჯთა განყოფილებაც. მიხას ტანისამოსი ჯარისკაცთა ბინაზე აღმოჩნდა, აქ ციხის ადმინისტრაციამ სინდისი დაიმშვიდა, მიხას გაქცევა ჯარისკაცთ გადაბრალეს. (ესე იგი, ჯარისკაცებმა მიხას სამხედრო ტანისამოსი ჩააცვეს და ისე გაიყვანესო). ამნაირად, მიხას გაქცევა ციხიდან ძალიან საიდუმლოთ იქნა მოწყობილი. სულ ოთხმა თუ ხუთმა კაცმა იცოდა ეს საქმე.

ჯერ მიხა გაქცეული არ იყო, ჩემთან კამერაში შემოვიდა ქართველი აფიცერი, იმ დღის მორიგე, ციხის დარაჯთა უფროსი, მოსურვა ჩემი გაცნობა. მე ხელი გავუწოდე; მან გვარი მითხრა, მაგრამ აღარ მახსოვს. აფიცერმა მითხრა: 15 აპრილს დილით ბრძანება მივიღე: შენის ჯარით წადი ნოვოტროიცკის ქუჩაზე, როსტომაშვილის სახლს ალყა შეიოარტყიო. მე ბრძანება ავასრულე, ჩემ შემდეგ მოვიდნენ საპორები, ამათ შემდეგ პოლიციმესტერი და სხვანი. პროკურორმა მოსვლისთანავე ერთ კუნჭულში ჯოხით აჩვენა,—აქ მოთხარეთო. მოთხარეს და ამოიღეს სამი ბომბი, ამის შემდეგ განაგრძეს თხრა, გადათხარეს მთელი ეზო, სარდაფი და რომ ვეღარ იპოვნეს რა, ბრძანება გასცეს შინ წავსულიყავით. მე ამ დროს მათ დავსდევდი და თვალყურს ვადევნებდი თუ რას შვრებოდნენ. როცა ალყა შემოგხსენით და შინ წასვლას ვაპირებდით, ერთმა ყიზახის აფიცერმა გაზეთს ცეცხლი მოუკიდა და ჭაში ჩაადო, მოკიდებული გაზეთი ისე სწრაფად წავიდა ძირს, რომ ადმინისტრაციას რაღაც ეჭვი დაებადა. ამის შემდეგ ერთ ყაზახს თოკი მოაბეს და ჭაში ჩაუშვეს. რამდენიმე წუთის შემდეგ ყაზახმა მოხსენება გააკეთა. აქ უკვე გამოირკვა რაც იყო. ამის შემდეგ სარდაფში ღრმად მოთხარეს, ფიცრები ახადეს და ყველაფერი ამოზიდეს. აფიცერმა დაამოლავა ზემოხსენებული ამბავი და, სხვათა შორის, მითხრა: თქვენში არის პროკოკატორი, ამხანაგებს გადაეცი გაფრთხილდენ; ან გამცემს, რომელსაც გაუციხართ, მას სტამბის არსებობა არ სცოდნია, რადგან პროკურორმა ბომბებს ნიშნდობლივ დაადო ხელი და როცა შემოხვევით სტამბა იპოვეს, ამაზე სთქვა (это все ерунда). აქედან სჩანს, რომ მთავრობა სტამბას არ ეძებდა, არამედ—სხვა რაღაცას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღარ მახსოვს რომელ რიცხვებში, ციხეში კოლა სიხარულიძე მოიყვანეს. მან სტამბის ჩავარდნის მიზეზი მკითხა და როცა გურჯიევის სახელი გაიგონა, აი რა გადმომცა: „ხაშურში მაგ გურჯიევმა სამი ათასი მანეთი დაგვტყუა და გვითხრა ასაფეთქებელ ნივთიერებათა მომზადებას გასწავლითო, რამდენიოდე კვირა ვიმეცადინეთ, ბოლოს ვთხოვეთ მოეხდინა გამოცდა. გავედით მინდორში, მასწავლებელიც თან გავიყვანეთ. გადავაგდეთ ერთი,—არ გასქდა, მეორე, მესამე, მაგრამ ამაოდ. ამხანაგები გურჯიევზე მეტად გაწყრენ. ერთმა ამხანაგმა საცემადაც კი იწია, გურჯიევი ამის შემდეგ აღარ გვინახავს“.

მკირე ხნის შემდეგ ციხეში გავიცანი განჯელი სომხები (დაშნაცაკანები). ერთმა დაშნაკმა მითხრა: „მაგ წყეულმა გურჯიევმა 20 კაცს ამოგვაყოფინა ციხეში თავი“.

ჩემი წინადგრძნობა გამართლდა. თავის დროზე მიხას ყველაფერი უამბე. უთხარი ჩემი მოსაზრება, რომ გურჯიევი მთავრობის საგანგებო პროვოკატორიც იყო. რომ უფრო მეტი ყურადღება დაემსახურებინა და მასზე ეჭვი არ მიეტანათ, ასე მოიქცა: განგებ სახლს ჯაშუშები შემოაკრა და მერე ამხანაგებს უთხრა: თავს უშველეთ, დაგვეცნენო“. გურჯიევს სტამბა არ გაუცია, იმიტომ, რომ მისი არსებობა არ იცოდა. ბომბები გასცა, რადგანაც მას ეგონა სულხანოვის სახლში რომ ბომბები (360) ინახებოდა, ის ჩემთან იყო. მიხამ მითხრა: „გურჯიევი რომ მოვიწვეთ, ბომბები მის თვალწინ ამოვიღეთ, ვაჩვენეთ და მის თვალწინვე ჩავფალითო“. ჩემი მოსაზრება მიხა ბოჭორიშვილმა დაადასტურა: ნახევარ თვეს ტყუილად წყალი გვანყინა, არაფერი არ გვასწავლა.

რაც შეეხება თათუზოვის მოკვლას, ამაზე მიხამ გადმომცა შემდეგი: თათუზოვი ლოთობისთვის პარტიიდან გარიცხული იყო, ამხანაგებს მასზე ეჭვი შეეპარათ და მოჰკლეს“. ჩემს მკითხველზე—თათუზოვმა იცოდა თუ არა სტამბა სად იყო, მითხრა: თათუზოვმა იცოდა, რომ სტამბა გვქონდა, მაგრამ პარტიიდან რომ გარიცხეს დამუქრებოდა—ჯავრს ამოვიყრიო; ჩვენ რომ დაგვიჭირეს, ამხანაგებს მასზე ეჭვი შეეპარათ“.

გავიდა წელიწადი, დაიწყო მეორე. საქმეს ბოლო არ ეღებოდა. ფირალოვმა და სკაპინსკიმ საქმის გამოძიება ვერ შესძლეს. მოიწვიეს საგანგებო გამომძიებელი ლიხაჩოვი, ამან გამოქექა მამია ორახელაშვილი და ვანო იმნაძე. ესენი იმდენად იყვნენ დამნაშავენი, რამდენადაც სონა უთნელიძე. ორჯერ დანიშნული საქმე გადაიდო. მესამეზე—1907 წ. 21 დეკემბერს დაიწყო განხილვა.

ბრალს გვდებდენ სისხ. სამართ. მეორე ნაწილის 126 და 132

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლების ძალით. ბრალს გვდებდა პროკურორი ვასილიევი. მან რუსეთის სოციალური მოძრაობა მოლად მე მომახვია თავზე და მკაცრი სასჯელის მისჯას მოითხოვდა, საქმის გარჩევა გაგრძელდა ოთხ დღეს, 24 დეკემბერს გამოიტანეს განაჩენი: მე ოთხი წელიწადი კატორღა, ხოლო სხვადასხვა მიზეზების გამო კატორღა შეცვლილ იქნა გადასახლებაზე, მამია ორახელაშვილი გაამართლეს, სონა უთნელიძე და კოტე ანდრონიკაშვილს—გადასახლება, იმნაძეს—წელიწად-ნახევარი ციხე.

ასე დამთავრდა ეს სამარცხვინო „სუდი“. შეიძლება ვინმემ იკითხოს: „რად იყო სამარცხვინო“. იმიტომ იყო, რომ ჩემთან ერთად ოთხი სრულიად უდანაშაულო პირი იჯდა საბრალმდებლო სკამზე და რომანოვის მთავრობამ იმდენად დაჰკარგა ჭკუა, რომ მტყუანს და მართალს ვეღარ არჩევდა... *).

დ. მ. როსტომაშვილი.

---

*) რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ. როგორც ავლაბრის, ისე სხვა სტამბების ამბავს ჩვენ ვეცდებით შემდეგშიაც დაეუბრუნდეთ.

ჩვენ აზრათ გვაქვს მოვათავსოთ რამდენიმე, პირდაპირ ამ სტამბების მოწყობაში მონიწილე, ამხანაგის წერილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლოვის ცენტრალური საპატრიოტ ციხე.

უეჭველია, ბევრ ყოფილ კატორღელს, ამ ციხეში მობინადრეს, თმა ყალყზე დაუდგება და ტანში გააყრჟოლებს ამ ციხის გაგონებაზე. ვინ იცის რამდენ საუკეთესო მებრძოლ რევოლიუციონერს დაუნთხევია თავისი სისხლი ამ ციხის კედლებზე, რამდენს თავისი ხელით მოუსპია სიცოცხლე ამ ციხეში აუტანელი რეჟიმის წყალობით და რამდენი სულით დაავადებული საგიჟეში გაუსტუმრებიათ.

ძნელია კალმით ყოველივე ამის აწერა, რაც აქ ხდებოდა. ყველაფერი ეს გასაგებია იმათთვის, ვინც თავის ზურგზე გადატანა და თავისი თვალით ნახა ყველა ის სიმხეცე, რასაც აქ სჩადიოდენ.

ოლოვის ციხე ერთად-ერთი ყველაზე უსაშინელესი ციხე იყო თავისი რეჟიმით მთელი ძველი რუსეთის იმპერიაში. ამ ციხეში ყველა ციხეებიდან მოჰყავდათ „ურჩნი“ და „გაუსწორებელნი“ გასასწორებლად და დასამარცხებლად. რამდენიმედ მიზანსაც აღწევდენ. იმათ, ვინც გაუტეხელი იყო, მიწასთან ასწორებდენ და სამუდამოდ აშორებდენ წუთი-სოფელს, ზოგს ამახინჯებდენ, ზოგიც, მეორე ნაწილი, ვარდებოდა მათ ბრკყალებში და რასაც უკარნახებდენ, იმას აკეთებინებდენ.

1911 წლის აგვისტოს პირველი რიცხვები იქნებოდა, როცა ამ ციხეში მიგვიყვანეს ოცამდე ტუსაღი, მათ შორის ხუთი პოლიტიკური ტუსაღი: ძმები ჯიოშვილები, სანდრო კეცხოველი, მე და ერთი ოსი, სანდრო ფუხაშვილი, (გვარი კარგად არ მახსოვს).

მისვლისთანავე ვიგრძენით ციხის სუსხი. სანამ ციხეში მისაღები ჩვეულებრივი ცერემონია დაიწყებოდა, უფროსი ზედამხედველი გვიხსნის, თუ როგორ უნდა ვუპასუხოთ ციხის უფროსს ან მის თანაშემწეს და გვიბრძანა ყოველ კითხვა-პასუხზე გვეთქვა; „так точно; никак нет“. ჩვენც „თავისუფალ“ (მეტეხი) ციხეში ნამყოფთ ეს პირველად გვიინელდებოდა, რისთვისაც დედის გინებით გაგვამეორებიებდენ. ბევრი გინებისა და როზგის დარტყმის (მე და სანდრო კეცხოველს აღგვითქვეს ასიანი) შეპირებისა წაგვიყვანეს ერთი შენობისაკენ. ჩვენ გვეგონა, რომ დაპირებას ანაღდებენო და შიშის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერუანტელმა დაგვირბინა ტანში. მიგვიყვანეს შენობის წინ, გაგვატიტვლეს მთლად და დაგვიწყეს ჩხრეკა. არ დაუტოვებიათ გაუჩხრეკავი არაფერი. ბორკილების გაშინჯვის შემდეგ შეგვრეკეს ამ შენობაში ტიტვლები, სადაც აბანო აღმოჩნდა. 5 წუთის ბანაობის შემდეგ გვერეკებიან გარეთ და ჩუმის ფეხის ნაბიჯით, რომ ჩვენი მისვლა სხვა ტუსაღებს არ გაეგოთ, წაგვიყვანეს საიდუმლოებისაკენ. აი ეს საიდუმლოები იყო ნამდვილი სასაკლაო, სადაც „ურჩნი“ ან სწორდებოდენ, ანდა სიცოცხლეს ეთხოვებოდენ. აქ ხდებოდა ყოველივე ძალადობა, ამისათვის საგანგებოდ არჩეული ზედამხედველების მიერ. ეს საიდუმლოები ნამდვილ სამარეს წარმოადგენდენ. აქ არ შეგეძლო გაგეგო, თუ ვინ იჯდა შენს გვერდით ან რა ხდებოდა მის თავზე. ხანდახან თუ შემოგესმოდა ტუსაღის ყვირილი, რომელსაც სცემდენ. მე და სანდრო კეცხოველი მოგვათავსეს ერთ პატარა საიდუმლოში, რომლის სიგძე ხუთი ფეხის ნაბიჯი იყო და სიგანე—სამი. ფანჯარა ჭერთან იყო ამოჭრილი. ფეხის ადგილიც შიგვე იყო მოწყობილი.

იმ ღამეს ბრინჯის წვენით გაგვიმასპინძლდენ და ჩვეულებრივი ზარის დარეკის შემდეგ შეუდექით დასაწოლად მზადებას. აქ ორჯერ ირეკებოდა ზარი. პირველი იყო ლოცვის დასაწყისი; თავს იყრიდენ ტუსაღები და ჩამწკრივებულნი გალობდენ: „Отче наш“-ს. ერთი საათის შემდეგ მეორეჯერ შემოჭკრავდენ ზარს, რომ დავწოლილიყავით, ხოლო თვითონ ზედამხედველები ძაღლებივით დარბოდენ და ხან ერთ კარს მიაშურებდენ, ხან მეორეს: ხომ არავინ დარჩენილა ფეხზე, დაუწოლელი და ვაი მისი ბრალი, თუ ვინმეს არ მოესწრო დაწოლა, გაიყვანდენ და ცემით გაასვენებდენ.

დილით შემოწმების შემდეგ იღება ჩვენი საიდუმლოს კარები, შემოდის განყოფილების უფროსი ზედამხედველი გვარად პიეჩიკი და გვარიგებს, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ ოთახში. დღისით ძილი შეუძლებელია, ყოველთვის თვალი ჭუჭრუტანისაკენ უნდა გეჭიროს და როცა მას ავხდით, თქვენ აი, ამ ადგილს, ფეხზე უნდა იდგეთ გამოჭიმულიო, გვიბრძანა მან და გადმოგვცა ჩვრები იატაკისა და ჭურჭლების გასასუფთავებლად. ჩვენც გავინაწილეთ შრომა. სანდრომ აიღო იატაკის წმენდა (შავად იყო შეღებული), მე სპილენძის ჭურჭლების და კედლების, რომ იატაკი არ გაჭუჭყიანებულიყო, ოთახში აღარ დავდიოდით და ერთავად თვალები კარებისაკენ გვქონდა მიპყრობილი. ცოტა ხნის შემდეგ შემოდის იგივე ზედამხედველი, მასთან ერთად ეგრეთ წოდებული „სუკები“ (ასე ეძახდენ ჯაშუშ-ტუსაღებს), კარებთან კი რევოლვერ მომიზნებული უმცროსი ზედამხედველი იდგა. ეს, ცოტა არ იყოს, არ გვეჭაშნიკა და გულში გაგვიელვა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ საომრად არიან მოსულნი და იწყება „გასწორების“ დღე-თქო. ჩვენ უკვე წინდაწინ ვიცოდით, რომ მეტეხის ციხიდან ცუდი ყოფაქცევა გვქონდა გამოტანებული და „გასასწორებლად“ ვიყავით გამოგზავნილი ამ ციხეში.

დათვალიერების შემდეგ მოგვიბრუნდა, ერთი შემოგვაგინა და ორ-ორი სილაც გვითავაზა ჯარისკაცებივით გაჭიმულთ, ბორკილებში ჩაჭედილთ.

აი ამ დღიდან იწყება ჩვენი წამების ისტორია. ორი თვის განმავლობაში დღე-გამოშვებით გვცემდენ. ადამიანი ყველაფერს ეჩვევა და ჩვენც თანდათანობით ურიგდებით ამ მდგომარეობას და ბოლოს ისე ვეჩვევით, თითქოს ეს ასეც უნდა ყოფილიყო.

ბოლოს მიგვანებეს თავი. ამასაც, რასაკვირველია, თავისი მიზეზები ჰქონდა. ჩვენ, როგორც კავკასიელებს, ისინი ველურებად გვთვლიდენ და ამიტომაც იყო, რომ ყოველ ფეხის გადადგმაზე „турки“-ს გვეძახდენ.

პირველი თვის განმავლობაში არ გვაძლევდენ არც სეირნობის, არც წერილის წერის, არც კითხვის და არც რაიმე სურსათის გამოწერის უფლებას. ჩვენი საზრდო იყო მხოლოდ ის, რასაც ისინი ძაღლივით წამოგვიგდებდენ. თვე-ნახევრის შემდეგ გადმოგვცეს, სანდროს ძმის, ვანო კეცხოველის მიერ მოწერილი წერილი და გვიბრძანეს, თუ გვინდა შეგვიძლია წერილის მიწერა ნათესავებთან. ჩვენ სურვილი განვაცხადეთ წერილის მიწერის. მაშინ მან გვიბრძანა, რომ ვინაიდან ჩვენ გაუნათლებელი ხალხის შვილები ვართ, ამიტომ წერილი დაგვიწერინებინა ვინმე რომანოვისთვის (ეს რომანოვი გენერალ რომანოვის შვილი იყო, რომელმაც მოჰკლა თავისი მამა). ის აქ სარგებლობდა დიდი პატივისცემით როგორც მეფის მეგვარე, დიდი შეძლების პატრონი და, მასთან, ყოფილი ოფიცერი. ჩვენ ვსთხოვეთ, რომ მიეცა ნება ჩვენი წერილი ჩვენვე დაგვიწერა. ბევრი ყოყმანის შემდეგ ნება დაგვრთო; გაგვიყვანეს დერეფანში. როცა წერა გავათავეთ, წერილი გამოგვართვა თვით განყოფილების უფროსმა და დაიწყო მათი კითხვა. სანდროს ნაწერი, ცოტა არ იყოს, მისთვის გაუგებარი დარჩა და უკმაყოფილება გამოუცხადა. მაშინ სანდრომ მიმართა მას, გამოართვა წერილი და დაიწყო კითხვა.

სანდრო მეტად ფაქიზი და მგრძნობიარე ადამიანი იყო და მან ეს წერილიც ისეთივე გრძნობით და ენტუზიაზმით წაიკითხა, რომ ზედამხედველი გააშტერა და ჩვენზე შეხედულება გამოაცვლევინა. წერილები, რასაკვირველია, ადმინისტრაციის მიერ არ გაიგზავნა დანიშნულებისამებრ, რადგან ნებას იძლეოდენ მხოლოდ იმის წერისას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ „კარგად ვარ“-ო, არც მოკითხვა, არც სხვა რამ. ჩვენ მოვიგეთ-ის, რომ ათი წუთის შემდეგ მივიღეთ წიგნები, მიანებეს თავი ცემას, ნება დაგვრთეს სეირნობის, რომელიც დღეში ხდებოდა ერთხელ და ისიც 5 წუთით.

სრული ორი თვის შემდეგ გადაგვიყვანეს საერთო კამერაში. მაგრამ მე და სანდრო დაგვაშორეს ერთმანეთს. სანდრო გადაიყვანეს ინვალიდთა საკანში, ხოლო მე მომათავსეს ეგრეთწოდებულ სადისციპლინო საკანში, საიდანაც ტუსაღები გაჰყავდათ მძიმე სამუშაოზე და სასტიკი დისციპლინა იყო გამეფებული.

ამ საკანში 35 კაცი იყო. აქ ყველა ჯურის ტუსაღს შეხვდებოდით. ყველა თავისთვის იყო. ერთმანეთს არც კი ელაპარაკებოდნენ, რადგან ეშინოდათ; ვაი თუ რაიმე ცუდი წამოგვცდეს, ეს მივიდეს ადმინისტრაციის ყურამდეო. აქ ისხდა რამდენიმე ლატიში — პოლიტიკური ტუსაღი. ესენი ერთ კომუნას წარმოადგენდნენ. მათში იყვნენ ისეთი ძველი ტუსაღები, რომელთაც ზოგს ცხვირი დაეკარგა აქ ტუსაღობის დროს, ზოგს ხელი და ზოგსაც კბილები და ყბები. ამ საკანში ჩემი ნაცნობი არავინ აღმოჩნდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ერთმანეთს დავუახლოვდით და ჩუმად, ყრუდ დაუწყეთ ერთმანეთს ჩვენი წამების ამბების მოთხრობა.

უამბე, თუ როგორ გვირტყამდენ და გვაწამებდენ ორი თვის განმავლობაში საიდუმლოებში.—ჰე, ამხანაგო, ეხლა სამოთხეა აქ. ორი თვის წინად რომ აქ მოხვედრილიყავით, იქნებ დღეს თქვენი ძვლებიც კი არ ყოფილიყოო. ორი თვის წინად აქ სხვა ადმინისტრაცია იყო — განაგრძო მან. — ისეთი რეჟიმი იყო, რომ ძნელად თუ ვინმე აიტანდაო. როცა სამუშაოდ წაგვიყვანდენ ან საკანის გაჩხრეკას მოინდომებდენ, გამოგიყვანდენ გარეთ, ცივს დერეფანში, ერთი მხრით ჩვენ ჩაგვამწკრივებდენ, ხოლო ჩვენს პირდაპირ ზედამხედველებს. გაგვატიტვლებდენ, დაგვიწყებდენ ჩხრეკას და თუ ვინმეს იოტის ოდენა მიზეზს უშოვნიდენ გასძახებდენ ზედამხედველების რაზმს „принимайте“-ო და ისინიც რკინის ჩაქუჩებით შეიარაღებულნი დაგვიწყებდენ ცემას მანამ, სანამ რომელიმე სხეულის ნაწილს არ დააზიანებდენ ან პირიდან სისხლი არ ამოუვიდოდა, რომლის შემდეგ კარცერში წაგვიყვანდენ, ხოლო აქ ვადის გათავების შემდეგ საავადმყოფოში, საიდანაც გზა სასაფლაოზე მიდიოდა. ცემის მიზეზს ყოველთვის შოულობდენ. მიზეზი ხან ისეთი უბრალო იყო, რომ კაცს სიცილს მოგვრიდა. მაგალითად, როცა ბუშლატზე ან პერახგზე ღილია ამოჭრილი და ფოლაქი კი არა, ამისთვის გვცემდენ, მეორეჯერ იმის შიშით, რომ კიდევ არ ეცემათ, ყველა ღილს თავის ფო-

ლაქს მივაკერებდით, მაგრამ მაინც გვცემდენ და გვეუბნებოდენ: როგორც გატყობთ, გამდიდრებულხართო. აი ასეთი მიზეზით გვცემდენ და გვაწამებდენ. აი, ხომ ხედავ ცალი ხელი მოტეხილი მაქვს და ექვსი კბილი ამომტვრეული. ყველა ეს ცემის შედეგია. ვინ მოსთვლის რამდენი საუკეთესო ამხანაგი გაგზავნეს საიქიოს ასეთი ტანჯვა-წამებით (აქ მან სხვა მრავალთა შორის დაასახელა დავით ჭიაბრიშვილი, რომელიც მოსკოვის ციხიდან აქ გადმოეყვანათ „გასსწორებლად“ და 15 დღის წინ ჩვენ მიყვანამდე გარდაცვლილიყო ამ ციხის საავადმყოფოში). მაგრამ ყველაფერს თავისი ბოლო აქვს და ეს ბოლოც არ დააგვიანეს აქ მოყვანილმა შავი ზღვის ფლოტის მატროსებმაო. იმათაც დაუწყეს ცემა-წამება, მათ ეს ვერ აიტანეს, მოილაპარაკეს და როცა სამუშაოდ ციხის ეზოში გაყავდათ, ეცნენ ზედამხედველებს, აიკალეს რევოლვერები და დაიწყო ნამდილი ომი. ამ ომში დაიხოცა ყველა მატროსები, ხოლო ადმინისტრაციის მხრივ კი მოკლულ იქნა რამდენიმე ზედამხედველი, რამდენიმეც დაიჭრა. ამან საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ხმა ამოიღო სახელმწიფო სათათბირომაც, რომლის წყალობით დანიშნულ იქნა გამოძიება, რის შედეგიც იყო მთელი ადმინისტრაციის გადაყენება და ახლის დანიშვნაო. აი ამ ახალი ადმინისტრაციის წყალობით ცოტათი ამოვისუნთქეთო, დაამთავრა თავისი ამბავი ამხანაგმა.

ადვილი წარმოსადგენია, ეს ჩვენი დროინდელი ტანჯვა-წამება ძველი ტუსაღისთვის თუ ამოსუნთქვა იყო, რა იქნებოდა ძველი ადმინისტრაციის დროს.

ამ ციხეში იყო სხვადასხვა სახელოსნოები, მაგრამ შიგ ძნელი იყო მოხვედრა. აქ უფრო „თავისუფლება“ იყო. აქვე, ეზოში ღიად დადგმული იყო 12 ხელით სატრიალებელი პაკლის დასაკეკი მანქანა. აქ მუშაობა ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო. ერთის მხრით 35 გრადუსი სიცივე, მეორეს მხრით მტვერის ბუქი, რომლის გამო ერთ არშინზე ვერაფერს გაარჩევდი. ასეთ პირობებს ვერ იტანდენ კავკასიელები და მეტადრე მთიელნი, რის მსხვერპლიც გახდა ერთი ჩვენთან მოყვანილი ამხანაგი ფუხაშვილი (გვარი კარგად არ მახსოვს) ეროვნებით ოსი, გორის მაზრიდან.

სრული ოთხი თვის შემდეგ „გასწორებული“ გადამგზავნეს მოსკოვში—ბუტირკის ციხეში.

მანასე გოგუაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგვიანებული მოგონება.

გამხდარმა, ფერმკრთალმა, მოგრძო და თხელი სახის მქონემ, მოქერო სახისამ, ბეჭებში წახრილმა, პატარა ტანისამ,—საერთოდ სუსტმა არსებამ შუქურ ვარსკვლავივით გაიქროლა ჩვენი ცხოვრების არეზე და იქ თავისი სხივი საკმაოდ მიმოაფინა, რომელიც თავის შრომით გვაგებინებს თავის თავს და ჩვენც ვლამობთ მის დახასიათებას და დაფასებას; მაგრამ მისივე დამახასიათებელია მისივე ქმნილება: „გოგია უიშვილი,—სიმონა—ქრისტინე—პალიასტომის ტბა“ და სხ., რამაც მოუპოვა ჩვენს ეგნატეს ისტორიული გვირგვინი, მხოლოდ საჭიროა შიგ ჩახედვა და მისი ტიპების იმ დროსთან შედარებით შესწავლა. „იმ დროსთანო“ ვამბობ იმისათვის, რომ მუშათა კლასის შორეულ მოძრაობის ტალღებმა მაშინ ჩვენამდეც მოაღწია, რომლებიც მაგრად ეხეთქებოდენ იმპერიალისტურ კლდეებს და ლამობდენ მათ დამსხვრევას. ქარიშხალის წარმოდგომადის იყო წინა მყუდრო დრო, დამდგარი და გარინდებული, ხოლო იქა-აქ რაღაც სუსტი, აუწყობელი, უგეზო და უგეგმო სტიქიური გაშმაგების ხმა ისმოდა. ეს ხმა ხანდისხან გაუსხლტებოდა იმპერიის საქაჩავებს და მხნედ გადასძახებდა მისივე ბედში მყოფთ. ძველი ქალბატონი ორსული აღოჩნდა ახალი გმირით. იბადებოდა ახალი დრო. ირღვევოდა ძველი ბეჭე და ყველა მას ხმას აყოლებდა გოგია უიშვილის გულის და სულის სიმები. ეს იყო მაშინ, როცა ჩვენმა ეგნატე ნინოშვილმა მოუსწრო იმას, რათა მსწრაფლ-დაუყოვნებლივ, დღეს და არა ხვალ, ქაღალდზე გადაეღო ის, რასაც გრძნობდენ და ფიქრობდენ მისი გოგიები, სიმონები, ქრისტინები და სხვა. მათ სწორ ნაგრძნობს სწორად გამოთქმა უნდოდა. საჭირო იყო სწორი სურათის დახატვა და ჩვენი მხატვარიც არ ზოგავს სანთლის ცვილსავით მდნობ თავის მასალას იმისათვის, რომ მკითხველს დაანახოს იმ დროის სულისკვეთება—„უიშვილები“ და მათი მისწრაფება. ეს მან სავსებით მოგვცა და მაღლა ასწია ცხოვრებაზე გადაბურული შავი ფარდა, საიდანაც დავინახეთ ტანჯვათა მორიგი და სტიქიური ბრძოლა, რაც თავს უყრიდა მაშინ ჩვენი დროის ამომავალ მისწრაფებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიათურაზე გარეშემორტყმულ თემებში შავი ქვის მრეწველობა გაიზარდა, საიდანაც ურმებით და საპალნის ცხენებით გადმოჰქონდათ ზესტაფონამდე. ზესტაფონიდან ვაგონებით გზავნიდენ ფოთსა და ბაიუმში საზღვარ-გარეთისათვის. ამით ზესტაფონი შეიქნა ძლიერი სამრეწველო პუნქტი. ამ მრეწველობამ მიიზიდა როგორც ევროპიელები, ისე ადგილობრივი კაპიტალისტებიც. გაიხსნა ბევრი კანტორა. საჭირო შეიქნა ინტელიგენტური მომუშავეები, ამან მიიზიდა სხვადასხვა წრის ინტელიგენცია და მათ შორის მოყვა ეგნატე ნინოშვილიც 1889 წლიდან.

ის მუშაობდა შავი ქვის ერთი კარგი მრეწველის კანტორაში, რომელთანაც მეც მქონდა საქმე და ამისათვის ხშირად მიხდებოდა მასთან მისვლა.

პირველი შეხვედრისთანავე (თუმცაღა საქმის ნიადაგზე) მე და ეგნატემ კარგათ გავიცანით ერთმანეთი და მას შემდეგ ხშირად მოდიოდა ჩემთან. მაგრამ უფრო იმისთვის, რომ მე მაშინ ვიყავი ქართული მწერლობის გატაცებული მკითხველი, რასაც იძლეოდა ქართული გამომცემლოთა ამხანაგობა. ამან და ჩემს ოთახში დაკიდებულმა ჩვენი მწერლების სურათებმა დაინტერესა ეგნატე და უფრო დამიმეგობრდა. მე მაშინ ხშირად ვმუშაობდი სხვადასხვა ამხანაგობების შედგენაზე.

მოკლეთ: მრეწველობის გაჩაღებამ ზესტაფონში, კანტორების გამრავლებამ, ინტელიგენციის სამრეწველო საქმეში ჩაბმამ, საქმიანმა დამოკიდებულებამ, საფილოქსერო გუნდმა, მოგვცეს მაშინდელ ინტელიგენციის ზესტაფონელ დიდ რიცხვიდან (ჭიჭინაძე, სახოკია, გოგიჩაიშვილი, დარჩიები, ჯაბადარი მგელაძე, ხუსკივაძე, უმიკაშვალი, სტაროსელსკები, კალინინი, ტიმოფეევი და სხვა) მხოლოდ ექვსიოდე ახალგაზრდა: ეგნატე, კარლო, ნოე, მე, სილობისტრო და დიმიტრი.

ვამბობ მოლიბერალო ინტელეგენციის შედარებით დიდ რიცხვიდან მხოლოდ ეს პატარა ჯგუფი გამოირჩა მეოთხმოცდაათე წლებში, სხვები სხვა მიმართულებისანი იყვენ—გვეწინააღმდეგებოდენ. ჩვენმა წრემ მიზნათ დაისახა უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა, ხოლო ბრძოლის წესი და ფილოსოფიური იდეალი უნდა მიეღო მარქსიზმიდან, რასაც ჯერ კიდევ გარკვევით თვითონაც არ იცნობდა, მაგრამ გადაჭრით მისი შესწავლა სურდა, მარქსიზმი თავიდანვე შეიქმნა ამ ჯგუფის შკოლა, მის ამოსაღებზე დაიწყო სწავლა. ამაში ეგნატე მაინცდამაინც არ იყო ღონიერი-მომზადებული პიროვნება, როგორც საზოგადოთ ფიქრობენ. მას ამაში ბევრათ სჯობდა ნოე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნების კითხვის მოყვარული კარლოც. მისი ძალა მოიპოვებრივა მის გატაცებაში—მისწრაფებაში, და იმ დაგუბებულ ხიზლში, რომელიც გულში დაუგროვდა მაშინდელი წესწყობილების წინააღმდეგ. ეს მან საკმაოთ ათქმევია თავის გმირებს თავის მოთხრობებში. ის იყო უკომპრომისო კაცი, გულგრილათ ვერ იტანდა მუშა-კაცის ბედშავ მდგომარეობას და საქმის და იდეის შეთანხმების ძიებამ მიიყვანეს ის იქნამდის, რომ სამრეწველო კანტორაში მუშაობას თავი გაანება 1892/3 წელში და გადასწყვიტა მხოლოდ ლიტერატურულ ასპარეზზე მუშაობა.

პირველ თვეში ჩემთან ცხოვრობდა, შემდეგ მოინდომა მუშაობისათვის უფრო მყუდრო ბინის მოძებნა, ამ გვარი ოთახი ამოვაჩინეთ ჩემს მახლობლათ მიხა საყვარელიძის სახლში. ამ ბინაზე დაწერა მან „ქრისტინე“; როცა დათავა წაგვიკითხა, მოვიწონეთ, იამა და მორცხვათ თავი ჩაღუნა, შეწითლდა და სახეზე სიამოვნების ღიმი გადაეფარა. რასაკვირველია, მას ოდნავადაც არ შეეძლო წარმოედგინა თავის ხანმოკლე სიცოცხლის დროს შექმნილი შრომის ასეთი დაფასება, როგორსაც დღეს ჩვენ მას ვაკუთვნებთ.

რამდენიმე ხნის შემდეგ ის თბილისში გადასახლდა. მალე მიგვიწვია კონფერენციაზე. ზესტაფონიდან მე და კარლო ჩხეიძე წავედით. მას მუშაობა- თბილისში დიდხანს არ დასცალდა. მისმა სენმა თან და თან დაიმორჩილა მისი აგებულება. ექიმებმა ურჩიეს ისევ სოფელში წასვლა და ავადმყოფობით იძულებული ისიც მიდის სოფელ ჩოჩხათში, რომელსაც ფარვანასაკენ თავს დასტრიალებდა და უკლიდა სილიბისტრო ჯიბლაძე, რომლის მკლავზედაც დალია მან სული 29 აპრილს 1894 წ. მის დასაფლავებაზე მე ვიყავი ქუთაისიდან წარმომადგენელი და მიუძღვენ გაცივებულ მეგობარს ლექსი.

ეგნატე იყო ამხანაგებში მხიარული, ოხუნჯი და საინო პიროვნება. უყვარდა კამათის გამოწვევა, მაგრამ თვითონ ბევრს არ ლაპარაკობდა, ის უფრო გრძნობებს და ნერვებს ალაპარაკებდა. ეს ერთი მხრით მისი აგებულობის სისუსტეს უნდა დავაბრალოთ და მეორედ იმას, რომ თითონაც არ ცნობდა თავის თავს რთულ კითხვებისათვის მომზადებულათ. ეს თითქოს, კიდეც დაარჩნდა მის ყოველ შრომას. მხოლოდ იმავე დროს მის შრომაშივე აღიბეჭდა სრული ბუნებრივობა მის მოთხრობებში გაფანტული გმირების ხატვის დროს. ზედმეტი არაფერი აქვს ნათქვამი, ის კი არა და, მკითხველი იგრძნობს ხშირად, რომ აქ ან იქ რაღაცა აკლიაო. სამაგიეროთ მისი სულიერი ძალა გამოიხატა იმ მისწრაფებაში, რომელიც მასში დაბადეს სოციალისტური მოძრაობის გმირების თავგადასავალმა. აქ ის თავდავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყებამდის მიდიოდა და ადიდებდა ჟელიაბოვს, პეროვსკაიას, კიბალჩიჩს, ჩერნიშევსკის და სხვათა სახელს. ამ დროს მისი თაფლისფერი თვალები ელავდნენ გატაცებით და რომ მას წილათ ხვდომოდა რომელიმე „სანოვნიკის“ მოკვლა, მიუხედავათ თავის სუსტი აგებულობისა, ის მაინც გასწევდა მიზნისაკენ, ამით ის იზიარებდა ანარქისტულ ტერორისტულ აქტებს და ძლიერაც უყვარდა მათი გმირობის ხშირი მოგონება.

ამას გარდა მის დიდ თვისებას შეადგენდა თავის უბრალო მოქცევით, გულუზადო მეგობრობით, ამხანაგური თანაგრძნობით თავისაკენ მიეზიდე. ამით ის ხდებოდა სხვადასხვა ამხანაგების შემაკავშირებელ ცემენტად. მხოლოდ ამ გეზით მას არ შეეძლო ხანგრძლივი მუშაობა. თუ რამე ცოტაოდენს შენიშნავდა, გაბრილს, უხამს, ორპოფულს ან უმიზნოს, ის მას სასაცილოთ აიგდებდა და თანაც მალე შორდებოდა. მხოლოდ გარეგნული უბრალო თავაზიანობით თუ შეხვდებოდა ამისთანებს, თავის ენას და გულს მათ წინაშე სრულიად ხურავდა.

ყოველ პიროვნებას აქვს თავისი განსაზღვრული თვისებები, — ადამიანები ისე, როგორც სახით, მოყვანილობით, ხმით და ამგვარებით განსხვავდებიან ერთი მეორისაგან, კიდევ უფრო განსხვავდებიან ერთი-მეორისაგან თავისი პირადული თვისებებით და რამდენათაც ჩვენ უფრო მეტად უკვირდებით ამას, იმდენათ უფრო მეტ სხვადასხვაობას დავინახავთ პირადულ ხაზებს, პიროვნების დამახასიათებელ წვრილ კანონებს, საიდანაც იკერება და სდგება ინდივიდუმი. წვრილ-წვრილი ხაზები, რომლებიც მკაფიოთ ახასიათებდენ ეგნატეს და ქმნიდენ მის გმირულ სულს მას მოეპოვებოდა ბევრი, ამიტომ ვინც არ იცნობდა პირადათ გამხდარ, ჭლექიან ეგნატეს ზესტაფონში, სრულიად არ იცნობდა მას.

ი. კაკაბაძე.

ივნისი 2—1923 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგონება ამხ. კრასინზე.

სანამ ლ. ბ. კრასინს გავიცნობდი, მის შესახებ ბევრი მქონდა გაგონილი ლადო კეცხოველისაგან.

ლადო კეცხოველის ნაამბობი ეხებოდა 1900—1902 წლების პერიოდს, როცა ბაქოში მოეწყო **პირველი** სტამბა. ამ სტამბაში იბეჭდებოდა პირველი არალეგალური ქართული ს. დ. ორგანო „ბრძოლა“ და სხვა იმდროინდელი არალეგალური გამოცემები.

ამ სტამბაში მუშაობდა თითონ ამხ. კეცხოველი, ამიტომ მან კარგათ იცოდა იმ როლის შესახებ, რომელიც ამხ. კრასინმა შეასრულა ამ პირველი მსხვილ არალეგალურ პარტიულ საქმეში.

ამხ. კეცხოველისაგან ვიცოდი როგორი მხურვალე მონაწილეობა მიიღო ამხ. კრასინმა ამ საქმეში და როგორი ორგანიზატორული ნიჭი გამოიჩინა.

მაგრამ ზოგიერთი კონსპირატიული მოსაზრებებით ეს პირველი საიდუმლო სტამბა გაუქმებულ იქნა. უსტამბოთ დარჩენა შეუძლებელი იყო, ამიტომ ზოგიერთ ამხანაგებს დაებადა აზრი ახალი სტამბის მოწყობისა.

ამ ხანებში (1903 წლის დასაწყისში) მე გამიწვიეს ბათუმიდან, სადაც საიდუმლო სტამბაში ვმუშაობდი, ბაქოში. იქ უნდა მემუშავნა საიდუმლოთ სტამბაში. ეს იყო უფრო დიდი ახალი სტამბა და უფრო საიმედო კონსპირაციის მხრით. ამ სტამბაში იმ დროს ჩვენ ვბეჭდავდით ჩვენი პარტიის ცენტრალურ ორგანო „ისკრას“ და რ. ს. დ. მ. პ. სხვა გამოცემებს.

ეს სტამბა ამხ. სიმონ და აბელ ენუქიძეებთან ერთად მოეწყო ლ. ბ. კრასინის ენერგიული დახმარებით.

აი, ამ დროს გავეცანი მე ამხ. კრასინს.

ჩემი პირადი შთაბეჭდილებანი, რაც მიღებული მქონდა ამხ. კეცხოველისაგან, სრულიად გამართლდა. ძნელი არ იყო იმაში დარწმუნება, რომ ამხ. კრასინი უბრალო კონსპირატორი არ ყოფილა. ამის საუკეთესო საბუთს იძლეოდა სტამბის საქმეთა მის მიერ ხელმძღვანელობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მე ამხ. კრასინს გავეცანი სხვა მხრითაც. არავის ისე სწრაფად და მოხერხებულათ არ შეეძლო რთული საორგანიზაციო საკითხების გადაჭრა, როგორც ეს შეეძლო ამხ. კრასინს.

ახლა ძნელია ჩემთვის იმის აღდგენა, თუ როდის და რა პირობებში წავიდა ამხ. კრასინი ბაქოდან. მისი ოფიციალური მდგომარეობის შესახებ ვიცოდი, რომ ის ბაქოში იყო ერთ-ერთი მსხვილი ელექტრონის სადგურის დირექტორი.

მე იმიტომ არ მაგონდება ბაქოდან ამხ. კრასინის წასვლა, რომ ჩქარა მე გამიწვიეს თბილისში რ. ს. დ. მ. პ. კავკასიის კავშირის სტამბაში სამუშაოდ.

1905 წლის ოქტომბერში ნიკოლოზმა „გაგვაბედნიერა“ თავისი მანიფესტით.

ამის შემდეგ ცოტა ხანს ჩვენი გამოცემები ლეგალურად იბეჭდებოდა. საიდუმლო სტამბების საჭიროება თითქმის აღარ იყო, მაგრამ ჩვენი პარტიის ც. კ. რამდენიმე ამხანაგთან ერთად მე გამიწვია პეტერბურგში. აქ მე ხელ-ახლა ვხვდები ამხ. კრასინს—დიდ ლეგალურ სტამბაში—„დელო“—ში. ამ სტამბაში იბეჭდებოდა ყველა ჩვენი გამოცემები და გაზეთები, რომელთა სახელები, უნდა ითქვას, თითქმის ყოველ დღე იცვლებოდა.

სტამბა „დელო“ იყო პარტიული საწარმო. მისი მომწყობი და ხელმძღვანელი იყო ამხ. ლ. ბ. კრასინი.

დიდხანს არ გაგრძელებულა ეს „თავისუფალი“ დღეები. პირველი სახელმწიფო სათათბიროს გარეკა ის სიგნალი იყო, რასაც ასე მოუთმენლად ელოდა რეაქცია. ასეთი რეპრესიების დროს ფიქრიც არ შეიძლებოდა იმაზე, რომ შესაძლებელი იქნებოდა ისეთი „ლეგალური პირობებით“ სარგებლობა, როგორიც იყო ოფიციალურად არსებული სტამბა.

ისევ მოგვიხდა საიდუმლოთ მუშაობა, ისევ დადგა საკითხი საიდუმლო სტამბის მოწყობის შესახებ. გადაწყდა სტამბის მოწყობა ქ. ვიბორგში (ფინლიანდია). აქაც ამ საქმის სულის ჩამდგმელი და მისი მომწყობი იყო იგივე ამხ. ლ. ბ. კრასინი. ამ სტამბაში იბეჭდებოდა ბალშევიკების ც. ორგანო „პროლეტარი“ და „ეპერიოდ“—ი, იბეჭდებოდა აგრეთვე სხვადასხვა არალეგალური პერიოდიული ხასიათის გამოცემები.

„მეძებობრისა“ და რეპრესიების შედარებით „კარგმა“ პირობებმა ფინდლიანდიაში ხელი არ შეუშალა, რომ ლ. ბ. დაეპატიმრებიათ. ის შეიპყრეს 1907 წელს. ჩვენ გადავსწვიტეთ (მე, ვანო ბოლქვაძემ და აბელ ენუქიძემ) რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა, მოგვეწყო მის ციხიდან გაქცევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ გვქონდა შემუშავებული რამოდენიმე გეგმა. მხედველობაში გვქონდა ციხის მცველების მოსყიდვა. ციხის და იმ კერის მდებარეობა, სადაც ამხ- კრასინი იყო მოთავსებული, სრულ გარანტიას იძლეოდა იმისას, რომ გაქცევა წარმატებით დაგვირგვინდებოდა, თუ ჩვენ მოვისყიდდით ციხის დარაჯებს. თვით ამხ. კრასინს უნდა გადაეხერხა ციხეის ფანჯრების რკინა. მეორე გეგმით—მოვიდოდა „ჩინოვნიკი“ პეტრბურგიდან, წარმოადგენდა სათანადო დოკუმენტს და ციხიდან წაიყვანდა ამხ. კრასინს, ცხადია არა იმისათვის, რომ ის მიეყვანა პეტერბურგში. არც ერთი ამ გეგმის განსახორციელებლათ აღარ მიგვიმართავს, რადგანაც ლ. ბ. ჩქარა გაანთავისუფლეს.

ორივე გეგმა გაგზავნილი ჰქონდა ამხ. კრასინს დასკვნისათვის. მან აირჩია მეორე გეგმა.

ციხიდან განთავისუფლების შემდეგ ამხ. კრასინი დიდხანს არ დარჩენილა რუსეთში. ის გაემგზავრა გერმანიაში.

ამხ. კრასინის წასვლის შემდეგ მე დამაპატიმრეს, გამასამართლეს და გამგზავნეს ციმბირში. ციმბირში ლ. ბ. მივიღე სხვადასხვა დროს ორი წერილი. ერთი—პეტერბურგელი ინჟენერის საშუალებით. ეს ინჟენერი მუშაობდა მდინარე ლენის კალაპოტის გაღრმავების გამოკვლევის საქმეზე, მეც ამ საქმეზე ვმუშაობდი უბრალო შავ მუშად.

ლ. ბ. წინადადებას მაძლევდა წავსულიყავ გერმანიაში, სადაც უნდა მოგვეწყო არალეგალური გამომცემლობა. მეც გადავწყვიტე წასვლა, მაგრამ გზაში—ტომსკში—დამაპატიმრეს „როგორც თავის ნებით გადასახლების ადგილიდან წასული“ და მომთავსეს ტომსკის ციხეში, სადაც დავყავი 6 თვე. ამის შემდეგ ხელ-ახლა გამგზავნეს ლენაზე. ჩქარა ო�იც დაიწყო და საზღვარგარეთ წასვლა და ისიც გერმანიაში, არც ისე ადვილი საქმე იყო.

ლ. ბ. წერილები, სამწუხაროდ, დამეკარგა.

ციმბირიდან დაბრუნების შემდეგ სამწუხაროდ, მას არ შევხვედრივარ.

ზემოდ თქმულისთვის მსურდა დამემატებია შემდეგი:

ჩვენ არალეგალურად მომუშავენი, რომელნიც ახლოს ვიყავით ლ. ბ. ყოველთვის განვიცდიდით მის უსაზღვრო გავლენას,რაც სრული იმედის მომცემი იყო იმ საქმის კარგად დაგვირგვინებაში, რომელსაც ლ. ბ. მეთაურობდა.

დიახ, ის იყო ერთი საუკეთესო ორგანიზატორთაგანი ჩვენს პარტიაში და ცხადია, შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ვლადიმერ ილიჩი ყოველთვის დიდათ აფასებდა ლ. ბ. აზრს სხვა და სხვა საორგანიზაციო საკითხებში.

ლადო დუმბაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოსეგ ხარაბაძე

(1875—1927)

1905 წლის რევოლიუციონურმა მოძრაობამ ხონის რაიონში გლეხთა წრიდან წარმოშვა სამი შესანიშნავ მოღვაწე-რევოლიუციონერი: **კლასიონ მელაძე, ერმილე კაკაბაძე** და **იოსებ ხარაბაძე,** რომელთაც დიდი სამსახური გაუწიეს 1905 წლის რევოლიუციას გლეხთა მასების გათვითცნობიერებით და მათი რევოლიუციონურ მოძრაობაში ჩაბმით.

ორი მათგანი,—კლასიონ მელაძე და ერმილე კაკაბაძე, ვეღარ მოესწრო ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლიუციის სოციალისტურ რევოლიუციათ გარდაქმნას,— ისინი დაიხოცენ 1917 წ., როცა მეორე ბურჟუაზიული რევოლიუციის საშოში მწიფდებოდა ამ რევოლიუციის სოციალისტურ რევოლიუციათ გარდამქმნელი ელემენტები; იოსებ ხარაბაძემ კი თვით მიიღო მონაწილეობა სოციალისტურ ამშენებლობაში და გახდა ამ ამშენებლობის ერთი აქტიური მომქმედი პირი.

ხონის რაიონის 1905 წლის რევოლიუციონური მოძრაობა ორ ხანათ უნდა იქნას გაყოფილი: პირველი ხანა—ეს იყო ხანა კონსპირატიული, როდესაც რევოლიუციონური მოძრაობა მხოლოდ ვიწრო კონსპირატიულ წრეებში ფეხს იდგამდა და რევოლიუციონური პროპაგანდა მხოლოდ ვიწრო, სანდო და რჩეულთა წრეში წარმოებდა; ამ დროს სოციალ-დემოკრატიული პარტია გამოდიოდა, როგორც მთლიანი, ერთი პარტია და მასში განხეთქილებას ადგილი არ ჰქონდა.

მეორე ხანა კი ის დრო იყო, როცა რევოლიუციონურ იდეებს ფართო მუშურ-გლეხური მასსები ეზიარა, რევოლიუციონურმა მოძრაობამ კონსპირაცია უარყო და საჯაროთ, მზის სინათლეზე გამოვიდა.

ამ დროს ხონის რაიონშიაც იპოვა გამოძახილი 1903 წ. რ. ს. დ. მ. პ. ყრილობაზე მომხდარმა განხეთქილებამ: პარტია ორ ფრაქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციათ გაიყო და ამ ფრაქციათა შორის სწარმოებდა სასტიკი ბრძოლა; რევოლიუციონური მოძრაობის ამ ხანაში ამხ. იოსები იყო ერთი ფრიად აქტიური მომქმედი პირი.

ხონის რაიონის მოსახლეობა, რიცხვით 50.000,—თავის უმრავლესობაში წარმოადგენდა ფრიად ღარიბ გლეხობას, რომელიც როგორც ყოველგან ამ დროს, ორგვარ ჩაგვრას განიცდიდა—საშვალო ქონების პატრონ მემამულეთაგან და მეფის დროს არსებულ პოლიციურ რეჟიმისაგან. ჯერ კიდევ 1901 წლის დამლევს და 1902 წლის დასაწყისში ხონის რაიონში ხმები მოდიოდა, რომ გურიაში გლეხთა შორის დაიწყო მემამულეთა წინააღმდეგ ბრძოლაო, გლეხობამ არ იცოდა დანამდვილებით, რაში გამოიხატებოდა ეს ბრძოლა, მაგრამ მთელი მისი თანაგრძნობა გურულ გლეხთა მხარეზე იყო, და მას ებადებოდა სურვილი გასცნობოდა ამ მოძრაობის შინაარსს, გარკვეულიყო ამ მოძრაობის მიზნებში და საშვალებებში; დასავლეთ საქართველოს რევოლიუციონურ მოძრაობას ამ დროს ხელმძღვანელობდა ქუთაისში არსებული იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი რ. ს. დ. მ პარტიისა; მან გადასწყვიტა გამოეყენებია გურიის აგრარულ მოძრაობით შექმნილი სულიერი განწყობილება ხონის რაიონში მობინადრე გლეხებისა და ამხ. ბუდუ მდივანს და საშა წულუკიძეს მეშვეობით კონსპირატიული კავშირი დაარსა ამ გლეხობასთან. კონსპირატიული კავშირის დაარსება გამოიხატებოდა რაიონის ამა თუ იმ უბანში სანდო და რევოლიუციონური იდეებით გატაცებული გლეხების გამონახვაში, რომელთაც ევალებოდათ გლეხთა შორის ვიწრო წრეების შექმნა და ამ წრეებში იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის მიერ გამოგზავნილ პროპაგანდისტების საშვალებით რევოლიუციონური პროპაგანდის წარმოება; ამ პროპაგანდას აწარმოებდენ ამხ. ბუდუ მდივანისა და საშა წულუკიძეს გარდა პირველ ხანებში ნოე ხომერიკი და კოლია კიკნაძე, *) („როსტომ“) არჩილ დოლიძე **). პროკოფი დოლიძე ***) და შემდეგ სერიოჟა ქავთარაძე, შალვა ელიავა, კოლია ქარცივაძე დი მრავალი სხვანი.

ეხლანდელ ახალგაზრდობას, რომელიც ეზიარა სოციალისტურ იდეებს და სოციალისტურ საქმიანობას უკვე სოციალისტურ სახელმწიფოში აწარმოებს, რასაკვირველია, წარმოდგენაც არ აქვს იმის შესახებ,

*) ეხლა „კომუნისტის“ რედაქტორი.

**) გარდაიცვალა 1917 წ.

***) რეაქციის გავლენით რევოლ. მოძრაობას ჩამოშორდა და ბათომში ექიმ ტრიანდაფილიდისის გატაცებაში მონაწილეობის მიღებისათვის სიკვდილით დასაჯეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ როგორ ფარულად, როგორ საიდუმლო, როგორი სიფრთხილით და რა წვალებით უხდებოდათ მაშინდელ სოციალისტებს რევოლიუციონური იდეების მშრომელთა მასებში გავრცელება.

// რაიონის თვითეულ უბანში ჯერ უნდა გამონახულიყო მოწინავე, სანდო და არსებული წესწყობილების წინააღმდეგ ამხედრებული გლეხი, ამ გლეხის საშუალებით უნდა შემდგარიყო ვიწრო და თავისი მდგომარეობით სანდო წრე გლეხობისა და ამ წრეში შემდეგ გაიმართებოდა სათანადო რევოლიუციონური პროპაგანდა; პროპაგანდისტები თავს იყრიდენ თვით ხონში ერთ კონსპირატიულ ბინაზე, სადაც ობიექტიური პირობების გამო შესაძლებელი იყო მრავალი პირის მისვლა-მოსვლა ისე, რომ ამ მისვლა-მოსვლას ეჭვი არ გამოეწვია. დღისით პროპაგანდისტები ოთახიდან გარეთ არ გამოდიოდენ და მათ ვერავინ დაინახავდა; დაღამებისას ხონის რაიონის სხვადასხვა უბნებიდან მოდიოდენ ზევით დასახელებული მოწინავე გლეხი—ამხანაგები, რომელთა თანხლებით პროპაგანდისტები მიდიოდენ უკვე განსაზღვრულ ადგილას შეკრებილ ვიწრო წრეებში და იქ აწარმოებდენ მუშაობას გათენების მოახლოვებამდე, გათენების მოახლოვებისას კი ამავე ამხ. გლეხების თანხლებით ბრუნდებოდენ კონსპირატიულ ბინაზედ:, ასე სწარმოებდა მუშაობა დღითი-დღე, კვირიდან-კვირამდე, თვიდან-თვემდე, წლიდან-წლამდე 1902 წლიდან ვიდრე 1904 წლის მეორე ნახევრამდე, როდესაც მოძრაობამ კონსპირატიული ზღუდე გაარღვია, მასიური ხასიათი მიიღო და საზოგადოებრივ ცხოვრების ზედა-პირზე ამოტივტივდა.

კვირაში ერთხელ, პარასკევობით, როცა ხონში „ბაზრობა“ იციან და მრავალი ხალხი იკრიბება, კონსპირატიულ წრეების წარმომადგენლები იკრიბებოდენ ზევით აღნიშნულ კონსპირატიულ ბინაზედ და იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის წარმომადგენლის ხელმძღვანელობით არკვევდენ საორგანიზაციო და პრაქტიკულ საქმიანობის საკითხებს; ეს ორგანიზაციული ფორმა არ შეცვლილა მეორე ხანაშიაც, როდესაც კრებები აშკარად და დაუფარავად ხდებოდა.

მნიშვნელოვანი და რევოლიუციონურ საქმისათვის ფრიად სასარგებლო იყო ამხ. იოსებ ხარაბაძის ამ დროის მოღვაწეობა. ღარიბი ოჯახის შვილი, ყმაწვილობიდან ლუკმა-პურის შოვნისათვის შრომის უღელში შებმული, ამავე დროს ბუნებრივი ნიჭით და მახვილი გონებით დაჯილდოვებული, იგი ყმაწვილობიდანვე ხედავდა ირგვლივ არსებულ უსამართლობას, ჩაგვრას და მისი მკვირცხლი ბუნება თავის არსებაში ატარებდა პროტესტს ამ უსამართლობის წინააღმდეგ.

ხონის რაიონის გლეხთა შორის მოძრაობის დაწყების პირველ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეებიდან იგი დაუკავშირდა ამხ. ბუდუ მდივანს, საშა წულუკიძეს, შემდეგ ნოე ხომერიკს, დაიჭირა მჭიდრო კავშირი ხონის კონსპირატიულ ორგანიზაციასთან და დაუკავშირა ეს ორგანიზაცია გუბის საზოგადოების გლეხობას; იგი შეიქნა ხელმძღვანელი მთელი გუბის საზოგადოების გლეხთა მოძრაობისა; მან შესამჩნევად შეითვისა კონსპირაციისათვის აუცილებელი საჭირო მოქმედების ხაზი, მან შესძლო მოკლე ხანში მთელი გუბის საზოგადოებაში შეეკრა მრავალი კონსპირატიული გლეხთა ჯგუფები, სადაც გამუდმებული რევოლიუციონური პროპაგანდა სწარმოებდა; მოკლე ხანში მან შემოიკრიბა ირგვლივ მის მიერ გათვითცნობიერებული გლეხთა ჯგუფი, რომელთა შემადგენლობაში იყვნენ როგორც ახალგაზრდა, ისე მოხუცებულებიც— როგორც მაგალითად, ლუკა ლექვინაძე, გერასიმე ეძგვერაძე, ბარნაბა ეძგვერაძე, პავლე მარდალეიშვილი და სხვები, რომელთა საშვალებით ის აწყობდა კონსპირატიულ უჯრედებს, სადაც ხონიდან მოყავდა პროპაგანდისტები იმ წესით, რომელიც ზევით იყო აღწერილი; ბევრჯელ მინახავს ამხანაგი იოსები, დღის მუშაობით მოქანცული, ღამე ფეხით გუბიდან ჩემთან ხონში მოსული პროპაგანდისტის წასაყვანად; მისი რევოლიუციონური გატაცება იმდენად ძლიერი იყო, რომ დაღლილობას ივიწყებდა, ყმაწვილურის გატაცებით წაუღლეობდა პროპაგანდისტს თავის მიერ მოწყობილ წრეში სამეცადინოთ რასაკვირველია, ფეხით, ათი-თოთხმეტი ვერსის მანძილზედ; მან ძლიერ ჩქარა შეითვისა რევოლიუციონური იდეები და თვით შეუდგა ხალხში ამ იდეების გავრცელებას. იგი იყო მახვილი ენის პატრონი, მას ზედმიწევნით ეხერხებოდა იგავ-არაკებით ლაპარაკი და ამისათვის იგი შეიქმნა გლეხთა შორის საუკეთესო მოლაპარაკე; იგი მოხერხებულათ, გასაგები ენით უხსნდა გლეხებს რევოლიუციონური მოძრაობის ძირითად დებულებებს და გლეხებიც მას უსმენდა, ითვისებდა ამ დებულებების დედა-აზრს და თანდათან ებმებოდა რევოლიუციონურ მოძრაობაში; ამ გვარათ ამხ. იოსები რევოლიუციონურ მოძრაობის პირველ ხანაში იყო ორგანიზატორიც, პროპაგანდისტიც; ამავე დროს იგი მონაწილეობას ღებულობდა ხონის რაიონულ კრებებზე, იგი ყურადღებას იპყრობდა თავის საღი მსჯელობით და პრაქტიკულ საკითხების სწორად გარკვევით, ხონის რაიონულ კომიტეტსაც ამხანაგი იოსები გლეხთა შორის საუკეთესო რევოლიუციონურ მუშაკათ მიაჩნდა, ენდობოდა მას და ხშირათ აკისრებდა პასუხის საგებ მინდობილებებს.

1903 წ. იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტმა ხონში დანიშნა პროპაგანდისტთა კონფერენცია; კონფერენციის მიზანი იყო ჯამი გაეკე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებია ჩატარებულ საპროპაგანდო მუშაობისათვის დასავლეთ საქართველოში და გაერკვია მრავალი საკითხები, რომელიც უკანასკნელ დროს წარმოშვა რევოლიუციონურმა პრაქტიკამ. უნდა შეკრებილიყო მთელი პროპაგანდისტული ძალები, რომელიც იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის განკარგულებაში მოიპოვებოდა; გამოანგარიშებით კონფერენციას ოთხმოცამდე კაცი უნდა დასწრებოდა, კონფერენცია ფრიად კონსპირატიულად უნდა მოწყობილიყო, რადგან მისი ჩავარდნა ნიშნავდა მთელი საპროპაგანდო ძალების განადგურებას; კონფერენცია დაინიშნა ამხ. საშა წულუკიძის სახლში; მისი მოწყობა, დაცვა და პროპაგანდისტების დაბინავება ხონის რაიონულმა კომიტეტმე მიანდო ამ სამს გლეხს-ამხანაგებს, რომელნიც იყვნენ აღჭურვილნი ხონის სარაიონო კომიტეტის უაღრესი ნდობით; კონფერენციის მეცადინეობა სწარმოებდა ღამით; კონფერენციას მართლაც ოთხმოცამდე პროპაგანდისტი დაესწრო; კონფერენციის კრებებს დარაჯობდენ ამხ. კლასინო მელაძე, ერმილე კაკაბაძე და იოსებ ხარაბაძე, მათ წინდაწინ ჰქონდათ შემუშავებული სამოქმედო გეგმა იმ შემთხვევისათვის, თუ კონფერენციას პოლიცია თავს დაესხმოდა.

კონფერენცია სამი დღე გაგრძელდა და დამთავრდა მესამე დღეს ღამის თორმეტ საათზე. იმ საღამოს ხონის რაიონის ბოქაულმა აექსენტი ფაღავამ, რომელიც დიდ სამსახურს უწევდა რევოლიუციონურ მოძრაობას თავისი მოხერხებული საქმიანობით (მთავრობას თავს ისე უჩვენებდა, თითქოს ის პირნათლად ასრულებდა ბოქაულის მოვალეობას და ამავე დროს ჩვენთან შეთანხმებით (მოქმედებდა და უჩვენოთ ერთს ნაბიჯსაც არ გადადგამდა)—ქუთაისის გენერალ-გუბერნატორისაგან საიდუმლო ბრძანება მიიღო დაუყოვნებლივ „სტრაჟნიკებით“ ალყა შემოერტყა ჩემი ბინისათვის და გულმოდგინეთ გაეჩხრიკა იგი; ჩემს ბინაზე კი ამ დროს მოთავსებული იყო ერთი ფრიად საგრძნობი და მნიშვნელოვანი ჯგუფი კონფერენციის მონაწილე პროპაგანდისტებისა და აუარებელი ლიტერატურა; კონფერენციის დამთვრებისას ბოქაულმა აქსენტი ფაღავამ ლიუცია ქუთათელაძის საშუალებით მაცნობა, რომ დაბა ხონის ტერიტორია პროპაგანდისტებისაგან გაგვეწმინდა და ჩემი საკუთარი ბინაც „წესრიგში“ მომეყვანა, რადგან მეორე დღეს, მითვლიდა იგი, „სტრაჟნიკების“ მთელი რაზმის თანხლებით ჩხრეკა უნდა მოვახდინოო.

გათენებამდის ძლიერ ცოტა დრო იყო დარჩენილი და თავდაცვის სამზადისი სიჩქარით უნდა ჩაგვეტარებინა; ეს ეცნობა კონფერენციის მცველებს ამხ. კლასიონს, ერმილეს და **იოსებს, რომელ**თაც ორი საათის განმავლობაში მოხერხებულათ და მწყობრათ მოი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვანეს „წეს-რიგში“ როგორც ჩემი ბინა, ისე თვით დაბის ტერიტორია და ყველა პროპაგანისტები დაბიდან ორი საათის განმავლობაში ევაკუაცია ქმნილ იქნენ.

ორგანიზატორი, პროპაგანდისტი, პასუხის საგებ დავალებების აღმრულებელი,—აი რითი ხასიათდებოდა ამხ. იოსების საქმიანობა ხონის რაიონში რევოლიუციონურ მოძრაობის კონსპირატიულ ხანაში.

1904 წელი დგებოდა; რევოლიუციონური მოძრაობა ხონის რაიონში თანდათან ძლიერდებოდა. იგი მასიური ხასიათს ღებულობდა და თუმცა ჯერ კიდევ კონსპირატიულად სწარმოებდა, მაგრამ ვიწრო კონსპირაციის ფარგლებში უკვე ვეღარ თავსდებოდა. 1903 წ. ყრილობაზე მომხდარი უთანხმოების შესახებ ჯერ კიდევ ნამდვილი ცნობები მოსული არ იყო, მაგრამ ამ უთანხმოების შესახებ ლაპარაკი აქა იქ უკვე გაისმოდა.

ერთ საღამოს ნოე ხომერიკი სამტრედიიდან ხონში ჩამოვიდა და როგორც წინად, ჩვეულებრივათ ჩემთან გაჩერდა; მას სერიოზული სახის გამომეტყველება ემჩნეოდა და ფრიად დაფიქრებული იყო; მისალმების შემდეგ ცოტა ხანმა გაიარა და „ხუნხუზამ“ ოთახში შემოხმო მნიშვნელოვან საკითხების შესახებ მოსალაპარაკებლად; აქ ის მომიყვა მეორე ყრილობაზე მომხდარი განხეთქილების შესახებ, გააშუქა ეს უთანხმოება მენშევიზმის თვალთა-ხედვის ისრით და წინადადება მომცა ხონის რაიონის გლეხთა წარმომადგენლები მომეწვია და მიმეცა სათანადო დირექტივები მომავალი მუშაობის შესახებ: მე თუმცა ყრილობაზე მომხდარი უთანხმოების შესახებ არაფერი მქონდა წიკითხული, მაგრამ ვიცნობდი ამხ. ლენინის წერილებს „ისკრაში“ და ნოე ხომერიკის ნაამბობი, ჩემის აზრით, არ ეთანხმებოდა რევოლიუციონური მარქსიზმის დებულებებს. ასეთი ჩემი ეჭვი მას გაუზიარე და რაიონის წარმომადგენელთათვის დირექტივის მიცემაზედ უარი განვაცხადე, სანამ იმერეთ—სამეგრელოს კომიტეტისაგან სათანადო ცნობებს და წინადადებას არ მივიღებდი: შევამჩნიე, რომ ჩემმა პასუხმა ნ. ხომერიკი ცუდ გუნებაზედ დააყენა, სულ ცოტა ხნის შემდეგ იგი გამომემშვიდობა და წასვლა დააპირა; ჩემს გაკვირვებაზედ—სად უნდა წასულიყო იგი ასე გვიან, ღამით—აქამდის არ ყოფილა შემთხვევა, რომ ნ. ხომერიკს ხონში ყოფნის დროს ღამე სხვაგან გაეთიოს, მან მიპასუხა, რომ ფრიად საჭირო საქმის გამო იგი ამაღამვე სამტრედიაში უნდა დაბრუნდეს.

მალე გამოირკვა, რომ ის ხონშივე დარჩენილიყო, სხვა, წინეთ ჩვენთან მომუშავე ამხანაგებთან მისულიყო და იქ დაეწყო მუშაობა მენშევიკური იდეების გავრცელების მიზნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დღიდან დაიწყო ხონის რაიონში ფრაქციული მოძრაობა და ამ დღიდან ჩაეყარა საფუძველი ორი ფრაქციის არსებობას; მოძრაობის ზრდა-განვითარებასთან ერთად ფრაქციული განხეთქილება უფრო და უფრო მწვავე ხასიათს ღებულობდა და უკვე საჯაროო გამართულ მიტინგებზე ეს ორი მიმდინარეობა პარტიაში რევოლიუციონური და ოპორტიუნისტული სამკვდრო-სასიცოცხლოთ ეკვეთებოდა ერთმანეთს. ამხ. კლასიონ მელაძე, ერმილე კაკაბაძე და იოსებ ხარაბაძე გაეცნენ რა ამ მიმდინარეობის დედა აზრს, უყოყმანოთ მიემხრენ ბალშევიზმს და არც ერთს მათგანს სიკვდილამდის არ უღალატნია მისთვის.

ამხანაგი იოსები ამ ფრაქციულ ბრძოლის დროს იმავე დაუშრეტელ ენერგიას, საქმის სიყვარულს და მოხერხებულ საქმიანობის უნარს იჩენდა, როგორც მოძრაობის პირველ ხანაში; იგი აქაც გლეხთა შორის ბალშევიზმის ნიჭიერი პროპაგანდისტი შეიქნა და აქაც რაზმავდა გლეხთა უჯრედებს ბოლშევიზმის ირგვლივ.

ხონის რაიონი მაგარი კაკალი გამოდგა და მენშევიზმის კბილებმა იგი ისე ადვილად ვერ გასტეხა, როგორც ეს მოხდა გურიაში და საქართველოს მრავალ სხვა ადგილებში. დრო გადიოდა; მენშევიკურმა მოძრაობამ აქ პოხიური ნიადაგი ჰპოვა თავის განვითარებისათვის, რადგან მას, როგორც წვრილ ბურჟუაზიულ არსის მატარებელს, ადვილად იგუებდა გლეხობის წვრილ-ბურჟუაზიული ბუნება, მენშევნზმი თანდათან იპყრობდა ამიერ-კავკასიის და კერძოთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს და ბოლოს მან დაიპყრო დიდი უმრავლესობა ამ მხარის მოსახლეობისა; მხოლოდ ხონის რაიონი ბოლომდის შერჩა ბოლშევიზმს, მხოლოდ მან მოიტანა ბალშევიზმის დროშა უმწიკვლოდ და შეუბღალავად დიდ ოქტომბრამდე;

მენშევიზმმა მძიმე არტილერიით სასტიკი იერიშები მიიტანა ხონის რაიონის ბოლშევიზმზედ, მაგრამ იგი ვერ დაიმორჩილა და ხონის რაიონის ბოლშევიზმმა თავის შენახული და დაუშლელი ორგანიზაციები დიდ ოქტომბერს ჩააბარა; ფრაქციათა შორის გაფფორებულ ბრძოლის დროს იოსებ ხარაბაძე ნიჭიერი, მოხერხებული და მამაცი ბოლშევიზმის ჯარის კაცი იყო და თუ ხონის რაიონში ბოლშევიზმის რიგები არ დაშლილა, ამის, სხვა გარემოებათა შორის, ახსნა კლასიონ მელაძის, ერმილე კაკაბაძის და იოსებ ხარაბაძის თავგანწირულ ბრძოლაშიაც უნდა ვეძიოთ.

დამარცხდა პირველი რევოლიუცია; 1906 წლის დასაწყისში იოსებ ხარაბაძე დაპატიმრებულ იქნა; მაგრამ მალე ისევე ავქსენტი ფაღავას მიერ ჩვენი წინადადებით განთავისუფლებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეაქციის შავბნელ ხანაში ამხ. იოსები ხან თავის სოფელში ცხოვრებდა, ხან კიდევ იმალებოდა და რკინის გზის სადგურზედ მტვირთავად მუშაობდა. ამ შავბნელ რეაქციის დროს ბევრი 1905 წლის რევოლიუციონური სრულიად ჩამოშორდა მოძრაობას; იოსებს კი არ უღალატნია ბოლშევიზმისათვის და მეორე რევოლიუციის დროს კვლავ იბრძოდა ბოლშევიზმის დროშის ქვეშ.

მენშევიკებმა მას დევნა დაუწყეს და ციხეში დაპატიმრებაც აგემეს; აჯანყებაში მონაწილეობისათვის მისი ოჯახი ააფორიაქეს, ხოლო თითონ იოსები იძულებული გახადეს თავის სოფლიდან გაქცეულიყო და ჯერ თბილისისათვის და შემდეგ შულავერისათვის თავი შეეფარებინა; ასეთ დევნაში მიმდინარეობდა ამხ. იოსების ცხოვრება 1921 წლამდის, როდესაც ჩვენში ბოლშევიზმის დროშა აფრიალდა და მუშურ-გლეხური ხელისუფლება დამყარდა; აქ კი ამხ. იოსების საქმიანობამ ფართა გაშალა და იგი ყმაწვილურის გატაცებით დაეწაფა სოციალისტურ აღმშენებლობას; ექვსი წლის განმავლობაში იშრომა ამ აღმშენებლობისათვის და ამ ამღშენებლობას მისცა ყოველივე ის, რის მიცემაც კი შეეძლო.

გამუდმებულმა შრომამ, ცხოვრებების მეტად ცუდმა პირობებმა, ხშირად მტანჯველ სულიერმა განცდებმა დაშალეს მისი სხეულის ფიზიკური წონასწორობა და იგი მსხვერპლი შეიქნა განუკურნებელი სენის—მწვავე ლეიკემიისა.

პირველ მაისს 1927 წ. ამხ. იოსებ ხარაბაძე სამუდამოდ გამოესალმა სიცოცხლეს.

პ. კიკალიშვილი.

ტფილისი.
7 ივნისი, 1927 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძმანი ანტონ და გრიგოლ თარხანოვანები.

1917 წელს რუსეთში მომხდარი ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ანტონი და გრიგოლი თავგამოდებით შეუდგენ პროლეტარული რევოლიუციის სამსახურს ჩვენში, მაგრამ მალე იძულებულნი შეიქნენ გასცლოდნენ მენშნვიკების კონტრ-რევოლიუციის სამეფოს.

1918 წელს ისინი სტოვებენ საქართველოს და მიემგზავრებიან რუსეთში: წასვლის წინა დღეს ისინი ვნახე, დავუშალე წასვლა. როგორც კარგად მომზადებული ამხანაგები, ისინი საჭირონი იყვნენ აქ, მაგრამ არ დაიშალეს და მიპასუხეს რუსეთის ამხანაგებთან სიკვდილი გვირჩევნია აქ სიცოცხლესაო. შემდეგ გავიგეთ, რომ ანტონი პიატიგორსკში საბჭოს მდივნათ აერჩიათ. გრიგოლი კი შესულიყო წითელ არმიაში დენიკინის ბანდების წინააღმდეგ საბრძოლველათ, მაგრამ არ გაუვლია დიდ ხანს და ჩამოსულმა ამხანაგებმა გარეგინ კარდაშიანმა და მისკინმა სამწუხარო ამბავი ჩამოგვიტანეს: ანტონ თარხანოვი გარდაიცვალაო. ორი თვის შემდეგ მეორე ძმაც ჩამოვიდა ნაწვალები და დაავადმყოფებული. მიუხედავათ იმისა, რომ 1918-1919 წლებში მენშევიკები სდევნიდენ კომუნისტებს, დასნეულებული გრიგოლი მაინც არ სცხრებოდა და განაგრძობდა მუშაობას, მაგრამ ბედმა უმუხთლა და გრიგოლ თარხანოვიც გარდაიცვალა სწორეთ იმ დროს, როდესაც ბოლშევიკებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ჰქონდათ გაჩაღებული მენშევიკებთან, რაც ბრწყინვალე გამარჯვებით დათავდა და საბჭოთა ხელის-უფლება გამოცხადდა საქართველოში.

მ. ვარსიმაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული არქივი.

არალეგალურ ჟურნალ „პროლეტარიატის ბრძოლის“ 1905 წლის №-9-ში მოთავსებულია ცნობა იმის შესახებ, თუ რამდენი და რომელ ენაზე გამოუცია არალეგალური ლიტერატურა კავშირის, ტფილისის და ბაქოს კომიტეტებს 1905 წლის იანვრიდან ივნისამდე.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ძველად გამოცემულ ფურცლებზე გინდ წიგნებზე იშვიათად შეხვდებით როგორც გამოცემის რაოდენობას, ისე თარიღს, ჩვენ საყურადღებოთ მივიჩნიეთ ზემოაღნიშნული ცნობის მოყვანა:

I

კავკასიის კავშირის გამოცემანი.

1905 წ. იანვრიდან ივნისამდე

კავშირის კომიტეტი გამოცემანი:

მოწოდებანი—1. „სათადარიგო ჯარის-კაცთ“ რ. 4800, ქარ. 6000, სომ. 3000; 2. „თბილისის შეერთებულ მუშებს“ რუს. 400, ქართ. 800, სომ. 400; 3. „ქართლ-კახეთის გლეხ-ყაცობას“ ქარ. 6000, სომ. 3000; 4. „რა გამორკვა?“ ქართ. 14000, სომ. 5000, რუს. 5000; 5. „სალდათებს“ სომ. 3000, რუს. 5000, ქართ. 4200; 6. „ყველა მუშა-კაცებს და მუშა-ქალებს“ ქართ. 10000, რუს. 2000, სომ. 3000; 7. „1 მაისი“ ქართ. 10000, რუს. 2900, სომ. 2500.

ბროშიურები: 1. „სოციალიზმზე“ (რიადოვოისა) ქართ. 2000, სომ. 2500, რუს. 2000; 2. „ლუკმა პურის ამბავი“ სომ. 2000; 3. „ობობა და ბუზი“ ქართ. 4000; 4. „სოფლის გაჭირვებულ გლეხ-კაცობას“ (ლენინისა) ქართ. 3000; 5. „ახალ გზაზე“ (გალიორკისა) რუს. 1000; 6. „სარევოლიუციო სიმღერები“ რუს. 1300; 7. „ოთხი ძმა“ ქართ. 4000; 8. „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“ ქარ. 2000, სომ. 1500, რუს. 1500; 9. „Разновидность Оппортунизма“ რუს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1300, სომ. 1000; 10. „რევოლიუციონურ-დემოკრატიული დიქტატურა პროლეტარიატისა და გლეხკაცობისა“ („ვპერიოდიდან“) ქართ. 2000, რუს. 1000, სომ. 1000; 11) „წესდება, მიღებული მესამე პარტიულ კრებაზე“ სომ. 400, რუს. 600, ქართ. 5000; 12. კავშირის ორგანო „პროლეტარიატის ბრძოლა“ № 8 ქართ. 2500, სომ. № 5 1200; „პროლ. ბრძოლა“ ქარ. № 9. 2500, სომ. № 6. 1000, რუს. № 1, 1200.

თფილისის კომიტეტის („უმრავლესობის“) გამოცემანი.

მოწოდებანი: 1. „მოქალაქეთა-მიმართ“ ქართ. 2000, რუს, 1500, სომხ. 1500; 2. განჯის ჯგუფის სახელით—„იმსხვრევა ბორკილები“ ქართ. 500, სომ. 800, რუს. 500; 3. „მუშის წერილი“ („ვპერიოდიდან“) ქართ. 5000, სომ. 1800, რუს. 1800; 4. განჯის ჯგუფის სახელით—„განჯის რაიონის მუშებს“ სომ. 700, რუს. 500, ქართ. 700; 5. „მარსელიეზა“ სომ. 1600, რუს. 500, ქართ. 500; 6. განჯის ჯგუფის სახელით 1 მაისი“ ქართ. 500, რუს. 500, სომ. 500; 7. „მოქალაქეთა მიმართ“ სომხ. 1000, რუს. 1000.

ბაქოს კომიტეტის გამოცემანი

მაისსა და ივნისს.

1. „ყველა პოლიციელთა მიმართ“ („ქალაქ ბაქოს პოლიციელლა ჯგუფისაგან“) № 80. 2. „ამხანაგებს“ (როჟესტვენსკის ფლოტის დაღუპვა) № 71, 24 მაისს. 3. „მასსიური პოლიტიკური გაფიცვა“ („პროლეტარის“ № 1-დანაა გადმობეჭდილი) 4 ივნისს, № 84. 4. „მირზაბეკიანცის ფაბრიკის ყველა მუშებს“ 11 ივნისს № 89. (ქალაქის რაიონული კომიტეტისაგან). მირზაბეკიანცის ფაბრიკის მუშები № 89, 22 ივნისი. 5. „ყველა ამხანაგებს“ („ვგესმით!?“) 22 ივნისს № 97—3000. 6. „მუშათა კითხვა მეფის კამისსიებში“ 18 ივნისს № 94. 7. „მუშები და თვითმპყრობელობა“ 28 მაისს № 79. 8. „ამხანაგებს“ („არამაზადის მუშებო!“) 5 მაისს № 63. 9. „პასუხი“ რუსმოღვაწეთა კომიტეტს“ (ორგანიზაციათ-დაწყობილ რკინისგზის სოციალ-დემოკრატ მუშებისაგან) № 66, 8 მაისს. 10. „ლევენსონის ქარვნის მუშებს“ (შავ-ქალაქის რაიონულ კომიტეტისაგან) 8 მაისს № 67. 11. „ამხანაგებს“ („Все мы пережили печаль“...) 14 ივ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისს, № 92. 12. „Еще о холуях его величества“ (ორგანიზაციულათ-დაწყობილ რკინისგზის სოციალ-დემოკრატ მუშებისაგან) № 81, 30 მაისს. 13. „შინაურ მოსამსახურეთა მოთხოვნილებანი“ (სასტუმროსა და სხ მოსამსახურეთა ცენტრალურ ჯგუფისაგან) № 70, 13 მაისს. 14. „ბაქოს ყველა მუშებს“ 11 მაისს, № 69. 15. „Последняя ставка“, 21 მაისს, № 75. 16. საკონსტიტუციო ბაზარი“, 15 მაისს, № 72. 17. „ამხანაგებო!“ („შრომის დღესასწაული“) № 64 ბ. კ. 19. „ბალახანის რაიონის ბიულეტენი“ № 63, ბალახ. რაიონ. კ. 20. „ბაქოს 120 მუშების რეზოლიუცია“ № 87, 5 ივნისს. 21. „Суд над судом“ № 73. 22. „ამხანაგებო!“ № 88, 23. „ყველა მუშებსა და მოსამსახურეთ აქციონერულ საზოგადოების „ვოტანისა“ № 86. 24. „ტერ-აკოფოვის“ ფირმის მუშათა და „ხელოსანთა“ (мастеровых) განცხადება № 90. 25. „ამხანაგებო!“ № 92.

ცნობა. ამ ნომრიდან „პროლეტარიატის ბრძოლა“ გამოვა სამ ენაზე: ქართულათ, სომხურათ და რუსულათ.

კავშირის კომიტეტი.

(„პროლეტარიატის ბრძოლა“ № 9. 1(14) ივლისი 1905 წ.).

II

კავშირის შეწყვეტა მენშევიკურ ორგანიზაციასთან.

საბოლოო ორგანიზაციული გათიშვა ბალშევიკ-მენშევიკებს შორის ჩვენში მოხდა ამ ათი წლის წინად—1917 წლის მაის-ივნისში.

ქვემოდ ბალშევიკურ გაზეთ „ბრძოლა“-დან მოყვანილი მასალა წარმოადგენს მენშევიკურ ორგანიზაციასთან კავშირის შეწყვეტის და ცალკე ბალშევიკური ორგანიზაციის მოწყობის დასაბუთებას. აი რას სწერს „ბრძოლა“:

თბილისი, 12 ივნისი 1917 წ.

თებერვლის რევოლიუცია შეიძლება ითქვას, მოულოდნელად დაგვატყდა თავს. ჩვენი ორგანიზაციები უმეტეს შემთხვევაში ან სრულებით მინგრეულ-მონგრეული იყო, ან სულ გამქრალი. პარტიის ცენტრალურ ორგანოებთანაც კავშირი და ურთი-ერთობა თითქმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულებით შეწყვეტილი იყო. აი ასეთ თავდაცვწყვეტის და საერთო დაქსაქსვის დროს რევოლიუციამ მოგვანიჭა უფართოესი თავისუფლება.

თავისუფლება გვავალებდა რევოლიუციონურ თვითმოქმედებას, რევოლიუციონურ ორგანოების შექმნას დაუყოვნებლივ. ასე ხდებოდა ყოველგან, ასე მოხდა თბილისშიაც. ჩვენ ყველა თითქმის ერთ და იმავე დროს შეუდექით მუშათა დეპუტატების საბჭოს შექმნას და მის გამაგრებას. ეს იყო რევოლიუციის პირველი დღეები. მხოლოდ შემდეგ შეუდექით პარტიულ ორგანიზაციის მოწყობას. საოლქო კომიტეტმა, რომელიც განსაკუთრებით მეუმცირესებიდან შესდგებოდა და რომელსაც მუშებთან ყოველივე კავშირი გაწყვეტილი ქონდა მრავალ წლების განმავლობაში, თავს იდვა პარტიის დამფუძნებელი კრების მოწვევა. სოც.-დემ. მეუმრავლესებში მაშინვე დაისვა საკითხი, თუ რა დამოკიდებულება უნდა დაგვეჭირა მეუმცირესების მიერ მოწვეულ კრებასთან. მივიღეთ რა მხედველობაში ერთი მხრით გაურკვეველი მდგომარეობა რუსეთში საერთოდ, ვინაიდან რევოლიუციის პირველ დღეებში ჩვენ თითქმის სრულებით მოწყვეტილი შევიქენთ ჩვენი ცენტრალური კომიტეტისაგან და მეორე მხრით, 1905 წლის რევოლიუციის დღეები, როცა მეუმრავლესთა და მეუმცირესთა ორგანიზაციებმა ალაგ-ალაგ თითქო სტიქიურად იწყეს გაერთიანება, ვინაიდან თავისუფალმა არსებობამ, თუმც ხანმოკლემ, ფრაქციული უთანხმოებათა ზოგიერთი მიზეზები ჩამოგვაცალა,—ვიმეორებთ, მივიღეთ რა ყოველივე ეს მხედველობაში, ჩვენ გადავწყვიტეთ ერთი საერთო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნა, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ მეუმცირესეთა დიდ-უმრავლესობას მექანიკურად არ შევევიწროვებიეთ, როგორც ეს წინად ხდებოდა და რომ ჩვენ თავისი იდეური ფიზიონომიის შესანარჩუნებლად გვქონებოდა საკუთარი ორგანო გაზეთის სახით. ეს ისეთი ელემენტარული უფლებები იყო, რომ მეუმცირესეთ იმათ წინააღმდეგ წასვლა სიტყვით მაინც არ შეეძლოთ.

რა თქმა უნდა, საქმით თბილისის ადგილობრივი ორგანიზაცია მხოლოდ მეუმცირესეთა ორგანიზაცია შეიქმნა; მეუმრავლესენი ორგანიზაციაში გავხდით ნამდვილ გერებათ, და ჩვენი უფლებები ყოველ ფეხის ნაბიჯზე ითელებოდა. უნდობლობა ჩვენდამი მეუმცირესეების მხრით იმ ზომამდე მივიდა, რომ ჩვენ წინააღმდეგ ისინი უკავშირდებოდენ სოციალ-რევოლიუციონერებსაც კი, ოღონდ ჩვენ გავეშავებინეთ (მაგ., კავკასიის ჯარის წარმომადგენელთა სიზდი და სხვა). იმათ ვერ შესძლეს მხოლოდ ჩვენი ორგანოს „კავკაზსკი რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოჩის“ დატუქსვა ან სრულიად მოსპობა, თუმცა იერიშის მოტანა რამდენიმეჯერ სცადეს.

რამ გამოიწვია ასეთი ურთი-ერთობა ადგილობრივ ორგანიზაციაში მეუმცირესეთა და მეუმრავლესეთა შორის? ეს ძველი ისტორიაა. როგორც სჩანს, ამის გამოსწორება ჯერ-ჯერობით შეუძლებელია. მეუმცირესენი ამოუდგენ გვერდში ბურჟუაზიას, გამოაცხადეს ეს უკანასკნელი რევოლიუციის მამოძრავებელ ძალათ, როცა იგი ნამდვილად კონტრ-რევოლიუციონერია. გუჩკოვების და მილიუკოვების დროებითი მთავრობას იმათ სრული ნდობა გამოუცხადეს და დემოკრატიას ურჩიეს მას ფული მისცეს ავაზაკური და მტაცებლობითი ომის გასაგრძელებლათ: ამნაირათ გამოაცხადეს რა თავისი თავი „რევოლიუციონურ თავდამცველებათ“, მეუმცირესენი მხარს უჭერენ თვით ავაზაკურ ომს, თუმცა სიტყვით ომის წინააღმდეგი არიან. ყოველივე იმას, რაც ხელს უწყობს ომის გათავებას და რევოლიუციის განვითარებას, ისინი ეწინააღმდეგებიან; ისინი ეწინააღმდეგებიან ყველა მიწების გადასვლას დღესვე გლეხების ხელში, რომ ამით ავიცილოთ თავიდან ის ეკონომიური კატასტროფა, რაც თანდათან გვიახლოვდება სიმშილის სახით. ისინი ეწინააღმდეგებიან ორივე მეომარ მხარეების სალდათების დაძმობილებას ფრონტზე, რაც კლასობრივი ბრძოლის გაგრძელება და დამატებაა, ვინაიდან სალდათები იგივე მუშებია, რომლებიც შინელში გადაცმულები განაგრძობენ მუშაობას მძარცველ ავაზაკ-იმპერიალისტების სასარგებლოთ. მეუმცირესენი ეწინააღმდეგებიან იმას, რომ მთელი ძალა-უფლება სახელმწიფოში მუშების, სალდათების, გლეხების და სხ. დეპუტატების საბჭოების ხელში გადავიდეს, მაშინ, როცა სწორეთ ეს საბჭოები წარმოადგენენ დღეს რევოლიუციონური ხალხის თვითმმართველ ორგანოს. იმათ ვერ შეუგნიათ დღეევანდელი მომენტის მთელი მნიშვნელობა, იმათ გონიათ, რომ ჩვენ უბრალო ბურჟუაზიულ რევოლიუციას განვიცდით, რომელმაც სათავეში ბურჟუაზიული მთავრობა უნდა წამოასკუპოს, რისთვისაც პროლეტარიატმა და გაჭირვებულმა გლეხობამ მხოლოდ სისხლი უნდა ღვაროს; იმათ არ შეუძლიათ შეიგნონ, რომ თანამედროვე მომენტმა დღიურ წესრიგში წამოაყენა უკვე სოციალისტური რევოლიუცია, ამიტომ რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატია ვალდებულია გადადგას გაბედული ნაბიჯები სოციალიზმისაკენ. ერთი სიტყვით, მეუმცირესთა და მეუმრავლესეთა შორის განსხვავება რევოლიუციის თითქმის ყველა ძირითადი კითხვების შესახებ იმდენად გაღრმავდა, რომ ერთი ორგანიზაციის ჩარჩოებში არსებობა ყოვლად შეუძლებელი შეიქნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა ამისა, ამ ერთი თვის წინეთ პეტროდგრადში მოხდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციების საერთო კონფერენცია, რომელიც მოიწვია ცენტ. კომიტეტმა (მეუმარავლესთა კონფერენცია), ამ კონფერენციაზე გადაწყდა, რომ „რევოლიუციონურ თავდამცველებთან“ ერთ საერთო ორგანიზაციაში ყოფნა დასაშვები არ არის, რომ გაერთიანება შეიძლება მხოლოდ ინტერნაციონალისტ-მეუმცირესეებთან ერთად, რომლებიც „რევოლიუციონურ თავდამცველობას“ უარყოფენ.

მიიღო რა ყოველივე ეს თფილისელ მეუმრავლესეთა საზოგადო კრებამ თითქმის ერთხმად დაადგინა: დაუყონებლივ შეუდგეს მეუმრავლესთა საკუთარი პარტიული ორგანიზაციის შექმნას თფილისში და ოფიციალური ურთიერთობის დაჭერას პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან. ამავე კრებაზე თითქმის ერთხმათ მიღებულ იქნა თფილისის დროებითი კომიტეტის მიერ შემუშავებული „მიმართვა მუშებისადმი“, რომელსაც ჩვენ აქვე ვბეჭდავთ:

მიმართვა მუშებისადმი

ამხანაგებო მუშებო!

ორი უდიდესი, ერთი მეორის აშკარა მოწინააღმდეგე ფაქტორი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და ეკონომიურ სამეფნეო ცხოვრებისა ერთსა და იმავე დროს არსებობს, ომი და რევოლიუცია ერთსა და იმავე დროს სწარმოებს და ეს გარემოება ქმნის თანამედროვე მომენტს მეტად სერიოზულად.

ომი ამონავებს ხალხის მასას, რევოლიუცია ანთავისუფლებს მას. ომი ანადგურებს ქვეყნის საწარმოო ძალებს, რევოლიუცია ანვითარებს მათ და გამოყავს ისინი ახალ გზაზე, ომის წინასწარ რევოლიუციის დაღუპვაა და ბრძოლა მათ შორის, ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლო, არის ბრძოლა ძველისა და ახალი წყობილების შორის.

შეწყვეტა ომისა, რომელმაც დაღუპვის კარამდე მიიყვანა ყველა მეომარი ქვეყნები, შესაძლებელია მხოლოდ ინტერნაციონალურ საზღვრებში. ომის წინააღმდეგ მებრძოლი ძალის, რევოლიუციის გასამარჯვებლად საჭიროა, რომ რევოლიუცია გადავიდეს სხვა მეომარ ქვეყნებში, ნაციონალურიდან ის გახდეს ინტერ-ნაციონალური; საერთაშორისო ომის მოსპობა შეუძლია მხოლოდ საერთაშორისო რეროლიუციას.

დარაზმეა საზოგადოებრივი კლასებისა, რომლებიც ცხოვლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

არიან დაინტერესებული ამ ბრძოლის ამა თუ იმ შედეგში, არის დარაზმვა ერთთა ომის გარშემო და მეორეთა რევოლიუციის გარშემო.

ბურჟუაზია და ყველა გაბატონებული კლასები არიან მომხრე და არც შეიძლება არ იყვნენ მომხრე ომისა და წინააღმდეგნი რევოლიუციისა. პროლეტარიატი და ყველა დამონებული კლასები მომხრე არიან და მომხრე უნდა იყვნენ რევოლიუციისა და წინააღმდეგნი არიან ომისა. ორჭოფი მდგომარეობა, რომელიც ახასიათებს საშუალო კლასებს და რომელიც გამოიხატება იმაში, რომ ერთ და იმავე დროს იცავენ ომის და რევოლიუციის ინტერესებს, არის ან მოტყუება, შეგნებულად მიმართული პოლიტიკურად გაუნვითარებელი მაისის მოსაღორებლათ, რაც მთელათ ბურჟუაზიისათვის არის ხელსაყრელი, ან გონებრივი უილაჯობა, რომელიც შეძლებას არ აძლევს გაერკვიონ საშინაო და საერთაშორისო სიტუაციის რთულ მოვლენებში.

ბურჟუაზია ცდილობს თავის სასარგებლოდ გამოიყენოს შუაზე მდგომი ძალები, რომელიც ერთი ხელით რევოლიუციას ეპოტინებიან, მეორეთი ომს ჩასჭიდებიან და რომლებიც ცნობილი არიან „რევოლიუციონური თავდაცვის“ სახელწოდებით: ის ცდილობს დაემყაროს მათ და ამავე დროს ამზადებს რევოლიუციის დამარცხებას შიგნით.

ამავე მიზნით ის ცდილობს ადგილობრივ საზღვრებში შეაკავოს რევოლიუცია, რომ ის საზღვარ გარეთ არ გადავიდეს, ამავე დროს მჭიდროთ უკავშირდება საერთაშორისო ბურჟუაზიას და მასთან ერთად ამზადებს საერთაშორისო რეაქციას, რომ საბოლოოთ შემუსროს რევოლიუცია.

რევოლიუციის დაწყებიდანვე კონტრ-რევოლიუციონური იყო ბურჟუაზია და ახლა ის აშკარათ დგება საერთაშორისო რეაქციის გზაზე და ყოველი ღონით ამზადებს სამოქალაქო ომს სოციალისტური პროლეტარიატის წინააღმდეგ.

ომის გადამრთ მოწინააღმდეგე რევოლიუციონური პროლეტარიატი ცდილობს გაერკვიოს იმ ჯგუფებს, რომლებიც რევოლიუციონური თავდაცვის შეხედულებას იზიარებენ ომის ნამდვილი ხასიათი და რევოლიუციის მნიშვნელობა, რომ სამუდამოთ გააწყვეტინოს მათ კავშირი ბურჟუაზიასთან და საბოლოოთ მიემხრონ ისინი რევოლიუციას. ის ცდილობს მაქსიმუმამდე განავითაროს რევოლიუცია შიგნით და მის სრული გამარჯვებისათვის ევროპაშიაც გადაიტანოს იგი. საერთაშორისო რეაქციას ის ებრძვის საერთაშორისო რევოლიუციით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურჟუაზია ცდილობს შეინარჩუნოს თავისი პოლიტიკური და ეკონომიური ბატონობა და დაჩაგრული კლასები ძველებურად დამონებულ მდგომარეობაში ამყოფოს. პროლეტარიატი ამზადებს ძალებს, რომ შექმნას პირობები ამ ბატონობის დასამხობათ. ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ბრძოლა თანამედროვე ეპოქაში არის გაგრძელება საუკუნებრივი ბრძოლისა ამ მოწინააღმდეგე კლასთა შორის; ეს ბრძოლა გაამწვავა თანამედროვე მომენტმა და წამოაყენა იგი საბოლოოთ გადასაჭრელათ. ბრძოლის შედეგი საბედისწერო იქნება ერთ-ერთი მებრძოლი მხარისათვის. არავითარი მორიგება და შეთანხმება ამ კლასებისა არ შეიძლება.

ჩვენი პარტია, რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატიის პარტია, შეგნებულ მუშათა და უღარიბეს გლეხთა პარტია, თავის მიზნათ ისახავს დაიცვას პროლეტარიატის ინტერესები. ის მიდის რევოლიუციის პირდაპირი გზით, რომელიც მიმართულია ისტორიისაგან განწირულ ძველი დროისაგან ყველა ნაშთების სრული მოსპობისაკენ და მთელი სახელმწიფო წყობილების სრული დემოკრატიზაციისაკენ; ამავე დროს ის სწყვეტს მომენტის ყველა მნიშვნელოვან კითხვებს ისეთი ზომებით, რომლებიც ნამდვილათ უზრუნველყოფენ რევოლიუციონური ხალხის სრულ ბატონობას მუშების, სალდათების და გლეხების დეპუტატთა საბჭოების სახით, რევოლიუციონური დიქტატურა ხალხისა და რომელიც მჭიდროთ შეკავშირებულია თავიდან ბოლომდე, რაიცა შეუძლებლად ხდის მასზე ძალმომრეობას ვისიმე მხრით; ბატონობა იმ ხალხისა, რომელიც კაპიტალისტებისა და მემამულეების სურვილის წინააღმდეგ ახლავე უნდა სარგებლობდეს მთელი მიწით, რომელიც იღებს გადამჭრელ ზომებს ომის დაუყონებლივ შესაწყვეტათ, ამყარებს ნამდვილ კანტროლს წარმოებაზე იმ მიზნით, რომ დაიხსნას ქვეყანა აუცილებელი კატასტროფისაგან, რაიცა გამოწვეულია ეკონომიური არევ-დარევით — აი რას ესწრაფვის ჩვენი პარტია რევოლიუციის დღეევანდელ საფეხურზე, რათა გაამაგროს პროლეტარიატის პოზიცია სოციალიზმისთვის საბრძოლველათ.

მომენტი მეტად სერიოზიულია, მის მიერ წამოყენებულ საკითხების გადაჭრა მეტათ ძნელია და ეს გარემოება დაჟინებით მოითხოვს პროლეტარიატის და მისი პარტიის მჭიდრო შეკავშირების აუცილებლობას სოციალიზმის დროშის გარშემო, რომელიც გაანათებს ეკლიან და საძნელო გზას წმინდა პროლეტარული პოლიტიკის წარმოებისას, რომელიც თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარ ჭვრილ ბურჟუაზიულ რყევისაგან. გაუწია რა ამ გარემოებას ანგარიში, ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწვია 24-29 აპრილს 1917 წ. მთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის კონფერენცია რუსეთის სოციალ დემოკრატიული მუშათა პარტიისა, რომელიც წარმოადგენდა 80 ათასზე მეტ შეკავშირებულ პროლეტარებს. კონფერენციამ გადასჭრა მთელი რიგი რევოლიუციასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან კითხვებისა რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატიის თვალსაზრისით, ამაყათ აღმართა სოციალიზმის დროშა და უახლოეს მიზნათ დაისახა მეორე ინტერნაციონალის ნანგრევებზე, რომელიც ბურჟუაზიას დანებდა და დამორჩილდა,— შექმნას მესამე ინტერნაციონალი.

თბილისის ბალშევიკების საზოგადო კრებამ განიხილა კონფერენციის დადგენილებები და ერთხმათ მიიღო ისინი თავის მოქმედების სახელმძღვანელოთ.

აქედან წარმოსდგა საკითხი თფილისის გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციასთან დამოკიდებულების შესახებ.

თბილისის ორგანიზაციის უმრავლესობა[1]) იზიარებს მენშევიკ თავდამცველების თვალსაზრისს. მენშევიკები მხარს უჭერენ დროებით მთავრობას, რომელიც აქტიურად აწყობს კონტრრევოლიუციას და აწარმოებს თავდასხმელ იმპერიალისტურ ომს, ისინი მხარს უჭერენ ეგრეთ-წოდებულ თავისუფლების სესხს და ეწინააღმდეგებიან სალდათების დაძმობილებას ფრონტზე, ისინი ცდილობენ აღადგინონ ინტერნაციონალი არა ყველა იმპერიალისტებთან ყოველივე კავშირის გაწყვეტის ნიადაგზე, არამედ შეიდემანებთან ერთათ, რომელთაც ბურჟუაზიას მიყიდეს თავი.

ჩვენი პარტია იმ მიზნით, რომ დაიცვას პროლეტარიატი მისთვის უცხო გაელენისაგან, ვერავითარ დათმობის გზას ვერ დაადგება რევოლიუციონურ თავდამცველებთან და სწყეტს მათთან ყოველივე კავშირს.

ამის გამო კრებამ დაადგინა შესწყვიტოს კავშირი მენშევიკურ ორგანიზაციასთან, რომელიც იზიარებს რევოლიუციონურ თავდაცვის შეხედულებას, გამოიწვიოს იქედან ყველა ჩვენი თანამოაზრე—ბალშევიკები და შექმნას ცალკე სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, რომელიც სდგას რევოლიუციონურ სოციალ-დემოკრატიის თვალსაზრისზე.

ამასთანავე ჩვენ მოუწოდებთ ჩვენს ორგანიზაციაში მენშევიკ-ინტერნაციონალისტებს, რომელნიც იზიარებენ ინტერნაციონალისტ ამხ. მარტოვის თვალსაზრისს, იმ მარტოვისას, რომელსაც რენეგატობათ მიაჩნია პარტიულ და რევოლიუციონურ მოქმედების გაგრძელება მენშევიკ თავდამცველებთან ერთად. მთელ რუსეთში სწარმოებს გამოყოფა რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატიისა რევოლიუციო-

[1]) ე. ი. მენშევიკები. რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნურ თავდამცველებთაგან, რაც მჭიდროთ აერთებს მენშევიკ—ინ-ტერნაციონალისტებს (მარტოვი, ტროცკი, მარტინოვი) ბალშევიკებთან და არა ნაკლებ მჭიდროთ აკავშირებს მენშევიკ—თავდამცველებს ნაროდნიკ-თავდამცველებთან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ინტერნაციონა-ლისტებს ადგილი არ უნდა ქონდეთ ერთ ორგანიზაციებში მენშევიკ თავდამცველებთან. იმათ უნდა შეიგნონ მომენტის დიადი მნიშვნე-ლობა და სოციალიზმის ინტერებებისათვის, რევოლიუციის შეურ-ყველი განვითარების ინტერესებისათვის, უნდა საბოლოოთ გასწყვი-ტონ კავშირი თავდამცველებთან და ბალშევიკებთან ერთათ ხელი ხელ ჩაკიდებულმა საქმით გაამაგრონ ნამდვილი რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია.

გაუმარჯოს რევოლიუციონურ სოციალ-დემოკრატიას!
გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს!
გაუმარჯოს სოციალიზმს.

თბილისის კომიტეტი რ. ს. დ. მ. პ. (ბალშევიკებისა)
(„ბრძოლა“ № – 12. 12 ივნისი 1917 წ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე. ნინოშვილის ლიტერატურული მეგვიდრეობიდან.

(**ბიბლიოგრაფიო შენიშვნა**).

ის, რის შესახებაც ამ წერილში ჩვენ ვესაუბრებით მკითხველს, აუცილებლად მრავალის მხრივ არის საინტერესო; პირველ რიგში არ შეიძლება არ აღინიშნოს ის, რომ ჩვენში ჯერ კიდევ გამოფებული არის ისტორიულ და კულტურულ საქმეებისადმი ერთგვარი გულგრილობა, არასერიოზული მოპყრობა. ეს, რასაკვირველია, არ შეეხება ვიწრო წრეს სპეციალისტებისას, რომელთა ღვაწლი საისტორიო კვლევა-ძიების საქმეში საყოველთაოდ ცნობილია. მაგრამ დიდი ნაწილი ჩვენი „კვლევა-ძიებისა“ მაინც ვერ გასცილებია ჩვეულებრივ შაბლონს და მასთანვე მათი შრომა გულგრილობითა და არა სერიოზულობით ხასიათდება. მაშ, რით უნდა ავხსნათ, თუ არა გულგრილობით და საქმისადმი არასერიოზული მოპყრობით ის სამწუხარო ფაქტი, რომ **ე. ნინოშვილის** ერთ-ერთი პუბლიცისტური წერილი თითქმის ორმოცი წლის განმავლობაში დამახინჯებით და არა სრულად იბეჭდებოდა. სამწუხაროდ, ე. ნინოშვილმა ჩვენ დაგვიტოვა ორათ ორი პუბლიცისტურ-პოლემიკური წერილი და პირველი ამ წერილთაგანი თითქმის ერთი მეოთხედის გამოკლებით იბეჭდება. ეს აუცილებლად სამწუხარო მოვლენაა. ეგ. ნინოშვილის ნაწერების სრული კრებული რამდენჯერმე გამოიცა. პირველად იგი გამოსცა კ. თავართქილაძემ 1904 წ. მეორეთ—1920 წ. წერა-კითხვის საზოგადოებამ, ხოლო 1923 წელს სახელგამმა და წარმოიდგინეთ, ამ ხნის განმავლობაში არც ერთმა გამომცემლობამ არ მოიწადინა ნინოშვილის წერილები სისწორით შეედარებინათ ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილ „დედანთან“. ამ დაუდევრობამ ის მოგვცა, რომ ერთხელ შეცდომით გადმობეჭდილი პუბლიცისტური წერილი („ძველი დავა ახალ ქერქში“).ყველა გამოცემებში გადმობეჭდილი არის დიდი შეცდომებით და გამოკლებით. ეს წერილი თავდაპირველად „კვალშივე“ (იხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 32,1893 წ.) სრულად არის დაბეჭდილი ჟურნალის გვერდების არევის გამო და ამ გარემოებისათვის პირველ გადმომწერს არ მიუქცევია ყურადღება და თავიდანვე წერილიდან გამოტოვებული იქნა მისი საკმაო ნაწილი. ქვევით ჩვენ მთლიანად მოგვყავს ის ნაწილი წერილისა, რომელიც გამოტოვებული იყო და არის ცალკე გამოცემებში-

ე. ნინოშვილი იხილავს რა თაობათა ბრძოლის საკითხს რუსეთში, სწერს: „დიაღ, ეს შესანიშნავი პირები, რომლებსაც თავის დროზე ბევრი ვაი-ვაგლახი გადახდენიათ ძველი თაობისაგან, ახლა თითონ ჩავარდენ ახალ თაობის წინაღმდეგ (ამის ქვევით იწყება გამოტოვებული ადგილი):

„იმავე როლში, რომელშიაც მეორმოცე წლებში მათი მოწინააღმდეგე ძველი წესის მიმყოლნი იმყოფებოდენ. მათი კალმით დაიწერა მესამოცე წლებში ახალთაობის გასაკილავათ რომანები: „Взбаломученное море“, „Обрыв“, „Отцы и дети“. და სხვა ამისთანები: ახალი თაობა კი არ უშინდებოდა ძველი თაობის უბრალო პასკვილებს. ის მედგრად ადგა თავის მიერ ამორჩეულ გზას და ყურადღებასაც არ აქცევდა დაქვეითებული ძველი თაობის უსაფუძვლო საყვედურს, შიშსა და გოდებას.

მაგრამ რამდენსამე წელის შემდეგ რუსეთის ცხოვრების ჩარხი ახალთაობისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო სხვანაირად გადატრიალდა. ასე უცბად ცხოვრების ჩარხის შეტრიალება ადრე დაეტყო რუსეთის ახალგაზრდობასაც, ისე, როგორც სუსხიანი ქარის დაქროლვა დაეტყობა ნორჩ მცენარესთ. ის მესამოცე წლების შემდეგ აღზრდილი ახალთაობა ვეღარ გაჰყვა იმ გზას, რომელსაც ადგა მესამოცე წლების მოღვაწეები, როგორც უღონო, ინთქება რაღაც წვრილმან პრაქტიკულ საქმეებში და თან კიდევ ბრალსა სდებს მესამოცე წლების მოღვაწეებს: „იდეალისტები იყავით, ძლიერ მაღლა ფრინავდი“-ო.

აი, ამ მართლა და უძლურის, ახალგაზრდობის გასაღვიძებლად ისმის იმათი ხმა, ვინც მესამოცე წლებიდან კიდევ გადარჩენია სიკვდილს და სხვა ვარამს. ესენი იყვნენ და არიან სალტიკოვი, შელგუნოვი, ნ. მიხაილოვსკი და თითო-ოროლა კიდევ მათთანა გონება-ზნეობითი ბრწყინვალე პირები. ისინი კი, ვინც ახალთაობის დაცემის მიზეზნი არიან, კრინტსაც არ სძრავენ ახალთაობის გასაღვიძებლად, იმათი პირადი ინტერესებისათვის სასარგებლოც არის მხთალი მცონარა ახალთაობა, ამიტომ დიდ შეცდომებათ უნდა ჩაითვალოს იმისი თქმა: „თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალთაობის იდეალი მართლა დამცირებულია, დანაშაული მთლად ეკუთვნის იმათ, ვინც იმათ დამცირებაზე ჩივის“-ო.

როგორც რუსეთის ერთან ერთ უღელ ქვეშ მყოფს, მესამოცე წლების რუსეთის მოძრაობიდან ერთი ტალღა საქართველოსაც მოხვდა და გაჩნდა ჩვენშიაც ძველსა და ახალთაობას შორის დავა-საყვედური. იმ დროს თავისი გაიტანა ქართველმა ახალგაზრდობამ და დამარცხებული ძველი თაობა ადრე მიჩუმდა. დღეს აგივე მესამოცე წლების მოღვაწეები უჩივიან ქართველ ახალგაზრდობას —ვერ შვრებით ჩვენოდნობას, უნიჭონი ხართ და სხვა.

ამის პასუხად შარშან ერთი ახალთაობის წარმომადგენელი სწერდა, რომ თუ ჩვენ, ესე იგი ახალთაობა, მართლაც უვარგისნი ვართ, ბრალი თქვენ, მესამოცე წლების ქართველ მოღვაწეებს გედებათ, რადგანაც ჩვენ, ახალთაობა, თქვენი შვილი ვართ და როცა შვილი უვარგისი გამოვა, ვინ არის დანაშაული თუ არა მშობლებიო. ამ პასუხს მოჰყვა კითხვა მესამოცე წლების ერთი საუკეთესო წარმომადგენელისა:—რის ახალი თაობა? სად არის ჩვენში ახალი თაობა. ახალთაობა მაშინ ეთქმოდა, რომ რაიმე ახალი შემოეტანათ ცხოვრებაში, აზროვნება შიო. თორემ უამისოდ, ახალთაობა არ ეთქმისო, აბოლოვებდა თავის კითხვას ამ მოსაზრებით ავტორი. შესაძლებელია, მოიპოვებოდეს ჩვენში ისეთი გულ-უბრყვილო მკითხველი, რომელსაც ახალთაობის წარმომადგენელის პასუხი ეგონოს ძლიერ ლოდიკური და ჭეშმარიტი და ისეთიც, რომელსაც ახალთაობის უარყოფა შეუცილებელ ჭეშმარიტებად მიაჩნდეს. მე კი ჩემდა თავად, უნდა მოგახსენოთ: ვერ დავეთანხმები ვერც იმ მოსაზრებას, თითქო შვილის უვარგისობა ყოველ შემთხვევაში მშობლების ბრალი იყოს და ვერც ახალთაობის უარყოფას: შესაძლებელია მშობლებს თავის მხრივ ძლიერ გონივრულად და საუმჯობესო ჰიგიენური წესით ეზარდათ თავიანთი შვილი, მაგრამ მათგან დამოუკიდებელ გარემოებას მაინც დაეჯაბნებიოს მათი შვილი. ასეთ შემთხვევაში შვილის საყვედური მშობლებისადმი, ცოტა არ იყოს, სასაცილო არის. აბა რა პასუხია მიბრძანეთ: ჩვენ შვილები იმიტომ ვართ ჯაბანი, რომ თქვენ, მშობლები, კარგნი იყავითო... მეორეს მხრით, არ ვიცი ღმერთმანი, **რა საფუძველი აქვს იმ აზრს: თუ აზროვნებაში ახალი** არა შეუტანია რა, მაშ არც არსებობს ახალთაობაო. მაშ, ბატონებო, ვიზე ბრძანებთ, უნიჭონი არიან და სხვაო?! ან განა

შესაძლებელია ოცი-ოცდაათი წლის განმავლობაში რომელიმე ერს ახალთაობა არ გაჩენოდეს? განა მესამოცე წლების შემდეგ შედარებით არ იმატა მაღალი სასწავლებელნი სწავლა მიღებული ქართველი ახალგაზრდობის პროცენტებმა? არა, ბატონნო, ყოველად უსაფუძვლოა ასეთი უარის ყოფა, ესე იგი, უარის ყოფა ჩვენში ახალთაობისა. მხოლოდ ის კი მართალია, რომ ამ უკანასკნელ წლებში იმავე გარემოებამ, რომელმაც რუსეთის ახლანდელ ახალგაზრდობას ფრთა შეკვეცა, ქართველ ახალთაობაზედაც იქონია გავლენა.

ჩვენს ქვეყანაშიაც ძლიერ დაეტყო ახალთაობას უიდეალობა და დაწვრიმალება. აი, ამ მხრივ დიაღაც საფუძვლიანია მესამოცე წლების მოღვაწეების ჩივილი ახალთაობის უიდეალობაზე და დაწვრიმალებაზე.

მაგრამ იმისი კი რა მოგახსენოთ, თუ რამდენად საფუძვლიანია კერძოთ ბ. მეველის აზრი ამ საგანზედ, ან ის რჩევა-დარიგება, რომელსაც ბ. მეველე აძლევს ქართველ განათლებულ ახალთაობას. ბ. მეველე გვეუბნება: „ახალთაობის მიმართ საყვედურს თუ რაიმე საფუძველი აქვს მოსკოვსა და პეტერბურგში, იგივე საფუძველი უნდა ჰქონდეს ქუთაისსა და თბილისშიაც, რადგან ჩვენი განათლებული ახალ (ამის შემდეგ ტექსტის ადგილები ცნობილია და იგი გრძელდება შემდეგნაირად: „გაზრდა, არა, როგორც რუსეთისაც. ერთსა და იმავე სასწავლებელში სწავლობს და ერთისა და იმავე პროფესორების ხელმძღვანელობით იძენს მეცნიერებას“).

აი ასე ვრცელი და საყურადღებო ადგილი ე. ნინოშვილის პირველ პუბლიცისტურ ნაწერიდან დაკარგული იყო მკითხველ საზოგადოებისათვის. ჩვენ იმისთვის მოვიყვანეთ ეს ტექსტი, რომ ე. ნინოშვილის ნაწერების შემდეგმა გამომცემლობამ არსებითი ყურადღება იაქციოს მას და აღადგინოს წერილი მთელი თავისი სრული სახით.

სიმონ ხუნდაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პარტისის განყოფილებათა გამგეების საკავშირო თათბირი.

ამ შვიდი წლის წინად ამხ. მ. სტ. ოლმინსკი სწერდა: „ერთი უდიდესი რევოლიუციათაგანი, ჯერ-ჯერობით მხოლოდ ნაციონალური, მაგრამ რომელსაც ყველა შანსები აქვს, რომ გადაიქცეს მსოფლიო რევოლიუციად, ბევრ თაობათა გულდასმით შესწავლისა და ყურადღების ღირსი იქნება. სამარცხვინო იქნებოდა, რომ ჩვენ, ამ რევოლიუციის მონაწილეთ და მომსწრეთ, ზომები არ მიგვეღო იმ სტიქიის წინააღმდეგ, რომელიც განადგურებით ემუქრება ამ რევოლიუციის შესასწავლ წყაროებს, რომლებიც (წყაროები) ჯერ კიდევ არ დაღუპულა მათ ცოცხალ მატარებლებთან ერთად (პირადი შთაბეჭდილებანი და განცდანი, რომელნიც თანამედროვეთ ჯერ კიდევ თვალწინ უდგათ როგორც გავლილი ბრძოლის სურათი); ჯერ კიდევ ეს წყაროები დასაწვავ მასალად არ გაუხმარიათ როგორც ძველი, ჭუჭყიანი ქაღალდი.

აი როგორ იდგა მაშინ საკითხი.

და ამას წინად დასრულებულ საკავშირო თათბირზე არ ჩივოდენ მოგონებათა სიმცირეზე, იმაზე, რომ ამხანაგებს არ სურთ წერა. პირიქით, ამ ყრილობაზე ორატორები მოუწოდებდენ ბრძოლა ეწარმოებიათ მეტად გავრცელებულ სამემუარო ლიტერატურის წინააღმდეგ.

ექვსი წლის წინად დიდის წვალებით ეყრებოდა საფუძველი პარტისის ბიუროთა პირველ უჯრედებს. პარტისს ისე უცქეროდენ, როგორც „სამეცნიერო კომისიას, რომლის მთავარი ამოცანაა—მასალების დამუშავება, მათი გამოცემა, პროლეტარიატის პარტიის და პროლეტარული რევოლიუციის შედგენა“. (იხ. ამხ. ადორატსკის მოხსენება საარქივო მომუშაევთა კონფერენციის პარტისის სექციაში). ერთი მთავარი ლოზუნგთაგანი, რომელიც ს. კ. პ. (ბ) ც. კ. პარტისის განყოფილების ახლანდელმა გამგემ გადმოისროლა, იყო პარტისის მუშაობაში აკადემიზმის წინააღმდეგ ბრძოლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართალია უკანასკნელ თათბირზედაც მოისმოდა მრავალი ნაყვედური, რომ საკმაო ყურადღება არ ექცევა პარტიისს განყოფილებათა მუშაობას, რომ პარტიისები უკანა რიგში არიან მოქცეულნი, რომ საკმაოდ არ არიან კვალიფიციური მომუშავენი და სხ., მაგრამ საკმაოა გადაფურცლოთ წინა თათბირთა ოქმები, რომ დარწმუნდეთ იმაში, თუ როგორ გაიზარდა პარტიისს მუშაობა და გავიგოთ მე-IV თათბირის მუშაობის ნამდვილი მნიშვნელობა ისტორიაში.

თათბირის გახსნისას ს. კ. ბ. (ბ) ც. კ. პარტიისს გამგე ამხ. ს. ი. გუსევმა აღნიშნა კავშირის უქონლობა პარტიისს მუშაობასა და პარტიის თანამედროვე მუშაობა-ბრძოლის შორის:

„ჩვენი პარტია,—ამბობდა ამხ. გუსევი—ის პარტიაა, რომელსაც... აქვს ყველაზე მდიდარი, უდიდესი რევოლიუციონური გამოცდილება, რაც არ მოიპოვება სხვა კომპარტიებს. ჩვენ შეგვიძლო ამ რევოლიუციონურ გამოცდილების გამოფენა უცხოეთის მუშებისა და დასავლეთის კომუნისტური პარტიების წინაშე. განა ჩვენ ასე ვიქცევით? ჯერ-ჯერობით ჩვენ ძლიერ ცოტა გაგვიკეთებია ამისათვის, რომ ჩვენი რევოლიუციონური გამოცდილება გადაგვეტანა დასავლეთში იმ უდიდეს ბრძოლაში გამოსაყენებლათ, რომელიც წინ უდგას დასავლეთ-ევროპის პროლეტარიატს და აგრეთვე მუშურ-გლეხურ მასებს კოლონიებში. ამის გამო, რომ საერთაშორისო რევოლიუცია ახალს ძალებს იკრებს, რომ ჩვენს კავშირს ახალი ინტერვენციით ემუქრებიან, პარტიისს საერთაშორისო მასშტაბით მუშაობა პირველ რიგში დგება“.

პარტისთა განყოფილებებისათვის არა ნაკლებ საყურადღებო ამოცანას შეადგენს მოზარდი მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის ლენინურათ აღზრდა. ამ მხრით განსაკუთრებით ცუდათაა საქმე კავშირის იმ რესპუბლიკებში, სადაც არ მოიპოვება ძველი რევოლიუციონური კადრები, არ არის ცოტად თუ ბევრად მრავალწლოვანი რევოლიუციონური ბრძოლის მტკიცე ტრადიციები.

„თუ რ. ს. ფ. ს. რ., უკრაინაში და კავკასიაში, სადაც უკვე დიდი ხანია არსებობს ჩვენი პარტია — ნათქვამია ამხ. გუსევის რეზოლიუციაში,—რევოლიუციონური ტრადიციების გადაცემა ახლანდელი თაობისათვის ადვილი ხდება იმის გამო, რომ ამ ტრადიციებს მაგრად აქვს ფესვები გადგმული, სხვა ნაციონალურ რესპუბლიკებში კი რევოლიუციონური ტრადიციები გაცილებით სუსტია; ამიტომ ამ რესპუბლიკებში საჭიროა ახალგაზრდობის აღსაზრდელად რევოლიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციონური წარსულის შესწავლა—სამი რევოლიუციის და ჩვენი პარტიის ისტორიის გმირული პერიოდებისა და ეპიზოდების შესწავლა".

პარტისის განყოფილებათა მუშაობის პარტიის მიმდინარე ამოცანებთან დაკავშირება უნდა ხდებოდეს სხვა მიმართულებით. რევოლიუციონური მოძრაობის და პირველ რიგში პარტიის ისტორიის შესწავლას თავის მიზნად უნდა ჰქონდეს დასახული არა მარტო ამა თუ იმ ისტორიული ფაქტების მეცნიერულად აღწერა და ახსნა. ამ შესწავლამ უნდა მოგვცეს თანამედროვე სინამდვილის შესაცნობათ გასაღები.

„მარქსიზმი დოგმა არ არის, არამედ—სახელმძღვანელოა მოქმედებისათვის. მარქსისტული ისტორიის მიზანია საზოგადოებრივ მოვლენათა არა მარტო მეცნიერული ახსნა, არამედ სწორი გზის ჩვენება სოციალურ-ეკონომიურ დამოკიდებულებათა შესაცვლელად, სოციალისტური მშენებლობის გასამარჯვებლათ.

კომპარტიის ახლანდელი ბრძოლა სხვადასხვა გვარი გადახრებით ლენინური გზიდან პარტიაშ აშკარა მაჩვენებელია, რომ ეს გადახრები თავიანთი ფესვებით მომდინარეობენ პარტიის ისტორიის სიღრმედან, მისი ძველი ბრძოლიდან წვრილ-ბურჟუაზიულ მიმდინარეობებთან, რომელნიც სოციალისტურ სამოსელში ეხვევიან.

„აიღეთ თუ გინდ მაგალითისათვის „რაბოჩედელცები"—ამბობდა უკანასკნელ თათბირზე ამხ. გუსიევი,—აიღეთ საკითხი პროლეტარიატის გეგემონიის შესახებ რუსეთის რევოლიუციაში, რომელიც (საკითხი) ბრძოლის საგანი იყო „ისკრელებსა" და „რაბოჩედელცებს" შორის. ახლა ეს დავა ჩვენ გვეხატება ახალის სახით, ახლა ჩვენ ვამჩნევთ, რომ ამ დავას კავშირი აქვს ოპოზიციის მიერ საკითხის დაყენებასთან პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ ამ დიქტატურის არსებობის მეათე წელში".

სწავლობენ რა წარსულს, პარტისის განყოფილებებმა ეს წარსული უნდა დაუკავშირონ აწმყოს და უნდა დაეხმარონ პარტიას დღევანდელ ბრძოლაში. ასეთია ერთი საყურადღებო დასკვნათაგანი, რომელსაც დაადგა თავის მუშაობის დროს საკავშირო მე IV თათბირი.

პრაქტიკული ღონისძიებების სახით ამ მიმართულებით თათბირმა მიიღო მთელი რიგი დადგენილებები, რათა მუდმივი კავშირი იყოს დაცული პარტიის როგორც შინაურ, ისე საერთაშორისო მუშაობაში.

როცა ათვალიერებთ წინა თათბირების ოქმებს, რწმუნდებით იმაში, რომ საკითხი კავშირის შესახებ წარსულსა და აწმყოს შო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის პარტისის მუშაობაში წინათაც იყო აღძრული. ასე მაგ., „პროლეტ. რევოლ.“ პირველ №№--ჩვენ ენახულობთ პროგრამას განმარტებითი ბარათითურთ რუსეთის რევოლიუციის ისტორიის სწავლების შესახებ საგუბ. საბ. პარტსკოლებში. ამ კავშირმა თავისი გამოხატულება ჰპოვა „პროლეტ. რევოლ.“ მთელ რიგ სტატიებში და გამოცემათა მთელ რიგ ტომებში სათაურით -„რევოლიუცია და საკ. კომ. პარ. (ბ).“ და სხ.

მაგრამ ყველაფერი ეს შემთხვევით ხასიათს ატარებდა. და მხოლოდ უკანასკნელმა თათბირმა პარტისთა მუშაობა დაუკავშირა პარტიის მთელ მუშაობას და მის ბრძოლას. ამიტომ როგორც ამხ. გუსევის მოხსენებაში, ისე ადგილობრივ პარტისთა წარმომადგენლების სიტყვებში აღნიშნული იყო დღემდე არსებულ აკადემიურ კარჩაკეტილობაზე პარტისის მუშაობაში.

ამ კარჩაკეტილობას, რა თქმა უნდა, თავისი ახსნა მოენახება პარტისის მუშაობის განვითარებაში, პარტისებს დიდი ხანია (ზოგიერთ ალაგას ვგონებთ ახლაც კი) ბრძოლის წარმოება უხდებათ არსებობისათვის. მათთვის ჯერ საჭირო იყო თვითგამორკვევა.

და შემთხვევითი არ არის, რომ პარტისს ისე უკქერიან, როგორც ჩვენ დავინახეთ ზემოდ მოყვანილ ამხ· ადორატსკის სიტყვიდან, როგორც „სამეცნიერო კომისიას“.

მაგრამ დროთა მსვლელობას, თვით ცხოვრების ლოღიკას უნდა გაენთავისუფლებია პარტისი კარჩაკეტილობისაგან. მოწოდება ამის შესახებ უკვე გაისმოდა წინანდელ თათბირებზე. თვით მუშაობის პრაქტიკაც უკვე დიდი ხანია პარტისებს აყენებს ისეთ გზაზე, სადაც უნდა მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივობის ფართე ფენებმა სხვა და სხვა დამხმარე წრეების, ქალთა, წითელ-არმიელთა და სხ. სექციების სახით, ფაბრიკა-ქარხნების კომისიების სახით არალეგალურ მუშათაგან და სხ.

მეოთხე საკავშირო თათბირი ამ საკითხს გულდასმით შეეხო. ამხ. გუსევმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ პარტისებს არ უნდა ჰქონდეთ იმის იმედი, რომ პარტისში მომუშავეთა კადრი მომზადდება, რადგანაც პარტიულ უმაღ. სასწ. დამთავრებულნი საკმარისი არ არიან პარტიული და საბჭოთა მუშაობის სხვა დარგებში. ამიტომ მისი აზრით პარტისებმა მუშაობაში მონაწილეობა უნდა მიაღებინოს ფართო საზოგადოებრივობას.

„ბევრია ისეთი ორგანიზაციები,—სთქვა მან,—„რომელთა დახმარება პარტისის მუშაობაში შესაძლებელი იქნებოდა დამხმარე წრეების სახით. ზოგიერთ ალაგას ეს უკვე ასეც ხდება და ეს პრაქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიკა უნდა გაფართოვებულ იქნას. პარტისი ყველაზე ნაკლებათ არის ისეთი დაწესებულება, რომლის მუშაობის დაყენებაც შესაძლებელი იქნებოდა ბიუროკრატიული მეთოდით. აქ ყველაზე მეტი ყურადღება უნდა იმას მიექცეს, რომ ბიუროკრატიული ხაზიდან მუშაობა გადატანილ იქნას საზოგადოებრივ ხაზზე, მონაწილეობა მიიღებინოთ იმ საზოგადოებრივ ძალებს, რომლებიც იმყოფებიან ამა თუ იმ პარტისთა გავლენის ქვეშ".

ეს დებულება შეტანილ იქნა იმ რეზოლიუციაში, რომელიც მიღებულ იქნა ამხ. გუსევის მოხსენების თანახმად.

დანარჩენი საყურადღებო საკითხები იყო თათბირზე ისინი, რომლებიც დაკავშირებულია ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლისთავთან.

ამ საკითხების გარშემო პარტისები დიდი ხანია მუშაობენ, მაგრამ მთელი რიგი მიზეზების გამო სამზადისი იუბილეისათვის პარტისის მუშაობის დარგში, როგორც გამოირკვა, დიდათ არ წაწეულა წინ. 1926 წლის დასაწყისში შემუშავებული სქემა ოქტომბრის რევოლიუციის ისტორიის მასალების დასამუშავებლათ იმდენათ ვრცელი აღმოჩნდა, რომ მათ შესრულებას პარტისები დღევანდელ შესაძლებლობაში მოახერხებდენ მთელი რიგი წლების განმავლობაში.

ამიტომ თათბირის წინაშე დადგა საკითხი ამ გეგმის რაც შეიძლება შემცირების შესახებ, რასაც უკარნახებდა მას საშუალებათა და ძალთა ეკონომიის აუცილებლობა.

მეორე მხრით საჭირო იყო იმ გამოცდილებით სარგებლობა, რომელიც წარსულიდან გვქონდა 1905 წ. რევოლიუციის საიუბილეო გამოცემათა სახით. ეს გამოცდილება ვერ გამოდგა სავსებით ხელსაყრელი. წიგნის ბაზარზე გამოტანილ იქნა 1905 წ. დიდძალი გამოცემანი, მასთან დიდი ნაწილი ამ გამოცემათა მდარე ხარისხისა იყო და მიუხედავათ იმისა, რომ 1905 წლის რევოლიუციის იუბილეს გადახდიდან გავიდა დიდი ხანი, 50 % წინანდელი პროგრამისა მაინც არ არის შესრულებული, დიდძალი ლიტერატურული ნაშრომის ჯერ ბეჭდვაც კი არ დაუწყიათ.

ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლისთვის იუბილეს მომზადების შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში ამხ. საველიევმა აღნიშნა, რომ აუცილებელია დღესასწაულის ჩატარების დროს დაიკულ იქნას საშვალებათა სასტიკი ეკონომიაო. ლიტერატურული გეგმა უნდა შემცირებულ იქნას მაკულატურას (ბეჭდვის დროს გაფუჭებული ქაღალდი) ადგილი არ უნდა ქონდეს პარტისის გამოცემათა შორის.

პარტისებმა უნდა მოგვცენ სამეცნიერო კვლევითი ლიტერა-

ტურა, რაც დამყარებული უნდა იყოს ფაქტებისა და დოკუმენტების ზედმიწევნით შემოწმებაზე.

ამას გარდა არ უნდა იქნას დავიწყებული, რომ საშუალება და დრო შეკვეცილი პროგრამისთვისაც კი მეტად მცირეა. ამიტომ უნდა ვეცადოთ, რომ შევქმნათ ნათელი, ჩამოყალიბებული სურათი ჩვენი რევოლიუციის მხოლოდ პირველი პერიოდისა, ნახტომები არ უნდა გავაკეთოთ, შეუძლებელის შესრულებას ხელი არ უნდა მოვჰკიდოთ.

ამასთან ერთად იუბილეისთვის უნდა აუცილებლათ დამზადდეს კარგი ხარისხის სააგიტაციო-პოპულიარული ლიტერატურა.

„ეს მეორე ამოცანა,—სთქვა თავის მოხსენებაში ამხ. საველიევმა,—უეჭველად ნაკლებათ ეხება ჩვენს საპარტიისო მუშაობას, მაგრამ მიუხედავათ ამისა, პოპულიარული ლიტერატურის ჩვენი პერსპექტივიდან სრულიად გამოშვება შეუძლებელია, პარტიისები ბუნებრივი ცენტრებია ადგილებზე, რომელთაც უნდა იკისრონ ხელმძღვანელი როლი ოქტომბრისათვის ლიტერატურის მომზადების საქმეში. უნდა პირდაპირ ითქვას—უკეთესია ცოტა, ნათელი პოპულიარული ბროშიურა, უკეთესია საკითხის ნათელი, მებრძოლი გაშუქება, რაც მისაწვდომი იქნება ფართე მასებისთვის, ვიდრე რომელიმე მსხვილტანიანი მონოგრაფიები, არა საკმაოდ დამუშავებულნი, გავსილნი ნედლი შეუმოწმებელი, ერთმანეთთან დაუკავშირებელი მასალით“.

ისე, როგორც ამხ. გუსევმა, ამხ. საველიევმაც ხაზი გაუსვა ოქტომბრის რევოლიუციის მასალების ლიტერატურულ-ისტორიულ დამუშავებაში კავშირის ქონას პარტიის ახლანდელ ბრძოლასთან. „ჩვენი პარტია მუშაობს ისეთ პირობებში, როცა წვრილ-ბურჟუაზიული გავლენა თავს იჩენს ამა თუ იმ პარტიულ ნაწილში. მომავალი ოქტომბრის დღესასწაული იმავე დროს უნდა იყოს მებრძოლ ძალთა დათვალიერება და ის ლიტერატურა, რომელსაც ჩვენ ვამზადებთ ოქტომბრისათვის,—უნდა შეადგენდეს ჩვენთვის გონებრივ საზრდოს, რითაც ჩვენ უნდა შევიარაღდეთ.

პარტისების კვლევითი მუშაობა, მით უმეტეს პოპულიარული ლიტერატურა, რომელიც პარტისის მარკით გამოდის, უნდა შეიცავდეს ოქტომბრის ამბების ლენინურ გაშუქებას. ამ თვალსაზრისით უნდა იქნას გაშუქებული ყველა განხრანი და რეკვა, რომელთანაც საქმე გექნებათ თემისა და მოვლენის დამუშავების დროს“.

დასასრულ საველიევმა გააცნო თათბირს საქ. კომ. პარ. (ბ) პარტისის და ადგილობრივ პარტისების ლიტერატურული მუშაობის გეგმა ოქტომბერთან დაკავშირებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულისათვის მზადების საკითხს ეხებოდა თავის მოხსენებაში ამხ. მაკსაკოვი, რომელმაც ერთ მოხსენებაში შეაერთა თათბირის დღის წესრიგში დაყენებული ორი თემა:

მოხსენება მასალების შეგროვებისა ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით და მოხსენება ადგილებზე მთლიანი პარტარქივის შექმნის შესახებ.

გამოსთქვა რა ის აზრი, რომ ახლანდელი ჩვენი ისტორიკოსების მთავარი ამოცანა მდგომარეობს ოქტომბრის მომავალი ისტორიისთვის მასალების შეგროვება-შერჩევაში, რომელიც (ისტორია) დაიწერება „არა დღეს და არა ხვალ",—ამხ. მაკსაკოვი ვრცლად შეჩერდა ოქტომბრის რევოლიუციის საარქივო ფონდების მდგომარეობაზე. მასალების მთავარი მასა, რაც საჭიროა ოქტომბრის რევოლიუციის შესასწავლად, იმყოფება რ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიაზე. ამ მასალების შეგროვების დასაწყისი მჭიდროთ არის დაკავშირებული თვით პარტისების მუშაობის დასაწყისთან.

მიუხედავათ იმისა, რომ ამ ჟამად მასალების დიდი ნაწილი შეგროვილია, მაინც უნდა აღიარებულ იქნას, რომ ბევრი მეტად ძვირფასი მასალა ჯერ კიდევ აღმოჩენილი არ არის ან სრულიად დაკარგულია. მაგ. მასალები მუშათა მოძრაობის შესახებ 1914-1916 წ. წ. პერიოდისა, გარდა ჟანდარმთა არქივებისა, არ მოიპოვება. მხოლოდ უკანასკნელ ხანებში ზოგიერთ ალაგას აღმოჩნდა საქარხნო ინსპექციის მასალები. უნდა გულდასმით იქნას გამოკვლეული საქარხნო-საფაბრიკო არქივები. როცა ამ ჟამად ლენინგრადში შეუდგენ ამ მასალების გამოკვლევას, გამოირკვა, რომ ისინი მეტად უმეფდო მდგომარეობაშია.

1917 წ. მასალები ფაბ. ქარხ. კომიტეტებისა ყველა მკვლევარისთვის არის ძვირფასი. იგივე შეიძლება ითქვას იმ მასალების შესახებ, რომლებიც ეხება წითელ გვარდიის მოწყობას. საჭიროა ამ მასალათა მეტი წილი მოიძებნოს. მოსკოვის მახლობლათ, ერთ ქარხანაში, ამას წინად იპოვნეს ისეთი მასალა, რომელიც უშუალოდ ეხება ოქტომბრის ისტორიას. ეს მასალაა შტაბის ბრძანებები მოსკოვიდან, პასუხები, იარაღის, რაზმელების სიები და სხ. მეტად ცოტა მასალა მოგვეპოვება სამხედრო რევოლიუციონური კომიტეტების გუბერმასკომების და სხ.

შემდეგ ვრცლად აღნიშნა ამხ. მაკსაკოვმა, თუ სად შეიძლება ჯერ კიდევ აღმოფჩენილი არქივების პოვნა ოქტომბრის რევოლიუციის შესახებ, შეეხო მთლიანი პარტარქივის საკითხს. მის მიერ წა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოყენებული დებულებები მსჯელობის შემდეგ თათბირმი მიიღო, რაც შეტანილ იქნა პარტარქივების შესახებ გამოტანილ განსაკუთრებულ რეზოლიუციაში.

ამხ. ვოლკოვიჩერის მოხსენების მთავარი თემა იყო ძნელი, ჯერ კიდევ მარქსისტულ ლიტერატურაში ნაკლებათ გარკვეული საკითხი მასალების მეცნიერულად დამუშავების შესახებ. გამოდიოდა რა ისტორიული მატერიალიზმის ძირითადი პრინციპებისაგან, მომხსენებელმა გამოარკვია მასალების სხვადასხვა ტიპები და წამოაყენა მთელი რიგი პრაქტიკული წინადადებები, თუ როგორ უნდა ისარგებლონ ამ მასალებით სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის.

ყველა ამ მოხსენებათა გარშემო გაჩაღდა ცოცხალი კამათი, სადაც გამოჩნდა მიუხედავათ ნაკლისა, პარტისების მუშაობის ზრდა ადგილებზე. ორატორები ავსებდენ მომხსენებელთა თეზისებს, ვრცლად ჩერდებოდენ მუშაობის ნაკლზე, როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური პარტისისა; მათ შემოიტანეს მთელი რიგი კონკრეტიული წინადადებები, რაც შემდეგ საკ. კომ. პარ. (ბ) ც. კ. პარტისის წინადადების" თანახმად შეტანილ იქნა რეზოლიუციაში შესწორების სახით.

თათბირის მიერ არჩეულმა კომისიამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის იუბილესთან დაკავშირებული საკითხების დამუშავება, მოისმინა მოხსენებები: 1) მასალათა დამუშავების საერთო სქემის და ოქტომბრის რევოლიუციის ნარკვევის მომზადების შესახებ, 2) ადგილობრივი პარტისების გამოცემათა ტიპის შესახებ ოქტომბრის რევოლიუციის ისტორიიდან, 3) ლიტერატურულ გამოცემათა რაოდენობა ოქტომბრის 10 წლისთავისათვის, 4) პარტისების მონაწილეობის შესახებ ოქტომბრის რევოლიუციის მასიურ პროპაგანდაში. ამას გარდა თათბირის მიერ მიღებულ იქნა რეზოლიუციები: 1) პარტისთა მორიგ ამოცანებზე (ამხ. გუსევის მოხსენებით), 2) მასალების შეგროვებაზე (ამხ. მასაკოვის მოხსენებით) 3) პარტარქივებზე, 4) სარევოლიუციო მუზეუმების მშენებლობაზე (მიცკევიჩის და რომანოვსკაიას მოხსენებით) და 5) რევოლიუციონური მოძრაობის ძეგლების აღრიცხვაზე (დრუჟინინის მოხსენებით).

თათბირზე მონაწილეობდა 64 დელეგატი გადამწყვეტი ხმით (წინანდელ თათბირზე 26-27 მაისს 1924 წელს იყო 20 კაცი).

პარტისის ზოგიერთი მუშაკნი ხშირად გამოსთქვამენ უკმაყოფილებას პარტისის მუშაობის ტემპის განვითარებით, მათი ნაკლითა და მათი ძმინე მდგომარეობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაკვირველია, ნაკლი ჩვენს მუშაობაში არის. მაგრამ საკმარისია მოვიგონოთ პარტისთა ისტორიის არა ხანგრძლივი ცხოვრება, საკმაოა შეადაროთ მე-IV სრულიად საკავშირო თათბირი წინანდელს, რათა დარწმუნდეთ იმაში, რომ პარტისის მუშაობა განუხრელად ვითარდება როგორც სიფართოვით, ისე სიღრმით.

ა. სტანჩინსკი.

საკავშირო პარტისთა გამგეების მე-IV თათბირი.

(4—8 იანვარი 1927 წ.)

თათბირის მიერ მიღებული **რეზოლიუციები**, დამტკიცებული საკ. კომ. პ. (ბ) ც. კ. პარტისის მიერ.

I

პარტისის მორიგი ამოცანები.

(ამხ. ს. ი. გუსევის მოხსენება).

საერთო დებულებანი.

მოახლოვებული ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის იუბილე პარტისს ავალებს ახლო ხანაში თავი მოუყაროს თავის ძალებს ამ იუბილეს მოსამზადებლათ და ჩასტარებლათ.

ამას წინად ჩატარებულ 1905 წლის რევოლიუციის 20 წლის იუბილეისთან ერთად, როცა პარტისმა მოახდინა მთელი თავისი ლიტერატურული ძალების მობილიზაცია მის მოსამზადებლათ, ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის იუბილე განსაკუთრებით მოითხოვს პარტისისაგან აუცილებლათ დაუკავშიროს შემდეგი თავისი მეცნიერულ—ძიებითი მუშაობა საკ. კ. პ. (ბ) მიმდინარე პოლიტიკურ მუშაობას და გამოიყენოს ჩვენი რევოლიუციონური წარსული რევოლიუციონური აწმყოსთვის.

განსაკუთრებით საყურადღებოა ჩვენი რევოლიუციონური წარსულის გამოყენება მუშათა ახალი ფენების აღსაზრდელათ. ამას გარდა პარტისმა თავის მუშაობაში დახმარება უნდა გაუწიოს ახ. კომ. კავშ. ისტორიის შესწავლის საქმეს, რათა ამნარათ გავლენა იქონიოს ახალგაზრდობის რევოლიუციონურად აღზრდაზე, რომელიც ამ ჟამად იზრდება სამეურნეო მშენებლობის მშვიდობიან პირობებში. თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ. ს. ფ. ს. რ. და უკრაინაში, აგრეთვე კავკასიაში, სადაც დიდი ხანია ჩვენი პარტია არსებობს, რევოლიუციონური ტრადიციების გადაცემა ადვილდება ახლანდელი თაობისათვის უმთავრესად ამ ტრადიციების სიმტკიცით, სხვა ნაციონალურ რესპუბლიკებში რევოლიუციონური ტრადიციები გაცილებით სუსტია, ამიტომ ამ რესპუბლიკებში ახალგაზრდობის აღსაზრდელათ განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ჩვენი რევოლიუციონური წარსულის შესწავლას, სამი რევოლიუციის გმირულ პერიოდებს და ეპიზოდებს და ჩვენი პარტიის ისტორიას.

ს. ს. რ. კავშირის სოციალისტური მშენებლობის ზრდა და მუშებსა და გლეხებს შორის კავშირის განმტკიცება ყოველ წლობით აძლიერებს ჩვენი პარტიის საერთაშორისო მნიშვნელობას და ამაღლებს მის როლს საერთაშორისო რევოლიუციის მომზადების საქმეში. ამიტომ პარტიისა ამოცანას შეადგენს შეაგროვოს და გადასცეს სხვა ქვეყნის მუშებს, აგრეთვე იმ ხალხებს, რომელნიც იწყებენ ან დაწყებული აქვთ რევოლიუციონური ბრძოლა და იმყოფებიან იმპერიალისტურ მონობაში, ს. ს. რ. კავშირის მდიდარი რევოლიუციონური გამოცდილება, რაც დახმარებას გაუწევდა მძიმე ბრძოლაში.

პარტიისის მუშაობის პარტიის როგორც შინაურ, ისე საერთაშორისო მუშაობასთან დაკავშირების მიზნით პირველ რიგში აუცილებელია: ა) შემოღებულ იქნას რეგულიარულად უჯრედებში და აგრეთვე უჯრედთა მდივნების კრებებზე მოხსენებების გაკეთება პარტიისის მუშაობის შესახებ. ბ) შევუდგეთ იაფ-ფასიანი პოპულიარული ბროშიურების დამზადებას გამოსაცემად ს. რ. ს. კომ (ბ) ისტორიაზე და რუსეთის სამ რევოლიუციაზე იმ მიზნით, რომ ისინი გადათარგმნილ იქნან ნაციონალური რესპუბლიკების ენებზე, აგრეთვე უცხო ენებზე; ეს მუშაობა უნდა შეთანხმებული იქნას ს. ს. კ. (ბ) და კომინტერნის სათანადო ორგანოებთან, 3) დამზადებულ იქნას პოპულიარული ბროშიურები ს. ს. კ. პ. (ბ) ისტორიის ცალკე პერიოდებსა და მომენტებზე, რაც აქტუალური მნიშვნელობისაა ს. ს. კ. პ. (ბ) მიმდინარე შინაპარტიულ მუშობასთან დაკავშირებულ აღმოცენებულ ახალ პარტიულ პრობლემებითურთ, გ) აუცილებლათ იქნას ცნობილი კავშირის ყველა დიდ ქალაქებში სამეცნიერო-გამოკვლევითი კათედრების მოწყობა რევ. მოძრაობის ისტორიიდან (სახგანათლების ხარჯთ-აღრიცხვით) პარტისების გეგმითა და პროგრამით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანიზაციული ღონისძიებანი.

თათბირი აღნიშნავს მთლიანი საორგანიზაციო სტრუქტურის, როგორც მუშაობის სახელმძღვანელო კავშირის, არქონას ადგილებზე პარტიისებისათვის (არსებობენ: კოლეგიები, პარტისთა საბჭოები, ლიტერატურული საბჭოები და სხ.). ზოგჯერ ადგილებზე სახელმძღვანელო მუშაობას აწარმოებს პიროვნულად თვით გამგე. ც. კ. პარტისი სარგებლობს რა ადგილობრივი მუშაობის გამოცდილებით, მუშაობის ამა თუ იმ ფირმის მოხერხებულობით, უნდა მიაწოდოს პერიფერიებს პრაქტიკული ზომები პარტისების აშენება-მოწყობის ერთნაირობის შესახებ, ხელმძღვანელობის სისტემის შესახებ. ხელმძღვანელობის სისტემის ჩამოყალიბება, პარტისის, როგორც პარტკომის განყოფილების ამოცანის განსაზღვრა; პარტისის განყოფილება აწყობს და ხელმძღვანელობს ს. ს. კ. პ. (ბ) ისტორიისა და ოქტომბრის რევოლიუციის შესწავლას; ამ შემთხვევაში პარტისი არ არის მხოლოდ ისეთი ორგანო, რომელიც თავის თანამშრომლების სახით უშუალოდ ეწეოდეს მეცნიერულ—საგამოკვლევო მუშაობას. აუცილებლათ იქნას ცნობილი ახლო ხანში ს. კ. პ. (ბ) ც. კ. პარტისის და მისი ადგილობრივი ორგანოების შესახებ დებულების გადასინჯვა, კერძოთ, შეცვლილ იქნას ც. კ. პარტისის საორგანიზაციო სტრუქტურა. დაარსებულ იქნას თანაბრათ სხვა განყოფილებებისა სამეცნიერო — საგამოკლევო განყოფილება, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს ადგილობრივ განყოფილების სათანადო მუშაობას.

თავის მოღვაწეობით პარტისები უნდა გახდენ საერთო პარტიული მუშაობის ცოცხალ ორგანოებათ. უნდა უარყონ აკადემიური კარჩაკეტილობა და უნდა ჰქონდეს აღებული ხაზი პროლეტარულ საზოგადოებრივობასთან მჭიდრო კავშირის დასამყარებლათ. უნდა იზიდავდეს თავის მუშაობაში რევოლიუციონური მოძრაობის პროლეტარულ მოწმეთ და მონაწილეებს.

ადგილობრივათ მუშაობის პრაქტიკამ დაგვანახა პარტისის დამხმარე შემდეგი ორგანიზაციების ცხოველმყოფლობა: პარტისის დამხმარე ჯგუფები ამა თუ იმ მომენტის შესახებ, სექციები (ქალთა, წითელ არმიელთა და სხ.), დროებითი კომისიები, წრეები და რწმუნებულები, აგრეთვე მუდმივი საფაბრიკო-საქარხნო კომისიები არალეგალურად მომუშავე მუშებისაგან შემდგარი.

აუცილებელია პარტისის პერიოდული კრებები პარტისის ფაბრიკა-ქარხნების კომისიათა წარმომადგენლების მონაწილეობით, აგრეთვე საქარხნო არქივების შესწავლა. მიექცეს ადგილობრივ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტისების ყურადღება ადგილობრივ ფაბრიკებისა და ქარხნების რევოლიუციონური ისტორიის შესწავლის საჭიროებას.

მეცნიერულ შრომათა ხარისხის გაუმჯობესების აუცილებლობა ნაცვლად წინანდელი ფაქტების და მასალების უბრალო დაგროვებისა და სისტემატიზაციისა პარტისისაგან მოითხოვს დიდ ძალებს. საქმეში სამეცნიერო მუშაკების, მოსწავლე ახალგაზრდობის და სხ. ჩაბმას.

აუცილებლათ ჩაითვალოს, რათა მომავალში ც. კ. პარტისმა საოლქო გაერთიანებულ ორგანიზაციებს ამა თუ იმ საკითხის დასამუშავებლათ დაუსახოს განსაზღვრული ამოცანა რევოლიუციისა და პარტიის ისტორიის სფეროში და ჩაატაროს ეს მუშაობა ამ საოლქო გაერთიანებათა საშუალებით.

პარტისის გამგეთათვის მთავარ მუშაობათ ჩაითვალოს პარტისში მუშაობა.

სასურველად ჩაითვალოს პარტისთა გამგეების გამოწვევა ც. კ. პარტისში მოხსენების გასაკეთებლათ.

აუცილებლათ ჩაითვალოს ადგილებისათვის პარტიის ც. კ. საშვალებით დირექტივების მიცემა, მიექცეს მათი ყურადღება პარტისში მომუშავეთა სერიოზულ შერჩევას, რომ არ იქნან ისინი დატვირთული სხვა პარტიული სამუშაოთი, აგრეთვე მათი ხშირად გამოცვლის არასასურველობა (მეXII ყრილობის დირექტივები).

აუცილებლათ იქნას ცნობილი ც. კ. მიერ ადგილებზე გაგზავნილი ინსტრუქტრების გამოყენება ადგილობრივი პარტისების მუშაობის გამოსაკვლევად.

აუცილებლათ ჩაითვალოს პარტისის მუშაობის შეთანხმება ახ. კომკავშ. ისტორიის და პროფკავშ. ისტორიის მუშაობასთან.

ჟურნალ „პროლეტ. რევოლ“. დაეთმოს ადგილობრივ პარტისების მუშაობის ინფორმაციას არა ნაკლებ ნახევარი თაბახისა.

II

პარტისის განყოფილებათა მონაწილეობა იმ მუშაობაში, რომელიც დაკავშირებულია ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის იუბილეს ჩატარებასთან.

(მ. ა. საველიევის და ი. ვ. ვოლკოვ-ჩერის მოხსენების თანახმად).

ა) საერთო სქემა ოქტომბრის რევოლიუციის მასალების დასამუშავებლათ და ნარკვევების მოსამზადებლათ.

ადასტურებს რა მუშაობის გეგმის საერთო ორიენტაციის აუცილებლობას, რაც მიღებულია პატისის მიერ ამ ერთი წლის წინად

ეროვნული ბიბლიოთეკა

(„პროლ. რევ.“ 3. 1925 წ.). ამ გეგმის შესრულებისათვის საჭიროა მთელი რიგი წლები, ამიტომ თათბირი მხედველობაში ღებულობს იმ გარემოებას, რომ ოქტომბრის რევოლიუციის იუბილემდე მეტად ცოტა დრო დარჩა, აგრეთვე საჭიროდ მიაჩნია სასტიკი მომჭირნეობის დაცვა, აუცილებლათ სცნობს საიუბილეო ლიტერატურულ შრომათა გამომცემლობის შეკვეცას. ამ გეგმაში უნდა შეტანილ იქნას ისეთი საყურადღებო ფაქტორები, რომელთაც გადამწყვეტი როლი შეასრულეს 1917 წლის თებერვალსა და ოქტომბერში.

ადგილობრივ პარტისის განყოფილებებს უფლნა ეძლევათ შეეტანონ მასში საჭირო შესწორებანი, რაც საჭირო იქნება იმისათვის, რომ ამა თუ იმ გუბერნიის, რაიონის, ოლქის ან რესპუბლიკის თეალსაზრისით გამოხატულება ჰპოვოს ოქტომბრის რევოლიუციის ისტორიამ.

ოქტომბრის რევოლიუციის გაშუქების ძირითად ამოცანად აუცილებლათ უნდა‘ჩაითვალოს ბალშევიკების ადგილობრივი ორგანიზაციის ისტორიის გამორკვევა და მისი როლი ოქტომბრისათვის ბრძოლაში, ადგილობრივი საბჭოების აღმოცენება და მათი როლი ოქტომბერში, ადგილობრივ პარტისთა განყოფილებების დასამუშავებელი პერიოდი უნდა განისაზღვროს უმთავრესად 1917 წლით და 1918 წლის ნაწილით, ე. ი ოქტომბრის რევოლიუციის თვით პირველი პერიოდით, რომელთან დაკავშირებით ოქტომბრის რევოლიუციას მთელი ათეული წლისათვის საერთო ჯამის გაკეთება პარტისის სამეცნიერო—საგამოკლეო მუშაობაში ჩაითვალოს უდროოთ.

ბ) პარტისის განყოფილებათა საგამომცემლო გეგმა ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლისთავისთვის.

(ამხ. კუდელის წინადადება)

საგამომცემლო გეგმა განიყოფება 3 ძირითად ნაწილად: 1) რევოლიუციის მამოძრავებელ ძალთა გამორკვევა, 2) საბჭოთა ორგანიზაციების და სრ. ს. კომპ. (ბ) როლის გამორკვევა ოქტომბრის რევოლიუციაში და 3) კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაციები. იმ ადგილებში, სადაც მოძრაობას ფართო ნაციონალური ხასიათი ჰქონდა, უნდა მოცემულ იქნას მისი მოკლე დახასიათება თებერვალ-ოქტომბრის რევოლიუციასთან დაკავშირებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) რევოლიუციის მამოძრავებელი ძალები.

1. ამა თუ იმ რაიონის ეკონომიკის განსაკუთრებულება თებერვლის რევოლიუციის წინ, 1917 წლის თებერვლისა და ოქტომბერს შუა და იმ დროს, როცა პროლეტარიატმა ძალა-უფლება ხელთ იგდო (საჭიროა დაუკავშიროთ მთელი რუსეთის ეკონომიკას) მუშათა და გლეხთა მასების მდგომარეობა ამ ხანაში სახალხო მეურნეობის კრიზისთან დაკავშირებით.

2. მუშათა მოძრაობის ხასიათი მოცემულ რაიონში (თებერვლის რევოლიუციის წინა დღით, თებერვლისა და ოქტომბრის შუა და იმ დროს, როცა ადგილობრივმა საბჭოებმა ძალა-უფლება ხელთ იგდეს). პეტერბურგში და მოსკოვში მომხდარი ამბების გამოძახილი პროვინციაში. ადგილობრივ მუშათა მასების ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლა (ეკონომიური და პოლიტიკური გაფიცვები, დემონსტრაციები, შეიარაღებული გამოსვლები, ბრძოლა დროებით მთავრობის წინააღმდეგ, ბრძოლა მუშათა კონტროლისთვის, ფაბრიკა-ქარხნების ხელში ჩაგდება და სხ.) ბალშევიკების ბრძოლა ბურჟუაზიული და წვრილ-ბურჟუაზიული პარტიების წინააღმდეგ მუშათა მასებზე გავლენისათვის. მუშათა მასების გაბალშევიკება. მუშათა მასების როლი ძალა-უფლების ხელში ჩაგდების დროს და კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლაში.

3. გლეხთა მოძრაობა მოცემულ რაიონში თებერვლის რევოლიუციის წინა დღით. კლასიური ბრძოლა. სოფელში თებერვლი რევოლიუციის წინად და თებერვალ-ოქტომბერს შუა. თებერვლის რევოლიუცია სოფლად, დროებით მთავრობის ორგანოები. გლეხთა მოძრაობა მოცემულ რაიონში თებერვალ-ოქტომბერს შუა. პარტიების ბრძოლა მიწისა და თავისუფლებისათვის. ოქტომბერი სოფლად. სოფლის ღატაკთა, საშვალო შეძლების და „კულაკების“ როლი.

4. რევოლიუციონური მოძრაობა ჯარში და ფლოტში თებერვლის რევოლიუციის წინ, თებერვალ-ოქტომბერს შუა და ოქტომბრის გადატრიალების დროს.

ადგილობრივი ჯარის (და ფლოტის) მდგომარეობა თებერვლის რევოლიუციის წინ. ჯარის და ფლოტის როლი ძალა-უფლების ხელში ჩაგდების პერიოდში.

ბ) ორგანიზაციები, რომელთაც გადამწყვეტი როლი ითამაშეს ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვებაში.

1. ბალშევიკების ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია დაწყებული იმპერიალისტური ომიდან და გათავებული პროლეტარია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტის მიერ ხელისუფლების დაპყრობის პერიოდით. ამ ორგანიზაციის კავშირი ც. კ.-თან, მისი კონფერენციები, ლიტერატურა და სხ.

2. მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა და სხ. საბჭოების აღმოცენება ადგილებზე 1917 წელს. საბჭოების შემადგენლობის და მუშაობის საერთო დახასიათება 1917 წელს ოქტომბრის რევოლიუციამდე. პარტიათა ბრძოლა ადგილობრივ საბჭოებში (ბალშევიკები, ესერები, მენშევიკები და სხ.) და საბჭოების მიერ ძალა-უფლების ხელში ჩაგდება და საბჭოთა ხელისუფლების პირველი საფეხური.

3. ბალშევიკური ფრაქციების ბრძოლა ადგილობრივ თვითმართველობების ორგანოებში.

4. სამხედრო ორგანიზაციის ისტორია, მისი კავშირი ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციასთან და მისი მუშაობა ადგილობრივ გარნიზონსა და მეზღვაურებში. სამხედრო ორგანიზაციის ურთიერთობა წითელ გვარდიასთან.

5. მუშური წითელი გვარდიის ისტორია მოცემულ რაიონში. მისი როლი ოქტომბრის დროს და სამოქალაქო ომის ფრონტებზე.

6. საქარხნო კომიტეტები და მათი ორგანიზაცია. საქარხნო კომიტეტთა ადგილობრივი ცენტრი. საქარხნო კომიტეტების კონფერენცია. მათი მნიშვნელობა რევოლიუციაში. საწარმოზე მუშათა კონტროლის გატარება.

7. პროფკავშირები და მათი როლი რევოლიუციაში.

8. მუშა-ქალთა მოძრაობა.

9. ჭაბუკთა ორგანიზაციების აღმოცენება. ახალგაზრდობის მონაწილეობა სამოქალაქო ომში და რევოლიუციაში.

ვ) კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაციები.

1) მოსახლეობის კონტრ-რევოლიუციონურ ფენთა პოლიტიკური პარტიები მოცემულ რაიონში (ან ადგილებში) ოქტომბრის რევოლიუციის წინა დღით.

2) დროებით მთავრობის ორგანოების ადგილებზე დამოკიდებულება დროებით მთავრობისადმი მოსახლეობის სხვადასხვა ფენებში.

3) კონტრ-რევოლიუციის შეიარაღებული წინააღმდეგობა და საბოტაჟი ადგილებზე საბჭოების მიერ ძალა-უფლების ხელში ჩაგდების დროს.

გ) თებერვლის და ოქტომბრის რევოლიუციები და ნაციონალური საკითხი.

1. მოსახლეობის ნაციონალური შემადგენლობა და ნაციონალური წინააღმდეგობანი მოცემულ ადგილებში ან რაიონში. რევოლიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციონური და კონტრ-რევოლიუციონური ელემენტები შევიწროვებულ ეროვნებათა შორის.

2. მეფობის პოლიტიკის გამოხატულება მოცემულ ადგილას (ან რაიონში) თებერვლის რევოლიუციის წინა დღით. ნაციონალური პოლიტიკა დროებით მთავრობის დროს.

3. შევიწროვებულ ეროვნებათა ბრძოლა თავის გასანთავისუფლებლათ ოქტომბრის რევოლიუციის წინ და მის დროს. ნაციონალური რევოლიუციონური პარტიები და მათი როლი.

4. ნაციონალური კონტრ-რევოლიუციის მიერ წინააღმდეგობის გაწევა ოქტომბრის გადატრიალებისათვის. ამ წინააღმდეგობის ლიკვიდაციის ფორმა.

3) ადგილობრივ პარტისის განყოფილებების გამოცემათა ტიპი ოქტომბრის რევოლიუციის ისტორიიდან

ვიღებთ რა მხედველობაში ადგილობრივ პარტისის განყოფილებების მუშაობის გამოცდილებას და გამოვდივართ რა საკავ. ც. აღ. კომ. საიუბილეო კომისიის სალიტერატურო გეგმიდან, უნდა აღიარებულ იქნას, რომ გამოცემანი ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავთან დაკავშირებით, შეიძლება თავის შინაარსით იყოს შემდეგი ოთხი ტიპისა:

ა) მასალების კრებული; ბ) დამოუკიდებელი გამოკვლევა (მონოგრაფია); 3) სამეცნიერო-პოპულიარული ბროშიურა; გ) ქრონიკა.

ა) მასალათა კრებული.

საერთო შემადგენლობა.

ამაში შედის როგორც საარქივო, ისე მოგონებები, რომლებიც ეხებიან დასახულ თემას. როგორც საერთო წესი, კრებულში შედის **გამოუქვეყნებელი** მასალები: გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ ცალკე, უფრო შინაარსიანი მოგონებები ან მათი ნაწყვეტები, რომლებიც გამოქვეყნებული იყო პრესაში და რომელთაც მოცემულ თემასთან აქვთ პირდაპირი კავშირი. იმ მასალებიდან, რომელიც მოცემულ თემას ეხება, უნდა აღებულ იქნას თავის ხასიათით უფრო დამახასიათებელი; ყველა დანარჩენი მასალები შეიძლება მოთავსებულ იქნას ნაწილობრივ ან გამოყენებული სათანადო განმარტებით შენიშვნაში იმ მხრით, რამდენათაც ეს დამატებითი მასალები **აღრმავებენ და ავსებენ** ძირითად მასალებს. ერთი და იმავე შინაარსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასალის, თუ გინდ სხვა და სხვა ფორმაში, დაბეჭდვა საჭირო არ არის.

წინასიტყვაობას გარდა კრებულს ურდა დაერთოს შესავალი სტატია. სასურველი იყო ასეთი შესავალი სტატიის სახით პატარა, დამოუკიდებელი გამოკვლევა, სადაც ზედიწეენით გამოყენებული იქნებოდა კრებულში მოთავსებული მასალა (დაბეჭდილ წყაროებითან ერთად). უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება აღწერილობითი ხასიათის სტატიით.

თუ კრებულის რედაქციას ექნება გარდა შესავალი სტატიისა, კიდევ ერთი ან რამდენიმე გამოკვლევითი ხასიათის მჭონე ნაშრომი (პატარა), რომელშიაც მოცემული იქნებოდა საერთო თემის ერთი რომელიმე ან რამდენიმე მხარე (კითხვები), სასურველია ასეთი სტატიის კრებულში მოთავსება. მაგ. კრებულის თემაზე: „თებერვლიდან ოქტომბრამდე მოცემულ რაიონში“—შეიძლება დაიწეროს ცალკე სტატიები თემაზე: „მუშათა დეპუტატების ადგილობრივი საბჭო“, „ადგილობრივი გარნიზონის კომიტეტი“, „ბალშევიკური ორგანიზაცია“ და სხვ.

ყოველ შემთხვევაში, სავალდებულოა მთელი მასალის რამდენიმე თავად დაყოფვა იმის მიხედვით, თუ რა მხრით მიუდგებით თემის გაშუქებას ან მოცემული ორგანიზაციის ისტორიის განვითარების რომელ ეტაპს შეეხებით.

ყველა დოკუმენტები და სხვა მასალები უნდა დაბეჭდილ იქნას ახალი ორთოგრაფიით. დოკუმენტის ტექსტის და სხ. საარქივო მასალების გასწორება აღინიშნება პირდაპირი ფრჩხილებით. ამნაირი გასწორება დასაშვებია ორთოგრაფიული შეცდომების (ასოების გამოტოვება, მათი არა სწორად დაწყობა, სასვენი ნიშნების არ ქონა) და დაუმთავრებელი სიტყვების მხრით.

ედედანის შრიფტის სხვადასხვაობა შეძლებისამებრ უნდა დაცულ იქნას მოყვანილ ტექსტში.

სიმეცნიერო დამხმარე აპარატი.

მთელი ის ცნობები, რომლებიც ტექსტის განმარტებას წარმოადგენენ, იბეჭდება სხოლიოში (შენიშვნები). შინაარსით და ტიპით შენიშვნები უნდა იყოს არა მარტო ცნობა-ბიო-ბიბლიოგრაფიული ხასიათის, არამედ კრიტიკულის, გამოკვლევითი ხასიათისა. მაგრამ სავალდებულო პირობაა—შენიშვნის, რაც შეიძლება, მოკლედ გადმოცემა. ფაქტიური ხასიათის შენიშვნა იძლევა აღდგენილ ამბავს ან

ან მოვლენას არა საერთოდ, არამედ—ამა თუ იმ ნაწილში, რომელიც ეხება გამოცემის ტექსტს.

მასალათა კრებულს უნდა დაერთოს საჩვენებელი: 1) სახელობითი; 2) საგნობრივი; 3) სისტემატიური მაჩვენებელი გამოყენებული, გამოუცემელი და დაბეჭდილი მასალებისა და 4) სარჩევი.

თითეულ კრებულს უნდა დაერთოს წინასიტყვაობა, რომელმაც უნდა მოგვცეს გამოცემის საერთო დახასიათება. ამ მიზნით წინასიტყვაობა უნდა შეიცავდეს: 1) თემის საერთო დახასიათებას, მათში აღძრული ისტორიული მნიშვნელობის საკითხების გაშუქებას; 2) წინანდელ გამოცემათა მიმოხილვას, რომელნიც თავისი შინაარსით მოცემულ თემას უახლოვდებიან; 3) კრებულში მოთავსებული მასალის მიმოხილვა; 4) იმ პრინციპების გადმოცემა, რომელზედაც დამყარებულია ეს გამოცემა, კრებულის გამოსაცემად ჩატარებული მუშაობის აღწერით; 5) კრებულის გეგმა.

როგორც შინაგანი, ისე გარეგნული აღწერა ცალკე დოკუმენტებისა ან მთელი რიგი საარქივო დოკუმენტების ან მასალებისა უნდა მოცემულ იქნას შენიშვნაში.

გარეგნული აღწერის საგანია: გვერდების (და სვეტების) რაოდენობა, ქაღალდის ფერი და ზომა, გადმოცემის საშუალება, სტამბა, ორგანიზაცია, გამოცემის ადგილი და დრო. გარეგნული აღწერის ყველა გარეგანი ნიშნები ეხება **პარტიული** ხასიათის საარქივო დოკუმენტებს ან სასალებს. სხვა საარქივო ფონდების მასალათი (ადმინისტრატიული, საგამომძიებლო) აღწერა ხდება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, ამასთან ასეთი აღწერის ნიშნად ჩვეულებრივ წყაროს აღნიშვნის (არქივის შესანახი, საარქივო ფონდი, ანდა „საქმის“ ვრცელი აღწერა, წელიწადი, ფურცელი) გარდა ითვლება დოკუმენტის წარმოშობა, მისი ისტორია.

დოკუმენტის შინაგანი აღწერა მეტად მოკლე ფორმაში უნდა ეხებოდეს დოკუმენტის ტექსტს და მასზედ არსებულ წარწერებს, რეზოლიუციებს.

იმის სანიმუშოდ, თუ როგორ უნდა იქნას გადმოცემული პარტიული ფურცლის (პროკლამაციის) ტექსტი და მისი აღწერა, გირჩევთ იხელმძღვანელოთ შემდეგი გამოცემით: „1905 г. в Петербурге“, выпуск I, „соц.-дем. листовки“.

ბ) დამოუკიდებელი გამოკვლევა (მონოგრაფია).

მონოგრაფია უნდა ემყარებოდეს საარქივო მასალას მთელი დაბეჭდილი სათანადო ლიტერატურის გამოყენებით. ტექსტში ცალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კე დოკუმენტების ვრცლად მოყვანას არ ვურჩევთ; ისინი შეიძლება მოთავსებული იქნას სპეციალურ განყოფილებაში, „დანართში“. ამ განყოფილებაში არ უნდა იქნას მოთავსებული ის მასალები, რომლებიც მხოლოდ **იმეორებენ** თქმულს და არ შეავსებენ ხოლმე მათ. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა რომელიმე დოკუმენტი უეჭველად **ადასტურებს** ავტორის მიერ წამოყენებულ დებულებას, ის შეიძლება დაბეჭდილ იქნას სრულიად ან ნაწილობრივ.

სამეცნიერო—დამხმარე აპარატი, წინასიტყვაობის თანდართვით, რჩება იგივე, რაც კრებულისთვის.

ვ) სამეცნიერო—პოპულიარული ბროშიურა.

სასურველია ასეთი პატარა ბროშიურების დაწერა გამოკვლევითი მუშაობის თანახმად, მაგ. მას შემდეგ, რაც შედგენილია მასალათა კრებული ან დაწერილია მონოგრაფია. მაგრამ თუ არ სწარმოებს გამოკვლევითი მუშაობა ან მასალათა გამოცემა, ამნაირი ბროშიურის დაწერა შესაძლებელი იქნება იმ ლიტერატურის თანახმად, რაც ხელთ გვექნება. ბროშიურის საგანი იქნება დამუშავებული თემის ერთი რომელიმე ნაწილი ან თემა მთლიანად.

პირველი ორი ტიპის გამოცემათაგან ბროშიურა იმით განსხვავდება, რომ მას არ ექნება დართული არავითარი სამეცნიერო დამხმარე აპარატი (გარდა ორი ქვემოდ მოყვანილი მაჩვენებელისა), ბროშიურა უნდა დაწერილი იყოს სადა ენით და შიგ უნდა მოყვანილი იყოს ამა თუ იმ ორგანიზაციის (ან ადგილის) ფაქტიური ისტორიის უფრო ნათელი მაგალითები.

ცალკე დოკუმენტებიდან ციტატები უნდა მოყვანილ იქნას მეტად ცოტა.

სამეცნიერო-პოპულიარულ ბროშიურას უნდა დაერთოს სახელობითი მაჩვენებელი და იმ ლიტერატურის სია, რომლის **რეკომენდაცია** მიჩნეულია თემის მიხედვით.

გ) ქრონოლოგია.

ქრონოლოგია ანუ ქრონიკა უნდა შედგენილ იქნას ყოველ პარტისის განყოფილებაში, მიუხედავად იმისა, დაიბეჭდება ეს ნაშრომი თუ არა. ქრონიკა იწყება 1917 წლის იანვრიდან და დგება ცალ-ცალკე ყველა წლებისათვის. ქრონიკა არ უნდა დაკმაყოფილდეს პარტიული ორგანიზაციების ვიწრო ფარგლებით ამ სიტყვების ვიწრო აზრით. ქრონიკა უნდა შეიცავდეს მოცემული რაიონის საერთო-პო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტიკური ისტორიის ყველა მხარეებს, ყველა თავისი დამახასიათებელი მოვლენებით. თავის თავად ცხადია, რომ პარტორგანიზაციის ცხოვრებას უნდა დაეთმოს **უმთავრესი ადგილი**.

ცნობები გულდასმით უნდა იქნას შემოწმებული სხვადასხვა წყაროების ერთმანეთთან დაპირისპირებით. წყაროების სახით გამოყენებული იქნება შეძლებისგვარად, ყველა ხელმისაწვდენი საარქივო ფონდები, ყველა სათანადო დაბეჭდილი მასალა, აგრეთვე სავალდებულოა როგორც გამოცემული, ისე გამოუცემელი მოგონებებით სარგებლობა.

ცალკე დოკუმენტები არ უნდა დაერთოს. საჭიროა მხოლოდ ფაქტის, ამბავის, მოვლენის საერთოდ გადმოცემა მოკლედ. დაწვრილებით მითითება წყაროებზე ყოველ ცალკე შემთხვევაში (მოყვანილი ცნობების ქვეშ) აღიარებულია სავალდებულოთ. ისეთი დამახასიათებელი ფაქტები, რომელთა თარიღი აღდგენილი არ არის, არ უნდა იქნას უარყოფილი; ასეთ შემთხვევაში მთელ რიგ წყაროების დაპირისპირებით უნდა დაწესებულ იქნას **დაახლოვებითი** თარიღი, თუ გინდ მოცემული თვის დეკადის ფარგლებში. ეს დაახლოვებითი თარიღი მოყვანილი იქნება ჩვეულებრივ ალაგას, მაგრამ ჩასმული პირდაპირ ფრჩხილებში.

მთელი ტექსტი უნდა დალაგებულ იქნას ქრონოლოგიურის წესით (დღიური). თითეული თარიღის ცალკე ფარგლებში მასალა განაწილდება წინასწარ გათვალისწინებულ მთავარ განყოფილებებში. ასე მაგ., 1917 წლისათვის საყურადღებოთ უნდა ჩაითვალოს განყოფილებები: 1) მასიური მოძრაობა (მუშათა, გლეხთა მოძრაობა, ჯარი); ბალშევიკური ორგანიზაცია; 3) საბჭოები; 4) დროებითი მთავრობის ადგილობრივი ორგანოების მოღვაწეობა; 5) კონტრ-რევოლიუცია და მის წინააღმდეგ ბრძოლა. თავის თავად გასაგებია, რომ მოსალოდნელია ისეთი ცალკე შემთხვევები, როცა ასაწერი ამბების მსვლელობისაგან საჭირო იქნება შემოღებული წესის არ დაცვა. მაგალითად, დროებით მთავრობის ადგილობრივი კომისარის მოქმედებას იმავე დღეს მოჰყვა მუშათა მასების გამოსვლა: ამ შემთხვევაში უფრო მიზანშეწონილი იქნება მიუთითოთ კომისარის მოქმედებაზე და შემდეგ კი, რა გამოძახილიც ჰპოვა მან მასაში.

მოპოვებული ცნობები უნდა გადმოცემულ იქნას შემდგენელის სიტყვებით მოკლედ და სწორი ფორმულიროვკით. ციტატების მოყვანა (წყაროს სიტყვები) დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა მასალები რეზოლიუციური ხასიათისაა (რეზოლიუციები, დადგენილებები).

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორი მოკლედ გადმოცემულიც არ უნდა იყოს, ქრონიკაში მოყვანილი ცნობები უნდა იყოს დასაბუთებული. გადმოცემის სივრცე ასე უნდა განისაზღვროს: ქრონიკა უნდა წარმოადგენდეს საშუალო ტიპს საკ. კომ. პარ. (ბ) ც. კ. პარტიის ცნობილ მრავალტომიან ქრონიკას—„1917 წლის რევოლიუცია“ და ვ. მაქსაკოვის და ნ. ნელიდოვის მოკლე ქრონიკას შორის. ის გაცილებით ნაკლებით ვრცელი უნდა იყოს, ვიდრე მეორე. ყველა თარიღები, დაწყებული 1917 წლის იანვრიდან და გათავებული 1918 წლის 13 თებერვლით (ახ. სტ.) უნდა აღნიშნულ იქნას ორივე სტილით, ამასთან **პირველად** მიდის **ახალი** სტილი, შემდეგ რგვალ ფრჩხილებში—ძველი.

1918 წლის 14 თებერვლიდან დღევანდლამდე ყველა თარიღები უნდა აღინიშნოს **ახალი** სტილით.

გამოყენებული წყაროების, სახელობითი და საგნობრივი მაჩვენებელის შედგენა სავალდებულოა.

შენიშვნები, რომლებიც ეხება ყველა ოთხივე ტიპს.

სახელობითი მაჩვენებელში გვარებთან და ფსევდონიმებთან ერთად უნდა აღინიშნოს აგრეთვე ინიციალები (სახელი და მამის სახელი). პარტიულობა აღინიშნება მხოლოდ იმ ამხანაგების, რომელნიც გამოცემის შედგენის მომენტში იქნებიან კომუნ. პარტიის წევრები.

სტატიის ტექსტში და შენიშვნებში მოყვანილ სახელებს უნდა დაერთოს ინიციალები (სახელი და მამის სახელი).

3) ადგილობრივ პარტიის განყოფილებათა სალიტერატურო გამოცემათა გეგმის ზომა ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავზე.

1905 წლის რევოლიუციის 20 წლისთავის აღსანიშნავად წარმოებულმა მუშაობამ გამომცემლობის საქმეში დაგვანახვა, რომ პარტიისის ლიტერატურის ერთი ნაწილის მკითხველთა წრე მცირერიცხოვანია, ამიტომ წიგნის ბაზარზე ამ დარგის ნაკლები მოთხოვნილებაა, რასაც აუცილებლათ ანგარიში უნდა გაეწიოს ოქტომბრის ლიტერატურის გამოცემის დროს. გამომცემლობის ლოზუნგი ამ შემთხვევაში იყოს: ნაკლები რაოდენობით, უკეთესი—ხარისხით.

მომჭირნეობის რეჟიმი, რასაც პარტია ატარებს სამეურნეო ცხოვრების ყველა დარგში, შეეხო პარატისთა განყოფილებების საგამომცემლო მოღვაწეობას, რაც გამოიხატა ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავის გამო განზრახულ გამომცემლობის შეკვეცაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიგვაჩნია რა სრულიად სამართლიანათ გადამჭრელი ბრძოლა მაკულატურის წინააღმდეგ, საჭიროა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცეს ოქტომბრის რევოლიუციის ისტორიის მასალების შესწავლას და გამოქვეყნებას ადგილებზე ოქტომბრის 10 წლისთავისათვის. ამიტომ არ შეიძლება დავეთანხმოთ ადგილობრივ პარტისის განყოფილებათა საგამომცემლო მუშაობის მეტის-მეტად შემცირებას ან მის წმინდა მექანიკურ შეკვეცას. ამიტომ უნდა აღიარებულ იქნას, რომ ც. კ. პარტისმა საკავშირო ოქტომბრის კომისიის წინაშე შუამდგომლობით მოაგვაროს: 1) რათა ადგილობრივ პარტისთა საიუბილეო ლიტერატურის გამოსაცემი ნაბეჭდი ფურცლების რაოდენობა საერთოდ გაზრდილ იქნას და ამის შესაფერისად მომატებული დოტაცია; 2) ნება დაერთოს ადგილობრივ პარტისის განყოფილებებს გამოსცენ საიუბილეო ლიტერატურა ადგილობრივი საშუალებებითვე ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების სასტიკი პასუხისმგებლობის ქვეშ.

დ) პარტისის განყოფილებათა მონაწილეობა ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლისთავის მასიურ პროპაგანდაში.

(ამხ. კუდელლის წინადადება)

მომავალ ოქტომბრის რევოლიუციის იუბილეს დროს პარტისის განყოფილებებისთვის საკმარისი არ იქნება მუშაობა მხოლოდ სამეცნიერო ისტორიულ შრომათა მომზადება-გამოცემა.

უნდა აღიარებულ იქნას პარტისის განყოფილებათა აუცილებელი მონაწილეობა ოქტომბრის იუბილეს ჩამტარებელ კომისიებში როგორც პარტიული, ისე საბჭოთა ხაზით.

ამასთან ერთად პარტისის განყოფილებებმა უნდა აქტიური მონაწილეობა მიიღონ ოქტომბრის მასიურ პროპაგანდის მომზადებაში. ამ მიზნით პარტისის განყოფილებები მჭიდროთ უნდა დაუკავშირდენ ადგილოარივ აგიტპროპებს შემდეგ ღონისძიებათა ჩასატარებლათ;

წინასწარ მოაწყოს საზოგადო ლექციები როგორ სოფლად საკ. კომ. პარ. (ბ) ისტორიიდან, მისი ტაქტიკის ოქტომბრის რევოლიუციის ჩატარების სიქმეში და ლენინის როლზე პარტიის მშენებლობაში.

ამასთან ერთად საჭიროა მომზადებულ და ჩატარებულ იქნას მოგონებათა საღამოები ცალკე რაიონებში და მსგავლ წარმოებებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

(სასურველია მისი ჩატარება სოფლადაც), ასეთ საღამოებზე 1917 წლის რევოლიუციონური მოძრაობის მონაწილეთა მონაწილეობა [1]).

ამას გარდა პარტისის განყოფილებებმა საჭიროა ხელი მოჰკიდონ ლიტერატურული კამპანიის ორგანიზაციას ადგილობრივ პრესაში წერილების მოთავსებით, სადაც აღნიშნული იქნება საიუბილეო ცალკე მოვლენათა როგორც ადგილობრივი, ისე საკავშირო ხასიათის თარიღები, მაგ. ამა თუ იმ ადგილას თებერვლის დღეები, ადგილობრივი საბჭოს მოწყობის თარიღი, პირველი პარტიული გაზეთის გამოსვლა და სხ.

III

პარტისთა განყოფილებების მუშაობის მეთოდოლოგიის შესახებ.

(ამხ. ვოლკოვიჩერი მოხსენება).

ვინაიდან პარტისთა სამეცნიერო—გამოკვლევითი მუშაობის მეთოდოლოგიის საკითხები ჯერ კიდევ საკმარისად არ არის დამუშავებული, თათბირი სურვილს გამოსთქვამს, რომ საკ. კომ. პარ. (ბ) ც. კ. პარტისი ახლო ხანში შეუდგეს ამ საკითხების სისტემატიურად დამუშავებას სპეციალური თეზისების შედგენით.

IV.

მასალების შეკრების შესახებ.

პარტისის განყოფილეობთა საკავშირო თათბირი ანგარიშს უწევს რა არქივების პოლიტიკური მნიშვნელობის ზრდას პარტისთა განყოფილებების სამეცნიერო გამოკვლევითი მუშაობაში და აღნიშნავს რა დიდ მუშაობას, რაც გაწეულ იქნა მოკავშირე რესპუბლიკების საარქივო დაწესებულებათა საარქივო მასალების კონცენტრაციაში, აუცილებელ საჭიროდ მიაჩნია:

1. მიაქციოს პარტიულ და საბჭოთა დაწესებულებების, აგრეთვე ყველა მშრომელთა ყურადღება საკითხს საარქივო მასალების შეგროვების შესახებ სპეციალური მოხსენებების მოწყობით არქივე-

[1]) სიტყვებში „მოვამზადოთ მოგონებათა საღამოები“ საჭიროა გავიგოთ, რომ ესა თუ პარტისის განყოფილება წინასწარ მოუსმენს ამა თუ იმ ამბის მონაწილეს, ეხმარება მათ მოგონებათა გეგმის შემუშავებაში და აწესებს რიგს, თუ როგორ უნდა გამოვიდენ ისინი საღამოზე და სხ. მხოლოდ ასე მომზადებული მოგონებათა საღამო იქნება საინტერესო, რაიმე ახლის მთქმელი და შინაარსიანი.

ბის მნიშვნელობის თაობაზე, პერიოდულ პრესაში წერილების მოთავსებით, ფურცლების გამოცემით და სხ.

2. მიღებულ იქნას ზომები ცხოვრებაში ფაქტიურად გასატარებლათ საბჭოთა დაწესებულებების და წარმოებების მიერ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოების დადგენილება მოკავშირე რესპუბლიკათა საარქივო დაწესებულებებისთვის 1917-21 წ. წ. ყველა მასალების გადაცემა, დაისვას უახლოეს დროში ამის შესახებ საკითხი საბჭოთა დაწესებულებების წინაშე.

3. მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, რომ არ იქნა დატოვებული საბჭოთა დაწესებულებების და კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაციების საარქივო მასალები მუზეუმებში, სამკითხველოებში, გამოკვლევითი დაწესებულებებში.

4. შემდეგი მუშაობის დროს მიღებულ იქნას ზომები სასოფლო სათემო და სხვა დაბალ დაწესებულებათა საარქივო მასალების კონცენტრაციის, აღრიცხვისა და გადარჩენისათვის, რადგანაც ისტორიულ გამოკვლევებისათვის ამ მასალებს უეჭველად დიდი მნიშვნელობა ექნება.

5. აუცილებლათ იქნას ცნობილი საარქივო დაწესებულებებში გაზეთების, ფურცლების, მოწოდებების, ბრძანებების, განკარგულებების, ნახატებიანი მასალების,—საერთოდ იმ მასალების, რომელნიც რევოლიუციის ეპოქას გამოხატავენ, კონცენტრაცია.

იმ მასალების შეკრების ფორმა, რომელნიც საჭირო იქნება საარევოლიუციო მუზეუმებისთვის და გამოფენებისთვის, აგრეთვე იმ მასალებით სარგებლობა, რომლებიც დაცულია შესანახ ადგილებში—დაამუშაოს ცკ. კ. პარტისმა ცენტრო-არქივთან და საკავშირო სარევოლიუციო მუზეუმებთან ერთად.

6. რადგანაც საჭიროა პროფკავშირების არქივების შესწავლა სხვა არქივების რევოლიუცირნური ეპოქის მასალებთან დაკავშირებით—შრომის განყოფილებათა სამეურნეო ორგანოთა და სხ., დაჩქარდეს ამ არქივების გადაცემა მოკავშირე რესპუბლიკების არქივების ორგანოებისთვის, მოეწყოს კავშირის დიდ ქალაქებში სპეციალური არქივის შესანახები.

7. აუცილებლათ ჩაითვალოს, რომ კავშირის ცენტრო-არქივებმა ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავის მასალების შესაკრებ ინსტრუქციებში ადგილებს მისცენ ფონდების სამაგალითო ნუსხა, რის შესრულება, სისტემატიზაცია და აღწერა უნდა მოხდეს დაკვრითი წესით.

8. რადგანაც ზოგიერთი საყურადღებო საარქივო ფონდების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილის დუბლიკატების გაცემა ხდება, ეს ამ აძნელებს საარქივო დაწესებულებათათვის კანტროლის გაწევას, თუ როგორ იქნა გამოყენებული ზემო ნახსენები მასალები, – მიღებულ იქნას ზომები, რომ არ დგებოდეს კოლექციები, საკავშირო სახელმწ. არქივის დოკუმენტების ასლები.

9. მიღებულ იქნას ზომები ადგილობრივ დაწესებულებათა საარქივო ფონდების დაჩქარებით რეევაკუაციისათვის, რომლებიც ნაწილობრივათ სამოქალაქო ომის პერიოდში დარჩენ რესპუბლიკის, გუბერნიის, ოლქის გარეშე მიუხედავათ იმისა, რომელ დაწესებულების შესანახშიაც არ უნდა იმყოფებოდეს ეს მასალები.

10. ადგილებიდან ცენტრალურ არქივ-შესანახი ისეთი ფონდების გადაცემის გამო, რომელთაც საკავშირო მნიშვნელობა აქვთ, დაისვას საკითხი მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრო-არქივების წინაშე, როგორ იქნან ეს მასალები გამოყენებული, ურომლისოდ პარტიისა მუშაობა ადგილებზე ხშირად სრულიად შეუძლებელია. სასურველად ჩაითვალოს ცალკე საქმეთა და დოკუმენტების, ფონდების ნაწილისაც კი, ადგილობრივ საარქივო დაწესებულთათვის დროებით სარგებლობა.

11. თათბირი აღიარებს, რომ იმ დიდი მუშაობას, რომელიც საჭიროა საარქივო მასალის აღსარიცხავად, თავის მოსაყარად და აღსაწერად, აქვს არა მარტო სამეცნიერო-ისტორიული მნშვნელობა, არამედ მეტ წილად არქტუალური პოლიტიკური მნიშვნელობა პარტიისა და საბჭოთა ორგანოების მიმდინარე მუშაობისათვის; ეს სამუშაო შეიძლება დამაკმაყოფილებლათ იქნას შესრულებული საარქივო დაწესებულებათა მიერ მხოლოდ იმ პირობით, თუ ამ უკანასკნელთ ამ მიზნით მიეცემა სპეციალური თანხები.

12. თათბირი აღნიშნავს, რომ საარქივო ორგანოების მუშაობა ისტორიულ-რევოლიუციონური მასალების აღრიცხვისა და წინასწარ გარჩევის საქმეში წარმატებით შეიძლება სწარმოებდეს იმ შემთხვევაში, თუ მჭიდროთ კონტაქტში იქნებიან ურთი-ერთ-შორის საარქივო დაწესებულებები და პარტიისა განყოფილებები. თათბირი აგრეთვე აუცილებლათ თელს გაადლიეროს საარქივო დაწესებულებები კვალიფიციური პარტშემადგენლობით და აამაღლოს საარქივო მუშაკთა სპეციალური კვალიფიკაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

V

პარტარქივების შესახებ.

1. პარტისის განყოფილებათა სრულიად საკავშირო თათბირი გადაუდებელ საქმედ თვლის პარტიული ორგანიზაციების არქივების მოწესრიგებას, რადგანაც ამ არქივებს განსაკუთრებული პოლიტიკური და ისტორიული მნიშვნელობა აქვთ.

2. პარტორგანიზაციების არქივები უახლოეს განსაზღვრულ დროში მოყვანილ იქნას სათანადო წეს-რიგში იმ ალაგას, სადაც ის შენახული იქნება.

3. პარტორგანიზაციების არქივების შენახვა და პასუხისმგებლობა ეკისრება სათანადო პარტიულ ორგანიზაციებს.

4. პარტორგანიზაციების მასალათა დამუშავების საერთო ხელმძღვანელობა უნდა იყოს პარტისის განყოფილებათა ხელში.

5. საარქივო-ტეხნიკურ მუშაობის შესასრულებლათ პარტარქივების მოწყობის საქმეში უნდა ჩაბმულ იქნას საკავშირო რესპუბლიკების ცენტრო-არქივთა ორგანოები.

6. მუდმივი პარტარქივები უნდა დაარსებულ იქნას საკ. კომ. პარ. (ბ) ც. კ-თან და ნაციონალურ რესპუბლიკების პარტიის ც. კ.-თან, საოლქო და გუბკომებთან. დაბალი პარტიული ორგანიზაციები (უჯრედები, რაიკომები და სხ.) თავის პარტარქივებს აბარებენ **განსაზღვრული ვადით** სპეციალური ინსტრუქციის თანახმად საოლქო და საგუბერნიო კომიტეტებს.

7. მიენდოს ც. კ. პარტისს ახლო ხანში შეიმუშაოს ინსტრუქცია პარტარქივების წესრიგში მოყვანის შესახებ.

8. აუცილებლათ იქნას ცნობილი, რომ საკ. კომ. პარ. (ბ) ც. კ. ცენტრალურად ქმნილი წესით გადასწყვიტოს საკითხი საშვალებათა და შტატის შესახებ პარტ-არქივების მოსაწყობათა და რომ ც. კ. გამოსცეს ამ საკითხზე სპეციალური ცირკულიარი.

VI

სარევოლიუციო მუზეუმების მშენებლობის შესახებ.

(მოხს. ამხ. მიცკევიჩისა და რომანოვსკაიისი)

1. ს. ს. რ. კავშირის სარევოლიუციო მუზეუმმა 3 წლის განმავლობაში შეასრულა უდიდესი სამუშაო, მას აღებული აქვს მუშაობის სწორი ხაზი. თათბირი იწონებს მუზეუმის მშენებლობის გეგმას და საჭიროდ მიაჩნია მომავალში განავითაროს მისი მუშაობა - სამუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზეუმო მასალების გამოცემა მასებში ფართოდ გასავრცელებლათ და ისტორიულ-რევოლიუციონური კინო-ფილმების შესაქმნელად. საჭიროა აგრეთვე მისი მუშაობის გაძლიერება, ადგილობრივ მუზეუმების მუშაობისათვის დახმარების გაწევა და ინსტრუქციის მიცემა. ამ მიზნით თათბირს სასარგებლოთ და გადაუდებელ საქმედ მიაჩნია სარევოლიუციო მუზეუმის მიერ ბიულეტენის გამოცემა და ამ მუშაობაში ადგილობრივ მუზეუმების მონაწილეობა.

2. თათბირი აღიარებს, რომ სარევოლიუციო მუზეუმი არის სამეცნიერო-გამოკვლევითი დაწესებულება და ფართო მასათა პოლიტიკური და პარტიული განათლების ქურა: ამიტომ თათბირს საჭიროდ მიაჩნია, რომ პარტიული ორგანოები და პარტისები, განსაკუთრებით ცენტრში და ადგილებზე მეტ ყურადღებას აქცევდენ და დახმარებას უწევდენ სარევოლიუციო მუზეუმებს.

3. თათბირის საჭიროდ მიაჩნია ყველა რესპუბლიკების სატახტო ქალაქებში, საოლქო და საგუბერნიო ცენტრებში და სადაც შესაძლებელი იქნება, უფრო პატარა ცენტრებშიაც, დაარსებულ იქნას სარევოლიუციო მუზეუმები და სადაც ასეთები არსებობენ, იქ გაძლიერებულ იქნას მათი მუშაობა.

4. თათბირი განსაზღვრავს, რომ ადგილობრივ სარევოლიუციო მუზეუმების ამოცანას შეადგენს თავის რაიონებში რევოლიუციონური მოძრაობის და ს. კ. პ. (ბ) ისტორიის გამოსახვა, ადგილობრივი ისტორიის საერთო სარუსეთო ისტორიასთან დაკავშირებით, შემდეგ მთელ საკავშირო რევოლიუციონურ მოძრაობასთან და ს. კ. (ბ) ისტორიასთან დაკავშირებით.

5. თათბირი აღნიშნავს, რომ დღემდე არ ყოფილა მიცემული ადგილებზე სარევოლიუციო მუზეუმის მშენებლობის და ორფანზაციის გეგმა; ამიტომ თათბირი მიმართავს ს. კ. პ. (ბ) ც. კ. პარტისს თხოვნით აგიტპროპთან ერთად საკავშირო სარევოლიციო მუზეუმის და სახ. განათ. მუზეუმის განყოფილებათა მონაწილეობით შეიმუშაოს და გაატაროს პარტიული და საბჭოთა წესით: ა) საერთო საკავშირო მეთოდიური და გეგმის მიმცემი სახელმძღვანელო, ცენტრის შექმნა სარევოლიუციო მუზეუმების საქმეზე, ამ სამუშაოსთვის საკავშირო სარევოლიუციო მუზეუმის აპარატის გამოყენება ბ) ადგილობრივ სარევოლიუციო მუზეუმების და პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს შორის საორგანიზაციო ურთიერთობის გეგმის შექმნა. 3) მათი ფინანსიურად უზრუნველყოფის გეგმა.

6 თათბირი საჭიროდ სთვლის, რათა ცენტრო-არქივებმა და მათმა ორგანოებმა ადგილებზე აქტიური და მიზანშეწონილი დახმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება გაუწიონ სარევოლიუციო მიუზეუმებს იმ მასალების მიწოდებით, რომელნიც მათ განკარგულებაში იმყოფებიან.

7. თათბირს არა რაციონალურად მიაჩნია ადგილებზე დამოუკიდებელი მუზეუმების შექმნა პროფესიონალური მოძრაობის ისტორიის ან ახალგაზრდათა კავშირის ისტორიიდან, აგრეთვე პოლიტ-კატორღელთა საზოგადოებების მუზეუმები და სადაც ასეთი მუზეუმები იქმნება, ისინი უნდა შეუერთდენ სარევოლიუციო მუზეუმებს.

8. თათბირს სასურველად მიაჩნია, თუმცა მოკლევადიანის, კურსების მოწყობა სამუზეუმო მუშაკების მოსამზადებლათ ადგილებზე.

9. სასურველად მიაჩნია აგრეთვე საზოგადოებრივი ყურადღების მიპყრობა და საროევლუციო მუზეუმისათვის დახმარების აღმოჩენა, რისთვისაც უნდა მოწყობილი იქნეს „სარევოლიუციო შუზეუმების მეგობართა საზოგადოება“.

იმ საკითხის შესახებ, თუ როგორ უნდა მოემზადონ ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავისთვს პარტისტები სამუზეუმო ხაზით, სარევოლიუციო მუზეუმებისა და მუზეუმების ისტორიულ-რევოლ. განყოფილებათა თათბირის აუცილებლად მიაჩნია:

1. ოქტომბრის 10 წლისთავისთვის კავშირის ცენტრში და ადგილებზე მოეწყოს გამოფენები —„მშენებლობისა და ბრძოლის 10 წლისთავი“, შემდეგი სამაგალითო სქემით:

ა) ძველი რეჟიმი, ბ) თებერვლის რევოლიუცია, 3) ოქტომბრის რევოლიუცია, ბ) სამოქალაქო ომი, და სოციალისტური მშენებლობა.

ამ გამოფენათა მოწყობის დროს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება ადგილობრივი მასალების გამოსახვას საერთო სარუსეთო და საკავშირო ხასიათის მასალებთან დაკავშირებით.

უკეთუ შესაძლებელი არ იქნება გამოფენის მოწყობა ამ სქემით მაშინ ის უნდა მოეწყოს შემოკლებული სქემით.

2. ცენტრში და ადგილებზე სკამო დახმარება გაეწიოს ფულად მასალების შესაკრებათ და გამოფენის მოსაწყობათ.

3. იმ ადგილებში, სადაც არ არის არც რევოლიუციის მუზეუმები, არც ისტორიულ-რევოლიუციონური განყოფილებები, მოწყობილი გამოფენები უნდა საძირკვლად დაედვას ამ ადგილებში მუდმივ სარევოლიუციო მუზეუმებს.

4. მიენდოს პარტისს და ცენტრო-არქივს საკავშირო სარევოლიუციო მუზეუმთან ერთად გამოიმუშაოს მასალების შეკრების ფორმა საიუბილეო გამოფენებისათვის და ეთხოვოს ცენტრო არქივს გაუწიოს ყოველგვარი დახმარება მასალების მიწოდებით ამ გამოფენებისათვის ცენტრო-ა' ქივიდან და მისი განყოფილებიდან ადგილებზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

VII.

რევოლიუციონური მოძრაობის ძეგლების აღრიცხვის შესახებ.

(ამხ. ნ. ი. დრუჟინინის მოხსენება)

პარტისების სრულიად საკავშირო თათბირის ადგილობრივ სარევოლიუციო მუზეუმების წარმომადგენელთა მონაწილეობით, გადაუდებელ და მეტად საყურადღებო ამოცანად მიაჩნია სახელმწიფოს მიერ მთელს ს. ს. რ. კავშირის ტერიტორიაზე რევოლიუციონური მოძრაობის ძეგლების შენახვა და რეგისტრაცია. თათბირი მიესალმება ამ საკითხის დროულად დასმას და უერთდება წაკითხული მოხსენების თეზისებს.

დასახული მიზნის განსახორციელებლათ თათბირი აუცილებლათ სცნობს მოეწყოს რევოლიუციონური მოძრაობის ყველა ძეგლთა ფართო და სისტემატიური აღრიცხვა (მათი გამოჩენა, აღწერა, ფოტოგრაფიულად გადაღება და ისტორიული შეფასება), ამ მუშაობისათვის ღრმა სამეცნიერო-გამოკვლევითი ხისიათის მიცემა.

მთელი მუშაობა რევოლიუციონური მოძრაობის ძეგლთა დაცვის და შენახვისთვის საჭიროა გადავიდეს სახ. განათლების სამუზეუმო მართველობის ხელში პარტისების ხელმძღვანელობით ამ საქმეში პარტიული და საბჭოთა საზოგადოებრივ ორგანიზაციების ჩაბმით.

ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა დახმარება მიიღონ სახელმწიფო ცენტრიდან არა მარტო ვრცელი ინსტრუქციების სახით, არამედ—ფულადაც.

რევოლიუციონური მოძრაობის ძეგლების სააღრიცხვო მიზანშეწონილ მუშაობასთან ერთად საჭიროა სასწრაფო წესით მიღებულ იქნას ზომები დასაცავად: 1) ისეთი ძეგლები, რომელთაც მოელის დანგრევა, 2) ოქტომბრის რევოლიუციის და სამოქალაქო ომის საყურადღებო ძეგლები. ამ მიზნით საჭიროა დაუყონებლივ: 1) მოხდეს ამ კატეგორიის ძეგლების ადგილობრივი აღრიცხვა, 2) გავრცელდეს რევოლიუციონური მოძრაობის ძეგლებზე სრ. საკ. აღ. კომ. და რ. ს. ფ. ს. რ. სახ. კომ. საბჭოს დეკრეტის შინაარსი (1924 წ. 7 იანვრის) სიძველეთა, ხელოვნების და ბუნების დაცვის შესახებ.

ანალოგიური დადგენილებები უნდა გამოტანილ იქნას მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი ორგანოების მიერ.

(„პროლეტ. რევოლ." № 1 (60) 1927 წ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა რ ჩ ე ვ ი.

		გვერდი.
1.	**პ. მ. საყვარელიძე**—მენშევიკების „დამოუკიდებელ საქართველოს“ ნამდვილი სახე	3
2.	**თენგიზ ყლენტი**—რევოლიუციონური მოძრაობა შორაპნის მაზრაში	38
3.	**სიმონ ხუნდაძე**—ნარკვევი ქართული აზროვნების ისტორიიდან	65
4.	25 ივნისის მიტინგი ნაძალადევში	80
5.	**რაჟდენ კალაძე** რატომ დაიგვიანა საქართველოში „ოქტომბერმა“	91
6.	**კ. ჩხენკელი**—1905 წლის დამარცხების შემდეგ . .	113
7.	**ნ. ამირაღოვი**—რ. ს. დ. მ. პ. მებრძოლი ჯგუფის წარმომადგენლების მუშაობა ბელგიაში	128
8.	**დ. მ. როსტომაშვილი**—აელაბრის სტამბის აღმოჩენა მთავრობის მიერ	131
9.	**მანასე გოგუაძე**—ორლოვის ცენტრალურ საკატორღო ციხეში	141
10.	**ი. კაკაბიძე**—დაგვიანებული მოგონება . . .	146
11.	**ლადო დუმბაძე**—მოგონება ამხ. კრასინზე . . .	150
12.	**პ. კიკალიშვილი**—იოსებ ხარაბაძე . . ? .	153
13.	**მ. ვარსიმაშვილი**—ძმანი ანტონ და გრიგოლ თარხანოვები	161
14.	პარტიული არქივი	162
15.	**ს. ხუნდაძე**—ე. ნინოშვილის ლიტერატ. მემკვიდრეობიდან.	172
16.	პარტისის განყოფილებათა გამგეების საკავშირო თათბირი	176

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლეგის, ქოხ-სამკითხველოეგის და სხვა საგჭოთა და პროფორგანიზაცი-ეგის საუურადღეგოდ!

სახელგამი

ამზადეგს მომავალ სამოსწავლო სეზონისათვის

სახელმძღვანელოებს

და ფოველგვარ

საკანცელარიო ნივთებს.

ფასეგი დაკლეგულია!

საქონელი მოითხოვეთ ყველა ჩვენი მაღაზიებიდან.

შეიძლება საქონლის ფასდადებით ამანათით გამოწერაც.

გრძელდება ხელისმოწერა წლის გოლოვმდე

ქალაქის წევრთათვის, გლეხეგისათვის, მუშეგისათვის, მოწაფეეგისათვის და წითელ-არმიელეგისათვის

5 თვით . . . 3-90
3 „ . . . 2-30
1 „ . . . 0-80

ეუფა

სახელმწიფო დაწესებულეგისათვის, წარმოეგისათვის და კერძო პირთათვის

5 თვით 4-85
3 „ . . . 2-85
1 „ . . . 1-00

განცხადეგის ფასი:

ტექსტში სტრიქონი ნონპარელით	80	კაპ.
მე-8-გვ. „ „	40	კაპ.
სამგლოვიარო განცხადება	10	მან.
განცხადება დაკარგ. საბუთ. შესახ.	75	კაპ.